

სხილი

# ფოტოგრაფია

ოქტომბერი, 2007, №31  
ფასი 5 ლარი

გიორგი ნაკაშიძე

ბარაკ ობამა

რუპერტ მერდოკი

La Maison Bleue

+ ლიტერატურა

ISSN 1512-2220







**მაგთი  
MAGTI**



**შეიგრძენი უმაღლესი ლიგა!**



PARLIAMENT

პარლიამენტი

სერტიფიცირებულია  
შენიშნული ნახშირის ფილტრი

ჯანდაცვის სამინისტრო გუფრთხილავთ: მოწვევა გავნებელია





...პაჩლომენდი ექსტრა მსუბუქი



თქვენი ჯანმრთელობისათვის. მოწავა იწვევს გულის დაავადებებს

Boss Store Tbilisi

37, Rustaveli ave.

0108 Tbilisi

Georgia

Tel:(+ 995 32) 92 10 35

Fax:(+995 32) 92 33 44

E-mail:[victoria\\_fashion@caucasus.net](mailto:victoria_fashion@caucasus.net)

[www.victoria98.com](http://www.victoria98.com)







**BOSS**  
HUGO BOSS



28



32



42



52



50

№ 31

ოქტომბერი

## სხანი შოქოლედი

14 რედაქტორის წერილი

16 ჩვენი ავტორები

18 კულტ მიმოხილვა

28 აქცენტი  
**ელგარ კერიტი თბილისში!**  
ავტორი: თამარ ბაბუაძე

30 კალიან საშიში ამბავი  
ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

32 პატრა ოცნალი  
ავტორი: ქეთევან კინწურაშვილი

36 ამტუალური მუსიკის ფესტივალი

38 კომენტარი  
**„გოუფუჟიბიათი!“**  
ავტორი: კახა თოლორდავა

42 ის, რასაც ვაპაროტი ვჰვია  
ავტორი: ლაშა ბულაძე

46 Hey, Joe!  
ავტორი: კახა თოლორდავა

50 გასათხოვარი, გათხოვილი, გაუთხოვარი,  
განათხოვარი?  
ავტორი: ლელა გაფრინდაშვილი


52 წერილი ლონდონიდან  
**ჩანაწერები ლონდონის შესახებ**  
ავტორი: აკა მორჩილაძე





TRU TRUSSARDI

Tbilisi · G.Tabidze Street 3/5 · (032) 93 30 05



104




92



72



84



118

62

ისტორია

**გიორგი ნაკაშიძე**

გიორგი ნაკაშიძე და სხვები, სხვები, სხვები

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი

72

**LA MAISON BLEUE**

„ლურჯი სახლის“ სუთი დიასახლისი

ავტორი: ნინო ლომაძე

84

**ბარაკ ობამა**

შემრიგებელი

ავტორი: ლარისა მაკფარქუჰარი თარგმანი: თამარ სუხიშვილი

92

**რუპერტ მერდოკი**

მერდოკის პირადი თამაში

ავტორი: მაიკლ ვოლფი თარგმანი: თამარ ბაბუაძემ

98

ინტერვიუ

**ინტარვიუ რიჩარდ ფორმანთან**

ავტორი: დავით ჩიხლაძე

104

სპეც-პროექტი

**ჩემი კალლი**

ავტორი: მაია ცეცაძე ფოტო: დავით მესხი

114

თავისუფლების დღიურები

**რეზისტანსის ჩანაწერები**

ავტორი: ზაზა ბიბილაშვილი

118

ფოტო-პროექტი

**ჩემი რეზისტანსი**

ავტორი: დავით მესხი

130

უახლესი ისტორია

**იყო და არა იყო რა**

ავტორი: დათო ტურაშვილი

134

ცრემლიანი სათვალე

**„სოციალიზმი + ელიტროფიკაცია“. 1995**

ავტორი: გიორგი გვახარია

142

მწერლები

**კუნძული და სხვა**

ავტორი: აკა მორჩილაძე

146

პირადი ენციკლოპედია

ავტორი: აკა მორჩილაძე





საქართველოს ბანკი  
BANK OF GEORGIA

# შეცვალა შენი სახლი ახლით



თუ გაქვთ ძველი/ვატარა სახლი და გსურთ შეცვალო იგი ახალი/დიდი სახლით, მაგრამ იპოთეკური სესხის ასაღებად საჭირო შემოსავლები არ გაძლევთ ამის შესაძლებლობას, იპოთეკური სესხების პროგრამა **"შეცვალა შენი სახლი ახლით"** საუკეთესო საშუალებაა აიხდინოთ ოცნება!

[www.sb24.ge](http://www.sb24.ge)

☎ 444 444

# სხანი შოკოლადი

## მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

## აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ლომაძე

## არტ-რედაქტორი

გიორგი ნადირაძე

## რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

## ნომერზე მუშაობდნენ:

ანა კორძია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე, სალომე კიკალაიშვილი, გიორგი გვახარია, დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე, თამარ სუხიშვილი, ქეთი სადლობელაშვილი, ნინო ლომაძე, კახა თოლორდავა, ლელა გაფრინდაშვილი, მათა ცეცაძე, ლაშა ბუღაძე, დავით ჩიხლაძე, ქეთევან კინწურაშვილი

## ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, ნიკო ტარიელაშვილი, ქეთო ცაავა

## ილუსტრაცია

მაია სუმბაძე, გიორგი მარი

## დიზაინი

დავით თეთრაძე, თორნიკე ლორთქიფანიძე

## მარკაპიტინგი

ქეთა ბუაჩიძე, ლელა შუბითიძე

## გაყიდვების დირექტორი

ნესტან ავალიანი

## სარეკლამო განყოფილება

ნინო ძიძაძე, ანა ნადირაშვილი

## რეკლამის განთავსება

შპს „მსა თბილისი“, ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: msa@msa.ge

## დისტრიბუცია

ზვიად შენგელია

## გამომცემელი

„ცხელი შოკოლადი“, „კინო-ცხელი შოკოლადი“, „ოზონი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დილოგი“.

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108,

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

## სტამბა

შპს „სეზანი“, თბილისი, ნერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი

ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

[www.shokoladi.ge](http://www.shokoladi.ge)

გარეკანზე: გიორგი ნაკაშიძე  
ფოტო: ლევან ხერხეულიძე







ვიზუალი

ვაჟა-ფშაველას 6  
ბახათაშვილის 8  
ნუკიძის 116



იგიძენი განსხვავება





ეს ფოტო შორეულ „საზაფხულო არდადეგებზე“ გადაღებული. რაღა შორეულ, ახლახანს იყო აგვისტო, მაგრამ „ცხელ შოკოლადს“ ერთი უცნაური თვისება აქვს – მისი მომზადების პროცესში გვაინყვდება წარსულიცა და მომავალიც. არსებობს მხოლოდ ის დრო და ის სივრცე, რა სივრცესაც ჟურნალის მიმდინარე ნომერი მოიცავს, ის სტატიები და თემები, რომელზეც დღეს ვმუშაობთ.

ამიტომ, უკვე საბოლოოდ გადავწყვიტეთ, „ცხელმა შოკოლადმა“ უფრო მეტად უნდა გაარღვიოს გეორგაფიული, კულტურული თუ მენტალური საზღვრები და თქვენც უფრო საინტერესო ფიქრისა და ემოციების არეალი შემოგთავაზოთ.

ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ პოლიტიკური საკითხია და საქართველოში, ვის უნდა აინტერესებდეს „რიგით“ კანდიდატის, ბარაკ ობამას პროფაილი? ან რატომ არის მნიშვნელოვანი რუპერტ მერდოკის მედია იმპერიის ანატომია და ის, თუ რა მოჰყვება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მედია ორგანიზაციის, „ნიუს კორპის“ მიერ „უილ სტრიტ ჯერნალის“ ყიდვას?

ის ცვლილებები, რაც ბარაკ ობამას ამერიკის მომავალ პრეზიდენტად არჩევას ან „ნიუს კორპის“ ყველაზე წარმატებულ მედია ორგანიზაციად ქცევას შეიძლება მოჰყვეს, იმ სივრცეზეც აისახება, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. პირველი სრულიად ახალ პოლიტიკურ კონტექსტსა და ღირებულებებს გვთავაზობს, მეორე – ახალ მედიანებსებს. ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისათვის საერთაშორისო მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა მნიშვნელოვანია.

ჩემი საყვარელი რუბრიკა, „კომენტარი“ ამ ნომერშიც რამდენიმე ძალიან საინტერესო თემას გთავაზობთ. კახა თოლორდავა რომ „ჯაზის ექსპერტი“ იყო, ვიცოდი. ის რომ *Vanity Fair*-ებისა და *New Yorker*-ის ჩამოსვლას ერთნაირი ენთუზიაზმით ველოდებოდით, ესეც ვიცოდი. მაგრამ პუბლიცისტური ნიჭი თუ ჰქონდა, ახალა გავიგე. ნაიკითხეთ „გოუფუტები“ („რატომ აღარასოდეს დავისვენებ აჭარაში“) და თავად დარწმუნდებით. ან „Hey, Joe“, ძალიან ადამიანური და სენტიმენტალური კომენტარი (და არა ნეკროლოგი!) ჯო ზავინულზე.

„სილამაზის კონკრუსის“ გარშემო ატეხილ აურზაურზე ლელა გაფრინდაშვილი თავის დამოკიდებულებას გიზიარებთ, მიუხედავად იმისა, რომ „განათხოვარი“ ლიკურჯვას ბედი ღრმად პატივცემულ ჟიურის უკვე გადაუნყვეტია.

ლაშა ბულაძემ ამჯერად ლუჩიანო პავაროტი გამოიტირა და დაგვპრიდა, ამიერიდან ოპერაზე და ჩემს საყვარელ ტენორებზე უფრო ხშირად დავნერ და მათ სიკვდილს აღარ დაველოდებო. ვიმედოვნებ!

რაც ყველაზე მთავრია! „ცხელ შოკოლადს“ კიდევ ერთი შვილობილი გაუჩნდა – „ლიტერატურა“! თუ აქამდე ლიტერატურული ბლოკის რედაქტორი, მალხაზ ხარბედია ჩიოდა, ქართულ პროზას ხარისხის მიხედვით კი არა, გვერდების მიხედვით ვარჩევ, მომეცით მეტი გვერდიო, ახლა სანუნუნო აღარ ექნება. 24-ის ნაცვლად, მსოფლიო და საქართველოს ლიტერატურული პროცესების განკარგულებაში 48 გვერდია, ისიც ყოველთვიურად, ისიც მხოლოდ „ცხელი შოკოლადის“ მკითხველთათვის. ამისთვის კი დიდი მადლობა ფარმაცევტულ კომპანია „ჯიპისის“. პატივცემულმა რედაქტორმა ახალი სლოგანიც კი მოიფიქრა: „ჯიპისი“ და „ცხელი შოკოლადი“ ჯანსაღი ლიტერატურული პროცესებისათვის“. როგორია?!

და კიდევ ერთი კარგი ამბავი: მრავალთვიანი რეკონსტრუქციის შემდეგ, მზადაა ჩვენი ჟურნალის ახალი, უფრო ფუნქციური და მოხერხებული ვებ-საიტი, [www.shokoladi.com](http://www.shokoladi.com). გვესტუმრეთ და მოგვწერეთ თქვენი აზრი.

ისე, ვის გულშემატკივრობთ ამერიკის საარჩევნო კამპანიაში?

*შორენა შავერდაშვილი*





**AXIS PALACE 2**

34 SABURTALO STR.

Tel.: 55 34 34

25 34 34

[www.axis.ge](http://www.axis.ge)



გიორგი გვასარია

ყოველთვის მინდოდა ძალი მყოლოდა სახლში. მაგალითად, გრაციოზული "ლევრეტკა"; აკვირდები ამ საოცრების მოძრაობებს და იჯერებ, რომ ქორეოგრაფია არ არის მხოლოდ კულტურის სფერო - ბალეტი თავად ბუნების ქმნილებაა.

მაგრამ ისიც ვიცი, როგორი სტრესია პატრონისთვის ძალის სიკვდილი, როგორ უჭირს განშორება იმასთან, ვისაც ყოველდღე ასეირნებდა, აჭმევდა, ეფერებოდა, უჯავრდებოდა, ზოგჯერ ურტყამდა კიდევ.

ვიცი ეს და ამიტომ არ მომყავს სახლში ძალი. თუმცა, ისიც კარგად ვიცი, გავხდები 60 წლის და ლეკვს ავიყვან - გავზრდი, გავასეირნებ, ვაჭმევ, მოვეფერები, გავუჯავრდები. შეიძლება ერთი-ორი მოვცხო კიდევ. ეს ძალი თხუთმეტი წელი ხომ მაინც იცოცხლებს? ჰოდა, მეც იმედი მექნება, რომ მის სიკვდილს არ მოვესწრები.

გავიდა ზაფხული. ერთ მეგობარს დედა გარდაეცვალა, მეორეს - ავად გაუხდა. სიკვდილმა და ავადმყოფობამ ისევე გამახსენა, რომ სიცოცხლეზე ფასეული არაფერია, სიცოცხლე ღირს იმად, რომ დაივიწყო წყენა და ტკივილი. ნუთუ მაინცდამაინც მსხვერპლია საჭირო იმისთვის, რომ ადამიანები ერთმანეთს დაელაპარაკონ, ერთმანეთს გაუფრთხილდნენ და გულწრფელად, ძალიან გულწრფელად ჰკითხონ ერთმანეთს "როგორ ხარ"? ნუთუ მაინც და მაინც მსხვერპლია საჭირო იმისთვის, რომ დავიოკოთ ჩვენი აგრესია, ჩვენი ისტერიული სურვილი გვეყვადეს "მტერი" და მუდმივად ვებრძოლოთ მას?

არა, ჯერ ადრეა "ლევრეტკა". ჯერ ცხოვრებას უნდა დავაკვირდე და ის ადამიანები ვიპოვო, ვინც სისულელების გამო დავკარგე.




მაია ცეცაძე

ხშირად შევსწრებივარ ჟურნალის მთავარ „მესვეტეებს“ რედაქტორი საავტორო სვეტის დაწერას რომ ავალეხდა. გამოვტყდები და, მაშინ იმაზეც ხშირად მიფიქრია, თავად რას დაწვრიდი მათ ადგილას და იქამდე განვაგრძე ფანტაზიორობა, სანამ მართლა არ აღმოჩნდი სვეტის კანდიდატთა რიგებში. მაგრამ ახლა ისეთ ეიფორიაში ვარ, რომ, მგონი, ფანტაზიამ სწორედ ყველაზე საჭირო დროს მილაღატა... რედაქციაში საქმიანი და თითქმის სირბილით მოსიარულე ხალხის დანახვა, აქამდე თუ ღიმილს მგვრიდა, ახლა ვხვდები, რომ ეს საქმე მთლად სახუმაროც არ ყოფილა.

მინდოდა მომეყოლა, როგორი სახალისო და ზოგჯერ სახიფათოც იყო ადამიანის ოთხფეხა მეგობარზე სპეც-პროექტის მომზადების პროცესი, როგორი შიშნარევი მზერით გადავხედავდი ხოლმე მე და მესხი ერთმანეთს გადაღების დროს, ყველაზე ურჩი „რესპონდენტების“ დამორჩილებისას, მაგრამ... ჩვენი შრომის შედეგს, ვრცელი კომენტარის გარეშე, ჟურნალის ამ ნომერში იხილავთ.

ამ „პუბლიცისტურ გამოსვლაში“ კი სიტყვა-ძუნწობა უნდა მომიტევოთ. პირველი სპეც-პროექტი და პირველი სვეტი, პირველი სერიოზული სარედაქციო დავალებისთვის, მგონი სრულიად საკმარისია.



ანა ქორძია-სამადაშვილი

თუკი სხვები ჰყვებიან, როგორი ზაფხული გაატარეს, მე მოგიყვებით, როგორი შემოდგომა მინდა, - თავს ნამდვილად ვერ გავიფუჭებ იმის მოყოლით, თუ როგორი უნიჭო აგვისტო მქონდა. მაშ, ასე: ნავალ სანატორიუმში, ოცდაერთდღიანი საგზურით. იქ იქნება სამჯერადი კვება, წყნარი საათი, მინერალური წყლები და აბაზანები. კიდევ იქნება დიდი პარკი, შადრევანი, რომელშიც წყალი არ მოდის, და ბინდ-ბუნდში დავინახავ თეთრ, ალბათ თაბაშირის ქანდაკებებს - საყვირიან პიონებს, ჩოგბურთელ გოგოს, ფიზკულტურელს... საღამოობით პარკში ვისეირნებ ხოლმე, ზოგჯერ კი გავალ სანატორიუმის ტერიტორიიდან და დაბის ბიბლიოთეკიდან ახალ წიგნებს გამოვიტან, შეძლებისდაგვარად სქელტანიანებს და სულელურებს. მერე ალბათ გავსხვივოსნდები.

სინამდვილეში კი ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება. ცხოვრება ჩქეფს და გადმოჩქეფს, როგორც რუსები იტყვიან, *жизнь нѣтъ ключем по голове*.

ჩამოვიდა დიტო ცინცაძე. როცა ვუამბე, გიორგი ნაკაშიძის შესახებ დავწერე-მეთქი, მითხრა, რომ ის მისი მეგობარი და არაჩვეულებრივი დიაბაზონის მსახიობია, რომ სამი ფილმი გააკეთეს ერთად - "სტუმრები", "ზღვარზე" და "რევერსი", და გიორგი ყველგან სხვადასხვანაირი იყო, ოღონდ ყველგან არაჩვეულებრივი. "ხომ წვრილმანები უყვარს, სულ გეკითხება, რატომ, რატომ, "რევერსში" კი სცენარი პრაქტიკულად არ გვექონია, სულ იმპროვიზაცია იყო და როგორ შეასრულა! ახლა ნახე, ჯაყოა - რომ დავინახე, გული გამისკდა. რაც მთავარია, კარგი ადამიანია, მე კი კარგ ადამიანებთან ურთიერთობა მიყვარს," ამიხსნა დიტომ.

მეც კი მიყვარს კარგ ადამიანებთან ურთიერთობა. ამ თვალსაზრისით აშკარად მიმართლებს რესპოდენტებს დაუფარავად ვუხსნი სიყვარულს, რაც შორენა შავერდაშვილს შიშის ზარს სცემს - "ვაიმე, ისევე ჩემო ძვირფასო?" - და მკითხველთა ნაწილს ჩემს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ეჭვებს უღვივებს. მაგრამ სულ კარგები მყვანან და რა ვქნა?



ბედნიერ წუთებს ქმნით თქვენ...

ჩვენ კი წინასწარ

გინდით სარგებელს ანაბარზე.



ანაბრები

☎ 27 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



თიბისი ბანკი  
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს





### ქველი ნამუშევრების ახალი ექსპოზიცია

ლადო გუდიაშვილის გრაფიკამ – თამარ მეფის, ნინო ჭავჭავაძის პორტრეტებმა არაერთი დამთვალეიერებლის მონუსხვა შეძლო და ბევრს გაოცებით წარმოათქმევინა – ეს ნამდვილად გუდიაშვილია?

გალერეა „ბაია“ ცნობილი ავტორების ნამუშევრების მოძიებას უწინდებურად კერძო კოლექციებში განაგრძობს და საგამოფენო ციკლს – „არტ-ექსპო XX–XXI საუკუნე“, დამთვალეიერებელს ტრადიციულად წელიწადში რამდენჯერმე სთავაზობს.

მთელი სექტემბრის განმავლობაში მხატვრობის მოყვარულებს შეეძლოთ პეტრე ბლიოტკინის ფერწერა („აბსტაქცია“, „ნიუ“), ელენე ახვლედიანის რამდენიმე ცნობილი ტილო (ასპინძის, სიღნაღის პეიზაჟები...), კირილე ზდანევიჩის „პარიზი“ თუ კორნელი სანაძის ნატურმორტები ეხილათ და მათთვის ძვირფასი ავტორების შემოქმედებას თავადაც შეხებოდნენ. დროში მოგზაურობას კი თავის დამთვალეიერებელს გალერეა სამომელოდაც ჰპირდება და საგამოფენო სეზონის „გახურებისთანავე“ პერსონალურ გამოფენებთან ერთად, შერეულ ექსპოზიციებსაც შემოგვთავაზებს.

### სამი წელი ბესლანის ტრაგედიიდან

„არა ტერორიზმს, არა ძალადობას!“ – ბესლანის ტრაგედიის მესამე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მოქალაქეები ოსი ხალხისთვის სამძიმრის და მხარდაჭერის გამოსახატავად სწორედ ამ დღეებით შეიკრიბნენ.

საქართველოს კულტურის ხელშეწყობის და განვითარების ფონდის თავმჯდომარის – გიორგი გუგუშვილის ინიციატივას, კულტურული მემკვიდრეობის კლუბი „ტაძარი“, „პატრიოტთა ბანაკებში“ დამსვენებელი ახალგაზრდები, ოსური, ბულგარული და ბალტიისპირეთის დიასპორაც შეუერთდა. აქციაზე იმათ მოიყარეს თავი, ვინც ამ ტრაგედიამ შეძრა. აქციამ მოიარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, მათ შორის ქურთაც. ბოლოს კი თბილისში, რუსთაველის ძეგლთან გადმონაცვლა და ქაშუეთის ეკლესიაში, ტრაგედიის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისით დასრულდა. საგანგებოდ შედგენილ, სამძიმრის გამომხატველ დეკლარაციებს და აქციის ამსახველ ვიდეომასალას, დროებითი ადმინისტრაცია ბესლანსა და ცხინვალშიც გაგზავნის და ოს ხალხს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ჩვენ მათი მტრები არ ვართ.



ავტორი: მაია სესაძე ფოტო: ქეთო სავაძე





# დეკორატიული ქვა

- ხარისხის გარანტია
- ფართა ფართო არჩევანი
- 90°-იანი კუთხის ელემენტები
- სხვადასხვა რადიუსის ოვალური ქვები



მთაწმინდის პარკი – შირიშის ქვა




მთაწმინდის პარკი – შირიშის ქვა და კველი აგური



კველი აგური



ზურგოვანის დასახლება – შატლის ქვა



მთაწმინდის პარკი – შატლის ქვა



თავდაყირა დანახული სამყარო



რუსთაველის სახელმწიფო თეატრი. 7 სექტემბერი. 19:00.  
 რუსთაველის თეატრის ჰოლში, ლუქსემბურგში მოღვაწე მხატვრის – ირინა გაბიანის მოლბერტებზე განთავსებულმა ექსპოზიციამ, დამთვლიერებელს სამყარო უჩვეულო კუთხით დაანახა. „შეხედე სამყაროს თავდაყირა“ – ეს, ირინა გაბიანის ნამუშევრების გამოფენის ძირითადი სლოგანი, ხოლო „სამაია ანუ ტრიამაზიკამნო“ მისივე სცენარითა და რეჟისურით დადგმული პერფორმანსის იდეა იყო.  
 სამყაროსთვის თავდაყირა შეხედვის სურვილი, გახლდათ მხატვრის მცდელობა მოეძებნა კავშირი წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან. ქართველი მხატვარი ვირტუოზულად იყენებს სხვადასხვა სახის მასალას თუ ტექნიკას და ერთდროულად ქმნის გრაფიკის, ფერწერის, ფაიფურის, კერამიკის ქანდაკების, ფოტოგრაფიის ნიმუშებს. ირინას ნამუშევრები გვიანდელი ტენდენციების ახლებურ გადაშეშავებას ეყრდნობა, რომლებშიც აღმოსავლური კულტურისა და ფილოსოფიის გავლენა იგრძნობა.  
 პერფორმანსით, (რომელიც პანტომიმის თეატრის მიმებმა შეასრულეს) ავტორი შეეცადა ემოციურად გაუნონასწორებელი ადამიანის შინაგანი სამყარო გამოეხატა. ფოლკლორული ჰანგების ფონზე მსახიობებმა სამი განწყობა განასახიერეს: აგრესია, აფიტირებული სიხარული და დეპრესია. ამ ემოციების გაუკონტროლებლობას კი შედეგად ადამიანის შინაგანი სამყაროს წგრევა მოსდევს. პერფორმანსის კონცეფცია იმაში მდომარეობდა, რომ თუ ადამიანი გააცნობიერებს უკონტროლობის შედეგებს, მაშინ შეძლებს კიდევ, რომ აგრესია – მამოძრავებელ შემოქმედებით ძალად გარდაქმნას, დეპრესია – სულიერ სიმშვიდედ, უაზრო სიხარული კი – სიყვარულად.

„მულენ ელექტრიკის“ უხვაურო იუბილე

აგერ უკვე ერთი წელია, საკმაოდ ეგზოტიკურმა და კულტურულმა კაფე – „მულენ ელექტრიკმა“ თბილისის ცხოვრების რიტმში სასიამოვნო გარდატეხა შეიტანა და მათთვის, ვისაც ხელოვნურობას მოკლებული ხელოვნება უყვარს, სასურველ თავშესაფრად იქცა. თანაც ისეთ თავშესაფრად, მეგობართან ერთად გემრიელად ჩაჯდომას რომ მოგანდომებს. პატარა, ბარის თავისუფალმა მეპატრონეებმა მყუდრო და თავისუფალი გარემო შექმნეს და 17 სექტემბერს ბარის ერთი წლის იუბილე ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე აღნიშნეს.  
 საიუბილეოდ, ბარის ისედაც ესთეტიკურ ინტერიერს გიორი თავაძის გრაფიკული ნახატები და კერამიკული ნაკეთობები შემატეს, მისივე ანიმაციური ფილმები („გალაკტიონი“, „ვან გოგი“, „დალი“) და გეგა პაქსაშვილის ვიდეო-არტებიც უჩვენეს.  
 მათ კი, ვისაც ცოცხალი შემოქმედებითი პროცესისთვის თვალის მიდევნება გასურთ, გაგახარებთ და გეტყვით, რომ „მულენ-ელექტრიკის“ მფლობელები ორიგინალურ იდეებს იქვე, შარდენზე ახალ სივრცეშიც განავრცობენ, სადაც მონო-სპექტაკლების, მარიონეტული დადგმების თუ ლიტერატურული საღამოების გასამართად დროც მეტია და ადგილიც.  
 არატრადიციულ იუბილეს კი ერთი ტრადიციული დეტალი მაინც ერთვოდა, აბა დაბადების დღე ტორტის გარეშე ვის გაუგია!



ავტორი: მაია სეხაძე ფოტო: ქეთო სავა





მარმარილო გრანიტი ტრაპირბინი ონიქსი ჰარჯები ხელოვნური ქვა



ულ. ყაზაგის გამზ. 1 ტელ: 37 70 00    წარმოების გამზ. 117 ტელ: 35 65 45    [www.phoenix.ge](http://www.phoenix.ge)





# ჯაზ ფესტივალის აჭარაში

სალამობით, სახლში დარჩენილი ზოგჯერ ვფიქრობ, რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, ჩემი დიდი ტელევიზორი HTB-ს კინო არხებს რომ არ იჭრედეს, ამდენ კარგ ფილმს ერთად, აბა, სად ჯანდაბაში ვნახავდი მეთქი. ისტერნპრომოუშენის სახელის გაგონებაზეც, ამასვე ვფიქრობ, რა მოსაწყენი იქნებოდა ქართველ მელომანთა ცხოვრება ისტერნის გარეშე; ჯგუფმა ხომ, ჯერ კიდევ წლების წინ, ისეთი მომღერლების და შემსრულებლების, მუსიკალური სამყაროს ისეთი ტიტანების ჩამოყვანა დაიწყო, რომელთა საქართველოს რეალობაში დანახვა და მით უმეტეს, მოსმენა წლების წინ, სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო.

„რა მოსაწყენი იქნებოდა“ თემას გაეაგრძელებ და იმას დაემატებ, რომ „სვეტსკი“ კვარიათში შევებულების გატარება „სვეტსკად“ მოსაწყენი იქნებოდა, რომ არა ცხელი ზაფხულის ის სამი საღამო, რომელიც ისევ ისტერნპრომოუშენმა, ისევე კოკა-კოლას, თი-ბი-სის ბანკსა და ნესკაფესთან ერთად, ჯგოსელის დახმარებით, 27–29 აგვისტოს ჩათვლით, ბათუმის კლუბ „ტარა-ბუაში“ გამართა.

**დინი ვირსალაძის ტრიო (საქართველო);**

**პაროვ სტელარი და მისი ბენდი (ავსტრია);**

**US3(ინგლისი);**

**ალფრედ „ფი ვი“ ელისი და ფრედ უესლი (ა.შ.შ.).**

**Dr. George's saga (საქართველო).** – ასეთი იყო წლებადელი შავი ზღვის ჯაზ ფესტივალის პროგრამა, რომლის გახსნა-დახურვა, ქართულმა ჯაზ ბენდებმა ითავეს. დინი ვირსალაძის ტრიომ, კლავისი, ბასისა და დასარტყამი ინსტრუმენტების ხმოვანებით შექმნილი კომპოზიციებით გახსნა ფესტივალი. რის შემდეგაც ტარაბუას სცენაზე ჩემთვის არც ისე კარგად ნაცნობი ფაროვ სტელარი და მისი ბენდი გამოჩნდა. ბენდი, რომელიც 2005 წელს შეიქმნა, დღეს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ჯგუფია.

მარკუს ეკლმაიერი – საქსაფონი; შტეფან ჰოელზლი – ბასი; ევა კლამფერი – ვოკალი; ანდრეას ლეტენერი – დასარტყამი ინსტრუმენტი და ფაროვ სტელარი – **turntables**. ყველაზე საინტერესო მათ მუსიკაში, სხვადასხვა სტილთა ის საოცარი სინთეზი იყო, რასაც ასე ოსტატურად ახერხებდა სტელარის ბენდი. სადღაც – ჯაზი, სადღაც – ჰიპ-ჰოპი, ტექნო... რომელიც ხშირად დასარტყამი ინსტრუმენტებით ან უბრალოდ, ჰაუსის ბითით იწყებოდა. კომპოზიციაში ისე შეჰყავდა თითოეული ინსტრუმენტი, ისე „სვამდა“ ბითს აყოლილ მუსიკალურ რიტმში, რომ მსმენელი ვერც კი გრძნობდა, როგორ დაყვებოდა სტელარის ქაოტურ, ეიფორიულ რიტმებს. – „ჯაზისა და ჰაუსის რაციონალური ნაერთი ბევრად უფრო რთული რამაა, ვიდრე ეს პირველი შეხვედვიდან ჩანს. ძალიან ნიჭიერი უნდა იყო, რომ ორივე სტილის მთავარი ელემენტები გააერთიანო და, ამავე დროს, თავი აარიდო შაბლონური და იაფფასიანი ჩანაწერის შე-

ქმნას. ყველაფერი შეიძლება ლიფტში მოსასმენი მუსიკით (ე.წ. მუზაკით) დამთავრდეს, ასეთი საშიშროება კი ყოველ კუთხეშია ჩასაფრებული. ფაროვ სტელარს, რომელიც ასევე მარკუს ფურედერის სახელითაა ცნობილი, უნიკალური ესთეტიკის წყალობით, ასეთი საფრთხე არასოდეს დამუქრებია.“ ამ ბენდის კონცერტი, ბათუმის წლებადელ ჯაზ-ფესტივალზე, მართლაც, საუკეთესო იყო.

აბა, მითხარით, ვინ არ იცნობს ჰიპ-ჰოპის მიმდევარ ჯაზ-კოლექტივს US3-ის? მათი სიმღერა „Cantaloop (Flip Fantasia)“ 1994 წლის ჰიტი და მთელი ჩემი თაობის მელოდია გახდა. ჯგუფი, რომელიც ჯაზ-ფესტივალის მეორე დღეს წარსდგა ქართველი მსმენლის წინაშე, 1991 წელს ლონდონში, პრომოუტერმა და ჯაზ კომპოზიტორმა ჯეფ უილკინსონმა და მელ სიმპსონმა ჩამოაყალიბეს. მართალია, პირველი კომპოზიციები არც ისე წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა, სულ რაღაც ორი წლის შემდეგ, US3-ის მელოდიები ამერიკის ტოპ-ათეულის სათავეში აღმოჩნდა, ხოლო ალბომი „Hand on the Torch“, მარტო ამერიკაში, მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა.

– „ყოველთვის ვიცოდი, რომ ჯაზით ახალგაზრდა მსმენლის დანტრერესებაც შეიძლებოდა. მთავარი იყო, როგორ მიანოდებდი. მინდოდა ეს ჯგუფი, ჯაზის და ახალგაზრდების შეხვედრის ადგილი გამხდარიყო. ასეც მოხდა. კლასიკური ჯაზის ტრეკებს რეპთან და ბითთან გამიქსეთ ვანყობლი... უბრალოდ, ვიცოდი წარსული, ღრმად მქონდა აწმყოში გადგმული ფესვები და ვიყურებოდი მომავლისკენ, ეს იყო და ეს“ – ზუსტად დაახასიათა ლეგენდარული ჯგუფის სტილი მელ სიმპსონმა.

ფესტივალის კულმინაცია ბოლო დღეს, ალფრედ „ფი ვი“ ელისის და ფრედ უესლის კონცერტი იყო. თუ თქვენ ერთხელ მანც გაქვთ მოსმენილი ფი ვის (რომელსაც ფანკის გამომგონებელს ეძახიან) და ფრედ უესლის (რომელიც მსმენლისათვის ჯეიმს ბრაუნთან და JB Horns-თან მოღვაწეობით არის ცნობილი) კომპოზიციები, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ რატომ გაიტრუნა შეშინებული ქართველი მსმენელი, რომელმაც ჯერ იყო და კონცერტზე დააგვიანა, გვიან მოსულმა კი უფასო „კრუშონის“ „დათრევაზე“ იზრუნა და უცბად სცენიდან მელოდის შეწყვეტა და ფრაზა გაიგო – „No, power! No Soul power“. რასაც სცენაზე, რამდენიმე წუთიანი სიჩუმე მოჰყვა. თუმცა, ქართველი მსმენელი ბოლოს იმდენად გახურდა ფანკის ელემენტებით გაჯერებული ჯაზის მოსმენით, რომ კიდევ დიდ ხანს არ უშვებდა მუსიკოსებს სცენიდან. ხოლო „No, power! No Soul power“-ით დაწყებული კონცერტი, ბენდის და მსმენლის მიერ ერთად შესრულებული ჰიტით „I feel good“ დასრულდა. ასეთი იყო ბათუმის ჯაზ-ფესტივალის 3 დღიანი საფესტივალო საღამოები, რომელიც ქართულმა ჯაზ-ტრიომ Dr. George's saga დაასრულა.

ავტორი: ანა ტარიელაშვილი





სიახლე



ახალი ტიპის ვიზა პლასტიკური ბარათი **ფოტო-ბარათი**.

გამოიყენეთ უნიკალური **შანსი** - გახდით თქვენი ბარათის **დიზაინერი**,  
შეარჩიეთ თქვენთვის

სასურველი **ფოტო და განათავსეთ** პლასტიკურ ბარათზე.

კიდევ ერთხელ დააფიქსირეთ თქვენი **იმიჯი**, ან შეიქმენით ახალი...

**ჩვენ ამაში დაგეხმარებით**



## საავტორო კინო ბათუმში

საშემოდგომო სეზონის დასაწყისში, 5-დან 13 სექტემბრამდე, საზღვაო ქალაქმა კინომოყვარულებს „ბათუმის საავტორო კინოს მეორე საერთაშორისო კინოფესტივალით“ უმასპინძლა. წარმომადგენლობითი ფესტივალის პრეზიდენტობა ორგანიზატორებმა ლანა ლოლობერიძეს დააკისრეს, პროგრამების ხელმძღვანელობა კი – კორა წერეთელს. ჟიურის თავმჯდომარის სტატუსი, ჩიკაგოს საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის დამფუძნებელმა – ქრისტოფ-დარიუს კამიშეფმა შეითავსა. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: ფრანგი რეჟისორი – პასკალ ოვიე; რუსული კინოკრიტიკის „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი ლიდერი – სერგეი ლავრენტიევი; კინომცოდნე, სცენარისტი სერგეი ტრიუმბაჩი და რეჟისორი ნანა ჯანელიძე.

ბათუმის კინოფესტივალის რეპერტუარი მოკლე და სრულმეტრეჟიანი დოკუმენტურ, მხატვრულ და ანიმაციურ ფილმებს მოიცავდა. ფესტივალი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ანჟელ ვაიდას ისეთი ფილმების რეტროსპექტივა მოეწყო, რომლებიც საბჭოთა წლების განმავლობაში აკრძალული იყო და საქართველოში პირველად უჩვენეს. ფესტივალზე პოლონეთის დელეგაციის სტუმრობას, ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტმა გაუწია ორგანიზება. საკუთარი ფილმით ჩამოვიდა ქშიშტოფ ზანუსიცი.

ქართველი რეჟისორებიდან საფესტივალო პროგრამის ფარგლებში არჩილ ხეთაგურის „ახმეტელის 4“ და დიტო ცინცაძის „რევერსი“ უჩვენეს. წარმომადგენლობითი ფესტივალი კი პაველ ლუნგერის ფილმით „კუნძული“ გაიხსნა და მისივე ფილმით: „ღარიბი ნათესავი“ დაიხურა.

## ტაი-აუტი

### SEGAFREDO – იტალიური ყავის მოყვარულს

ზანეტი

25 აგვისტოდან თბილისში ცნობილი ყავის სახლი „სეგაფრედო“ ამოქმედდა და იტალიური ყავის მოყვარულებს მასპინძლობს. „სეგაფრედო“ „შპს მეგაპოლისის“ მიერ დაფუძნებული პირველი სასტარტო ობიექტია, რომელმაც ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე დაიდო ბინა. თუმცა, ყავის სახლის დამფუძნებლები დედაქალაქელებს და მის სტუმრებს სამომავლოდ ქსელის გაფართოებასაც ჰპირდებიან.

შენობის ორ სართულზე განთავსებული, იტალიური ავეჯითა და დიზაინით გაფორმებული ინტერიერი, მომხმარებელს მენიუსაც იტალიურს სთავაზობს, რომლის შემადგენლობა მსუბუქია, ასორტიმენტი კი – მრავალფეროვანი. „სეგაფრედო“ ესპრესოზე მუშაობს და მომხმარებელს 20-ზე მეტ ყავის სახეობას სთავაზობს. თვის ბოლოს კი საკუთარ მომსახურე პერსონალს ორ გამოცდილ ეგვიპტელ ბარმენსაც შემატებს. არსებობის მოკლე დროის მანძილზე ყავის სახლმა ადგილობრივი მომხმარებლებიც შემოიჩვია და უცხოელებიც. მისი კარი დილის 8 საათიდან იღება მათთვის, ვინც თვლის, რომ ფინჯანი ყავა დღის საუკეთესო დასაწყისია. მალე „სეგაფრედოს“ მომხმარებელი ერთჯერადი ჭიქებითა და კონტეინერებით, მსუბუქი საუზმის თან წაღებასაც შეძლებს. მსოფლიოს 450-მდე ქვეყანაში განთავსებულ „სეგაფრედოს“ ქსელს უკვე საქართველოც შეუერთდა. თვის ბოლოსთვის კი იტალიური ყავის სახლი ახლსახლობას ოფიციალურადაც იზიემებს.



ავტორი: ანია სმეაძე ფოტო: ქეთო სავაძე



ის თქმს უნდა, ბადაგონი!

*Si, certo, Badagoni!*

Portofino. Fino d'estate.



[www.badagoni.com](http://www.badagoni.com)





ფოტო: სანდრო ნავერიანი

# წამოდი სვანეთში!

დიდი ხნის, თითქმის 20 წლის შემდეგ, საქართველოში ტურიზმი ისევ ვითარდება. შეიძლება, არც ისეთი სწრაფი ტემპებით არა, როგორც მე მინდა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველებმა კვლავ დაიწყეს თავიანთი ქვეყნის აღმოჩენა.

უკვე ორი თვეა, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტმა სვანეთში, კონკრეტულად მესტიის ბანაკი დასცა. ბანაკში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოხვედრა, ისეთებსაც კი, რომლებიც ტყეში თითის წვერებზე დადიან.

თვითონ ბანაკი, მესტიასთან ახლოს, ისეთ ადგილას არის გაშლილი, საიდანაც, მონმენდილ ცაზე, მარცხნიდან უშბა გემუქრება, მარჯვნიდან თეთნულდი დაგყურებს. ცოტას თუ მოითმენ, მეორე დღეს ცხენზე შეგსვამენ და უნიკალურ ადგილას აგიყვანენ – უშგულში.

უშგული, ალბათ, იცი, რომ ევროპის ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია, თუმცა, ყველაზე დაბალიც რომ იყოს, ან საერთოდ ჩვეულებრივი, ყოველგვარი “ყველაზეს” გარეშე, მართლა ისეთი ლამაზია, რომ მისი ნახვისას საერთოდ გავიწყდება, ზღვის დონიდან რამდენ მეტრზე ხარ და ფეხსაცმელი გიჭერს თუ არა.

უშგული რამდენიმე სოფლისგან შედგება: მურყმიელი, ჩაჟაში, ჟიბიანი და ჩვიბიანი. ამ სოფლებში შვიდი სალოცავია. შენ

რომელსაც დაათვალიერებ, ლამარია ანუ მარიამ ღვთისმშობლის საყდარი ჰქვია და პირდაპირ შხარას უყურებს. მერე სოფელშიც შეივლი, სადაც ტურისტების გარდა თითქმის არავინ და არაფერი ხმაურობს და გაიცნობ უშგულელებს, რომლებიც ევროპის სახურავზე ცხოვრობენ.

უკანა გზაზე, ერთ-ერთი მთის წვერზე, კვირიკე წმინდას სალოცავს იხილავ. თუ ცოტა ენერჯიას შემოინახავ, იქაც აუცილებლად უნდა ახვიდე. ალბათ, გაგონილიც გექნება კვირიკობა – სვანების ყველაზე დიდი დღესასწაული.

მესამე დღეს მესტიას მოივლი, ნახავ უნიკალურ ძეგლებს, ძირითადად კოშკებს, რომლებიც ისევ ისე დგანან, როგორც ათი საუკუნის წინ. ბევრი დრომ დააზიანა, მაგრამ კულტურის სამინისტრომ აღადგინა, გადახურა და საღამოობით, როცა მესტიას ბინდი აწვება, განათებული კოშკები ლამაზად დგანან. მაზინყებოდა, უშგულის გზაზე იფარს რომ გასცდე-ბი, ენგურის ნაპირას უზარმაზარ ლოდზე ნაშენ კოშკს გადააწყდები, რომელსაც სიყვარულის კოშკს ეძახიან. ამ კოშკს თავისი ლეგენდა აქვს, ცხადია, სიყვარულის ლეგენდა. მისი გმირი მშვენიერი სვანი ქალი მირაგულია, რომელმაც თავი სატრფოს შენირა და მთელი ცხოვრება ამ კოშკში გაატარა... მაგრამ მის ამბავს მე არ მოვეყვები, თავად მოისმინე, რომელიმე მოხუცი სვანისგან – სულ სხვანაირად დაგამახსოვრდება.

როცა მესტიის სახელმწიფო მუზეუმში უნიკალურ ექსპონატებსაც დაათვალიერებ, საღამოს, ბანაკში დაბრუნებული, იქვე დანთებულ კოცონთან საკუთარ ვოკალურ შესაძლებლობებსაც გამოცდი და ცეკვის ილეთებსაც გაიხსენებ. მეორე დილას, სანამ ტყის პირას მოწყობილ საშაპებში წყალს გადაივლებდე, ისევ შხარას და თეთნულდს შეავლებ თვალს, ან მხოლოდ რომელიმეს — იმიტომ, რომ როგორც აქაურები ამბობენ – შხარა ვაჟია, თეთნულდი ქალი, მათ ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთის რცხენიანთ და ამიტომ, ერთმანეთს სშირად პირს არიდებენ...

ერთი სიტყვით, ყველაფერს ნახავ, ყველაფერს მოისმენ და ყველაფერს განიცდი, რისი ნახვაც ხუთ დღეში შეიძლება მოასწრო. ხუთ დღეში იმიტომ, რომ ტური ხუთდღიანია, მაგრამ თუ ამდენი დრო არ გაქვს, მაშინ ტურიზმის დეპარტამენტს შენთვის სამდღიანი ტურებიც აქვს, ასე რომ არ იოყმანო. გინდა ავტოსტოპით წადი, გინდა – სამი ლიმონი გადაიხადე და საკუთარი ვერტმფრენით იფრინე – ეს შენი საქმეა, მთავარია, ნახვიდე სვანეთში! როდემდე უნდა დაგასწრონ უცხოელმა ტურისტებმა და შენი ქვეყანა შენზე ადრე დაათვალიერონ.

ავტორი: სანდრო ნავერიანი



*cafe near opera*



cafe KALA DUKHAN "khlebi" moedanze ACID BAR *cafe near opera* ★ **K&S** ★ **Moulin Electrique** **G.S.S.** coming soon

კაფე კალა: ერეკლეს ქ. 2, 8/10 ტელ: 899 799 737. დუქანი "ხლებნი" მოედანზე: იერუსალიმის ქ. 1. ტელ: 899 674 488. ეისიდ ბარი: რ. ლალიძის ქ. 2. ტელ: 899 101 238.  
ეისიდ ბარი 2: ჭავჭავაძის გამზ. 16 ტელ: 899 411 980. კაფე ობერასთან: რ. ლალიძის ქ. 2. ტელ: 899 681 166. კაფე კვბ: ერეკლეს ქ. 2, 8/10 ტელ: 822 985 013, 899 799 737.  
მულენ ელექტრიკი: შარდენის ქ. 9

დაცვის სამსახურის უზრუნველყოფის ჯ.ს.ს. (გენერალ სეჭუერიძის სისტემ) "იჭვენი ბიზნესის და პირადი დაცვა"  
ლადო ასათიანის ქ. 25. ტელ: 822 920 807. მობ: 899 480 003. მობ: 893 958 436



## ეტგარ კერეტი თბილისში!

ეტგარ კერეტს – ამ სახელსა და გვარს “ცხელი შოკოლადის” მკითხველი უკვე კარგად იცნობს. ჟურნალში მისი ინტერვიუსა და მოთხრობების წაკითხვის შემდეგ კი ისრაელში ყველაზე ცნობილი ახალგაზრდა მწერლის გაცნობა ქართველ მკითხველს მალე პირადად შეეძლება.

ნოემბრის დასაწყისში გამართულ ლიტერატურულ ღონისძიებაზე კერეტი თბილისში ჩამოვა და მასთან შეხვედრაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება, თანაც ორი მიზეზით – ლიტერატურა და კინო: 7 ნოემბერს, თბილისში, კერეტის მოთხრობების კრებული “ნებროთმა გარეკა” პრეზენტაცია შედგება. წიგნი ქართულად “ცხელი შოკოლადის” რესურსებითა და ინიციატივით ითარგმნა. მასში შესულ მოთხრობებს არა მარტო ისრაელში, ამერიკასა და ევროპაშიც კარგად იცნობენ. კერეტის წიგნები მრავალ ენაზეა თარგმნილი, მაგრამ კრებული “ნებროთმა გარეკა” ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია.

7 ნოემბერს გამართულ პრეზენტაციაზე ავტორი წიგნის პირველ ეგზემპლარებს მოაწერს ხელს და შემდეგ მკითხველთან დისკუსიაშიც ჩაერთვება.

“ცხელი შოკოლადი” მასპინძლობს ეტგარ კერეტის სცენარით გადაღებული ფილმის პრეზენტაციასაც. “მედუზა” ასე ჰქვია ფილმს, რომელმაც – როგორც საუკეთესო კინოდებიუტმა – კანის კინოფესტივალზე “ოქროს კამერა” მოიპოვა. 8 ნოემბერს ფილმის ჩვენების შემდეგ საზეიმო მიღებასაც გპირდებით, სადაც ეტგარ კერეტს ისევ პირადად შეხვდებით და ფილმის, მოთხრობების, მათი თარგმანის თუ ზოგადი საკითხების შესახებ პირადად გაესაუბრებით.

ასე რომ, კინოს და ლიტერატურის მოყვარულებო, დაელოდეთ ნოემბერს. ეტგარ კერეტისადმი მიძღვნილ ორდღიან ღონისძიებაზე მრავალი ახალი აზრისა და ტენდენციის გაცნობას და ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ ახალგაზრდა მწერალთან შეხვედრას გპირდებით.

ავტორი: თამარ ბაბუაძე





# Peugeot 207




იბერია ბიზნეს რგუმი

„პეუო“-ს ოფიციალური დილერი საქართველოში შპს „იბერია-მოტორსი“

შოთრუმი - აბაშიძის ქ. 41; ტელ/ფაქსი: (+995 32) 251023

სერვის ცენტრი - ჭავჭავაძის 49ა; ტელ/ფაქსი: (+995 32) 251033

[www.peugeot.ge](http://www.peugeot.ge)



ფილი: კოლბენ კაბა

# ქალიან საშიში ამბავი

პროდიუსერი: კოლბენ კაბა. რეჟისორი: თილ პასთაითერი. როლები: შიული ლე ბალი (კანადა), ტარაზა ჯოი (კანადა), თამარ ბაიანა, კიტარ პაპუართი (კანადა), გიორგი ყიფშიძე, გიგი ფალიანი, ნუზარ ნიგურაიანი, ლაშა ბაქრაძე და სხვები. გადაღებულია საქართველოში.

საქართველოში გადაიღეს ფილმი, რომელიც საშინელია: თრილერი, ჰორორი, თავზარდამცემი ისტორია. სისხლი, შიგნეულობა და დანთხეული ტვინი არსად ჩანს, მაგრამ მაცურებელი ხედება, რომ დიდი საშინელება ტრიალებს, არამარტო ეკრანზე, არამედ ვიდეოს თავშიც. ნემსის წვერი ენაში შედის და ქალის მშვენიერი, მწვანე თვალები გვაუწყებს, რა მოხდა – ძალიან, ძალიან საშინელი ამბავი...

ერთ მშვენიერ დღეს ორმა ახალგაზრდა ქალმა შეერთებული შტატებიდან საქართველოში გამგზავრება განიზრახა. ერთი გოგონა – მას კანადელი მსახიობი, უიული ლე ბალი თამაშობს, – ქვეყნითა და ადამიანებითა დაინტერესებული, მეორე კი, ასევე კანადელი ტერეზა ჯოის გმირი, თავგადასავლების მაძიებელია, მდაბიურად რომ ვთქვათ, ქართველ მამაკაცთან სურს საქმის დაჭერა. სვანეთში ასულ მეგობრებს უთანხმოება მოსდით: ერთი ამბობს, რომ ტბაში შიშველმა უნდა იბანაოს, მეორე სასტიკად ეწინააღმდეგება და პროტესტის ნიშნად გზას მარტო განაგრძობს. გოგონა შესცურავს – და ქრება.

სოფელში მარტოდ დარჩენილი ამერიკელი გოგონა დიდ განსაცდელშია: ენა არ ესმის, წარწერებს ვერ კითხულობს, ვერ ხედება, ვინ მტერია და ვინ – მოკეთე. ერთადერთი, ვისთანაც ურთიერთობა აქვს, არის ქართულის მცოდნე ახალგაზრდა კაცი (გიორგი ყიფშიძე), რომელიც თითქოს კეთილგანწყობილია, მაგრამ მაინც უცხო და გაუგებარი. ისიც გოგონას ეძებს, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

დაკარგული გოგონები კი არიან სადაც, სადაც მათ არაფერი მოეთხოვებათ, თავიანთი ჯალათის ნების მორჩილების გარდა. ჯალათი კი...

ამას კი აღარ გეტყვით. ფილმი ხომ უნდა ნახოთ.

გერმანელი რეჟისორმა თილ პასთაითერმა და პროდუსერმა კოლბენ ჰაგემ ამ ფილმის საქართველოში გადაღება იმიტომ განიზრახეს, რომ: საქართველოს ბუნება ძალიან ლამაზია – დიდებული დეკორაცია შესაშინებელი ამბისთვის; ქართული ენა და დამწერლობა სრულიად გაუგებარია, თუ ნასწავლი არ გაქვს, ვერცერთ ენას და ვერცერთ დამწერლობას ვერ მიამსგავსებ; ამ ქვეყანაში ერთმანეთს დასავლეთი და აღმოსავლეთი, თანამედროვეობა და არქაიკა ხედება, და სწორედ ეს შეხვედრა და არა შიშია ფილმის ძირითადი თემა.

ჰოლგენ ჰაგეს თქმით, იმისათვის, რომ ფილმის გადასაღებად საჭირო თანხა მოიპოვო, გერმანიაში, სულ მცირე, სამი წელი გჭირდება, მას კი ლოდინი გამართლებულად არ მიაჩნია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მან და თილ პასთაითერმა, მეგობრებისგან შეგროვებული ფულით გადაეღოთ ფილმი, სწრაფად, იაფად და ძალიან კარგად.

ვნახოთ, რა გამოვა. რაღაცის თქმა უკვე დანამდვილებით შეგვიძლია: მესტიის მიდამო, სოფელი იფარი და საერთოდ, სვანეთი იმდენად თვალწარმტაცია, რომ დიდებულ ლანდშაფტებს ნამდვილად ვნახავთ; მსახიობები ერთიმეორეზე კარგები არიან და არც აქ წახდებიან; თილი და ჰოლგენი პროფესიონალები ბრძანდებიან და რა ვიცი, მეტი რაღა.

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი





# იპოთეკური სესხი ჩვენი კუთხე

სახლის და სხვა უძრავი ქონების ყიდვას, რემონტი და აშენებას

**13%-დან და 25-დან**

თანხის მაქსიმალურად შეუღლავი ოდენობა;  
თანამონაწილეობის მოთხოვნის არარსებობა;

სესხის ნაწილ-ნაწილ მიღების შესაძლებლობა:

- მშენებლობის ან რემონტის შემთხვევაში სესხის მიღება შესაძლებელია ეტაპობრივად აუთვისებელ თანხაზე პროცენტის დარიცხვის გარეშე.

სესხის უზრუნველყოფის ყვალზე მოქნილი პირობები:

- სესხის უზრუნველყოფა შეგიძლიათ:
- იმ უძრავი ქონებით, რომლის შეძენასაც აპირებთ;
- თქვენს საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონებით;
- ნებისმიერი სხვა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

სესხის მიღების გარანტია წინასწარ:

ღაგვინაპირდით **(8 22) 92 55 55** ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში.

 **ბანკი რესპუბლიკა**  
**BANK REPUBLIC**

ჯგუფი სოსიოთა ქანაჩალი



# პეტრე ოცხელი

2007 წლის 23 სექტემბერს პეტრე ოცხელის დაბადების 100 წლისთავი

პეტრე ოცხელი თეატრში კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია. რუსეთში და უკრაინაში ხანგრძლივი და წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, რეჟისორი 1922 წელს საქართველოს დაუბრუნდა და აქ აყალიბებდა ახალ, რეჟისორულ თეატრს. ამგვარ თეატრს აუცილებლად სჭირდება მხატვარი, რომელიც კონკრეტული სპექტაკლისათვის კონკრეტულ სასცენო გარემოს შექმნის, იზრუნებს მისი მხატვრული სახის, სცენაზე გამოჩენილი ყველა დეტალის დრამატურგიასთან, რეჟისურასთან, მსახიობთან, კონკრეტულ სცენასთან შესატყვისობაზე, - სინთეზზე, როგორც სასცენო ხელოვნების აუცილებელ კომპონენტზე. მანამდე თეატრში ტრაფარეტული, წინასწარ გამზადებული, ე.წ. მორიგი დეკორაციები სჭარბობდა, რომლებიც უნდა განედევნათ პროფესიონალ სცენოგრაფებს. პეტრე ოცხელი ამ პროცესში ჩაება და მთელი თავისი შემოქმედება მხოლოდ თეატრს დაუკავშირა. ალბათ იმიტომ, რომ 1930-იანი წლებში, ტოტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში, მისი პირობითი ბუნების გამო, სწორედ და შეიძლება მხოლოდ, თეატრი “გუობდა” ავანგარდისტებს.

1920-იანი წლები მოდერნიზმის სიმძლავრის ხანაა მთელ მსოფლიოში და კერძოდ, რუსეთში, სადაც ექსპერიმენტულმა, ავანგარდულმა ხელოვნებამ ძალიან მაღალი განვითარება პოვა. 1920-იან წლებში, უკრაინა და საქართველო ასევე წარმოადგენდნენ ავანგარდიზმის ძლიერ ცენტრებს. წითელი რევოლუცია კი მოხდა, მაგრამ ლენინმა ხომ თქვა, ჩვენ სხვა მასალა ჯერჯერობით არ გავგაჩნია, სამშენებლოდ “ბურჟუაზიული აგურები” უნდა გამოვიყენოთ. ასეთი “აგურებიც” არ დარჩა დიდი რაოდენობით. ძალიან ბევრი, 1910-20-იანი

წლების მიჯნაზე გადაიხვეწა. ოცხელი, ირაკლი გამრეკელის და დავით კაკაბაძის მსგავსად, საქართველოში იმყოფებოდა და იმ დრომდე იღვანა, როდესაც მათი მსგავსი “ბურჟუაზიული აგურები” სრულიად აღარ იყვნენ სასურველნი და ლენინის იდეოლოგიურმა მემკვიდრეებმა ახლა უკვე მათ “თავიდან მოშორებაზე” იზრუნეს.

კონსტრუქტივიზმი რუსეთში განვითარდა და თეატრში და დიზაინის სფეროში საბჭოთა ხანაშიც შენარჩუნდა, - ნაწილობრივ ინერციის, ნაწილობრივ ახალ მოთხოვნებთან შესატყვისობის და ნაწილობრივ შემთხვევითობების გამო. რუსეთის სცენოგრაფიის დარგშიც მდიდარი და მკვიდრი ტრადიცია ჰქონდა. ვადგილობრივ ტრადიციას დასავლეთიდან შემოსული ავანგარდული იდეები და გამოცდილება (გორდონ კრეგი და სხვა) ერწყმოდა. კოტე მარჯანიშვილმა ყოველივე ეს რუსეთში ყოფნის დროს შეისისხლხორცა, ჯერ იქვე, და შემდეგ, უკრაინაში, ახალი იდეები საკუთარ შემოქმედებაში განავითარა და შემდეგ საქართველოში ჩამოიტანა.

პეტრე ოცხელი ქუთაისში დაიბადა, მაგრამ, მალე მისი ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ქუთაისის ის 13 წლისა დაუბრუნდა. რუსეთში ყოფნის განმავლობაში, მოზარდს ბევრი რამ შეეძლო შეეთვისებინა. მითუმეტეს, რომ მას მხატვრის თვალის და გონება ჰქონდა. 1910-იანი წლები რუსეთში სწორედ კონსტრუქტივიზმის აღმოცენების და განვითარების პერიოდია. ამ მიმართულებას ბევრი სხვა მოვლენა ემატებოდა და ზოგჯერ ებრძოდა კიდევც, მაგრამ ავანგარდულად განწყობილ თვალსა და გონებას არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ამ კუთხოვანი მოცულობითი ფორ-



მებისათვის, თეატრისა და სარეკლამო დიზაინი რომ ჰქონდა დაპყრობილი და სიახლის გამო, ყველაზე თვალშისაცემი იყო. ამასთან, იქაც და საქართველოშიც, იყო სახლები, სადარბაზოები, სამოსი, ნივთები და სხვა, რაც იმ დროისათვის უკვე ნაკლებად პროგრესულ, მაგრამ მოდერნისტულ მიმდინარეობას, - მოდერნს, ანუ არტ ნუვოს განეკუთვნებოდა. ამასში მცენარეული, დენადი, მრუდი დეკორატიული ხაზები სჭარბობდა. ერთიც და მეორეც, - კონსტრუქტივიზმიც და მოდერნიც, უფრო სტილიზაციისკენ და აბსტრაქციისკენ იხრებოდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ოცხელი ჯერ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა და ხატვის გაკვეთილებსაც იქვე იღებდა (პედაგოგი ჭიჭილი), შემდეგ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც მისი პედაგოგები ი. შარლემანი და ე. ლანსერე იყვნენ. მათი დახმარებით, მან მყარი აკადემიური ოსტატობა შეიძინა.

მარჯანიშვილი ნოვატორული იდეებით აღსავსე დაუბრუნდა საქართველოს და თანამოაზრეებიც შეიძინა. 22 წლისწვეტრე ოცხელი "ურიელ აკოსტას" გასაფორმებლად მიიწვია. სპექტაკლისათვის მხატვრული კონცეფციის ძიების პროცესში, რეპეტიციაზე ტუმბოზე ჩამომჯდარი ვერიკო ანჯაფარიძის სილუეტმა მხატვრის ფანტაზიაში ისეთი გარდსახვა პოვა, რომ ერთდროულად დაიბადა დეკორაციაც და კოსტიუმიც. მან შთაგონება უკან დაუბრუნა მსახიობს და ამ კოსტიუმით განსაკუთრებული ელეგანტურობა შესძინა, გარკვეულწილად განაპირობა კიდევ მისი მოძრაობა და შესტიკულაცია. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მსგავსი ფორმები პეტრე ოცხელს უკვე მიგნებული ჰქონდა თავის პირველ სპექტაკლში "ცეცხლის გამჩაღებლები", რომელზე მუშაობის დროსაც აღმოაჩინა იგი მარჯანიშვილმა.

აღნიშნული ფორმების მიგნებაში, ალბათ, ებრაული სინაგოგის ინტერიერის არქიტექტონიკამ და ატრიბუტიკამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მაგალითად, ებრაულ სარიტუალო შანდალს თუ გაეხსენებთ, შეიძლება დაეინახოთ, თუ საიდან ამოიზარდა ოცხელისათვის დამახასიათებელი მშვილდით მოზიდული ნახევარწრიული გეომეტრიული ფორმები, მათში ჩამუხტული ენერჯია. მხატვარს აქრომატული ფერების ფასიც შეთვისებული ჰქონდა და ყველაფერმა ერთად განაპირობა მისი ნამუშევრების ლაკონიური გამომსახველობა, თავშეკავებულობა და მონუმენტალიზმი. კოსტიუმებში ის ქსოვილთა ნაკვეცებს უსვამდა ხაზს, თითქოს აქვეყნებდა მათ ფიგურაზე, რითაც მას განსაკუთრებულ სკულპტურულობას და მონუმენტალიზმს სძენდა ("ოცელო," 1933).

პეტრე ოცხელის დეკორაციები და კოსტიუმები სკულპტურულ-კონსტრუქციული ხასიათისა არის. სივრცე გამოვლენილია და მნიშვნელოვან მხატვრულ დატვირთვის ატარებს. ზოგიერთი, განსაკუთრებით დახვეწილი და უკიდურესად ლაკონიური დეკორაცია (მაგალითად, სპექტაკლისათვის "მშენებელი სოლნესი," 1931) კონსტრუქტივიზმის მამამთავრის, ნაუმ გაბოს აბსტრაქტულ სკულპტურებს მოგვაგონებს. ეს ნიშანდობლივი პარალელია. კონსტრუქტივიზმმა განვითარების პარადოქსული გზა განვლო. 1930-იან წლებში, მაშინ, როდესაც ტოტალიტარულ საბჭოთა კავშირში სოციალისტურმა რეალიზმმა დაისადგურა, რუსეთს გამოკრულ სკულპტორთა და მხატვართა (კანდინსკი, გაბო, პევზნერი და სხვები) შემოქმედებაში კონსტრუქტივიზმი სრულ აბსტრაქციაში გადაიზარდა. მათ დასავლეთში ე.წ. კონკრეტული ხელოვნება განავითარეს — უკიდურესად აბსტრაქტული მიმდინარეობა, რომელმაც უმთავრესად ორგანული ანუ ბიომორფული აბსტრაქციის სახე მიღო და





თუ დავუკვირდებით, დღევანდელ კომპიუტერულ სემანტიკურ ნიშნებსა და ფორმებს გაუკვალა გზა (თუმცა, ამას ხშირად ვერც შემქმნელი ამჩნევს და ვერც მომხმარებელი). განვითარების ამგვარი ხაზი ბუნებრივი და ლოგიკური იქნებოდა პეტრე ოცხელისთვისაც.

ამ რამდენიმე თვის წინ ჟურნალმა - “ლიტერატურა და ხელოვნებაში” - გამოაქვეყნა კოტე მარჯანიშვილის მიერ 1933 წელს პეტრე ოცხელისადმი მიწერილი წერილი. ეს ის პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირში სოციალისტური რეალიზმი უკვე მოთხოვნაა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში ერთადერთი დაშვებული სტილია. მარჯანიშვილის წერილი პასუხია და მისი კონტექსტიდან ჩანს, რომ თავის წერილში პეტრე ოცხელი რეჟისორს შესჩიოდა, რადგანაც ჰქონდა შიში, რომ ძალდატანების გამო მას ძველი ტრადიციების არტახეზში დარჩენა მოუწევდა და ამას შეეწინააღმდეგებოდა მისი ფანტაზია და პრინციპებიც კი. მარჯანიშვილი ცდილობს დაამშვიდოს იგი. თუმცა, სულ მალე გამოჩნდა, რომ მხატვარი არ ცდებოდა, რადგან თეატრსაც არ ასცდა სოცრეალიზმის წნეხი.

ოცხელმა ჯერ გროტესკულად გადიდებული ლაკონიური დეტალებით უპასუხა რეალიზმისკენ მონოდებას. პიპერთოროფირებული ნატურალისტური (“აპრაკუნე ჭიმჭიმელი,”

1934), ან სამრეგისტრიან ორგინალურ კონსტრუქციას მორგებული რეალისტური დეტალები (“მუნჯები ალაპარაკდნენ,” 1932) სცენის პირობით ბუნებას სულაც არ არღვევდნენ და არ ატარებდნენ ყოფით ხასიათს. მაგრამ შემდგომ ოცხელიც კი იძულებული გახდა დაეწვრილმანებინა დეკორაციები და კოტიუმები, დეტალიზაციისათვის მიემართა (“ჩატეხილი ხიდი,” 1935). ასე რომ, მისი შიში უნიადაგო არ იყო. პირობითობას და ლაკონიურობას საფრთხე დაემუქრა. თუმცა, კინოს დიზაინის სფეროში, სადაც ნატურალიზმი უფრო მისაღებია და მითუმეტეს, რადგან “მფრინავ მღებავში” ფანტასტიკურ სიუჟეტთან ჰქონდა საქმე, მისი ნამუშევრები, “ალწერილობის” მიუხედავად, ავანგარდიზმიდან გადახვევას შეუმჩნეველს ტოვებდნენ. ეს 1936 წელი იყო. ამ ზღვარზე შეწყდა პეტრე ოცხელის ცხოვრება...

ავტორი: ქეთევან კინწურაშვილი

პეტრა ოცხელის ნამუშევრები ინახება კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ-დრამატულ თეატრში და თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში.





**ლიტერატურული  
კაფე “ქარავანი”  
წარმოგიდგინთ:**

7 ოქტომბერი, კვირა, 15:00  
შეხვედრა ვახუშტი კოტეტიშვილთან.

14 ოქტომბერი, კვირა, 15:00  
შეხვედრა შოთა იათაშვილთან.

17 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 19:00  
დათო ჩიხლაძის პერფორმანსი  
„ჩინეთი არ არსებობს“.

28 ოქტომბერი, კვირა, 15:00  
შეხვედრა როსტომ ჩხეიძესთან  
საუბარი წიგნის  
„ეკლიანი და პატარა გზა“ შესახებ.



„ცხელი შოკოლადის“ ძველი ნომრები შეგიძლიათ შეიძინოთ ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“, 3 ლარად  
მისამართი: ფურცელაძის 10, საჯარო ბიბლიოთეკის შენობა





“Close Encounters 2007-2008”, აქტუალური მუსიკის ფესტივალი, ასე ჰქვია კლასიკური ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც 2007 წელს თბილისში დაიწყო და 2008 წლის მარტში შვეიცარიაში, ციურისხა და ვინტერტურში გაგრძელდება.

ამ სახელწოდების ფესტივალი საქართველოში პირველად 2005 წელს ჩატარდა. მისი ორგანიზატორები ანა კრაიერი, მანანა ახმეტელი, თამარიკო კორძაია, ფელიქს პროფოსი და რეზო კიკნაძე გახლდნენ. იმავე წელს გადაწყდა, რომ ფესტივალი, სადაც სხვადასხვა ეროვნების, თაობის, ტრადიციის, განსხვავებული ესთეტიკის, სტილის და ტექნოლოგიური აზროვნების მუსიკოსები იკრიბებიან, ტრადიციად უნდა ქცეულიყო.

წელს ფესტივალის საკონცერტო დღეები ორ თემატურ ბლოკად დაიყოფა. ბლოკებსა და აქტებს შორის კი მუსიკოსებსა და აუდიტორიას შორის ცოცხალი დისკუსიები და საუბრები გაიმართება. წარმოდგენილი იქნება საქართველოს საკონცერტო ცხოვრებისთვის აქამდე უცნობი - კლასიკური ელექტრონული მუსიკის კონცერტი, მულტიმედიაური ნაწარმოებები მუსიკისა და ვიდეოს სინთეზით, მუხჯი ფილმის ცოცხალი მუსიკალური გახმოვანება და ა. შ.

ფესტივალზე განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ იმ ქართველ კომპოზიტორებს, რომლებსაც დასავლეთში ცუდად ან სულ არ იცნობენ. ასეთები კი მოგეხსენებათ, ბევრნი არიან, მიხეილ შულღიაშვილის სექსტეტი, კომპოზიტორი ზვიად ბუცხრიკიძე, რომელიც საგანგებოდ ფესტივალის პროგრამისთვის სოლო ჩელოსთვის შექმნის ნაწარმოებს და სხვები.

“თითქმის ყველა ნაწარმოები, რაც კი თბილისში და თელავში დაიკვრება, ქართული პრემიერა იქნება. წარმოდგენილი იქნება გია ყანჩელის ორი დიდი კამერული ნაწარმოები, მი-

ხეილ შულღიაშვილის სექსტეტი, რომელიც ერთხელ თბილისში უკვე შესრულდა, თუმცა მას მერე 30 წელი გავიდა... პრემიერებად შეიძლება ჩაითვალოს კონცერტი ელექტროაკუსტიკური მუსიკის უმნიშვნელოვანესი შედეგებით, რომელიც 18 ოქტომბერს იქნება წარმოდგენილი. ფესტივალს გახსნის ძალიან საინტერესო ტრიო “Trafique” (17 ოქტომბერს). კონცერტებს გამართავენ ნიკა მაჩაიძე, რეზო კიკნაძე, ფესტივალის კონკურსში გამარჯვებული რუდიგერ მაიერ-მაირიციო და სხვები. ფესტივალის ფარგლებში კვლავ შეხვედებით 2005 წლის ლაურეატ რუსუდან მეიფარიანს თავის ძალიან სახასიათო მუსიკასთან ერთად”, – ამბობს ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი ფელიქს პროფოსი.

ფესტივალის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურის სამინისტრო, შვეიცარიული კულტურის ფონდი “პრო ჰელვეცია” და მარჯანიშვილის თეატრი, რომელიც, კონსერვატორიის მცირე დარბაზთან ერთად, წლევანდელი ფესტივალის მასპინძელი იქნება.

მაშ ასე, წარმოგიდგენთ ფესტივალის პროგრამას:

- 17.10.07 19:00 თბილისი, კონსერვატორიის მცირე დარბაზი, გრიბოედოვის ქ. № 8
  - 18.10.07 19:00 თბილისი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი
  - 19.10.07 19:00 თბილისი, კონსერვატორიის მცირე დარბაზი
  - 20.10.07 19:00 თბილისი, მარჯანიშვილის თეატრი
  - 21.10.07 15:00 თელავი, კულტურის ცენტრი (ძველი თეატრი) ერეკლე II ქ. №1
- კონცერტები შვეიცარიაში: ციურისხი, ვინტერტური, უსტერი-თებერვალი/მარტი 2008



VICHY FRANCE  
LABORATOIRES



## ვიზი - ჯანმრთელობაზე ზრუნვა საკუთარი კანით დაიწყეთ

დღეს, როცა გარემო ფაქტორების აგრესიული ზემოქმედება ასე გაიზარდა, კანი განსაკუთრებულ მოვლასა და ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან.

კანი ცოცხალი ორგანოა, ამიტომ კარგად დაფიქრდით კოსმეტიკური საშუალებების შერჩევას. გაითვალისწინეთ, რომ ხარისხიანი პროდუქციის შექმნისათვის კომპანიებს მრავალწლიანი კლინიკური გამოცდილება სჭირდებათ.

ლაბორატორია - ვიზი შეიქმნა 1931 წელს, თერმული წყლებით მდიდარ საფრანგეთის ქალაქ ვიშიში.

ვიზის თერმული წყლის კანზე დამამშვიდებელი მოქმედებისა და მისი დამცავი ძალების ზრდის უნარის წყალობით, ვიზის ლაბორატორიის მთელი პროდუქცია ორიენტირებულია მგრძნობიარე კანზე და გააჩნია გალიზიანების ნიშნების ეფექტური მოცილების უნარი.

ვიზის პროდუქციის მთელი გაბა წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის კანის მოვლის საშუალებების მთელ კომპლექსს, რომელიც შექმნილია დერმატოლოგიის და კოსმეტოლოგიის უახლესი მიღწევების საფუძველზე ბიოქიმიის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ვიზის ცხელი ხაზი: 910434



იკითხეთ მხოლოდ ავთიანეპუბი



**ჩვენ ისე ლატაკნი ვართ რწმენით და სიმამაცით, რომ ბედნიერ დასასრულში მხოლოდ და მხოლოდ მასების გემოვნების გულის მოსაგებად უხეშად შეითხნის რამეს ვხედავთ.**

**ხორხე ლუის ბორხესი**

ფიზიკის მასწავლებელი მყავდა სკოლაში. ღირსეული კაცი იყო. კარგი იუმორი ჰქონდა და ჩვენც თბილად, თუმცა ზოგჯერ სამართლიანად მკაცრადაც გვექცეოდა. გაკვეთილების ასწავლისას, ხშირად, თვალნათლივ რომ ეჩვენებინა თუ რას გულისხმობდა, ფიზიკის კაბინეტში არსებულ სხვადასხვა სახის, ზომის და დანიშნულების დანადგარების გამოყენებას ცდილობდა ხოლმე. ცდილობდა იმიტომ, რომ როგორც წესი, ეს დანადგარები არ მუშაობდა. დღემდე კარგად მახსოვს, კიდევ ერთი ფიასკოს შემდეგ როგორ ამოგვხედავდა ნაღვლიანი თვლებით და ერთადერთი სიტყვით გვისხნიდა მომხდარს: გოუფუჭიათ!

სულ რაღაც ორიოდე დღის წინ უეცრად “ჩამანათა”, რომ ჩემთვის და ჩემი ასაკის, ორმოცს გადაცილებული ადამიანებისათვის, სიტყვა “გოუფუჭიათ” მთელი ჩვენს, უკვე საკმაოდ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ლამის ლაიტმოტივად გასდევს.

გოუფუჭიათ ხაჭაპური ჩვენს საყვარელ სახაჭაპურეში (“ყველს აღარ უშვებიათ, ძმაო!”), ხინკალი სახინკლეში (“ხორცს აღარ უშვებიათ, ძმაო!”), ადრე ხარისხიანი ბენზინი (“ცარიელი წყალია, ძმაო!”), “პერაშკები” სუპერმარკეტში (დააპატარავეს და ფასი გაზარდეს, ძმაო!), ფეხბურთი (“თამაშის გაგებაში აღარ არიან, ძმაო!”), ლაღიძის წყალი (“სამმაგი უნდა დაასხმინო გემო რომ გაიგო, ძმაო?”)

და ასე შემდეგ, და ასე უსასრულოდ (კარგად თუ დაფიქრდებით და მხოლოდ ყოფითი და გასტრონომიული რალაც-რალაცებით არ შემოვიფარგლებით, მივხვდებით, რომ ყველა ჩვენგანს “გოუფუჭების” საკუთარი გრძელი სია გაგვაჩნია).

მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ქვეყანაც ძირფესვიანად და ხარისხიანად გოუფუჭებიათ. სრულიად გამაოგნებელი კი ისაა, რომ ყველაფერი ეს ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა კი არა, არამედ ვიღაც სხვებმა (ხშირად ამ ქვეყნის სხვა მოქალაქეებმა) გააკეთეს. ჩვენ არაფერი არ გოგვიფუჭებია. გოგვიფუჭეს რუსებმა (იმპერიული ამბიციები აწუხებთ, ძმაო!), ხელისუფლებამ (“მაგეებმა რა უნდა გაგვიკეთონ, ძმაო?”) მასონებს (“ყველაფერი მაგათ ხელშია, ძმაო?”), ლეონტივს (“ეგ ამღვრევს ამ მთელ ბაზარს, ძმაო”), არძინბას (“რუსების შავკაა, ძმაო!”) ამერიკელებს (“იასნია, რომ მაგათ გარეშე აქ არაფერი არ კეთდება, ძმაო!”), ზვიადს (“მაგი რომ არა უკვე ევროკავშირში ვიქნებოდით, ძმაო!”), კომუნისტებს (“მაგენი რომ არა მაგრად ვიცხოვრებდი, ძმაო!”), ოპოზიციას (“უტრაკოები არიან, ძმაო!”), შვეარდნაძეს (“მასონების ლოჟის წევრია, ძმაო!”) და ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, ასე შემდეგ და ასე უსასრულოდ.

ის, რომ ამ ქვეყანაში ჩვენი გოსოფუჭებელი აღარაფერი დაგრჩა, გარკვეული თვალსაზრისით, თითქოს იმედისმომცემი უნდა იყოს (ჩვენ ხომ კარგად გვესმის, რომ გოუფუჭებულები ვართ და სადღაც გულის სიღრმეში ძალიან გეშურს მათი, ვინც გოუფუჭებულა). ანუ, რაც გოუფუჭებიათ ის გოუფუჭებიათ და მაშასადამე, ეხლა ქვეყანა შენების გზას უნდა დაადგეს. სამწუხაროდ, ყველაფერი არც თუ ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. “გოუფუჭებიათ” ისე გაგვიჯდა ძვალ-რბილში, ისე შეუმჩნეველად გადაგვივიდა ხასიათში, რომ დარწმუნებულები ვართ: შენების მანიით შეპყრობილი იდიოტები მანინც ვერაფერს ააშენებენ, იმიტომ, რომ შემთხვევით



## კონტაქტი

გაყიდვების სამსახური

პეტრიძის ქ. # 25

თბილისი 0179

ტელ: +995 32253434; 553434

ფაქსი: +995 32914645

[sales@axis.ge](mailto:sales@axis.ge)

[www.axis.ge](http://www.axis.ge)



# AXIS PALACE SAIRME

## აქსის პალასი საირმა

ეს არ არის მხოლოდ ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლი, ეს არის ადგილი, სადაც სიმშვიდე, სილამაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესი ერწყმის ერთმანეთს, სადაც თანამედროვე სტილის, დასვენებისა და საუკეთესო საცხოვრებელი სახლის კომპონენტებია თავმოყრილი. სივრცე, რომელიც აქსისმა კომფორტად აქცია.

## დასვენება და სილამაზე

საირმის კურორტის ისტორიულმა ტრადიციებმა საფუძველი ჩაუყარა პროექტის კონცეფციას. უზარმაზარი საცურაო აუზი, დამამედიკებელი SPA ცენტრი, სპორტული მოედანი, სრულად აღჭურვილი ფიტნეს კლუბი და აქსის პალასის სპეციალურად მომზადებული მომსახურე პერსონალი ქმნის კურორტის განცდას.



## კომენტარი

რომ გამოუვიდეთ და მართლაც ააშენონ რამე (“რომ გაფრინდნენ?”), ჩვენ მაინც ვერ დავინახავთ მათ აშენებულს. ჩვენ ვიცით, რომ ამ სამყაროში ყველაფერი არსებობს იმისთვის, რომ გოფუჭდეს. ჩვენ ვერ კიდევ კარგად ვერ შეგვიფასებია ინერციის ხიბლი და ძალა. ასე რომ აშენებით ისინი მაინც ვერაფერს ააშენებენ, სამაგიეროდ, დარჩენილ გოსოფუჭებულს გოგვიფუჭებენ (ჩვენ არა, ისინი!), ხოლო ჩვენ კი, სანამ მამაზეციერი არ გადმოგვხედავს (მთავარია ეკლესიებთან ჩავლისას ყველას დასანახად პირჯვარის გადაწერა არ დაგვაგინყდეს), ვიყოთ ძმებო და ვილივლივოთ.

ლივლივზე გამახსენდა... ეს მხოლოდ შესავალი იყო. უბრალოდ, მინდოდა თქვენთვის გამეზიარებინა ჩემი აღმოჩენა და ამასთან ერთად, ჩემი პირველი საჯარო აღიარებაც მინდა გავაკეთო.. პირველი იმიტომ, რომ როგორც ამ ქვეყნის ჭეშმარიტ შვილს, მეც ყოველთვის მიჭირდა იმის აღიარება, რომ ჩემი საქციელით თუ ქმედებით რამეს ვაფუჭებ. მე მხოლოდ დღეს ვახერხებ ამას და საჯაროდ ვაცხადებ (არ ინერვიულოთ, აღიარება შესავალზე მოკლე იქნება...):

წელს, ზაფხულში აჭარის შემდგომ და ძირფესვიანად გოფუჭებაში შევიტანე ჩემი წვლილი (თავის გასამართლებლად ვიტყვი იმას, რომ ეს ჩემი პირველი ჩასვლა-დასვენება იყო აჭარაში თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში). მეც ვეროვნად ვერ შევფასე ინერციის უარყოფითი ხიბლი და ძალა; ამიტომაც, ლამის თოთხმეტი დღის განმავლობაში უსიტყვოდ ვემორჩილებოდი იქ დაკანონებულ წესებს, კერძოდ კი:

ა) ვინაიდან, ადგილობრივ მოსახლეობას აშკარად გაუმართლა იმაში, რომ ის ადგილობრივია, ფასებს მთელი ზაფხულის განმავლობაში ის ადგენს. უსიტყვოდ ვემორჩილებოდი ამ წესს, რამდენადაც აბსურდული არ უნდა ყოფილიყო ის ზოგიერთ შემთხვევაში.

ბ) ვინაიდან ზაფხულის სამი თვე ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ფულის შოვნის ერთადერთი შანსია, უფლება არა მაქვს გავაპროტესტო ის, რომ ერთი ნაჭერი ლიმონი (ჩაიში ჩასაგდებად), მიუხედავად იმისა, რომ ლიმონის ნაყოფით დახუნძლული ტოტები ჩემს აივანზე შემოდის, ერთი ლარი ღირს;

გ) ვინაიდან მოხდა ისე, რომ ჩემი ფანჯრებიდან ზღვა ჩანდა, თანახმა ვიყავი თავი მომეკატუნებინა, რომ ოთახი, სადაც მე უნდა გამეტარებინა ორი კვირა, ჭეშმარიტი “ოსობნიაკია” და ზედმეტი გადამეხადა;

დ) ვინაიდან მინდოდა, რომ ჩემს ოთახში აბაზანა და ტუალეტი ყოფილიყო, თანახმა ვიყავი ზედმეტი გადამეხადა;

ე) ვინაიდან მე წინასწარ მესაჭიროებოდა ოთახის დაქირავება, მაგრამ მკაცრად მქონდა განსაზღვრული იქ ჩასვლის დღე, დამატებით უნდა გადამეხადა 100 ლარი “ოთახის შენახვისათვის”;

ვ) არ ვიმჩნევდი იმას, რომ გადახდილი ფულის სანაცვლოდ მხოლოდ ზღვის ხედს და აბაზანა-ტუალეტს მთავაზობენ;

ზ) არ ვიმჩნევდი იმას, რომ ერთსა და იმავე კაფეებში სხვადასხვა კერძზე ყოველ დღე სხვადასხვა საფასურს ვიხდიდი;

თ) არ ვიმჩნევდი იმას, რომ საკმაოდ ნამოგზაურები ვარ და მეტნაკლებად მესმის სეზონზე ფასების ზრდის პრინციპი, რომლის მიხედვითაც აჭარაში დახარჯული თანხით ადვილად შემეძლო დამესვენა ბევრად უფრო კომფორტულ კურორტზე უცხოეთში;

ი) არ ვიმჩნევდი არაფერს, რისი შემჩნევაც საჭირო იყო, იმისთვის, რომ თავი უხერხულად არ მეგრძნო და ჩემი მასპინძლებიც არ ჩამეყენებინა უხერხულ მდგომარეობაში. ამიტომაც, მთელი გულით ვცდილობდი მოვშეგებულყავი და სიამოვნება მიმელო. ვაღიარებ, რომ ამას ვაკეთებდი.

მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი დასრულდა, ორი კვირის განმავლობაში იქ დახარჯული ფული დავითვალე და რალაც არ მომეწონა. მივხვდი, რომ ეს ნორმალური არაა ჩემი შემოსავლის მქონე ადამიანისათვის (მაგრამ მაშინ რატომ წუნუნებდნენ ჩემზე ბევრად, ბევრად უფრო დიდი შემოსავლის მქონე ჩემივე ნაცნობები, ვინც უცნაური ფერის სასტუმროებში ცხოვრობდნენ?). შეიძლება, ეკონომიკის სახელმძღვანელოებში გასაგებად იყოს აღწერილი, თუ რატომ ხდება ეს ასე იმ გოფუჭებულ ქვეყნებში, რომლებსაც უკვე აღარ უნდათ, გოფუჭებულები იყვნენ, მაგრამ ჩემთვის ეს დამამშვიდებელი ნამდვილად აღარაა. უეცრად მივხვდი, რომ რალაცას ვაფუჭებ. ვერ არ ვიცი რას. ამაზე უნდა ვიფიქრო. მაგრამ სანამ ვფიქრობ გადავწყვიტე, რომ მომავალში აჭარაში დასვენებისგან თავს შევიკავებ. ვიცი, ეს არაპატრიოტულია (თანაც ნამდვილი ღრჯო კონსუმერივით გამომდის, რომელსაც საკუთარი ჯაფით ნამოვნი ფულით უნდა, რომ საკუთარი ქვეყნისავე ტერიტორიაზე ზღვაზე დასასვენებლად ჩასულს, იოდის და ზღვის დამამშვიდებელი ხმაურის გარდა, კიდევ თუნდაც, იმის უფლება მაინც მიიღოს, რომ მწველ ძროხად არ იგრძნოს თავი) და თანაც, ეს გადაწყვეტილება ჩემთვის უფრო დიდი დანაკარგია, ვიდრე აჭარისათვის მაგრამ მაინც. რა იცი, რა ხდება... იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს იქ ჩასულს აღარ გამახსენდეს საოცარი ხიბლის მქონე ჯადოსნური სიტყვა – “გოფუჭებით”...





[tride]  
ცუდი  
ბრძოლა







# ის, რასაც პავაროტი ჰქვია

ავტორი: ლაშა ბულაძე

მარია კალასიც ასე წავიდა. ხმა გაუქრა და ამის მერე აღარც თვითონ უცოცხლია დიდხანს. ხმასთან ერთად მოკვდა 1965 წელს და არა თორმეტი წლის მერე, პარიზში. და, მიუხედავად იმისა, რომ კალასისგან განსხვავებით პავაროტი პროფესიული სცენის მიტოვების შემდეგაც შესანიშნავად ფლობდა თავის ხმას და ნებისყოფის, არაჩვეულებრივი ტექნიკისა და, უბრალოდ, გენიალურობის წყალობით ინარჩუნებდა ახალგაზრდულ ჟღერადობას, ის მაინც აღარ იყო ძველი, „ყელში მზეჩამდგარი“, „მაღალი დო-ების მეფე“ ლუჩანო პავაროტი, და სწორედ ამიტომ, ასეთი მომღერლებისათვის გადამწყვეტი, მთავარი რამით დაემსგავსა მისი წასვლა დიდი ბერძენი მომღერლის ალსასრულს: ისინი არ შეეგუენ უხმოდ სიცოცხლეს!

ენრიკო კარუზოც ასე დაიღუპა. არა, ხმა მას სიცოცხლის ბოლომდე წესრიგში ჰქონდა, სიმღერის დროს, დონიცეტის „სასიყვარულო ნექტარის“ გენერალურ რეპეტიციაზე, პირდაპირ სცენაზე დაეცა გონდაკარგული. ერთადერთი, რასაც ვეღარ ფლობდა, ეს სხეული იყო - ფილტვებში წყალჩამდგარი, მძიმე და დაუმორჩილებელი, რაც საბოლოო ჯამში, ალბათ, მის რკინის იოგებსაც შეუქმნიდა პრობლემებს. იგივე განმეორდა პავაროტის შემთხვევაშიც, - ძველებურად ძლიერი ვეღარ, მაგრამ მაინც გამაოგნე-

ბლად ცოცხალი, ხავერდოვანი, თბილი, კრისტალურად სუფთა ხმა დაუძღურებულმა, დასწრებულმა, ტკივილებისგან ფუნქციადაკარგულმა სხეულმა დააღუპა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ოპერის სინონიმად კარუზო იქცა, ამავე საუკუნის ბოლოს კი პავაროტი. კარგი ხმის პატრონს, საუკუნის წინ, მეორე კარუზო ხარო, ეუბნებოდნენ, ახლა კი ვინმე ყელმოღერებულს უმაღლეს პავაროტის შეადარებენ, მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის ხმათა უნიკალურ კოლექციას ავსებენ ისეთი ტენორი-გიგანტებიც, როგორებიც ჯილი, დელ მონაკო, დი სტეფანო, კორელი და სხვები არიან... რომ არაფერი ვთქვათ განუმეორებელ ბას შალიაპინზე და გენიალურ სოპრანო მარია კალასზე. ან თუნდაც ესპანელი პლასიდო დომინგო რად ღირს - პავაროტის მთავარი კონკურენტი - მისი არც ხმა და შესაძლებლობებია არავისზე ნაკლები.

მაგრამ პავაროტი მაინც სხვაა...

პავაროტის მოსმენისას ისინიც კი ინაბებიან, ვისაც საერთოდ არ უყვარს, არ ესმის და მეტიც, ვინც აგრესიულადაც კია განწყობილი საოპერო ხელოვნების მიმართ (დიახ, სამწუხაროდ, ასეთებიც არსებობენ). პროფესიონალები კი ბჭობენ: არის კი ლუჩანო პავაროტი მეოცე საუკუნის ბოლო ოცდაათწლეულის ნომერ





სადასახლებო კომპლექსი  
**IBERIA**  
სადასახლებო კომპლექსი

# იბერია ჰოლდი

მისამართი: ქვექვიძის გამზ. 49ა, თბილისი, საქართველო  
ტელ: (+995 32) 25 31 13; [www.iberia.ge](http://www.iberia.ge); [info@iberia.ge](mailto:info@iberia.ge)



## კომენტარი

პირველი ტენორი? განა, ობიექტურად, პლასიდო დომინგოს არ უნდა ერგოს ეს საამაყო წოდება? დომინგოს, რომელიც ერთნაირად ბრწყინვალედ, მომწესხველად ასრულებს როგორც ვაგნერს, რიჰარდ შტრაუსსა და მოცარტს, ასევე მთელ იტალიურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ რეპერტუარს - ერთ დღეს ვაგნერის ლონგინოს მღერის, მეორე დღეს კი „ლა სკალაში“ მიფრინავს ლირიკული ალფრედოს სამღერად „ტრავიატაში“... მაშინ, როდესაც დომინგოსთან შედარებით პავაროტის რეპერტუარი მეტისმეტად მცირეა და მარტო იტალიურ საოპერო რეპერტუარს მოიცავს: ძირითადად პუჩინი, დონიცეტი, ვერდი (და ვერდისთანაც კი მკაცრად განსაზღვრული პარტიები)... ვაგნერი, ბიზე - არავითარ შემთხვევაში! დიახ, „კარმენშიც“ კი არ უმღერია არცერთხელ!... („დონ ხოსეს პარტია მის ხმას არ უხდება, მისი ხმის არაა!“).

თუ, იქნებ, სხვაგვარად უნდა მოხდეს მათი შედარება? რა ქმნის, საერთოდ, ტენორს მეფე-ტენორად? რა არის ის, რის გამოც აღარ ახსენდებათ არც მცირე და ერთფეროვანი რეპერტუარი და არც ის მდარე და სამარცხვინო კონცერტები, - როგორც იტყვიან, სულ სხვა ოპერიდან გადმომხტარ საეჭვო მომღერლებთან ერთად, ფულის გასაკეთებლად ჩატარებული?!

ხმის ტემბრი? ხმის ტემბრი, ვგონებ, დომინგოს უფრო ლამაზი აქვს, ვიოლენჩელოს მიუგავს. კარერასიც ხომ შესანიშნავია ამ მხრივ. დიაფრაგმა? სუნთქვა? დომინგოს რა, გგონიათ, ვეებერთელა მუსიკალური ფრაზები არ უმღერია გადაბმულად, ერთ ჩასუნთქვაზე? ანკი ვის უკვირს ეს ჯაკომო ლაური-ვოლპის, იგივე მარიო დელ მონაკოს, ჯოან საზერლანდისა და მონსერატ კაბალიეს შემდეგ? რეპერტუარზეც უკვე მოგახსენეთ. მაშ, რა?

„პავაროტი რომ დაიბადა, ისე ტიროდა, ბებიაქალმა ყურებზე აიფარა ხელები.“ ეს სიტყვები მისი ერთ-ერთი ბიოგრაფის წიგნში ამოვიკითხე.

„პავაროტი ტენორად დაიბადა, მე კი ვიქეცი ტენორად“, - ეს სიტყვები კი მისი დაფნის გვირგვინის მონილეს, პლასიდო დომინგოს ეკუთვნის.

მაღლები! ელვარე, ყოვლისმომცველმა, მაღალმა ნოტებმა აქციეს ლუჩანო პავაროტი ტენორების მეფედ! მჭექარე მაღალმა ნოტებმა გამოარჩიეს იგი სხვა ტენორთაგან!

ავი ენები ჰყვებიან, ჩემს საყვარელ დომინგოს (დომინგო კი მართლაც ძალიან მიყვარს), ამ ოციოდე წლის წინ, ვერდის „ტრუბადურში“, მანრიკოს სტრეტის დამაგვირგვინებელი დო-ს ჩასაწერად ექვსი თვე დასჭირდაო... ექვსი თვე სცდილობდა დო-ს აღებას!

მაშინ, როდესაც პავაროტი ერთ ჯერზე ცხრა დოს - არც მეტი, არც ნაკლები, ცხრა დო-ს იღებს დონიცეტის „პოლკის ქალიშვილში“... არაია ასეთი ამ ოპერაში, ცხრა დო-თი.

ვინ დაუდგება წინ ამ ყოვლისნამლეკავ, მჭახე, სიმბინჯემდე მისულ ლამაზსა და თავბრუდამხვევ ბგერებს?

ასეთი რამ ხომ დიდხანს, ძალიან დიდხანს არ განმეორდება. ასეთი სასწაულები ხომ საუკუნეში ერთხელ, მაქსიმუმ ორჯერ, საუკუნის დასაწყისში და საუკუნის მიწურულს ხდება...

ფიზიკურად კი ასეთი დამამახსოვრება:

...წვრილი, დაგრებილი ფეხები და ზედ ვეებერთელა მუცელი, განზე გაშლილი ხელები, მარცხენა ხელში - ცხვირსახოცი, მარჯვენა მხრისკენ ოდნავ გადახრილი თავი და ღიმილი... შემდეგ კი მლოცველივით შეტყუებული ხელები, მოხუჭული თვალები... მცირე პაუზა, სრული კონცენტრაცია, მოულოდნელი გამორკვევა, დირიჟორის აუფტაქტი, მუსიკა და... ის, რასაც პავაროტი ჰქვია.

ეს არასდროს განმეორდება. მაგრამ არც არასდროს დასრულდება.







**BALLY**  
SINCE 1851

Tbilisi · 995 99 77 10 90 · [www.bally.com](http://www.bally.com)



ფოტო: ლაითი მუსი

# Hey, Joe!

ავტორი: კახა თოლორდავა

ჯო ზავინული გარდაიცვალა. 2007 წლის 11 სექტემბერს. კანის კიბოს იშვიათი დაავადებით.

სალამოა. სამზარეულოში ვზივარ და გარდაცვლილ მუსიკოსზე სტატიის დანერას ვაპირებ. ჯერ კიდევ არ ვიცი, რას დავწერ. ალბათ, ჩვენს შეხვედრაზე მოყვები. მე მას ორიოდე წლის წინ შევხვდი აქ, თბილისში. ჩვენ სულ რაღაც საათნახევრის განმავლობაში ვსაუბრობდით. საუბრისას ის თვალს არ მაცილებდა. დროდადრო არაყს წრუპავდა. მახსოვს, ჭიქის კედლებზე ყინულის რაკარუკის ხმა. ლაპარაკის იშტაზე იყო იმ დღეს. მუსიკაზე და მუსიკოსებზე ვსაუბრობდით. საუბრის დასასრულს მითხრა, ხშირად მეკითხებიან, როგორ გინდა ხალხს რომ დაამახსოვრდეთ. ეგ მეც მაინტერესებს-მეთქი, მიფუგე. “ის წესიერი ადამიანი იყო!” — მიპასუხა და თვალი თვალში გამიყარა. ზავინულს ვენაში დაკრძალავენ, თავის მშობლიურ ქალაქში. ვზივარ და ვფიქრობ, როგორ გავიხსენო დიდი მუსიკოსი. ვენაში რომ მოვხვდები, აუცილებლად მოვინახულებ მის საფლავს. ჩემგან ეკუთვნის. მერე კი მოულოდნელად გეგა და ირაკლი მახსენდება. გეგა კობახიძე და ირაკლი ჩარკვიანი. ჩემი ორი უდროოდ წასული, ლამაზი მეგობარი.

ეს მგონი გასული საუკუნის ოთხმოციან წლების დასაწყისში მოხდა. გია მირზაშვილის ყოფილი სახლის (მელიქ კაზარიანცს რომ ეძახიან) აივანზე ვიდექით. გეგა, ირაკლი, მე და ჩვენი თაობის ლამაზი გოგოები. ნამდვილად არ მახსოვს, ნასვამები ვიყავით თუ არა.

ალბათ, ოდნავ ნასვამები მაინც ვიყავით, რადგანაც მთელ ხმაზე ვმღეროდით პირდაღებული გოგოების კიდევ უფრო გასაგიჟებლად. ვმღეროდით უცნაურ, მხიარულ, ენერგიულ, საკმაოდ რთულ, მაგრამ ამავე დროს ადვილად სამღერ თემას. ეს ზავინულის Birdland იყო. გეგა “დრამერი” იყო, მე ჯეიქო ფასთორიუსი, ირაკლი კი ზავინული და მთელი დანარჩენი ბენდი. თავიდან ბოლომდე ვიმღერეთ მთელი კომპოზიცია. ბოლოსკენ რომ გავედით, უკვე გოგოებიც აგვყვნენ. ამით ნახალისებულებმა კომპოზიციის მთავარი მოტივი ისე გავენლეთ, ლამის ოცი წუთი ვლრიალებდით. ბოლოს, როგორც იქნა, მოვრჩით და სული მოვითქვით. გოგოებმა ტაში დაცხეს. გეგამ გაიღიმა და უეცრად მთელ ხმაზე მიახალა სიბნელეს: Hey, Joe! ოთახის სიღრმეში ტელევიზორი იყო ჩართული. ეკრანზე წარბებგადახლართული ლეონიდ ბრეჟნევი გაჭირვებით ცდილობდა ფურცელზე დაწერილი სიტყვების ამოკითხვას. ჩვენ არაფრის გვეშინოდა. ზავინულის წყალობით იმ წამს პატარა ბიჭები აღარ ვიყავით. კაცები გავხდით.

ეს ისტორია, ჩვენი შეხვედრისას ზავინულისთვის არ მომიყოლია. არც გამხსენებია. რომც გამხსენებოდა, არ მოვუყვებოდი. მუსიკოსთან ინტერვიუს დროს დაუშვებლად მიმჩნია მისი გულის მოგება ნოსტალგიური ხრიკებით. ჯო მაგარი კაცი იყო. ის ამას არ იმსახურებდა. ერთადერთი რისი თქმაც გავბედე, ეს იყო – Weather Report-ის შემდეგ მუსიკის სმენა სხვანაირად დავიწყე მეთქი. ესლა ვხვდები, მართალი სიტყვა ვუთხარი. ყველა დიდი მუსიკოსი თავიდან განყ-



ბინებს მუსიკის სმენას. ბახ, და შენში რალაც ხდება! მოულოდნელად. შენ ჯერ კიდევ არ იცი, რომ გაცილებით მდიდარი და სავსე ხარ, ვიდრე რამდენიმე წამის წინ იყავი. ამ დროს ბევრი იბნევა და იმის მაგივრად, რომ თავის თავში ახლად პირდაღებულ სიღრმეში ჩაეშვას, იმის გაკერპებას იწყებს, ვინც ეს სიღრმე გააჩინა. ზავინულის მუსიკამ ჩემში ეს სიღრმე წარმოშვა, მაგრამ ის ჩემი კერპი არ იყო. მე არ მეშინოდა როდესაც მის წინ ვიჯექი და მუსიკაზე ვესაუბრებოდი. და ეს მისი დამსახურება იყო, რომლის შესახებაც მან არაფერი იცოდა. **“We understand each other, man”** — მითხრა ინტერვიუს დასასრულს და მაგრად ჩამომართვა ხელი. **“მინც თბილისელი გოიმი ხარ!”** — ვუბნები საკუთარ თავს ამის გახსენებაზე. — **“შენ არ იყავი, რომ ფიქრობდი ინტერვიუს შემდეგ სადმე ზავინულს რომ გადავყვარო, მიცნობს თუ არაო?”** ჩემ ფეხებს მიცნობდა. ამ ფრაზას ვნერ და მაგიდაზე მიგდებულ ზავინულის დისკს **Faces and Places** დავცქერი. **Kakha, all the best to you. Joe.** — აწერია დისკის ყდას შავი ფლომასტერით. ნეტავ რამდენი ასეთი დისკი არსებობს მისი ხელმოწერით მთელს მსოფლიოში? **Ernest, all the very best to you. Joe... Rodrigo, Lars, Michael, Ludmila, Samantha, Salman, Hui Sho, Akira, Anvar, Mamed... All the very best to you guys. Joe.**

(*“ყოველივე კარგს გისურვებ ერნესტ”... როდრიგო, მაიქლ, სამანტა, სალმან, ჰუი შო, აკირა, ანვარ, მამედ... თქვენი ჯო.*)

ზავინულის გარეშე მუსიკა ისეთი არ იქნებოდა, როგორც დღესაა. ისევე როგორც სტრავინსკის, ვებერნის, ელინგტონის, მონქის, შტოკაუზენის, “ბითლზების”, მაილზის და როლინგის გარეშე. უფრო მეტიც, ზავინულის გარეშე ელექტრონული მუსიკა და ჰიფ-ჰოფიც კი არ იქნებოდა ისეთი, როგორც დღეს. ეს ადამიანი საუნდის ნამდვილი ბიბლიოთეკა იყო. მიუხედავად იმისა, რომ KORG-ი და SONOR-ი სპეციალურად მისთვის ამზადებდნენ ინსტრუმენტებს, ქარხნიდან გამოსული, ისინი არასდროს რჩებოდნენ ქარხანაშივე “ნაჩუქარი” საუნდის ამარა. თავის სტუდიაში ზავინული ახალ და ახალ საუნდს უმატებდა ინსტრუმენტების მეხსიერებას. მისი ინსტრუმენტები მთელი მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროს მოიცავდა დაწყებული აფრიკით და დამთავრებული შორეული აღმოსავლეთით. მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარი ისაა, რომ ზავინულისთვის ეს ბგერები აბსოლუტურად ბუნებრივად და არაქაოტურად ერწყმოდა მუსიკის მისეულ ხედვას. მის ხელში (ყურში? გულში? სულში?) ნებისმიერი საუნდი კარგავდა ეგზოტიკურობას და ზავინულის “საკუთრებად” იქცეოდა. მერე კი, უკან, საკუთარ ქვეყნებში “დაბრუნებული” ზავინულგამოვლილი ბგერები სულ სხვა, დაუფინყარ, ეფექტს ახდენდა ადგილობრივ მსმენელზე. ის არასდროს აკეთებდა ადვილად მოსასმენ მუსიკას, მაგრამ რალაც უცნაური მანქანების მეშვეობით, ეს მუსიკა საოცრად რბილად შეედინებოდა მსმენელში. ვიცი, რომ ის ამით ყოველთვის ამაცობდა. მან იცოდა, ვინც ერთხელ მოისმენდა მის მუსიკას, უკვე არასდროს აღარ დაავინყდებოდა ის. ისიც იცოდა, როგორც ყველა დიდ მუსიკოსს, მასაც დაუფინყარი და ადვილად საცნობი ბგერა ჰქონდა. ისიც – რომ მისი მუსიკის წყალობით მსოფლიოს ყველა კუთხეში ადამიანები სხვა-ნაირად იწყებდნენ მუსიკის სმენას.

გუშინ MEZZO-ს ვუყურებდი. გუშინწინაც. თითქმის ყოველ საათში ზავინულის ხსოვნის საპატივცემულოდ ან ფილმებს უჩვენებდნენ, ან კონცერტებს. რამდენიმე ეპიზოდი დამამახსოვრდა: ჯო ზავინული კრივის დარბაზში თავის ინსტრუმენტორთან ერთად ვარჯიშის დროს. სამოცდაათს გადაცილებული მკვიდრად ჩამოსხმული კაცი, რომე-

ლიც მარჯვედ იქნევს ხელებს და სულ მოძრაობაშია. მახსენდება, რომ მაილზი და ზავინული ერთად ყოფნისას მხოლოდ კრივზე ლაპარაკობდნენ. ზავინული სიამაყით აცხადებდა ხოლმე, მე ვასწავლე მაილზს რალაც განსაკუთრებული ჰუკიო. კიდევ ბევრი რამ ასწავლა, მუსიკაშიც. ზავინული, ალბათ, ერთადერთი მუსიკოსი იყო ვისაც მაილზის შიში არ ქონდა. ისიც, მაილზივით ქუჩაში იყო გაზრდილი. მაილზი სენტ-ლუისის, ზავინული კი ვენის ქუჩებში. მას უყვარდა და პატივს სცემდა მაილზს, მაგრამ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ისიც, რომ ქარიზმატული მესაყვირეს გავლენის ქვეშ მოქცევა, საკუთარი ნიჭის გაღრმავებაში შეუშლიდა ხელს. ისიც ყოფნიდა, რომ ახალგაზრდობაში ვილაც-ვილაცების გავლენით აკეთებდა მუსიკას. ერთ მშვენიერ დღეს კი, თავისი ძაღვის ირწმუნა და სულ რამდენიმე ხანში დიუქ ელინგტონიც კი აატირა, როდესაც მისსივე **Come Sunday** შეუსრულა როიალზე მანესტროს. სამოცდაათიან წლებში მაილზი გამუდმებით იყენებდა ზავინულის კომპოზიციებს თავის ალბომებში. ის კი არა და, ჯონ ქოლტრეინი ურეკავდა




ხოლმე ნამდაუნუმ და მისთვის საქსოფონზე სავარჯიშოების და-წერას თხოვდა. სიცოცხლის ბოლოს ხატვით გატაცებული მაილზ დევისი ზავინულის ალბომების უსმენდა და ისე ადებდა ფერებს ტილოზე. MEZZO-ზე კიდევ ისიც უჩვენეს, სულ რამდენიმე ხნის წინ ზავინული და WDR-ის ბიგ ბენდი სპეციალურად ამ ბენდისთვის არანჟირებულ Weather Report-ის კომპოზიციებს რომ ასრულებენ. და კიდევ ერთი ფოტო: ზავინული და ჯეიქო ფასთორიუსი, უდიდესი ბასისტი, ვისთან ერთადაც ზავინულმა ყირაზე დააყენა მუსიკალური სამყარო სამოცდაათიანების შუა წლებიდან. “მე ჯეიქო ფასთორიუსი ვარ და მსოფლიოში ყველაზე მაგრა ვუკრავ ბასზე” — მიახალა ფასთორიუსმა ზავინულს პირველი შეხვედრისას. “გაიარე!” — უპასუხა ავსტრიელმა. როდესაც მოგვიანებით ეს ორნი სცენაზე დადგნენ უეინ შორთერთან და Weather Report-ის დანარჩენ მუსიკოსებთან ერთად, ადამიანებმა სხვანაირად დაიწყეს მუსიკის მოსმენა.

“ჯაზი მოკვდა” — ყოვლად უტიფრად განაცხადა ზავინულმა თბილისში გამართულ პირველ პრეს-კონფერენციაზე. მეც იქ ვიყავი. “ნეტავ რას ბოდილობს ეს ბებერი?” — გავიფიქრე ჩემთვის. — “ვინ დაავალა ჯაზის სიკვდილის შესახებ განცხადების გაკეთება? არ

იცის, რომ ბრიტნი სფირსის და “მაკდონალდსის” სამყაროში ჯაზს, როგორც რთულ და ძნელად აღსაქმელ მუსიკას, ისედაც ნაკლები და ნაკლები ხალხი უსმენს? რატომ ცდილობს იმ ტოტის მოჭრას, რომელზეც ზის? მაშინ რატომ დაარქვა თავის ახლად გახსნილ კლუბს ვენაში ნიუ-იორკის ორმოცდამეორე ქუჩაზე ორმოციან წლებში არსებული ლეგენდარული ჯაზ-კლუბის (Birdland) სახელი?” რასაც ვშიშობდი, ის მოხდა. ქართველმა ჟურნალისტებმა სწორედ მისი ეს ფრაზა აიტაცეს და იმავე საღამოს საქართველოს ყველა ტელეარხმა უკვე სახალხოდ გამოაცხადა ჯაზის უდროოდ გარდაცვალების შესახებ. ჩემი ინტერვიუ პრეს-კონფერენციის შემდეგ იყო დანიშნული. მინდოდა მეკითხა რა იგულისხმა ამ განცხადებაში, მაგრამ გადავიფიქრე. დღეს ჟურნალისტები ისე ხშირად სვამენ ამ კითხვას, რომ მუსიკოსებს ყელში აქვთ ამოსული ჯაზის ‘სიკვდილზე’ საუბარი. ვიფიქრე, თუ თვითონ წამოჭრის ამ საკითხს, მაშინ ვკითხავ-მეთქი. არც უფიქრია, თუმცა ინტერვიუს მსვლელობის დროს არაერთხელ უკბინა მწარედ თავის ჯაზმენ კოლეგებს იმის გამო, რომ ისინი ისევე იმ მუსიკას უკრავდნენ, რასაც ადრე. მოკლედ, ისე ვისაუბრეთ, ამ თემას არ შევხებივართ. მერე კი კონცერტზე წავედი. ეს ჩემი რიგით მეორე ზავინულის კონცერტი იყო. ეხლა უკვე ვიცი, რასაც გულისხმობდა ფრაზაში: “ჯაზი მოკვდა”.

დარწმუნებული არა ვარ, რომ იმ საღამოს ზავინულმა თავისი საუკეთესო “ლაივი” დაუკრა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მაგრამ ერთ რამეს კი ნამდვილად მივხვდი. ამ ადამიანს მართლაც არაფრის ეშინოდა. არ ეშინოდა იმის, რომ სამოცდაცამეტი წლის იყო, არ ეშინოდა თავისი წარსული მიღწევების, თავისი რეპუტაციის, თავისი მუსიკის. ეს არ იყო საკუთარი მუსიკით მოხიბლული ადამიანის მიერ დაკრული მუსიკა. ეს უფრო თვითმფრინავიდან პარაშუტის გარეშე გადმოხტომას გავდა. იმ საღამოს ყოველი მისი ნოტი სასიკვდილო ისარივით იყო ჯაზის გულში. უფრო სწორედ, იმ იდიომის გულში, ვის სადარაჯოზეც უკვე ასეთი უმწუო სიტყვა — “ჯაზი” იდგა ამდენი ხნის განმავლობაში. მან იცოდა, რომ მხოლოდ ის და მისნაირები ახერხებენ ერთი სიტყვის მეშვეობით ადამიანების ტვინებში აღმართული ბარიერების ნგრევას. მან იცოდა, რომ ჯაზის სიკვდილით მთელი სამყარო ჯაზი ხდებოდა იმიტომ, რომ იმ საღამოს ვერდიქტი არა სიტყვის, არამედ მუსიკის სასარგებლოდ გამოიტანა. უამრავ პირში გამოვლილი სიტყვა უკვე ვეღარ ერეოდა იმ მუსიკის ენერგეტიკულ მუხტს, რასაც ის და მისი ბენდი უკრავდა. “მოკალი ბუდა” — ამბობდნენ გასხივოსნებული პრინციის მიღწევებით დათრგუნული ბუდისტი ბერები. “მოკალი ჯაზი” — უკრავდა იმ საღამოს ჯაზის მიღწევებით და სიცოცხლისუნარიანობით შეშინებული ზავინული, მაგრამ მის შემთხვევაში, ეს იმ ადამიანის განაცხადი იყო, ვინც თავის დროზე თვითონვე შემატა ძალა იმ მუსიკას, რომელიც ყველასთვის ჯაზის სახელითაა ცნობილი. იმ საღამოს ზავინული საკუთარ თავს და მიღწევებს ებრძოდა.

„ვინ იცის, რა მოხდება შემდეგ. — თქვა მან გარდაცვალებამდე სულ რაღაც ექვსი თვის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში, - სამოცდა-თხუთმეტი წლის რომ ხარ ცხოვრების დიდი ნაწილი უკვე გავლილი გაქვს. ამიტომაც რეალისტი უნდა იყო. ასე რომ, რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა ჰქონდეს ჩაფიქრებული მაღალ ღმერთს, მე აქ ვარ და ველოდები“. სიკვდილამდე შვიდი თვით ადრე ერთ-ერთმა იაპონურმა მოდების ჟურნალმა ჯო ზავინული თავისი ჟურნალის ბოლო ნომრის გარეკანზე მოათავსა სათაურით: Hey, Joe!





საცხოვრებელი კომპლექსი ქავთარაძის ქუჩაზე

კომფორტული ბინები

# DREAM TOWN



ტერასული ტიპის



სარეკრეაციო ზონა



სარეკრეაციო ზონა,  
13.000 კვ.მ. შიდა ეზო,  
სპორტული მოედნები,  
ბავშვთა სათამაშო მოედნები,  
ფანჯარები, 24 საათიანი დაცვა.

877 233 233


**MAGI** STYLE  
[www.magistyle.ge](http://www.magistyle.ge)

თანამედროვე ბინის სავაჭრო  
ცენტრი ესააღაბოკრებით,  
პანორამული ლიფტებით  
ქაფებით, ბუბიანებით,  
გასართობი ცენტრით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გუდაურში



899 13 06 05  
☎ 98 74 99  
39 75 01





# ბასათხოვარი, ბათხოვილი, გაუთხოვარი, განათხოვარი?

## კუძლვნი ნინო ლიკუჩოვას

ავტორი: ლალა ბაჭრინდაშვილი

რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ადამიანი განვითარებისთვის იზადება. გონებით წვდომის დაუოკებელი წყურვილი მას ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისგან გამოარჩევს. შემშვეცნებელთაგან ზოგი არასოდეს კმაყოფილდება მიღწეულით, – კრიტიკული და სკეპტიკურია, ზოგი კი – თვლის, რომ თავად არის სრულყოფილება და სად მოვა ვინმე მასთან?! ცოდნას რაღაც მომენტამდე აგროვებს, საგულდაგულოდ ინახავს (თანაც, მხოლოდ თავისიანებისთვის!), შემდეგ კი, მზეს ეუბნება – „შენ ჩადი და მე ამოვალ!“.

პირველები არა მხოლოდ გონებით იმეცნებენ, არამედ – გრძნობებითაც. არა მარტო საკუთარი, მშობლიური, ნათესაური და

სასიამოვნო აინტერესებთ, არამედ უცხო, სხვა, განსხვავებული და მათთვის მიუღებელიც. ასეთებს „საკუთარის“ სიყვარულისთვის სხვების სიძულელი არ სჭირდებათ – შეიძლება ვინმეს პრინციპულად არ ეთანხმებოდნენ ან უპირისპირდებოდნენ კიდევ, მაგრამ „მე შენზე უკეთესი ვარო“ – არასოდეს იტყვიან, ყოველთვის შეუძლიათ სხვების არა მხოლოდ გაგება, არამედ თანაგრძნობა-თანაგანცდაც.

მეორენი ან საერთოდ არ იმეცნებენ (რაში სჭირდებათ რაიმე ახლის გაგება, თუ თავი იმთავითვე სრულქმნილი ჰგონიათ?!) ან მხოლოდ ის აინტერესებთ, რაც მათ ერთადერთობას და განუმეორებლობას ადასტურებს, რაც სხვებზე უპირატესობას აგრძნობინებს.

რაღა ბევრი გავაგრძელო და გრძნობა-გონებით მოაზროვნეს ეთნიკურთან ერთად სამოქალაქო იდენტობაც აქვს, რითაც სამართლიანობისა და თანასწორობის იდეის ერთგულია და ტოლერანტულია, ხოლო „დამგროვებლები“ კოსტუმირებული ქსენოფობები არიან. საშინლად აფრთხობთ და სძულთ ყველაფერი, რაც მათ მიერ „დატყვევებული“ ცოდნისგან განსხვავებულია. ამ გუნდის წარმომადგენელი არასოდეს იკითხავს „რა მემართება, რატომ მძულს?“ თვითონ კი გაფაცვიცებულია და თუ მისი ბრჭყალებისაგან არაქართველს იცავ, აუცილებლად გამოიძიებს - შენს პროტესტსთან რამე ნათესაური ხომ არ გაკავშირებს. ასეთი მოკამათეები იმ ბოლშევიკს მახსენებენ, არგუმენტი რომ გამოეღია და მოკამათეს უთხრა: აბა, შენი პასპორტი მაჩვენეო. კონკურსის „მის საქართველო – 2007“ გარშემო ატყვილობა

ხმაურმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ჩვენი საზოგადოება მხოლოდ ფასადურად არის ტოლერანტული. როგორც წინა, ხილული მხრიდან შეღებილი შენობების მიღმა ხშირად სიღარიბე და სიბინძურე სუფევს, ისე - დეკლარირებული შემწყნარებლობის უკან შეიძლება აგრესიული ეთნოცენტრიზმი იმალებოდეს.

## არაქართველი, მონატაცხები, ნასამართლავი MISS-ი

„მონაწილე არ შეიძლება იყოს ქორწინებაში ან ფეხმძიმედ. იგი არასოდეს უნდა ყოფილიყო ქორწინებაში ან განქორწინებული და არც ნამშობიარევი. პრიზიორი კი ასევე ვალდებული არ გათხოვდეს, სანამ იგი ამ ტიტულის მფლობელია“, – ასეთია მოთხოვნა, რომელსაც კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს. პირადად ჩემთვის, ასეთი პირობა, უკვე საკმარისი იქნებოდა, რომ ამგვარ ღონისძიებაში მონაწილეობა აღარ მიმელო. თუმცა, საქართველოში ამ იდეას ბევრი გულშემატკივარი და ტრფიალი გამოუჩნდა და 1997 წლიდან კონკურსი ყოველწლიურად ტარდება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კონკურსის მოთხოვნებს დაარღვევდა ის, ვინც სამოქალაქო ქორწინებაში იყო ან განქორწინდა. ასეთი აღმოჩნდა ვიცე-მისი, ნინო ლეკვიშვილი, რომლის საქციელი არავის განუსჯია, რადგან პირველი მისის ისტორია უფრო გემრიელი ლუკმა აღმოჩნდა ჩასაფრებული ადამიანებისათვის. მათ გაარკვიეს, რომ ლიკუჩოვა მონატაცხებია. არასრულწლოვანი გოგონას მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელთაც პოლიციას მიმარ-

თეს, საქმროს მხარე ნინოს ჯვარი მაინც დანერა. მოგვიანებით პატარძალმა, მოძალადის გრძელვადიანი პატიმრობისგან გადასარჩენად, ყალბი ჩვენება მისცა, რის გამოც ორწლიანი პირობითი სასჯელი მიიღო.

ნინო ლეკვიშვილის ისტორია არ გახმაურებულა და არც განხილულა, ხოლო ლიკუჩოვას ამბავი მედიის და საზოგადოების „საუკეთესო“ ნაწილმა ენაზე დაიხვია. მოკლედ, ყველაფერზე ილაპარაკეს – იმაზე, რომ თითქოს ის აფერისტია, ვაჟებს ჯერ მიჰყვება, შემდეგ კი მომიტაცაო – ამბობს და ფულს სძალავს, მის ნასამართლეობაზე, ეთნიკურობაზე, ქალწულობაზე, მაგრამ აღელვებულთაგან ცოტამ თუ იკითხა, თუ ვინ, სად, როდის და რატომ დაარღვია კანონი? არც ის წამოსცდენია ვინმეს, რომ „მონატაცხები“ და „ძალით ჯვარდანერილი“ ქორწინების იურიდიული სტატუსი არ არის.

თბილისის ინტერნეტ ფორუმის ერთ-ერთ მონაწილეს კი ნინოს რუსულმა გვარმა (მისი ქართული სახელი აქტუალური არ გამხდარა!) საბჭოთადროინდელი აფიორაც გაახსენა:

„...იმაში, რაც სკანდალად აგორდა შეუძლებელი ან ახალი არაფერია. „ბაღნებს“ არ გეცოდინებათ, მაგრამ იყო სსრკ-ში ადგილები, სადაც ხელფასის ნომინალს ძალიან მაღალი კოეფიციენტი ჰქონდა მიძიმე პირობების გამო, მაგალითად, უკიდურესი ჩრდილოეთი, ბამი და ა. შ.“

„მოსკოველმა და ლენინგრადელმა გოგოებმა ეს შემოსავლის წყაროდ გაიხადეს. კერძოდ კი, ჩადიდონენ, იქ ქორწინდებოდნენ და დაორსულდებოდნენ თუ არა – ბრუნდებოდნენ სახლში.





ბავშვს გააჩენდნენ და ქმარს მაშინვე გაეყრებოდნენ..

დაენიშნებოდა ბავშვს ალიმენტი – ქმრის ხელფასი 25%, რაც 250 მანეთს აღწევდა. თვითონ რომ ემუშავათ 100-150 მანეთზე მეტი ხელფასის შანსიც არ ჰქონდათ. ასე კი, უმუშევრად სახლში მისდიოდათ 200-250 მანეთი. მერე სადმე დროის მოსაკლავად იქნებ დაენყო კიდეც მუშაობა, მაგრამ რაც მთავარია, შემოსავალი განრანტირებული ჰქონდა და შეღავათები, როგორც „მაც ადინოჩკას“. ისე რეკორდისტებიც იყვნენ, ვინც ამ მეთოდს რამოდენიმეჯერ იყენებდა... „(სტილი დაცულია)

ხომ ხედავთ რუსი ქალების უზნეობას? ქართველები კი — პატრონს უმნიშვნელო ბარდებოდნენ და მათგან მამაკაცის მოტყუება, აბა, ვის გაუგონია?! მე კი ბევრისგან მსმენია, რომ ამ კომკავშირულ მშენებლობებზე გამწესებული ჰომო-სოვიეტიკუსი ვაჟები, საბჭოთა იდეოლოგიამირთმეულები, ქალის დანახვებზე გიჟდებოდნენ და ხშირად აუპატიურებდნენ მათ. მერე კი — ოღონდ თავიდან მოეშორებინათ და თავიანთ მამულში არ გამოჰყოლოდნენ - ყველაფერზე აწერდნენ ხელს.

ამ საყოველთაო აუტოდაფეს პროცესში საქართველოს პრესტიჟის გაუშავებაც აქტიურობდნენ.

– „ასარჩევი ნაღდად არ იყო, ვერც ჭკუა-გონებით ქაჩავს და გარეგნობაზე ხო საუბარიც არაა. (მაგაზე ბევრად ლამაზები იყვნენ იმ კონკურსზე). ხო, გვარიშვილობაზე არაფერს ვამბობ“.

– „მთავარი ის არაა, რომ ნასამართლევი და არც ის, რომ განათხოვარია. უბრალოდ სირცხვილია ვილაც უბრალო, ნათრევი ქალის გაშვება..“

– „რა შუაშია ბოლმე? უბრალოდ რეალისტი ვარ და სულ არ მინდა ვილაცა მახინჯი კრიმინალკა რუსი იყოს მის საქართველო...“ (სტილი დაცულია)

ვირტუალურ სივრცეში გრძნობებით შემმეცნებლებიც არიან, თავგამოდებით რომ იგერიებდნენ აგრესიულებს. მათგან ერთ-ერთმა ასეთი რამ დაწერა: „საქართველო მაგრად გავს სილაში თავით ჩაფლულ სირაქლემას. ვერა ხედავენო, ვერაო! საზოგადოებას შევახსენებ, რომ 1921 წლიდან საქართველოს მთვრობა არ ყოფილა მასში ნასამართლევი, გასამართლებული ან გასასამართლებელი პირი რომ არ ყოფილიყოს. რა ამ გოგოსი გაუკვირდათ, თუ მართლა ასეა?“

ამაზე უკეთესად შეუძლებელია ვუპასუხო იმათ, ვინც „მის საქართველო“ ვირზე შესვა და გამეტებით ესროდა ტალახის გუნდებს და ვისაც დღემდე ვერ გაურკვევია, რომ საქართველოში დაბადებული და მცხოვრები ყველა ადამიანი (გვარის, წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა და მას კანონი ისევე უნდა იცავდეს, როგორც ეთნიკურად ქართველს. ჩვენი ქვეყანა რომ სახელმწიფო იყოს, ნინო ლიკუჩოვა არაერთი ადამიანის და ინსტიტუციის წინააღმდეგ აღძრავდა საქმეს და მოიგებდა კიდეც სასამართლო პროცესს. მაგრამ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ადათნესობრივი სამართლით იმართება და იკვებება. მის წევრებს სახელმწიფო/სამოქალაქო სამართალი იშვიათად ახსენდებათ, რადგან საქართველოში კი დაიბადნენ, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებად ვერ იქცნენ.

### ნანა და მინალორა

ვფიქრობ, პირველი მისის ისტორია არა მხოლოდ სამართლებრივი კუთხითაა საინტერესო, არამედ ჩვენი კულტურის სერიოზულ ნაკლოვანებებს წარმოაჩენს. ამიტომ და, რა თქმა უნდა, - ნინოს მხარდასაჭერად, ერთი ისტორია მინდა გიამბოთ, რომელიც „ქალწულ-მოტაცებულ-განათხოვარის“ ერთ-თვიანმა ბზრიალ-ტრიალმა გამახსენა.



ნანა ჩემზე შვიდი წლით უფროსი იყო. ქალაქში ხშირად მწერდა წერილებს და სოფელში წიგნების ჩატანას მთხოვდა. მეც დაუზოგავად ვამარაგებდი. მაგრამ სკოლა დაამთავრა თუ არა, ანუ როცა გასათხოვარი გახდა, მაშინვე ვილაცამ მოიტაცა. მისი ოთხი ძმა და მამა სასწრაფოდ პოტენციურ მძახლებთან შესახვედრად გავარდნენ. დედა და უფროსი და კი — სახლში სხედან. მათთან ყოველ ღამე ქალები იკრიბებიან: გასათხოვარი და გათხოვილი ნათესავები; მარიამი — ჩემი უფროსი ბაბუდა, გაუთხოვარი, ღვთისმოსავი და სათნო; ჩემი უმცროსი ბაბუდა მინალორა — განათხოვარი და უშვილ-ძირო, რომელმაც მამისეულ სახლში მობრუნებისთანავე ერთი ძროხა „თვალო“ იშვილა და მასზე ზრუნვით გაიხანგრძლივა, როგორც თვითონ ამბობდა, „ღმერთისგან დავინწყებული სიცოცხლე“. მეც აქ ვარ. ამ ერთობაში, ჩემი ასაკის გამო, მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი მაქვს. სანამ საუბარი მშვიდი და აუღელვებელია, ვზივარ მუხლებზე ხელეხანჯობილი, მწყაზარი გამომეტყველებით და მხოლოდ თვალს ვამოძრავებ. ყურებიც დაცქეტილი მაქვს — იქნებ რაიმე თვითონ გავარკვიო, თორემ ჩემი დარდი არავის აქვს. ხოლო თუ ვინმე ხმას აუწევს, ვინცე ჩემი კოპლებიანი კაბის ქაჩვას მუხლებიდან ტერფებისაკენ ისე ძლიერად, რომ არშიები ნაკუნებად იქცევა და შემდეგი მღელვარე მომენტისთვის აღარაფერი მაქვს დასაქარ-დასაქუცმაცებელი.

შუალამა. ქალებს ზეზეულად დაეძინათ. მე თავი მინალორას კალთაში მიდევეს და მისი თავსაფრის ფორებს ვწნავ. უეცრად ძაღლებმა განწირული ყეფა ატეხეს. ყველა გამოფხიზლდა და დაბრუნებულ „ემისრებს“ მიეგება. იმეგაცრუების და უკმაყოფილების მათ არაფერი ეტყობათ. გაირკვა, რომ ამ „ვაჟკაცებმა“ ნანა მოძალადის ოჯახში დატოვეს, რადგან „ყველაფერი უკვე მომხდარიყო“. პირველი მინალორა წამოვარდა, ნანას მამას ჯოხი მოუღერა და უთხრა: „დაწყველოს მამა ზეციერმა, იმ ტურას როგორ დაუტოვე შვილი?!“ ამის გამგონე გასათხოვრებმა და გათხოვილებმა ერთხმად, ბატებივით კისერნა-გრძელებულგება, შესძახეს: „გაჩუმიდი, გაჩუმიდი, ნადი სახლში! აბა, შენსავით განათხოვარი და მარიამივით გაუთხოვარი უნდა იყოს?!“ შეურაცხყოფილმა მარიამმა ლეჩაქი გაისწორა, ხელი ჩაიქნია და ჩემდა გასაკვირად - კარი გაიჯახუნა.

ის ღამე მინალორამ კარგა ხანს ვერ დაიძინა, ოხრავდა და ტიროდა. დილით ადრე თვალს დააპურა, მე რძე დამალევი-ნა და ყანაში გავარდა. ბაბუაჩემს წერილად მოვუყევი მთელი ამბავი და ისიც, როგორ აწყენინეს მის დებს ქალებმა, რაზეც რამინმა მითხრა : „ასეა, - გასათხოვრებულსა და გათხოვილებს არ უყვართ გაუთხოვრები და განათხოვრები!“

ორი კვირის თავზე ნანას სახლში სუფრა გაშალეს და მეფედედოფალს ელოდებიან. მთელი სოფელი ჩართულია სამზადისში. საღამოს გამოჩნდნენ სტუმრები. ჭიშკარი ფართოდ გამოსხნეს და მყარად დაიდრა.

უეცრად დამხვდურთა გუნდს პატარა ქალი გამოეყო და ნანასკენ გაიქცა, სახეზე ხელები დაუსვა და გადაკოცნა, ხოლო სიძეს - რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაულანუნა და შეაფურთხა კიდეც. ატყდა ჩოჩქოლი, დავიდარაბა. ისევ ქალებმა იმარჯვეს და მოხუცი ეზოდან გამოიყვანეს. მეც იქ ვიდექი და თვალები დავქაჩე, როცა მინალორამ ხელი ჩამავლო და სახლისკენ გამაქანა. როგორ ვერ ვიცანი ჩემი განათხოვარი, სამართლიანი და გაბედული ბაბუდა?! გახარებულგებას პირი უნებურად გვეხსნებოდა, ტუჩებს თავს ვერ ვუყრიდით და გული გამალებით გვიცემდა, - სწორედ ისე, როგორც გამარჯვებულგებს!

იმ ზაფხულს, ქალაქში მომავალს, ნანა კი შემხვდა, მაგრამ წიგნები აღარ დაუბარებია!







# ჩანაწერები ლონდონის შესახებ

ავტორი: აკა მორჩილაძე  
ფოტო: ბასო უზნაძე



მგონი, სწორედ რომ ათი წლის წინათ ვიყავი პირველად ლონდონში.

ფეხბურთი იყო: ინგლისი-საქართველო და მივლინებაში მოვყევი.

ბავშვობიდან მინდოდა იქ წასვლა და იმასაც კი ვფიქრობდი, დავრჩები-მეთქი, მაგრამ თამაშზე რომ მივდიოდი, დარჩენაზე უკვე აღარ ვფიქრობდი. მაშინ რომ დავრჩენილიყავი, ახლა ბრიტანული პასპორტი გვექნებოდა მეც და, ალბათ, ჩემი ოჯახის წევრებსაც, მაგრამ, ეს რალა სალაპარაკოა? ისე გამახსენდა, შემთხვევით. იმ დღეს მე და ერთი ძველი მეგობარი ვლაპარაკობდით, რომელმაც ასევე ვერ მოახერხა ისე ცხოვრება, რომ იქ სამუდამოდ დარჩენილიყო. კაი რამე თქვა: ჩვენო, ვინც ადრე მივდიოდითო, ისე ვიყავით, რომ იქაურობის ყურებას გვყოფნიდა, ნაოცნებარის შეგრძნებაო, ახლა სულ სხვა მიზეზით მიდიანო.

თუმცა, ეგეც აღარ არის სალაპარაკო. როდინდელი ამბავია.

რომ მივდიოდი ერთი ზურგჩანთა მქონდა, სულ პატარა, მამაჩემმა ჩამოიტანა ჰოლანდიიდან და რახან ბარგსა და ბაგაჟს ისე-

დაც ვერ ვიტან, ეს ზურგჩანთა მყოფნიდა, სანამ თავის ბარგიანად დამეკარგებოდა სულ სხვაგან. იმ ზურგჩანთაში იდო პასკა, რომელიც დანიშნულებისამებრ უნდა მიმეტანა და მგონი ყველიც, სავარაუდოდ, სულგუნნი. მეტი არც არაფერი, ორი მაისური და ნუუუ... გასაგებია.

პირველივე მეტაჟემ გამაჩერა.

საკვირველია, რომ იმის შემდეგ, ჰითროუსი აღარასოდეს გაუჩერებია ვინმეს: არც კი შემოუხედავთ. ვიცი, რატომაც, მაგრამ ახლა ამის მოყოლა არ ღირს.

გამაჩერა და დიდხანს, დიდი დაკვირვებით უმზერდა პასკას. მე კი ვუთხარ: ორთოდოქს ისთა ქეიქი-მეთქი. მართლამდიდებლური სააღდგომო ნამცხვარია-მეთქი. მარტო არ ვიყავი, მე და ილო ბაბუნაშვილი ჩავფრინდით ერთად და ორივენი გაგვაჩერა იმ მეტაჟემ, მგონი, ის არ მოეწონა, რომ თამაშზე მივდიოდით: ჯერ ფრთხილად გვკითხა, ინგლისური გაზეთიდან ხომ არ ხართო და უარი რომ მიიღო, ჩანთებს მიადგა.

მე ის შელავათი მქონდა, რომ სასტუმრო არ მჭირდებოდა, ჩემები უკვე იქ ცხოვრო-





ბდნენ და მათთან უნდა გავჩერებულიყავი: ერთი ბენო ბინა ჰქონდათ შეფერდს ბუშ გრინის ჩაყოლებაზე.

ტერმინალიდან პირდაპირ მეტროში აღმოვჩნდი: პირველი ადამიანი, ვინც იმ მეტროს ვაგონში დამამასხოვრდა, მობილურზე იტალიურად მოლაპარაკე ბაკებიანი და ტყავისკურტიკიანი ჯეილი იყო, მეორე: მწვანედ თმაშეღებილი პანკი, რომელიც ვაგონში შემოხტა და კვილითა და ხტომა-ხტომით გაირბინა ბოლომდე, მერე კი მატარებლის დაძვრამდე მოასწრო გასვლა.

პირველი ლონდონი, რომელიც დავინახე, ჰამერსმიტის გადასასვლელი სადგური იყო: გადაჯდომა მჭირდებოდა, ოღონდ ისე, რომ მინის ზევით ამოვსულიყავი, ქუჩა გადამეკვეთა და სხვა სადგურზე ჩავსულიყავი. აი, ეგრე ამოვედი და დავინახე უამრავი ხალხი ნითელი შუქნიშნების ქვეშ. ამდენი გარინდული ხალხი, მზიანი დღე, კაი ტკბილი სახლები და ფართო ქუჩა, უზარმაზარი.

უცებ აინთო მწვანე და ეს ხალხი დაიძრა აქედან და იქიდან. ის მწვანე გამიცდა: ამათ მისვლა-მოსვლას ვუყურებდი.

მერე შეფერდს ბუშ გრინზე ვნახე ადამიანები, როგორებიც არასდროს მენახა: ბობ მარლისნაირი კაცები, რომლებიც, თურმე, პლანს ყიდდნენ, ლიმინსფერკოსტუმინი თეთრთმიანი შავკანიანი გოგო, რომელსაც ტურში რგოლი ქონდა გაყრილი, საფოსტო ოფისის პატრონი უსიმპატიურესი ცოლ-ქმარი, პაბის წინ კათხებით მდგომი ნაკოლკებიანი ბიძები, ბედ-ენდ-ბრექვასტის სასტუმროების მთელი ქუჩა, პირდაპირ ქუჩაზე დანყობილი ანანსებით და პაპიათი სავსე ყუთებით, ჰოლანდიელი ყასბები სისხლით მოუთხვრელ თეთრ ხალათებში და მანქანები, რომლებიც ერთმანეთს გზას უთმობენ და მძღოლები, რომლებიც ხელის აწევით იხდიან მადლობას და კიდევ, ვიგრძენი ინდური რესტორნიდან გამოვარდნილი სურნელი. ამის მიუხედავად, მაშინ ტურისტით ვიყავი. ახლა რომ ჩავდივარ, ნამდვილად აღარ ვარ ტურისტით.

ლონდონი ისეთი ქალაქია, რომ ყველა ჯერზე რაღაც ახალი გხვდება. მაგალითად, ტაქსიტმა შეიძლება გითხრას, რომ მისი კარის მეზობელი ქართველია, შენი მეზობელი

კი მალაელი თავადი გამოდგეს. ეს სრულიად ჩვეულებრივი რამაა. თან ლონდონი ისეთი ქალაქია, რომ სიახლეს გრძნობ, მაგრამ, იმის შეგრძნებაც არ ქრება, რომ ყველაფერი ისეა, როგორც იყო. უცხოელი აქ უცხოელია, მაგრამ, მთლად უცხოელიც არ არის.

წლევანდელი ლონდონის თვალში საცემობა ჩემთვის პოლონელების სიჭარბეა. პოლონელებმა ბრიტანეთში მუშაობის უფლება მიიღეს. პოლონეთი ევროკავშირშია. ლონდონისთვის არავინ უცხო არ არის, არცერთი ერის კაცი. მითუმეტეს, არც პოლონელი. ლონდონის უკიდურეს დასავლეთში, არის ერთი წყნარი გარეუბანი ილინგი, თავისი ბროდვეით და ავენიუთი. აქ პოლონელები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროიდან ცხოვრობდნენ, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს გამორიდებულები, აქ პოლონური მალაზიები ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა ევროკავშირი არ არსებობდა, პოლონელი გენერლის ძეგლი, პოლონური კულტურის ცენტრი და ასეთი რამეები ჩვეულებრივი ამბავია ამ ქალაქში, მაგრამ, ასე თვალში საცემი მატება მოულოდნელიც კია უცებ. ქუჩაზე ვერ გა-





ვლი, რომ პოლონელი არ დალანდო. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა, რა თქმა უნდა, ბედის-მადიებელი. ოჯახები, მარტოხელები, სტუდენტები, ძიძები, კომიუნისტები. არ ვიცი. როცა პოლონეთს ევროკავშირში იღებდნენ, მგონი, საფრანგეთში გაჩნდა ტერმინი ფოლიმ ფლამბერი, პოლონელი სანტექნიკოსი, რომელიც მოვა და ადგილობრივს სამუშაოს წაართმევს.

ახლა ფოლიმ ფლამბერი ლონდონშია და თავდაუზოგავად შრომობს. შეგშურდება ისე. მე კიდევ ბილდერები მომწონან. ბილდერები ის ხალხია, ჩვენთან რომ ხელოსნებს ეძახიან. ძნელად იპოვი ქუჩას, რომ რომელიმე სახლს ხარაჩო არ ჰქონდეს მიდგმული და ზედ ბილდერი არ ირწოდეს ლიდინით. რემონტი, ამბავი, რამე, რუმე, ბილდერის და ფლამბერის საქმეა. ეს ლონდონის ძველი მუშათა კლასის ნამდვილი გაგრძელებაა, ისევე, როგორც მტვირთავები, მეშუშეები, ლუდის მოყვარული ბიჭები. ბიჭები რა, კაცები არიან, ოღონდ ბიჭებს რომ ეძახიან, ისეთი კაცები. სვირინგებით, ჯინსის კომბინიზონებით, დიდი ბატინკებით, მოსწრებული

კოკნი სიტყვა-პასუხით... ჰოდა, ამ ბოლო დროს ესენი ძალიან შეავიწროვეს პოლონელმა ბილდერ-ფლამბერებმა, რომლებიც მეტს და უფრო იაფად მუშაობენ. როგორც იტყვიან: ცხრიდან ცხრამდე. ლონდონელი ბილდერი კი ნაშუადღევს შეწყვეტს საქმეს. პოლონელებს უკვე ყველგან აქვთ სამშენებლო ფირმები, დაჰქრიან ფურგონებით, შრომობენ, შრომობენ.

რატომ არ უნდა მისცე ასეთ ხალხს მუშაობის უფლება? ილინგში პოლონელი აღარასდროს დაიღვევა, თუ მოემატება თორემ...

თქვენ ყიდულობთ ხილს სუპერმარკეტში? მე თუ მკითხავდით, გირჩევდით, რომ ხილი თურქულ და ბერძნულ მაღაზიებში შეგეძინათ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო იაფია, არამედ იმიტომ, რომ უფრო ნამდვილია. ჰოდა, აი, შეხვალ ვთქვათ, კარგ თურქულ მაღაზიაში და პურის თაროზე ხედავ პოლონურ პურებს. ლონდონში თურქულ მაღაზიაში პოლონური პური იყიდება და ამას ქართველი ყიდულობს.

მეტი რაღა გინდა ამ ქალაქის? ლონდონის ერთა ისტორია ისეთ გემოებს

და მოულოდნელობებს შეიცავს, ისეთი მორგებული საინტერესოა, რომ მთელი ამ ამბის აღწერა შეუძლებელია.

შინაურულად რომ მოგახსენოთ, ისტ ენდი მიყვარს და იქით კაი მგზავრობა გინევს კაცს. საათი, მეტი... იქით ჩემი ამხანგები ცხოვრობენ და პატარა რესტორანი აქვთ, მათთან მისვლა სხვა სადგურიდანაც შეიძლება, მაგრამ მე ბეთნალ გრინზე ამოვივივარ ხოლმე. იქიდან გრძელი და სწორი გზაა და მერე ჩასახვევი, უკაცრიელი, ქარხნის მილით დამშვენებული წყლისპირი. იქ რომ ჩავივლი ხოლმე, მგონია, რომ ქართლის რომელიღაც სოფლის ბოლოში ჩავუხვები, გაუქმებულ ფერმასთან. მაგრამ ასი ნაბიჯი და, მარჯვნივ თუ გაიხედავ, უკვე ბროდვეი მარკეტი იწყება. ბროდვეი მარკეტი კი, საუცხოო ქუჩაა, სადაც ლონდონის ერთ-ერთი საუკეთესო პაბი, დოუვი მდებარეობს. ისტი ეძახე, აქეთ ისეთი გემრიელი და თბილი ადგილებია. დაბლა ჰო ჰაკნი მარშებია, მინდვრები, კორპუსები, უბედურება, რა ვიცი, კრიმინალიო, სიღარიბეო და რას აღარ ამბობენ ხოლმე. მე დიდად არ შემომჩნევია, თუმცა,





დამით ღრიალები კი გამიგონია. ახლა იქ ოლიმპიადისთვის ემზადებიან. მთელი ლონდონის ოლიმპიადის ისტ ენდზე გადაივლის და როგორც ამბობენ, იქ დილერები მთელს ქუჩებს ყიდულობენ: ოლიმპიადის ახალი სახლები და დარბაზები სჭირდება. ერთიც ვნახოთ, როგორი იქნება ჰაკნი მარშები ოლიმპიადის შემდეგ. სიძველეთა ბაზრობები ნახმარი ტანსაცმლის კილომეტრები და ასეთი რამეები, ალბათ, კვლავაც არსად წავა. ეს ის ადგილებია, სადაც ოდესღაც მშინგავი ჯეკი დაბოდილობდა, სპიტელფილდ მარკეტი, შორიასლო სახელგატეხილი ბარებით, მთელი ამბებით... იქ ბევრი ბანგლადეშელი შეგვხვდება, ქუჩაშიც და ბაზრობებზეც. იმათ სულ არ იციან ინგლისური. ტანდაბალი ხალხია, რალაცა თავისი ამბავი აქვთ. ისტ ენდი ყოველთვის ინტერნაციონალური იყო: ადრე ბევრი ებრაელი სახლდებოდა, მერე სხვებიც. ქალაქიც ესაა, მე თუ მკითხავთ... ყველაფერი უნდა მიიღოს, გადახარშოს და მოირგოს: მდიდარიც, ღარიბიც...

გამოაღწევ სპიტელფილდიდან, გაიხედავ მარჯვნივ და, აჰა, სიტი. თავზე სიტი წამოდგო-

მია აქაურობას. სიტი ხომ მოგეხსენებათ: სიტიდან მსოფლიო იმართებაო, ამბობენ.

ამისა მე არაფერი ვიცი, რა და როგორ იმართება და ის ჭკვიანი ხალხი ვინ არის. მე ვიცი, რომ სიტში გავლაც მიყვარს. ეს ამხელა სახლები წამოგფარებია და რალაცნაირი სიმშვიდეა. ქუჩებში ხალხი ძალიან ცოტაა, იმდენად ცოტა, რომ სიჩუმეა. ეგრე უნდა იყოს, იქ ვის სცალია ქუჩაში სასიარულოდ? სიტია და მორჩა. ამ სიმშვიდის გამო დააფასებ, თუმცა პირადად ჩემთვის, ხალხი კი ცოტაა ქუჩაში, მაგრამ ჰალსტუხი მაინც ბევრია. სიტია. რას უზამ? ჰალსტუხი, ბრტყელი ოქროს ბეჭედი, კაი კოსტუმი, საბანკო ავტომატები ყოველ ფეხის ნაბიჯზე... თუმცა, ვერ გაიგებ, საბანკო ავტომატი უფრო მეტია, თუ თვითონ ბანკი. კაი სალანჩე ადგილებია სიტში, ფული თუ გაქვს, რა თქმა უნდა. სიტისიცი ერთი უცნაური ამბავი ვნახე, ბანკში ვიყავი და შეხვედრა მქონდა ერთ კაცთან, რომელსაც არ ვიცნობდი. ძალიან იტალიური სახელი და გვარი ჰქონდა, ვთქვათ, მარიო გალანტი. მოვიდა კაცი და გამოდგან ინდოელი, ან პაკისტანელი. არც მახსო-



ეს, რა ილაპარაკა, სულ იმას ვფიქრობდი, ეს კაცი მარხო გალანტე როგორ შეიძლება იყოს-მეთქი. ეტყობა დასჭირდა და გახდა. რა ვიცი. ასეთი რამეებიც ხდება, თუმცა, წარმოუდგენელია, რომ ლონდონში კარიერისთვის მარხო გალანტე დაირქვა. იმიტომ რომ აქ, ვთქვათ, თიბალ სინგლი არანაკლებ შინაურია, ვიდრე მარხო გალანტე. ლონდონის ყველაზე მეტკლიენტინი კერძო ექიმი ინდოელია, ტელევიზორში თვალს მოჰკრავ კაცს, რომელსაც ლორდი აჰმედ როტერჰემელი ჰქვია და ასე დაუსრულებლად. მილიონერთა სიებშიც სრული ინტერნაციონალია და საერთოდ, ძალიან დიდი ხანია, რაც აქ მთელი მსოფლიო ტრიალებს და შინაურულად ცხოვრობს. სიტყვა ტოლერანტულობა, ლონდონში მნიშვნელობა დაკარგულია. ეს ტოლერანტულობაც აღარ არის.

მხოლოდ ტერაქტებმა გამოაცოცხლა ფიქრი, რომ ლონდონის მეჩეთებში ზოგჯერ არცთუ მხოლოდ სიყვარულზე ლაპარაკობდნენ. და დისკუსია იმის თაობაზე, უნდა ეკეთოს თუ არა ადამიანს რელიგიური ნიშნები? ერთი თავსაფრიანი გოგო სამსახურ-

ში არ მიიღეს და მან თითქოს იგრძნო, რომ დამნაშავე მისი თავსაფრიანობა იყო. ერთ სტიუარდესას უფროსმა უთხრა, ჯვარი ან მოიხსენი, ან დამალეო. ოჰ, დიდი დისკუსიები იყო. რა ვქნათ, რომ ერთმანეთი არ გავალიზიანოთ?

ერთმა იქაურმა მეგობარმა მიაბო ლიცეუმის მონაფეთა საერთოევროპული გამოკითხვის შესახებ. მოზარდებს სთხოვდნენ, რომ დაესახელებინათ მათი ქვეყნის ხუთი უმთავრესი პრობლემა. ყველა გამოკითხვაში პირველ ადგილზე იმიგრაცია იყო: არადასავლეთეევროპელების მოზღვავება მათ ქვეყნებში. ბრიტანულ გამოკითხვებში ეს პრობლემა ხუთეულშიც კი ვერ მოხვდა. არადა, ლონდონის შემხედვარე, იფიქრებ, როგორ იტევს, რამდენს იტევს, როგორ ხარშავს... მარტო ჩემისთანა იქ მოყილე რამდენია, ისეთ ადამიანზე რომ არაფერი თქვა, ვინც თავისი ბედის გამოჭედვა ამ ქალაქში გადანყვიტა?

– ჩვენ სწორედ ამით ვამაყობთ, – მითხრა იმ მეგობარმა – იმით, რომ ეს საკითხი ხუთეულშიც კი ვერ მოხვდა.

ლონდონი კი, თან იცვლება და თან არა.





ინდოელი და პაკისტანელი აქ უცხოელად საერთოდ არ ჩაითვლება. განსხვავება მათ შორის უზარმაზარია, მაგრამ ლონდონიც ამისა, რომ განსხვავებებს ყურადღებას არ აქცევს, ის, უბრალოდ, ისრუტავს მთელს მსოფლიოს. მგონი, ისევ უნდა გავიმეორო, ამდენის დამტევი, შემთვისებელი და გამცემი ქალაქი ძნელი საპოვნელია. აბა, საუსპოლში თუ მიხვდებით, რომ ლონდონში ხართ? მგონი, მაინც მიხვდებით. საუსპოლი ლონდონის ინდოეთია, ისევე, როგორც ნოტინგჰილის კარნავალია ლონდონის ვესტ ინდოეთი. საუსპოლი ნამდვილი ინდოეთია: ბოლივუდის ფილმებით, ინდური სურნელოვანი სახრჩოლებლებით, ქარის სანელებლებით და რა თქმა უნდა, ხალხით. არ ვიცი ბომბეი როგორია, მაგრამ საუსპოლში რომ მოხვდები, აშკარაა, რომ ინდოეთში ხარ. ეს შესაძლოა მოულოდნელია პირველი ვიზიტისას, მაგრამ ეს იმდენად ბუნებრივი ლონდონია, რომ გასაკვირი არაფერია. ევროპაში ყველაზე დიდი მეჩეთი, მგონი, ლონდონის მეჩეთია, ხოლო შავკანიანთა გაზეთი “ფიფლი” მგონი, ასევე ერთადერთია ევროპაში. ამდენ “მგონის”

იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი რამეები არ მიკვლევი, უბრალოდ, მინახავს და ისევ მგონი, ინგლისი საერთოდ არაა ევროპა, ხოლო ლონდონი კი სულ ცოტათია ინგლისი. იცით, რა არის ბოლივუდ ფართი? მოდით, ამ საღამოს ინდურად ჩავიცვათ, ინდურად ვჭამოთ და დავლიოთ და აინდრადვე ვიცეკვოთ. სარი და ლონდონელი ქალები. სარის ჩაცმას მორგება, ცოდნა უნდა, სწავლა: ცეკვას მონდომება... იცით, რატომაა ლონდონი ასეთი ღია და ყველაფრის დამტევი? იმიტომ, რომ აინტერესებს, უფიქრდება და არ გაუზრბის. ბროდვეი მარკეტზე კი, სრულიად მოულოდნელ ადამიანებს ნახავ, ვთქვათ, ფოტოგრაფ ქალს, რომელიც წუხელ დაბრუნდა ავღანეთიდან, ანდა მუშათა პარტიის ადგილობრივ ლიდერს, არტურ შუტერს, რომელიც კაპიტალისტებს ებრძვის. ასევე, ქუჩის მაცურებელ ბიჭებს, რომლებსაც ძალიან უცნაური მაფია აქვთ და კანონში ნაპოვნი ხვრელების ანდა სირბილის წყალობით, ათას რამეს ჩალიჩობენ. იცი, როგორ არი? ვთქვათ ლტოლვილობას ჩალიჩობ, ან საერთოდაც, არალეგალურად ხარ. თუ ცარიელ სახლში

შეხვედი და დასახლდი, ბარე სამი თვე უნდა სასამართლოს და შენს იქედან გამოსახლებას. ეს ბიჭები კი მოვლენ და რაიმე ფასად ეგეთი ბინის ან, უბრალოდ, ფართობის გასაღებს მოგცემენ. სახლიც გაქვს ერთხანს და შენს საქმეში სოციალური სამსახურებიც ერთვებიან, ვინმემ რომ არ დაგჩაგროს. სიჭრელე იქეთ იყოს და უფლებებისგან დაიხრჩობი. ადრე, ერთ ჩემს ამხანაგს ჩხუბი მოუვიდა ვაითლის წინ. ვილაც არაბმა ქუჩაზე ფეხზე ფეხი დააბიჯა და არც მოუხედა, ისე განგრძო გზა. ამან თბილისურად მიაძახა, ოეო, იმან მოიხედა და არაბი და ქართველი ხომ იოლად მონახვენ საერთო ენას იმაში, რაც საერთო აქვთ? ატყდა ჩხუბი ზედ ვაითლის წინ და რომ დაარტყა ქართველმა, წაფორხილდა არაბი და გადავარდა მანქანების სავალ ნაწილზე და დაეჯახა მანქანა. ნელა მომავალი, რა თქმა უნდა. მოკლედ, ეს ჩემი ამხანაგი იქვე დაიჭირეს და გააქანეს პოლიციაში, სადაც ნახევარი დღე დაჰყო და ახლა აცხადებს, რომ იქაურ პოლიციაში ყოფნა, ერთ-ერთი საინტერესო დღე იყო მის ცხოვრებაში. როდესაც ჩემი



უფლებები გამაცნეს, ვიფიქრე, ეს რა მაგარი ვინმე ვყოფილვარ და აწი რაღა მიჭირსო. დღის ბოლოს გამოუშვეს. არაბი, რა თქმა უნდა, ჩვენებურად მოიქცა, არ იჩივლა.

რას გვეუბნებოდნენ ბავშვობაში? იქ სულ წვიმს და სულ ნისლიაო.

მინახავს დეკემბრის ნისლები ლონდონში, როგორ არ მინახავს: ადრე რო ჩამობნელდება ხოლმე, და რო ჩამოაფენს ყვითელ-ყვითლებს. ზუსტად ასეა, სიბნელეში, ყვითელ-ყვითლებს. ეგ კი არა, ისიც დამინახავს, მელიები როგორ გადარბიან იმ ნისლებში ცარიელ ქუჩაზე. ესეც ლონდონია.

საერთოდ, ლონდონში ყველგან პარკია, ანდა გრინი. გრინი, მოგესხენებათ მწვანეს ნიშნავს. გრინი პარკი არ არის, გრინი უბრალოდ, მოლია, ვქვათ, ორ ქუჩას შორის, სადაც, თუ ამინდია, მიდი და წამოგორდი. აჰ, როგორ ელოდებიან ხოლმე ლონდონში პირველ ნამდვილ, ოდნავ კბენია მზეს, მთელი ქალაქი გაეფინება ხოლმე გრინებზე და საერთოდ, ინგლისელები მცივანანი არ არიან, ზამთარში შორტებით სკოლაში სიარული, უცხო რამ სულაც არ არის. მოდის ბიჭი,

მოკლე პალტო აცვია, ქვემოთ კი გალურჯებული ფეხები მოუჩანს. დიდებსაც უყვართ ასე, მაისურით მოარულთა რიცხვიც გვარინია. ეს კარგი ვარჯიშია, სიმართლე რომ გითხრათ, რახან თვითონაც არა ვარ მცივანა, ეს ამბავი ძალიანაც მომწონს. მშვენიერია.


პირველად რომ ვიყავი იქა, რა თქმა უნდა, ესენი არაფერი ვიცოდი, არც ჩართი მალაზიების შესახებ გამეგონა რამე, სადაც ფუნტად, შესაძლოა გადასარევი ნიგნი იყიდო, შენი ფუნტი კი საქველმოქმედო საქმეს მოხმარდეს. არც ის ვიცოდი, რომ ჟურნალ “ბიგ იშუას” მხოლოდ უსახლკარონი ყიდიან და აღებული ფული პირადად მათია. არც ის, რომ კვირა დღით ბევრი არაფერი სჯობს შენი უბნის კრიკეტის კლუბში წასვლას, იქ გქელ საკმზე ჩამოჯდომას სქელი საკვირაო გაზეთებით და კრიკეტის ცქერას. ეს თამაში მაშინ ისეთივე ამოუცნობი მეგონა, როგორც, ვთქვათ, რა მომელის სიკვდილის შემდეგ. ახლა ყველაფერი ვიცი, მოგეცა ლხენა: კრიკეტი შედგება სამი რამისგან: ფილდინგ, რანინგ და ბეინგ და მსოფლიოს მრავალი თამაშისგან იმით განსხვავდება, რომ ცალი

თვალთ მისი ყურება ძალიან სასიამოვნოც კია. თუ მოგშივდა და აგე, ბეკონიც შიშხინებს კლუბის სამზარეულოში. ბეკონის შიშხინი, მგონი, ყველაზე განთქმული ინგლისური ხმაა, იმის მიუხედავად, რომ როლინგ სტოუნზი დღესაც მღერის, ხოლო პოლ მაკარტნის კვლავაც თეთრი ბოტასები აცვია.

ჰო, კრიკეტის კლუბის გრძელ სკამზე ახლაც კი ჩამოვჯდებოდი, იმის მიუხედავად, რომ ბევრი საქმე მაქვს. ზიხარ და უყურებ, როგორ ავარჯიშებენ ბავშვებს მწვრთნელები: ერთი იამაიკელია, მეორე ინდოელი, მესამე ინგლისელი. კრიკეტიც ისეთი თამაში გამოდგა, რომ ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში უპირველს რამედ ითვლება. ამიტომ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანს შესაძლოა, ნასირ ჰუსეინი ერქვას, ხოლო მთავარი ვარსკვლავი იმრან ხანი იყოს. ეს ისეთი ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ის, რომ უგანთქმულესი ინგლისელი მწვრთნელი სალმან რუშდი, ჰანიფ კურეიში და კაძურო ისიგურო იყვნენ.

აჰ, როგორ იცის ლონდონი ჰანიფ კურეიშიმ. სულ ძირისძირამდე. ბოლომდე. თავისი





უსაშინლესობით. ეს ამხელა, ასე მოძრავი ქალაქი და ამდენი ტრადიცია. გადაშლილი გაზეთს და წაიკითხავ, რომ მავანმა აზიელმა თავისი ქალიშვილი მოკლა, იმიტომ რომ, შეიტყო, ევროპულ ყაიდაზე, ბოიფრენდი გაეჩინა უჩუმრად. განა ეს არ არის? არის. თან ეს მენტალიტეტთა სიჭრელის ყველაზე მძიმე მაგალითია. მაგრამ, ლონდონიც ეს არის.

ერთი ძველი ამბავი ასეთია: სადღაც შორს, აზიის მთებში, იმ კოლონიების დროს ინგლისური მმართველობა იყო. იქ მცხოვრებ პატარა ხალხს კი ტრადიცია ჰქონიყო: ქმარი რომ მოკვდებოდა, ცოლსაც ზედ მიაყოლებდნენ, იმ ქვეყნად ერთად იყვნენო. იქ მმართველ გენერალს ეს შეუტყვია და დაუბარებია ამ ხალხის ლიდერები, ეგ აღარ ქნათო. იმათ კი მიუგიათ, ასეთია ჩვენი ტრადიციაო. ჰოო, გენერალს უთქვამს, მაშინ, ვინც ქალს მოკლავს, იმას ჩვენ მოვკლავთო. რატომაო, შემფოთებულან ისინი. ასეთია ჩვენი ტრადიციაო – უპასუხია გენერალს.

ლონდონი მენტალიტეტების და ტრადიციების თანამშრომლობაა. ამხელა მორევში, იოლი არაფერია, მაგრამ, ეს თანამშრომლობა

რომ არ იყოს, ამ ქალაქს რა გადაარჩენდა?

თუმცა, ეს კი არ ვიცი, გახდება თუ არა ოდესმე რომელიმე პოლონელი ინგლისელ მოკრივეტეთა ნაკრების წევრი. ამას არც აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ, საინტერესოა.

რა ვიცი, ეგრე რო მიყვე, ლონდონს რა გამოიღვეს. უმაღ ფული გამოიღვევა ლონდონის ბანკებში, ვიდრე ლონდონი გამოიღვევა ლაპარაკში.

ბოლოჯერ რომ ვიყავი, ამ გაზაფხულზე მებაჟეებს კვლავ არ შემოუხედავთ, გამშვებმა გოგომ კი მასლაათი გამიბა, რატომ ჩამოხვედი და სად ჩამოხვედიო, მე სრულიად დაუფიქრებლად მივუგე, წიგნის დასაწერად მეთქი. ტკბილი საუბარი გამოგვივიდა, ფული იმოვე წიგნებითო? მე ვუთხარი, ჯერ ვერამეთქი. ხოოო, სამაგიეროდ, როგორც გინდა ისე ცხოვრობო, ხომ ასეაო? დაახლოებით მეთქი. მთლად ასე როდის ყოფილა? დაჰკრა ბეჭედი და შევედი ლონდონში.

კიდევ მოვყვებოდი რამეს, მაგრამ სხვა დროს იყოს... იმხელაა და ისეთი ღრმა, ბარე ორ დაივინგის ოსტატს ჩაითრევს. ლონდონია, ამდენი და ასეთი სხვადასხვანაირი.

# ბიორები ნაკაშიძე და სხვები, სხვები, სხვები

ავტორები: ანა კორძია-სამადაშვილი და სხვები, სხვები, სხვები

ფოტო: ლევან ხერხეულიძე და სხვები, სხვები, სხვები

*“წარმოიდგინე, რამდენნაირი კარი არსებობს. ჯერ თავად რამდენი გინახავს და კიდევ რამდენი იქნება. ყოველი ამ კარის მიღმა ახალი სამყაროა, გამოაღებ და – უჰ!”*

*გიორგი ნაკაშიძე, “ცხელი შოკოლადისთვის”  
მიცემული ინტერვიუდან*

როცა პატარა ბიჭი იყო, ძალიან უყვარდა სახლში მარტო დარჩენა. დადიოდა ხოლმე ოთახებში და ისმენდა, ირგვლივ რა ხდებოდა: გამონევედა უჯრას — უჯრა დაიჭრიალებდა, მხოლოდ მისთვის, მის გასაგონად; ქარი დაუბერავდა, ფარდას ააშრიალებდა — ესეც მისთვის. ნეტა, რა ხდება ხოლმე, როცა სახლში არავინაა? ალბათ, არაფერი.

გარეთ მტრედეები ლულუნებდნენ და პატარა ბიჭს ეგონა, რომ კედელს მიღმა ვიღაცა რაღაცას ჩიოდა, ტიროდა, რაღაცა უბედურება დატრიალდა, და ეს ცუდი იყო. ზემოდან რადიოს ხმა ისმოდა, რუსული გადაცემა, და საერთოდ, სახლში ათასგვარი სასწაული ტრიალებდა.

მაგალითად, ბებიას იდეალი, ყველაზე კარგი ნამცხვარი ამქვეყნად. მთელი ამბავია: მიხვალ მაგიდასთან, ქვაბს ახლოს მოინევი, ახდი თავსახურს და იქიდან ისეთი სურნელი ამოვარდება! ყოფილ ვორონცოვის, შემდეგ მარქსის და ახლა სააბრიუკენის მოედანზე, ბებიას სახლთან, საშაქარლამოც იყო, მაგრამ იქაური ნამცხვრები ბებიას იდეალთან სად მოვა!







...  
 წამიკითხავს, რომ ამ თამაშს გერმანიის თეატრებში ხშირად მიმართავდნენ ხოლმე იმის დასადგენად, თუ რამდენად “შეიჭრა როლში” მსახიობი. ამ თამაშს მესამე რაიხის დაცემის მერე შეეშვნენ, მეტისმეტად ბოროტად იყენებდნენო ბოროტი ადამიანები. მაგრამ, ჩვენ ხომ არც ისე ბოროტები ვართ და არც ამ თამაშის ტექნიკას ვფლობთ ისე, რომ ვინმესთვის ზიანის მიყენება შევძლოთ.

მაშ, ასე: შევკრათ წრე, შუაში ჩვენი გმირი ჩავაყენოთ, ტაში და-ვუკრათ — რიტმულად — ერთი ორი სამი, ერთი ორი სამი, — და და-ვუსვავთ კითხვები, რომლებსაც მან სწრაფად, დაუფიქრებლად უნდა უპასუხოს. დავინყეთ:

- რა გქვია?
- გიორგი ნაკაშიძე.
- რამდენი წლის ხარ?
- ოცდათექვსმეტის.
- რას აკეთებ?
- მსახიობი ვარ.

გავართულოთ. გიორგი ნაკაშიძე არის...

საუბარში მეგობარი ერევა: ძალიან ცნობისმოყვარე. Летчик-испытатель. ყველაფერი უნდა ნახოს, ყველაფერი უნდა გასინჯოს. შუა აზიაში, ტრამალზე, საქსაულის მეტი რომ არაფერი ხარობს, ორი ქალი იდგა და კუმისს ყიდდა. ეს მივარდა, ორი ჭიქა დალია და იძახა, მაგარიაო. მერე ორი დღე იწვა და იძახდა: “რატომ უნდა მოვკვდე ასეთი ახალგაზრდა, უცხო მიწაზე? ძმებო, აქ არ დამტოვოთ, საქართველოში გადამასვენეთ...”

**ნება, რა ხდება ხოლმე,  
 როცა სახლში არაჰინაა?  
 ალბათ, არაფერი.**



საბავშვო სპექტაკლი



გიორგი კი დაუფიქრებლად გვპასუხობს, რომ არის სიცოცხლის მოყვარული. კომუნიკაბელური. უფრო სწორად, სუპერკომუნიკაბელური. გადაღებები ამიტომაც უყვარს – ადამიანებთან აქვს ურთიერთობა. ხან ახალ ხალხს ხვდება გადასაღებ მოედანზე, ხან მათ, ვისთანაც მანამდე უკვე მოუწია მუშაობა და ახლა უკეთ გაიცნობს. “გადაღებების დროს ხომ ასეა – სულ რამდენიმე ადამიანი დაგყვება, ტანსაცმელს გისწორებს, მიკროფონს გიმაგრებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ამას ველარც ამჩნევ, მექანიკაში გადადის. მე კი ეს ხალხი მიყვარს. მათაც ვუყვარვარ. ყველაზე დიდი რამ ადამიანის სიყვარულია, მას სოციალური ზღუდეები არა აქვს და ადამიანი, რომელსაც უყვარს, ფასადს არ აღიქვამს. ჩვენს შორის სუბორდინაცია არ არსებობს: ზოგი გამნათებელია, ზოგი — მსახიობი, რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ერთად ვმუშაობთ, ერთად ვაკეთებთ, ერთად ვართ. მართლობა ყველაზე დიდი საშინელებაა. არ მიყვარს”.

გიორგი ნაკაშიძეს არ უყვარს...

...საავადმყოფოს სუნი.

მშობლებს უნდოდათ, რომ გიორგი ექიმი გამხდარიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ერთ დღეს ექიმი ბებუის მოსანახულებლად წაიყვანეს, კამოს ქუჩაზე, მეორე საავადმყოფოში, და იქ, პირველსავე სართულზე, საოპერაციოდან გამოსული ფორმალინის სუნისგან ბიჭს გული წაუვიდა.

არადა, მომავალში ექიმობა მხოლოდ მშობლების იდეა არ ყოფილა. ეს უკვე დიმიტრი ჩიკვაიძისგან ვიცი. ის გიორგის ბავშვობის მეგობარი, მთელი მისი ცხოვრების თანამგზავრი გახლავთ. უნინ დიმა და გიორგი ერთმანეთშიც კი ერეოდნენ – ერთმანეთი ქერები არიან, ცისფერთვალა, და პატარები როცა იყვნენ, იტყუებოდნენ ხოლმე, ძმები ვართო. ჰოდა, დიმიტრი მოჰყვება, რომ ოდესღაც ორივე ოცნებობდა, გემის ექიმი გამოსულიყო. გარდა იმისა, რომ შემოსავლიანი საქმე იყო — ამაზე ბიჭები ნაკლებად ფიქრობდნენ — გემზე მუშაობა გულისხმობდა მოგზაურობას, უცხო მხარეებს, ახალ ადამიანებს... მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ აღმოაჩინა გიორგიმ ერთ მეზღვაურთან საუბრის დროს, რომ გემზე მუშაობა სულაც არაა დიდი თავგადასავლების საწინდარი: კი, უცხო ქალაქებში ჩადიხარ, მაგრამ ბევრი ვერაფერი სიხარულია, იშვიათად თუ გასცდები ნავსაყუდელს, და შემდეგ კვლავ უკან ბრუნდები, გემზე, ჩაკეტილ სივრცეში.

გიორგის კი სხვა რამ მოსწონს — ნამდვილი მოგზაურობა, როცა უცხო ქვეყანაში ჩასული იქ მცხოვრებლებთან სამზარეულოში გაატარებს საღამოს, ნახავს, რა კაცი მოვიდა ონკანის გასაკეთებლად,

როგორ თამაშობენ მონპელიეს გარეუბანში, კორპუსებთან, მაისურნიანი ძიები დომინოს... ერთხელ პარიზში სამშობიაროში ამოჰყო თავი და აღმოაჩინა, რომ იქაც იგივე ხდება: შენობის წინ ნათესავები ნერვიულობენ, ბებიებს და ბაბუებს ქილებით საჭმელი მოაქვთ და მამები ცოლებს შესძახიან, ხვალ თერთმეტის ნახევარზე მოგაკითხავო. “ასეთ დროს ვხვდები, რომ ერთი სამყარო ვართ,” ჰყვება გიორგი, “და ბავშვს თუ ხელში აიყვან და მოეფერები, მამას ისევე ესამოვნება, როგორც მე მსიამოვნებს ხოლმე. დრამატურგიაც ესაა — შექსპირიც, მოლიერიც ხომ ყველა ადამიანისთვის საერთო ფასეულობებზე წერდნენ”.

მეზღვაურებს კი ამის საშუალება არ ჰქონიათ. გემის ამბავი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მოგზაურობის სიყვარული დარჩა. მართალია, კვლავ დიმა ჩიკვაიძის ნაამბობს თუ დავეყრდნობით, შორეულ ქვეყნებში გამგზავრების პირველი გამოცდილება გიორგის მაინცდამაინც ტკბილი არ ჰქონია, და აი, რატომ:

როდესაც მეგობრებმა თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარეს, დიმა, გიორგი და ზურაბ გენაძე, უკვე თანაკურსელები, დიმას მამასთან ერთად, კაცმა არ იცის, რატომ, ალმა-ატაში გაემგზავრნენ. არაჩვეულებრივი ამბავია, მხოლოდ ისაა გასათვალისწინებელი, რომ თბილისიდან ალმა-ატაში პირდაპირ გაფრენა არ ხერხდებოდა, ჯერ ტაშკენტში უნდა ჩასულიყვნენ და იქიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეეძლოთ დანიშნულების ადგილამდე მიღწევა. ტაშკენტში ჩასულელებს უცნობმა ჰკითხა: “ბიჭებო, ოდესიდან ჩამოხვედით?” და დიმას თქმით, გიორგიმ მისთვის ფრიად დამახასიათებელი პასუხი გასცა: “არა... კი... არ ვიცი...”

ასე თუ ისე, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის სამი ახალგაზრდა კაცი შორეულ აზიაში აღმოჩნდა და ცხადია, სამარყანდის ნახვის გარდა, სასიყვარულო თავგადასავლებიც ენებათ. ყველამ რაღაცა მოახერხა — გიორგის გარდა. მისი ეს მარცხი საყოველთაო თანაგრძნობის საგნად იქცა, სასტუმროს ხანშიშესული შვეიცარებიც კი ჩაერთვნენ და თავიანთი კბილა ქალების მოზიდვას ეცადნენ. საბოლოოდ ყველაფერი თითქოს წარმატებით დაგვირგვინდა — მაგრამ არა!

მეგობარი ხომ იმისაა, რომ გაგამწაროს და გადაგრიოს. გახალისებულ და კმაყოფილ გიორგის დიმიტრიმ და ზურამ საშინელი სენის შესახებ უამბეს, რომლის ნიშნებიც გიორგის ამჟამად გამოუვლინდა. ამ სენს ჰქვია ჩხვანტი. მტრის კარს და ავის მოსურნეს — თუ ორმოცი ნემსი არ გაიკეთე, ადებილებს, ალპობს და კლავს! მხოლოდ თბილისში აღიარეს, რომ ცრუობდნენ. აბა, რა არის ესა...



სამუშაოდან აღუგონს გალი



ფონო: რუსუდან ბოლდავაძე



გიორგი კაიძის ფოტო

“კიდევ არ მიყვარს დეკლარაციის შევსება,” განაგრძობს გიორგი, “საელჩო, სასაზღვრო კონტროლი — სულ მგონია, რომ რალაცა დავაშავე და ვიძაბები. როცა ვცდილობ, არ დავიძაბო, უარესი მომდის...”

ასე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, როცა გიორგი ავენიონის ფესტივალზე იყო მიწვეული, მას და დიმას პარიზში საბჭოთა კავშირის საელჩოში მოუწიათ მისვლა. შესასვლელში მთელ კედელზე უზარმაზარ სარკეში აირეკლნენ ჩვენი გმირები და უცნობი რუსი ქალბატონი – ნაზი, თხელი, ის ჩურჩულით ლაპარაკობდა, ხმა უთრთოდა. მას საოცარი რამ აინტერესებდა – როგორაა სერჟ ფარაჯანოვი? “მოკვდა,” მოუჭრა გიორგიმ, დიმას თქმით, თავისებურად, და ქალს, არც მეტი, არც ნაკლები, გული წაუვიდა. ყველა სიკეთესთან ერთად, სულ რამდენიმე წუთში გაირკვა, რომ სარკე უბრალოდ სარკე არ იყო, საელჩოს თანამშრომლები იქიდან უთვალთვალელებდნენ შემოსულებს.

გამიტკბა მეგობრებთან საუბარი და თამაში სულ დამავიწყდა! ერთი ორი სამი –

სიყვარული?

(გიორგის თვალეები აუბრწყყვილდა) აბა, რა!

კი, ასეა. აი, ზაზა ბურჭულაძე, რომელიც გიორგის ახალი მეგობარია (“ჯაყოს ხიზნებში” თამაშობენ ერთად და ერთმანეთი გადასაღებ მოედანზე გაიცნეს), ნაკაშიძის კაცს ასე ახასიათებს – მე მგონი, ამომწურავად: “*ძნელია იმ ადამიანზე ლაპარაკი, რომელიც მენი მეგობარია, რომელსაც მოფერებით “ბაბუშკას” ეძახი და ვისთან ერთადაც 40 დღე ერთ ოთახში გეძინა. ძნელია, რამდენადაც ჩვენ უცნობ ხალხზე საუბარს უფრო ვართ შეჩვეული, ვიდრე ნაცნობ და, მით უფრო, ახლობელ ადამიანზე. და ორმაგად ძნელია, როცა ეს ადამიანი გიორგი ნაკაშიძეა. რადგან, ერთ ჭკვიან კაცს თუ დავესხებები,*

*“გიჟებს, პოეტებს და მიჯნურებს ტვინი სავსე აქვთ წარმოსახვებით”. გიორგი კი სამივე ერთდროულადაა. კიდევ იმიტომ მგონია ძნელი რამის თქმა, რომ წინდანი ვიცი, უთქმელი გაცილებით მეტი დამრჩება. არადა სათქმელი საკმაოდ ბევრი მაქვს. ხუმრობა ხომ არაა 40 დღე ერთ ოთახში ცხოვრება.*

*ჩემი შეფასებით, გიორგი ძალიან მაგარი არტისტია, რადგან კადრშიც მინახავს და კადრსმილმაც ხშირად ვხედავ. მაგრამ ისიც უდავოა, რომ მის პროფესიონალიზმზე, როლებზე და სამსახიობო დიპაზონზე კინო და თეატრმცოდნეების აზრი აქ უფრო კომპეტენტური იქნება, ვიდრე ჩემი. ამიტომ, სადღეგრძელოც რომ არ გამომივიდეს და რამე ისეთიც არ გამომრჩეს, გიორგის ერთ ჩემთვის მთავარ ნიჭს, თვისებას თუ უნარს გამოვყოფ, რომელიც ყველაზე უფრო მომწონს მასში. რაოდენ ბანალურადაც უნდა უღერდეს, ესაა სიყვარულის უნარი. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ გიორგის უზომოდ უყვარს თავისი საქმე, რომელიც მისთვის ცოლიცაა, შვილიც, მეგობარიც, მშობელიც და ყველაზე მკაცრი მსაჯულიც. რაც შემეხება მე, ძალიან მიყვარს შეყვარებული ადამიანი. იმიტომ, რომ ის ამ დროს რალაც სხვას ასხივებს და აფრქვევს. რალაც ისეთს, რაც გარშემომყოფთ სასიამოვნოდ აღელვებს და რომლის მეასედი მუხტი სურდოსავით იოლად გადაედებათ ხოლმე.*

*მოკლედ, ერთის თქმა შემიძლია დანამდვილებით, გიორგიმ მე სურდო გადაამდო”.*

თავად მარად შეყვარებულ გიორგის თუ ჰკითხავთ, ამქვეყნად ყველაფერი, რაც კარგია, ქალია. ქალია ხელოვნება, თეატრი, მუსიკა. “მექალთანე არა ვარ, მაგრამ სულ მიყვარს.” თურმე, უნინ იმ გოგობს, რომლებიც მოსწონდა, გიორგი ნაკაშიძე კასეტებს ჩუქნიდა: ჩაწერდა იმ მუსიკას, რომელიც თავისი გრძნობების გადმოსაცემად საუკეთესოდ მიაჩნდა და ჩუქნიდა, ეგონა, რომ ასე უკეთ აუხსნის



სიყვარულს. იმ ქალებს ესმოდათ თუ არა — ამდენი არ ვიცი, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ გიორგის უყვარს ქალი — ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით — და მუსიკა.

გიყვართ დისკო? გიოს უყვარს, ფერადი, მხიარული დისკოკულტურა, ადამიანური, რომელიც ყველას ააცეკვებს, განურჩევლად იმისა, დეკლარირებული დისკოს მოყვარულია თუ არა. კარგ ამბებს სწორედ დისკოს ადარებს, მაგალითად, თავისი ადრეული სიჭაბუკის გაგრას და ბიჭვინთას — ეს მერე, მრავალი წლის შემდეგ დახვდა “ოცნებების სასაფლაოს” გადაღებებზე ჩასულს სულ სხვა, შავ-თეთრი აფხაზეთი. იმ ორ თვეს გიორგი “დაპრესილ დროს” უწოდებს — ამ მოკლე დროში მთელმა ცხოვრებამ გაიარა. მაგრამ “თუ ცხოვრება არ შეისწავლე, ცხოვრება არ ღირს”. განა ფორტეპიანოსთან მჯდომი ამდენი რამის შესწავლას შეძლებდა?

დედამისი, ქალბატონი ალა ქუთათელაძე, მუსიკოსი გახლავთ და გიორგიც მეოთხე კლასამდე დადიოდა მუსიკალურ სკოლაში. “ბალანჩივადის კონცერტიც კი მაქვს დუეტში დაკრული,” მითხრა ამაყად. მაგრამ მერე ფორტეპიანოს თავი დაანება და ახლა გული სწყდება, რომ ასე მოიქცა. უბრალოდ, ძალიან ეზარებოდა მეცადინეობა, მაშინ როცა ირგვლივ უამრავი რამ ხდებოდა, გამებზე ბევრად უფრო საინტერესო. თუნდაც ის რად ღირს, კალის ჯარისკაცებს რომ დაამწკრივებ და ოთახში დიდი ბრძოლა რომ გაიმართება! “ყველაფერში თავგადასავალს ვეძებ, ყველაფერში და ყველგან. კიკეთის გზაზეც კი, მოსახვევთან, მიოცნებია — აი, აქ რომ ობსერვატორია იყოს და იქ რომ შევიდე და... მიხეილ თუმანიშვილმა თქვა ერთხელ, რომ მსახიობი არის გაჩერებული განვითარება. მსახიობი სულ ბავშვად უნდა რჩებოდეს, და როგორც ბავშვს სჯერა, რომ თოჯინა ცოცხალია, რომ სათამაშო მატარებელი მართლა სადღაც მიდის, ასევე უნდა ეჯეროს მსახიობს, რომ შემოთავაზებული გარემო რეალური გარემოა”.

ესეც გარემო. გიორგიმ მითხრა, რომ აჯობებს, მასთან სახლში ვისაუბროთ: “ჩემს მოედანზე თამაში უფრო მეადვილება”. სიამოვნებით, რატომაც არა.

მამაკაცი, რომელმაც კარი გააღო, გიორგი კი იყო, მაგრამ მთლად გიორგი არ იყო. გახსოვთ, როგორი კაცია ჯაყო? საქმე ისაა, რომ ამჟამად დავით ჯანელიძე “ჯაყოს ხიზნებს” იღებს და გიორგის ახალი როლი აქვს, რამდენადაც ვხვდები, ძალიან რთული და საინტერესო — ჯაყო. მაგიდაზეც “ჯაყოს ხიზნები” ჰქონდა გადაშლილი: “ორმოცდამეათედ ვკითხულობ”.

შესაბამისად, კარი ჯაყომ გამიღო: ჟღალმა, დიდმა, გიორგი ნაკაშიძისა თვალები და ღიმილილა შერჩენოდა. ვაი?

როგორც მისმა მეგობარმა, რეჟისორმა დავით საყვარელიძემ ამიხსნა, ამ კაცს როლსა და როლს შორის უკმარისობა ემართება. ყოველ ჯერზე უნდა, რომ მასში ახალი სამყარო შემოვიდეს, და სანამ ახალ როლზე არ დაიწყებს მუშაობას, “იზმენები” ემართება. “თავისი ცხოვრებით ცხოვრება არ ყოფნის,” განმარტა დათომ. ახლა “იზმენისა” ვერაფერი შევნიშნე, მე მგონი, ტოტალურად კმაყოფილია.

ბრიყვული კითხვა:  
რატომ გახდი მსახიობი?

**ბაზიას ილქალი, ყველაზე კარგი  
ნამსხვარი ამჟვეხნად. მთელი აზვავია:  
მიხვალ მაგიდასთან, ჰვავს ახლოს  
მოიწვ, ახლი თავსახურს და იქიდან  
იხეთი სურნალი ამოვარღვა!**



გიორგი ბაზია ნორასთან (ბაბა) ერთად

## ისტორია

იმიტომ, რომ თეატრში გაიზარდა: მამამისი რეჟისორია და გიორგი ყველა რეპეტიციას, ყველა სპექტაკლს ესწრებოდა. იქ, თეატრში იყო ნამდვილი ცხოვრება, განსხვავებით, ვთქვათ, სკოლისგან, სადაც გიორგი ბოლო მერხთან იჯდა და წიგნებს კითხულობდა – ესეც შემოთავაზებული გარემო, რემარკი, დიდი სიყვარულის ამბები. წარმოდგენა არასოდეს წყდებოდა, გიორგი სახლში დაბრუნებულიც რაღაცას დგამდა, როკის ვარსკვლავი იყო ხოლმე, ფირფიტას ჩართავდა და მასსავით მღეროდა და ცეკვავდა (გამოტყდით, ასეთები თქვენც ხომ გიკეთებიათ? — ა.კ.ს.). შესაბამისად, სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგის სხვა აზრი არც მოსვლია: ის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, და იმ დღიდან — მოდით, მაღალფარდოვნებას ნუ მოვერიდებით — მისი ბრწყინვალე კარიერა დაიწყო.

თეატრი:

პრისტლი “დრო და კონვეის ოჯახი” — რ. კონვეი, რეჟისორი ლილი იოსელიანი

გიორგი ცაგარელი “ხანუმა” — კოტე, რეჟისორი თ. მარგველაშვილი  
პროსპერ მერიმე “კარმენი” — ხოსე, რეჟისორი თ. სიხარულიძე  
დ. დარეი “ექსპერიმენტული ცეკვის პერფორმანსი” — მოცეკვავე უილიამ შექსპირი “ზაფხულის ღამის სიზმარი” — კედელი, ვირი, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი

აკუტაგავა “იდიოტის ცხოვრება” — მწერალი, რეჟისორი დავით დოიაშვილი

სლეიდი “ყოველ თებერვალს” — ჯორჯი, რეჟისორი იაშვილი  
შეფერი “ამადეუსი” — მოცარტი, რეჟისორი სიხარულიძე  
თომას მანი “მარიო და ჯადოქარი” — ავტორი, რეჟისორი ლევან წულაძე

ლაშა თაბუკაშვილი “მერე რა, რომ სველია სველი იასამანი” — კოსტა, რეჟისორი რობერტ სტურუა

ლუიჯი პირანდello “ექვსი პერსონაჟი ავტორის ძებნაში” — რეჟისორი გ. მარგველაშვილი

ჰენრი მიულერი “ეროვნული ჰიმნი” — რეჟისორი მ. მარამინოსი  
მოლიერი “ტარტიუფი” — ტარტიუფი, რეჟისორი დავით საყვარელიძე

ანტონ ჩეხოვი “ალუბლის ბაღი” — ტროფიმოვი, რეჟისორი გ. მარგველაშვილი

ტ.ტოლსტაია “ნრე” — ვასილი მიხაილოვიჩი, რეჟისორი ანდრეა ბრუქსი

ამ უკანასკნელის ამბავი ცალკე თემაა: გიორგი ნაკაშიძემ, რომელიც ფრანგულს ფლობს, მაგრამ ინგლისური არ იცის, ორ კვირაში

სათნახვერიანი ინგლისურენოვანი პიესისთვის მომზადება შეძლო. პრემიერის დროს ძალიან ლელავდა, რომ ტექსტი დაავიწყდებოდა, მაგრამ არა! და პრესამ ის ასე შეაფასა: “ცოცხალი ადამიანი”, “ადამიანი-ენერჯია”, “სპექტაკლის დროს ყველაფერს გაძღვეთ”...

კინო:

“ტურანდოტი” — ლადო, რეჟისორი ოთარ შამათავა

“ზღვარზე” — ნიკა, რეჟისორი დიტო ცინცაძე

“ოცნებების სასაფლაო” — გიორგი, რეჟისორი გოგა ხაინდრავა

“ატუ-ალაბა” — თვითმკვლეელი, რეჟისორი გიო მგელაძე

“მონადირე” — მონადირე, რეჟისორი დავით გოგიბედაშვილი

“ჭერი” — რეგოლუციონერი, რეჟისორი რეზო ესაძე

“შეყვარებული მზარეულის 1001 რეცეპტი” — ტროცკი, რეჟისორი ნანა ჯორჯაძე

„რევრსი“ — ქმარი, რეჟისორი დიტო ცინცაძე

„ჯაყოს ხიზნები“ — ჯაყო, რეჟისორი დავით ჯანელიძე

გიო მგელაძე, რეჟისორი და გიორგის მეგობარი ჩვენს გმირს ასე ახასიათებს: „ატუ-ალაბაში“ მონაწილეობა შევთავაზე, სცენარი წაიკითხა და დამთანხმდა. როლზე მუშაობისას თავისი გმირის შესახებ უამრავი შეკითხვა დამისვა. ამ შეკითხვებს მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალი დასვამს. ზოგ შეკითხვაზე ვუპასუხე, ზოგს ერთად გავეცით პასუხი, დანარჩენი კითხვები ამის შემდეგ გაქრა. შევთანხმდით მთავარ რაღაცებზე, ვინ არი მისი გმირი, საიდან არი, სად არი, რა უნდა... ეს მოხდა ძაან მოკლე დროში. ეს არი მსახიობის არჩევის სიზუსტის საუკეთესო შედეგი.

რამდენიმე რეპეტიცია, მატორ, სამი დუბლი. გიორგი იმ კლასის მსახიობია, როცა მთავარზე შეთანხმებულები ხართ, უნდა მისცე სრული თავისუფლება. დუბლსა და დუბლს შორის რამდენიმე სიტყვით სატოპკეს უნევ და ისიც, მატორის შემდეგ, ტოპკავს. ჩემთვის ეს არი რეჟისორის და მსახიობის იდეალური მუშაობის ნიმუში.

გიორგი ნაკაშიძე არტისტია, თითქმის ჩამოსათვლელ არტისტებს შორის, ერთ-ერთი პირველი... თუმცა, ამათ შორის პირველი, მეორე არ მოსულა. გიორგიმ ღრმად იცის აკადემიური, კლასიკური თეატრი, სწორედ ამიტომ ანგრევს ასე ოსტატურად და მაყურებლის მომნუსხველად კლასიკურ აკადემიურობას.

გუშინწინ იყო, ქართველები ხელისგულზე რო ატარებდნენ მსახიობებს, პოეტებს, მწერლებს... ეხლა ხელისგული ერისთვის ღვანლ-მოსილი პარლამენტარებისთვის აქვთ ქართველებს. არ ჭირდებათ ხელოვნება და ხელოვანები, არტისტების დრო აღარ არი საქართველოში და ეჭვი მაქვს, არც გუშინწინ ჰქონიათ. გიორგი ნაკაშიძე,







**ვინ იცის, ოსდასუთი წლის შამდეზ რა იქნება, ეგაზ ევროპული ღვიფიონის შამადგანლოზაში სადგე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ომუნოს ბრძოლა?**



*საქართველოში ხელოვნების და ხელოვანების ტოტალური სიძულვილის დროს, ხელოვნებას ემსახურება, იმიტომ რომ არტისტია და სხვანაირად არ შეუძლია”. არც შეუძლია და არც უნდა.*

გიორგი ნაკაშიძეს არ უნდა...

...მრავალი მსახიობისგან განსხვავებით, რეჟისორობა. კიდევ არ უნდა, რომ იყოს პასიური – ვთქვათ, ახალგაზოლოვიძებული გიორგი არ მოსწონს, იმიტომ რომ პასიური და უხასიათოა – მონტაჟი, ამოგჭერიო. მას მოსწონს, როცა რაღაცას აკეთებს, რაღაცა ხდება, სიზმარშიც კი, და ამიტომაა, რომ კვლავ და კვლავ თავის საყვარელ თემას – მოგზაურობას უბრუნდება.

წარმოიდგინეთ: თოთხმეტ ქვეყანაში ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე შვიდწუთიანი სპექტაკლები ითამაშეს. სად აღარ იყვნენ, და ამ მოგზაურობის დროს გიორგი ნაკაშიძემ ნახა თოთხმეტი ქვეყანა დაბომბილი ბელგრადი, უცნობი ალბანეთი, საბერძნეთის სოფლის თავზე ანთებული ვარსკვლავები – ერთი წარმოდგენა სწორედ აქ გაიმართა. სულ სხვადასხვა მხარეები იყო, და წარმოდგენაც სხვადასხვა სივრცეში იმართებოდა, შესაბამისად, გიორგიც სხვადასხვაგვარად თამაშობდა. შვიდწუთიანი დადგმისთვის ის ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში იკეთებდა გრემს, და იმისდა მიხედვით, თუ სად მოუწევდა თამაში, ახალ-ახალ დეტალებს ამატებდა – ყველა სივრცეში ხომ ერთნაირი და ერთნაირად ვერ ითამაშებ გინეკოლოგს...

ისე, “ბოროტი ენები”, ამ შემთხვევაში, გიორგის მეგობარი, რეჟისორი დავით საყვარელიძე ამბობს, რომ გიორგი თეატრალური ექსტრემისტია თუ ექსტრემალი — რაც ჰქვია. რომ მას ყოველი

## ისტორია

პრემიერის წინ რალაცა ემართება: ან ავად ხდება – ასე, Der Park-ის პრემიერის წინადღეს წითელა შეეყარა, – ან შარში ეხვევა, “თან ხომ მოჩხუბარია, ფიცხი გურული”...

ბნელ, არეულ დროს, როცა ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ისროდა, მიხეილ თუმანიშვილმა “ზაფხულის ლამის სიზმრის” დადგმა განიზრახა – მოგეხსენებათ, ადამიანებს სწორედ გაჭირვების ჟამს სჭირდებათ სითბო და სინაზე. იმ რეპეტიციებს და სპექტაკლს გიორგი განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს, დათოს კი ცოტა სხვა რამ ჰქონია გასახსენებელი. კერძოდ, ის, რომ ერთ ღამეს თავის “შარიან” მეგობართან, გიორგისთან ერთად კინომსახიობთა თეატრიდან ფეხით ააღწია უნივერსიტეტამდე, და უცებ გაჩერდა “მოსკვიჩი”, და იქიდან შეიარაღებული კაცები გადმოცვივდნენ, სტაცეს ხელი რეჟისორს და მსახიობს და სადღაც სამმართველოში მიიყვანეს. რა უნდოდათ? “ვილაცაში ავერიეთ,” თქვა დათომ. საბოლოოდ, გამოუშვეს, დაკავებულთა ქურთუკებიდან “ამოღებულ იქნა” ოთხი პიესა და ოთხი როლი.

ისევ ბრიყვეული კითხვა:

სამომავლო გეგმები?

არა აქვს. “ფიქრე შენს მომავალზე! 25 წლის შემდეგ აქ ეს სახლი იდგება!” – ასეთი სარეკლამო აბრა გიორგი ნაკაშიძისთვის არაა გათვლილი. ვინ იცის, ოცდახუთი წლის შემდეგ რა იქნება, ეგებ კავკასიური ან ევროპული დივიზიონის შემადგენლობაში სადმე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოუწიოს ბრძოლა?

კარგი. მაშინ, საოცნებო როლი?

ხომ ვამბობ, არ ვიცი თამაშის წესები. არ გეტყვიო. მორჩა და გათავდა. ასევე უარს განაცხადა აფხაზეთის ომის დროს წარმოებული დღიურის თხოვებაზე – არაო! არადა, ნამდვილად წერს, სხვაგვარად “ეროვნული ჰიმნისთვისაც” ვერ დაწერდა, არადა, მოგეხსენებათ, დაწერა, თან ფრიად შთამბეჭდავი. აფსუსია, მაგრამ კარგი, რახან ასეა, დავანებოთ თავი გიორგი ნაკაშიძის ჩანაწერებს — მონტაჟი, ამოვჭერთ.

...

მსახიობის საქმე, მით უმეტეს, პატარა საქართველოში, ცოტა სიზიფეს შრომას წააგავს: იმუშავებ, გარდაიქმნები, ყველაფერს გაიღებ, რაც გაბადია – და სპექტაკლი დამთავრდა, მოიხსნა, და მერე კვლავ ახალი როლი, ახალი სამყარო იწყება და ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყო. არადა, გაჩერებაც არ გამოდის – ცხადია, დასვენება ყველას უნდა, მაგრამ ეს პასივია, სწორედ ის მდგომარეობა, რომელიც გიორგი ნაკაშიძეს არ უყვარს – მონტაჟი, ამოვჭერთ. ამ თვალსაზრისით იმ მსახიობებს, ვინც დიდ ქვეყანაში მოღვაწეობენ და მრავალი მილიონი ადამიანია მათი ენის მატარებელი, ძალიან გაუმართლათ – როლი ისე სწრაფად არ ეძლევა დავიწყებას.

გიორგი მოჰყვა, რომ პრემიერის შემდეგაც კი... მაგრამ არა, რად გვინდა, მონტაჟი, ამოვჭერთ. გიორგი იმასაც მოჰყვა, რომ ერთხელ ლიტერატურულ კაფეში ირაკლი ჩარკვიანი შეხვდა, ძალიან სევდიანი. მარტო უჯდა მაგიდას და ყავას სვამდა. პასუხად კითხვაზე “როგორ ხარ”, ირაკლიმ ჰამლეტი გაიხსენა, “სიჩუმეა”. რაც გინდა, ის გააკეთე — სიჩუმეა.

არ გვინდა. მონტაჟი. ამოვჭერთ. გამოვალთ კარი, რომელიც ჯერ არ გაგვიღია და ვნახოთ ის, რაც ჯერ არავის უნახავს.

სიჩუმე კია, მაგრამ სულ წამით. მერე კი — ტაში.

დიდი ტაში!

ეს თავშეკავებული ბრიტანელი მაცურებელი ისე იქცევა, როგორც როკ-კონცერტზე. რა ხმაზე ყვირიან! მგონი, გადაირიგნენ! სცენაზე გიორგი ნაკაშიძე დგას, ოლონდ ვინ ითამაშა, არ ვიცი. ხომ თქვა, არ ვიტყვიო, და ალბათ, ასე აჯობებს. იმას წარმოვიდგინო, რაც გაგვიხარდება.







# La Maison Bleue

## „ლურჯი სახლის“ ხუთი დიასახლისი

ავტორი: ნინო ლომაძე  
ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი, პირადი არქივი

### ჯგუფური გამოფენები:

- 2007 – საპართვილოს კულტურის დღეები, ყაზახეთი, ასტანა
- 2007 – საერთაშორისო ფესტივალი „აზრუში და სანელაბები“, ზუსარა, უზბეკეთი
- 2007 – გამოყვებითი ხელოვნება თანამედროვე ინტერიერში
- 2006 – „ლურჯი სახლი“ გაეროს ოფისი, თბილისი
- 2005 – ტექსტილი ინტერიერში TMS, თბილისი
- 2005 – ქართული კულტურის დღეები ქიევში, უკრაინა
- 2005 – „ლურჯი სახლი“ გალერეა „შარდენი“, თბილისი
- 2005 – ქართული მხატვარი ქალების გამოფენა: „თანასწორობა იმარჯვებს“; გალერეა „ჰოზი“
- 2005 – „ლურჯი სახლი“ ამერიკის საელჩო, თბილისი
- 2004 – „ლურჯი სახლი“ გალერეა TMS, თბილისი
- 2003 – ტექსტილის ხელოვნების მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმის გამოფენა, თბილისი
- 2003 – „ლურჯი სახლი“ ამერიკის საელჩო, თბილისი
- 2002 – „ლურჯი სახლი“ ქლუბი 22, თბილისი
- 2002 – „ლურჯი სახლი“ გაეროს სახლი, თბილისი
- 2002 – „ლურჯი სახლი“, გალერეა „შარდენი“, თბილისი
- 2002 – გზაჯვარადინი: ტექსტილის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი გამოფენა, TMS თბილისი
- 2001 – თანამედროვე ქართული აქსესუარები, გალერეა „შარდენი“, თბილისი
- 2001 – GIVENCHY-ს მაღალი მოდის ჩვენება, გალერეა „შარდენი“, თბილისი
- 2001 – „ლურჯი სახლი“, გალერეა „შარდენი“, თბილისი
- 2000 – თანამედროვე ქართული თექის (ფიზერ) ხელოვნება, სემგალარი, მებაღეი, ისრაელი

# La Maiso



- 2000 – ქართული ხელოვნების გამოფანა, ვალენსია, ესპანეთი
- 2000 – „ლურჯი სახლი“, გალერეა შარდენი
- 1999 – ქართული კულტურის დღეები, ფოლკლორულ მუზეუმში, კამბურში, გერმანია
- 1999 – ტექსტილის ხელოვნების მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, ეროვნული გალერეა, თბილისი
- 1998 – მილანის საერთაშორისო გამოფანა, იტალია
- 1997 – ტექსტილის ხელოვნების პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, ეროვნული გალერეა, თბილისი

მათი ნამუშევრები ინახება სხვადასხვა ქვეყნის კოლექციებში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.



# ონ Bleue





**ნინო ყვავილაშვილი:**

- 1978-1984 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი
- 1986-1991 აკოლონე ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ქსოვილობის ფაკულტეტი
- 2002 საღვთისმეტყველო კომპლექსი „ალდაბი“ს ინტეგრირირი
- 1996 ქართული ბოხალონის გამოქვანა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, თბილისი
- 1993 ქართული ხელოვნება, ბრიუსელი, ბელგია.
- 1990 საღვთისმეტყველო ნაშრომების გამოქვანა, მხატვრის სახლი.

ბარნოვის 94, მამაპაპური ნითელი აგურით ნაშენი, ძველი სახლია. სახლი მრგვალი ბაღის წრეზე დგას და მოწყენილობის ჟამს პატარა უფლისწულის ქანდაკების ირგვლივ მოსეირნე უდარდელი მოქალაქეების თვალწინ ირთობს, ალბათ თავს. მის ერთადერთ სადარბაზოს კი ასეთი ლურჯი აბრა ამშვენებს: La Maison Bleue. თუ ამ ფრანგული წარწერის შესახებ მანამდე არაფერი გსმენიათ, ვერაფერს მიხვდებით და ამ მშვენიერ სახლსაც გულგრილად აუვლით გვერდს. თუ წარწერის გვერდზე ღილაკს თითი დააჭირე, მაშინ ზუსტად იცი, სადაც მიდიხარ.

სახლის მეორე სართულზე ხუთი ქალბატონის სახელოსნოა. ირმა ხოფერია, ნინო ყვავილაშვილი, ეკა ხუნწარია, ქეთი ქავთა-

რაძე და ნინო ხოფერია, უკვე ცამეტი წელია, ერთად მუშაობენ და ბატიკის ულამაზეს ნამუშევრებს - პანოებს, თავშეკრებს, სანათებს, ჩანთებს, დეკორატიულ გადასაფერებლებს, შირმებს, ერთი სიტყვით უამრავ გულის და თვალის გასახარებელ ნივთს ამზადებენ. მერე ყველაფერს კედლებზე ფენენ, რასაც ვერ დაატევენ მაგიდაზე, სავარძლებზე, ტახტზე, კალათებში აწყობენ, ან დროებით, ჩარჩოინად იქვე, კართან ააყუდებენ. ამ შთამბეჭდავი პატარა გალერეის უკან კლასიკური სახელოსნოა და ერთ-ერთი მხატვრის არაერთი მცდელობის მიუხედავად აქ ცნებები - სავალდებულო, ეტიკეტი, წესრიგი, თუ საყოველთაოდ აღიარებული მაღალი სამუშაო კულტურა მაინც არ ვრცელდება.

ეს ქალბატონი ნინო ყვავილაშვილი გახლავთ, ნინო “მართალი” ასეც ეძახიან. ნინო ასაკით ყველაზე უფროსია და დანარჩენთაგან გასხვავებით ძალიან მოწესრიგებული ადამიანია. სულ ასეთი ვიყავიო, ამბობს. ძალიან ადრე, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, როდესაც ქუჩაში მიმავალ ცოტა დაუდევრად ჩაცმულ, ილიის ქვეშ ქალაღდის თოფებამოჩრილ მხატვარს მოკრა თვალი. ახალგაზრდა კაცს ხელებზე გადღაბნილი საღებავის ლაქები ემჩნეოდა. მერე კიდევ ვილაც შეხვდა ამდაგვარი და მათმა უწესრიგობამ რატომღაც სულაც არ გააღიზიანა. პირიქით, ეს უდიერი ჩაცმის სტილი, რულონებად დახვეული ტილოები და ხელზე ლაქები ძალიან მოეწონა. მეც მხატვარი გამოვალო, გუნებაში ამბობდა. ჩაბარების წინ კი უცნაურად დაფრთხა, ვაი თუ სათანადოდ ნიჭიერი არ აღმოვჩნდი და მხოლოდ საღებავის ლაქები შემჩნეს ხელზეო. გადაიფიქრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა. უნივერსიტეტი რომ დაამთავრა გამბედაობაც მოემატა და აკადემიაში, ქსოვილების ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

**ირმა:** ნინოს მოწესრიგებულობასთან დაკავშირებით დიდი ბრძოლები გადაგვიტანია. ვერაფრით წარმომიდგენია იდეალურ წესრიგში მუშაობა. ამ დროს ათასი რამე მჭირდება და მჭირდება იქვე, ხელის მისაწვდენ მანძილზე. საღებავსაც ფუნჯის ყოველი ამოსმის მერე თავს ხომ არ დავახურავ? ნინო ასეთია. მაგიდაზე კოლოფებში ჩალაგებული ათასი წვრილმანი უწყვია. სანაგვედ ერთ, საგანგებოდ ამ მიზნისთვის შემონახულ ქილას, ან კოლოფს იყენებს. უსარგებლო რამეებს პირდაპირ ამ სანაგვეში უძახებს და არის ასე, გაპრიანებული მისი კუთხე. სერიოზული ომები გვექონია მაგალითად მიზეზით: ვინ დააგდო დამწვარი ასანთის ღერი სანაგვე კოლოფთან და არა -ში.







**სულ თავიდან**

ნინო, ირმა და ნინო (ყვავილაშვილი) ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ, შორეული ნათესავები ყოფილან, მაგრამ მანამდე დიდი სიახლოვე არასდროს გვექონიაო, ამბობენ.

ირმა იმხანად პეროვსკაიას ქუჩაზე ერთ ძველ სახლში ცხოვრობდა. სახლში პატარა იზოლირებული სამზარეულო იყო, ყველასგან დავიწყებული, უსარგებლო. ერთ მშვენიერ დღესაც ირმამ სამზარეულო-საკუჭნაო საკუთარ სახელოსნოდ აქცია, ყველა საჭირო ნივთით აღჭურვა და საქმეს შეუდგა. მერე ნინოსაც შესთავაზა, თუ გინდა ჩემთან იარე და ერთად ვიმუშაოთ.

**ირმა:** დილიდან შევიკრიბებოდით ხოლმე, იმ პანანინა ოთახში შევიჭუჭკნებოდით და მთელ დღეებს იქ ვატარებდით. ყველაფერი — ფუნჯები, ჩაქუჩი, ჩარჩო, ქსოვილები, უთო, საღებავები, მაგიდაც კი, საზიარო იყო. ნამდვილი კომუნიზმი გვექონდა და ამ რეჟიმში ძალიან მშვიდად ვცხოვრობდით.

ირმა ისედაც მშვიდია, ყველაზე ნაკლებს საუბრობს და როცა საუბრობს, ხმის ტემბრი აქვს რალაცნაირი, მონუსხულივით უსმენ.

მისი და, ნინოც მეთანხმება, კი, ასეა, ამისი ჩხუბი ან ხმამაღალი ლაპარაკი დღემდე არ გვახსოვსო. სულ ასეთი ყოფილა. დებს შორის განსხვავება ერთი წელია და ამიტომ ყოველთვის ძალიან ახლოს იყვნენ. ბავშვობიდან ყველაფერს ერთად აკეთებდნენ - ერთად იღვიძებდნენ, ერთად თამაშობდნენ, ერთად ხატავდნენ, წრეც საერთო ჰყავდათ. არასდროს ვჩხუბობდითო.

**ნინო ხოფერია:** ბევრჯერ მიფიქრია, ირმა, ალბათ, ასეთი უცნაური ტიპია, არასდროს არაფერი სწყინს, ან უბრალოდ ყურადღებას არ აქცევს-მეთქი. გვიან მივხვდი, რომ ვცდებოდი. ძალიან მგძნობიარე ადამიანია და ვილაციისთვის უმნიშვნელო ამბავიც ბოლომდე შეიძლება განიცადოს. წლების მერე დავფიქრებულვარ, მაშინ ასე რომ ვთქვი, ალბათ ძალიან ვანყენინე-მეთქი. ასე იცის, არაფერს გეტყვის, გაჩუმდება და უსიტყვოდ გაპატიებს.

ეკა ირმას კლასელი იყო. აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სამრეწვლო გრა-







**ირმა ხოფარიკა:**

- 1988-1993 აპოლონ ჟუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ძსოვილიანის ფაკულტეტი
- 2003 ქორთიარდ მარიოტის ინტარიკრი, თბილისი
- 2000 პარსონალური გამოფანა, ბალარაა „პარლანი“, თბილისი
- 2000 საშობაო გამოფანა, N ბალარაა
- 1994 ქართული მხატვარბის ჯუფური გამოფანა, კაბაურბი, ბარბანია
- 1995 თანამედროვე ხელოვნების ბალარაა,
- 1993 ხელნაკეთი ნივთების გამოფანა, ლანიბერადი.

ფიკის ფაკულტეტი დაამთავრა და მერელა მიხვდა, რომ ბატიკის ტექნიკის სწავლაც ძალიან უნდოდა. ირმას ამიტომაც მიაკითხა; გიყურებთ როგორ მუშაობთ და მეც ნელ-ნელა ვისწავლიო, სთხოვა. ეკას ქეთი და ნინო ხოფარიაც მოყვნენ და მას მერე სულ ასე არიან-ხუთივე ერთად.

**ქეთი:** ეკა ძალიან მონდომებული იყო, გულმოდგინედ მუშაობდა და გაუთავებელი კითხვებით თავს გვაბეზრებდა. საქმეში თავჩარგულბს არაფერი აღარ გვესმოდა. ასეთ დროს პირდაპირ მოგვადგებოდა, ხელს წაგვავლებდა და თავის ჩარჩოსთან მიგვაჩიქჩიქებდა. სანამ კითხვების მარაგს

სრულად არ ამონურავდა, ხელს არ გვიშვებდა.

ბოლო ცამეტ წელიწადს სახელოსნოების ადგილმდებარეობის მიხედვით პერიოდებად ყოფენ. ასე გამოიარეს გოგებაშვილის, მერე ბელინსკის პერიოდები. ამჟამად ბარნოვის ან გნებავთ მრგვალი ბალის “დროში” ცხოვრობენ.

პირველი მისამართი: გოგებაშვილის №28 მაგარი ცივი ზამთარი იდგა. იმ წელს შემოდგომაც ეგეთი იყო, სველი და ნაცრისფერიო, ყვებიაან. სოხუმი ორი თვის დაცემული იყო. ციოდა და ბნელოდა იმ დღესაც, როცა ირმა, ქეთი და ნინო ალექსანდროვის ბალის მისადგომებთან ერთ საშუალო სიმაღლის, უცნაურად განიერ მაკლერს მიადგნენ. იქნებ ,სადმე ცენტრთან ახლოს და იაფად სახელოსნო გვიშოვოთო. მაკლერი დაფაცურდა, ჯიბეებში შენახული ფურცლის ნაგლეჯები მაგიდაზე დაუდევრად მიმოყარა და თვალი გადაავლო. ერთხანს ჩაფიქრდა და ბოლოს კიო, უთხრა, უეჭველად გიშოვნიოთო. თან მზესუმზირის ქერქები, მაგიდაზე განფენილ გაზეთის ნაკუნზე მოურიდებლად გადმოაფურთხა და ნაგლეჯებში ქექვა განაგრძო.

მეორე დღეს გოგებაშვილის ქუჩაზე სახელოსნოს სანახავად წავიდნენ. სახელოსნო რა, ბინაც ძნელად ეთქმოდა, ორი ერთმანეთზე ციცქნა ოთახი იყო. ამოცვენილი პარკეტით, უხვად ჩამოყრილი ბათქაშითა და მუხლამდე მტვრის ბუმბლებით მოფენილი.

**ირმა:** თან შებინდებისას მივედიო, დენი, ცხადია, არ იყო. ამიტომ ბევრი ვერაფერი დავინახეთ. ხელის ცეცებით ერთი გავიარგამოვიარეთ და დავთანხმდით. ადგილმა და ფასმა მოგვხიბლა. თან იმ ქალბატონმა





ბრძანა – აქ, ელექტროენერჯია შედარებით ხშირად მოდის, აღარ მახსოვს, ვილაცაზე მი-თხრა აქვე ცხოვრობსო. აბა, დანარჩენს ხომ მოვევლება-მეთქი გავიფიქრე.” მოკლედ, თვე-ში 30 დოლარად ყველაზე ძვირფასი, ოჯახის წევრების გაუთავებელი საყვედურებისა და ჯუჯულუნისაგან თავის დაღწევის და თავისუფლად მუშაობის უფლება მოიპოვეს - საკუთარი სახელოსნო.

“სამსახურში” ფეხით დადიოდნენ, სხვა არჩევანი არც იყო. ირმას და ნინოს (ხოფერიებს) გაუმართლათ, იქვე, ქვემო ვერაზე ცხოვრობდნენ. ქეთი ყოველ დილით ავლაბრიდან დადიოდა, ნინო ნახალოვკაში ცხოვრობდა, ეკა ხილიანზე. იმხანად რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში “United Colors of Benetton” მაღაზია გახსნილა. შეუვლია ერთხელაც ეკას და ჩექმა მოსწონებია ძალიან. ისე ძალიან, რომ დიდხანს უტრიალა, ბევრი იფიქრა და იორჭოფა, საკმაოდ სოლიდური თანხა ღირდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა და იყიდა. ყოველ დილით, სახელოსნოში შევიდოდა თუ არა, ჩამოჯდებოდა თურმე სადმე და თავის საამაყო შენაძენს მონდომებით წმენდდა. თან ბუზღუნებდა, ასე მალე ახალ ფეხსაცმელს ამდენი ნაოჭი როგორ უჩნდებაო.

**ქეთი:** დღეში რამდენიმე კილომეტრს ფეხით დავდიოდით და აბა, რა იქნებოდა. კიდე კარგად გაუძლო. ეს წმენდა-გაპრიალება დილის აუცილებელი რიტუალი იყო. ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ ეს საბრალო ჩექმის კი არა, ამდენი სიარულის ბრალი იყო. ძალიან მოსწონდა და ჯიუტად ამტკიცებდა ამდენი ნაოჭი ჯერ, მაინც არ უნდა ჰქონდესო.



**საბრინა**

სახელოსნოში გაჩაღებული მუშაობა მიდიოდა. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო დღეს არავინ აცდენდა. ისხდნენ და ხატავდნენ. დროდადრო გახედავდნენ ხოლმე სახელოსნოს ჩამობრდვნილ კედლებს, ამოშავებულ, მურიან ქერს და ხუთივე ერთი ფიქრით ფიქრობდა - ნეტავ, როდის გვექნება საკმარისი ფული, ან როდის გამოჩნდებიან ჯადოსნური ხელმარჯვე ოსტატები ამ ოთახებს უცბად რომ შეესიონ და ყველაფერი წუთში გაგვიღამაზონო. არც პირველი და არც მეორენი, ცხადია, არსად ჩანდნენ. სამაგიეროდ, ყველას მაგივრად გამოჩნდა ერთი უჩვეულოდ აქტიური, ძალიან მაგარი იტალიელი გოგო, სახელად საბრინა.

საბრინა თბილისში ქმართან ერთად ჩამოვიდა. იტალიელი კომერსანტი სერჯიო სერიოზული ეკონომიკური კრიზისის მქონე ქვეყნებში იტალიური წარმოების იაფი ფქვილით ვაჭრობდა. მაგარი ბიზნესი ჰქონია. ასე, რომ სერჯიო მთელი დღე თავის საქმეებზე დაქროდა და საბრალო გოგოს ძალიან მოსწყინდა. სახელოსნოს ამბავი ირმას იტალიურის მასწავლებლისგან შეიტყო და ძალიან სთხოვა, ბატის კეთების სწავლა რახანია მინდა, თუ შეიძლება ხანდახან ვივლი, როგორ მუშაობენ ვუყურებო. სახელოსნოში ასეთი სტუმრები მანამდეც ბევრი ჰყოლიათ,







მაგალითად, აგვისხნა, რომ თუ ჩვენი პროდუქციის გაყიდვა გვინდა, მყიდველის მოთხოვნაც უნდა გავითვალისწინოთ. და რადგან ჩვენი სტუმრები ძირითადად უცხოელები არიან, უნდა გვახსოვდეს, მათ სახელოსნოში ის ხიბლავთ, გვერდით ოთახში ნამდვილი, ცოცხალი პროცესი რომ მიდის, ყველაფერი ხელით რომ კეთდება და ამის ნახვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამიტომ გვირჩია, თავშალის დამზადებისას ყველა სამუშაო ხელით შეგვესრულებინა. ჩვენ კიდეც, თავშალის კიდეებზე ამოხვევებს სამკერვალოში ვაკეთებინებდით, საქმის გასამარტივებლად. ქსოვილის ბოლოები ძალიან უხეშდებოდა. ხელით რომ ვცადეთ გაცილებით ნაზი და დასრულებული გამოვიდა. მოკლედ, ყოჩალი გოგო იყო საბრინა. დღემდე გვემეგობრება. წელი არ გავა, რომ არ გვესტუმროს.

ასე ნელ-ნელა გაჩნდნენ სახელოსნოში სტუმრები და კლიენტები, რომლებიც თავიდან თვეში ერთხელ, ხანდახან ორ თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდნენ. პირველი წლე-

ამიტომ გოგონები უმაღლ დათანხმდნენ. ის კი არა, მეორე დღეს საბრინას უკვე სახელოსნოს საკუთარი გასაღები გადასცეს - როცა გინდა მოდი და რის გუნებაზეც იქნები ის აკეთეო.

საბრინამ რამდენიმე დღე იარა, მერე გოგონებს საქმიანად განუცხადა: მე კედლების შეღებვა და ცოტაოდენი საღებავის შოვნაც შემიძლია. თქვენ ვინ რას გააკეთებთო? მეორე დღეს ყველა რაღაცას ეზიდებოდა - ვის მორჩენილი საღებავები აღმოაჩნდა სახლში, ვის დიდი ფუნჯები, ვილაცამ გაჯი იშოვა, რაღაცეები იყიდეს, ცოტა მეგობრებიც დაიხმარეს და ეგ იყო.

**ნინო ხოფერია:** “მართლა სერიოზული რემონტი გავაკეთეთ. ვერასდროს ვიფიქრებდი რომ შელესვა ასე კარგად გამოვივიდოდა. იცი, მაშინ რას მიეხვედით? რომ ყოველთვის, იმ საზარელი ომიანობის დროსაც კი, რაღაცის გაკეთება შეგვეძლო. და რომ ყველაფე-

რიც გამოვა! მაშინ საკუთარ თავებზე პატარა გამარჯვება ყველას ძალიან გვჭირდებოდა. დიდი შემართება და სტიმილი იყო.”

საბრინამ ისიც თქვა, ქალაქში ასე თუ ისე უკვე გიცნობენ და ახლა სახელიც გჭირდებათო. რემონტის დროს სახელოსნოს კარი და ფანჯრები ლურჯად შეღებეს, ამიტომ საბრინას ბევრი აღარ უფიქრია და სახელოსნოს (რატომღაც ფრანგულად) “ლურჯი სახლი” დაარქვა.

**ნინო ყვავილაშვილი:** საბრინამ ძალიან ბევრი რამე გვასწავლა. მანამდე არავის გვესმოდა რას ნიშნავს ბაზარი, მარკეტინგი და ა.შ. კომერცია ჩვენი ორიენტირი არასდროს ყოფილა, თუმცა საბაზისო ცოდნა და ელემენტალური გამოცდილება ამ მიმართულებით მაინც გვჭირდებოდა. საბრინამ უცბად მოისაზრა, სასწრაფოდ ბუკლეტები დაგვაბეჭდინა და საერთაშორისო ორგანიზაციებში დაარიგა. ბევრი საინტერესო რჩევა მოგვცა.





ბი მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობდნენ და ბევრჯერ ყოფილა, ქირის საფასურისთვის საჭირო თანხა ძლივს შეუკონინებიათ. დღეს “ლურჯ სახლს” ბევრი სტუმარი ჰყავს. ბატიკაზე მუშაობა კი მათი საყვარელი საქმეცაა და შემოსავლის წყაროც.

სექტემბერი ძალების მოკრეფის, თავიდან დამუხტვის პერიოდია. საზაფხულო არდადეგებიდან ახლად დაბრუნებულებს დრო სჭირდებათ სამუშაო განწყობაზე მოსასვლელად. ყველას თავისი ოჯახი ჰყავს და ზაფხულის ბოლო თვეს შვილებთან ერთად ატარებენ. ამიტომ სახელოსნოში სიმშვიდე და სიხალვათეა. თუმცა სამუშაო ოთახიდან რაღაც ხმაური მაინც გამოდის. ეს ქეთია.

**ნინო ყვავილაშვილი:** ყველაზე მეტ დროს სახელოსნოში ქეთი ატარებს. იმდენად ბევრს, რომ ხანდახან ვახსენებთ, ამ ყველაფრის გარდა ოჯახი და შვილი რომ ჰყავს. საოცრად შრომისმოყვარეა. არასდროს ეზარება ახალი იდეებით გამოსვლა, ახალი ტექნიკის გამოყენება. სულ რაღაცას გვთავაზო-




ბს, ათას რამეს მოიგონებს და მერე ჩვენც გვიზიარებს. ეს ძალიან გვეზმარება. ისე, ფანტაზია უცნაური რამეა, თუ გაგიტაცა...

**ეკა:** სახელოსნოში მე და ქეთილა დავჩით. საღამო ხანი იყო, ძალიან დაღლილები სავარძლებში ვესვენეთ. ქეთი მოულოდნელად შემოტრიალდა და ძალიან სერიოზულად მკითხა: ეკა, იცი ავღანეთში ომი სინამდვილეში რატომ დაიწყო? დაბნეულმა თავი გავაქნიე. ვიფიქრე, რაღაც სახელმწიფოებრივი საიდუმლო იცის და უნდა გამიმხილოს-მეთქი.

**ნინო ხოფარია:**

2002 სადაზღვევო კომპანია „ალდაბი“-ს ინტერიერი, თბილისი  
1987-1992 სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ფარნაჩის ფაკულტეტი







თურმე ავლანეთში უძველესი დროიდან ერთი ფასდაუდებელი ლურჯი ხალიჩა ინახებოდა. ლაზურიტის ქვისაგან დამზადებული საღებავით შეღებილი ძაფებით ნაქსოვი. ჰოდა, ამ ხალიჩის ხელში ჩასაგდებად ჩამოსხა გორბაჩოვმა ავლანეთის მინაზე ჯარებიო. ცოტა ხანს ვუყურე, მერე მივხვდი რაშიც იყო საქმე და ავხითხითი. კი არ დაბნეულა, უცებ განაგრძო - უი, სულ ამერია, ომი რაღა შუაში იყო, რუსეთს კოსმოსური ნარმოებისთვის, თურმე, დიდი რაოდენობით ლაზურიტი სჭირდება და მსოფლიოში ყველაზე დიდი მარაგი ავლანეთში აღმოჩნდაო.

ასე სცოდნია. ისეთი განცდით მოყვება ვილაცის მონათხრობს, ეჭვიც არ შეგეპარება, ეს ამბავი თვითონ რომ გადახდა. ან ასეც ხდება - ასოციაციური ფიქრები ერთმანეთში უცნაურად ებლანდება, სადღაც გაიტყორცნება და ამგვარი უცნაური რამე გამოვა. ცუდია, ვითომ ხანდახან ასეთი ამბების მოსმენა?

ცხელა. თითქოს სექტემბერია და დღემაც იწყობა, თუმცა, ამინდს ჯერ არაფერი ეტყობა. ყველა ჭუჭრუტანიდან მზე უმონცალოდ აჭერს და ადგილს ვერ ვპოულობ. სახელოსნოში დღეს მეტისმეტად ბევრი ხალხი ირევა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციიდან ვიზიტორთა სამი პარტია უკვე გავისტუმრეთ. უფრო ხშირად არაქართველები არიან, დიდხანს, დიდხანს დადიან, არჩევენ, სინჯავენ, გუნებაში საკუთარ ინტერიერს უხამებენ და მხოლოდ მერე ყიდულობენ. სამაგიეროდ ზუსტად იციან, რომ სწორედ ეს პანო, ან თავშალი სჭირდებათ. ზოგი მათგანი ძალიან ხშირი სტუმარია.





ასეთები გოგონებს გამორჩეულად თბილად ახსენდებათ. მათ შორის ერთი შვეიცარელი ქალბატონი, წითელი ჯვრის ორგანიზაციის ძველი თანამშრომელი. ლამის ყოველ კვირას დადიოდა და სასაჩუქრედ თავშალებს ყიდულობდა. დიდხანს არჩევდა, რომ ფერები და ორნამენტები არ გამეორებულიყო. ასე, ორმოცადაათამდე ეყიდა. საქართველოდან გამგზავრებამდე დასამშვიდობებლად რომ მოვიდა, მაშინლა გამოტყდა, ვერც ერთი თავშალი საჩუქრად ვერ გავიმეტე, ყველას მე თვითონ ვხმარობო.

**ეკა:** ოდესმე თუ ბრუნდებიან, აუცილებლად გვსტუმრობენ, უყვართ აქაურობა. ხანდახან ისე მოდიან, უბრალოდ სასაუბროდ, ჩაის დასალევად. მერე სხედან საათობით და აღარ მიდიან.

სულაც არ მიკვირს. პანოებით აჭრელებული კედლები, ნათელი ოთახები, საღებავის და ყავის სუნით გაჟღენთილი კედლები და ხუთი ყველაზე კეთილგანწყობილი ქალბატონის გარემოცვა საუკეთესო ადგილია სტუმრობისთვის. ერთია, გამოფენების წინ იქ არ უნდა მოხვდეთ, თორემ ძალიან დაიბნევიან და ვერაფერს გაიგებთ. ამ დროს ყველაფერი თავდაყირა დგება და ოთახებში ათეულობით ადამიანი ირევა. ყველა ქალბატონს თავისი 'სამაშველო' გუნდი დაყვება. აქეთ-იქით საქმიანად დარბიან და თავისთვის ბურღლუნებენ. რომელიმე ოთახის კუთხეში, კი ერთ პატარა, დიდთვალეა გოგოს შეამჩნევთ. ეს ნაზოა. ნაზო დედამიწაზე ყველაზე ერთგული და კეთილი მკერავია. გამოფენის წინ სულ ასე თავჩახრილი ზის და კერავს. თუ ძალიან არ დააკვირდი, შეიძლება არც კი შემოგხედოთ. არავის ელაპარაკება, არასდროს ბუზღუნებს და არაფერს კითხულობს, ისედაც ყველაფერი კარგად იცის.

დღესაც აქაა, ისევ ზის და კერავს. სახელოსნოში ამჯერად ნინო ხოფერია აკლიათ, ჯერ ზღვიდან არ ჩამოსულა. ნინოზე ასე ამბობენ ყველაზე უდარდელი და მშვიდი ადამიანიაო. როგორც კი შემოვა ერთს აუცილებლად დაივლის, იქნებ რამე ზედმეტი ან უსარგებლო ნივთს მოკრას თვალი, მაშინვე სანაგვეში უკრავს თავსო. ბევრჯერ უძებნიათ მერე ის "უსარგებლო ნივთი" სხვებს, მაგრამ ვერსად უნახავთ. ცხოვრებაშიც ასეთია, ზედმეტი არაფერი უყვარს, წვილმანებზე ფიქრით თავს არასდროს ინუხებს და ყველა რთული სიტუაციიდან უმარტივეს გამოსავალს პოულობს. საფიქრალი ყველას ისედაც საკმარისზე მეტი გვაქვსო, ამბობს.

**ნინო ხოფერია:** არ მიყვარს პრობლემებზე საუბარი. გაცილებით იოლია დავივინყო ან რამე უკეთესით დავკავდე. ამას რომ ვაკეთებ, ეს იმას არ ნიშნავს რომ არ განვიცდი და არაფერი მადარდება. უბრალოდ მინდა,



ის ენერგია უფრო სარგებლიან და საჭირო საქმეს მოვასმარო.

ენერგია მართლაც ბევრი სჭირდებათ, ბატიკის კეთება მარტო აბრეშუმის ქსოვილის წყლის საღებავებით მოხატვა არ გეგონოთ. მაგალითად ყველა ქალბატონი მშვენივრად ფლობს ისეთ იარაღებს, როგორც ხერხი და ჩაქუჩია, ასევე რამოდენიმე ჩარჩოს, და დიდი შირმის ერთდროულად გადაადგილება დახმარების გარეშე შეუძლიათ. უზარმაზარი

**ეკა ხუნნარიცა:**

- 1986-1991 სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, სამრეწველო ბრაუჟინის ფაქულტეტი
- 2003 ჟორთიანდ მერიოტის ინტეგრირი, თბილისი
- 2002 მერიოტი თბილისის ინტეგრირი, თბილისი
- 1999 საშოპაო გამოფენა, თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისი.







მოთუხთუხე პარაფინიანი კასრის დაცლაც, მათი ყოველდღიური სამუშაოა. თუმცა არავინ წუნუნებს, რადგან ეს ის საქმეა, რისთვისაც არც ყინვაში ფეხით კილომეტრების გავლა დაზარებიან და არც შემოსავლების გაზრდის მიზნით პროფესიის შეცვლაზე უფიქრიათ. ერთადერთი, როცა ჯერი კომუნალური გადასახადების გადახდაზე, ან ნებისმიერი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე მიდგება, პატარა აურზაური მაშინ იწყება. “ეხლა შენ წადი, წინაზე მე ვიყავი. მე რომ სტამბაში წავედი! და საერთოდ, რას აკეთებს ის?” და ასე გაუთავებლად.

**ირმა:** ამ პატარა მონაკვეთების ამოგლე-

ჯვის შემთხვევაში შეგიძლიათ ჩათვალოთ რომ სახელოსნოში სრული ჰარმონიაა. შრომა, ჯაფა და დიდი ხალისია.

რა გვინდა? ჯერ ძალიან ბევრი რამე გვაკლია. პირველ რიგში ალბათ ის, რაც მთელს ქვეყანას - მეტი ინფორმაცია, მეტი ახალი, უცხო ხასიათი, საზღვრების გარღვევა გვჭირდება.

თბილისში, 2005 წლამდე უზარმაზარი საერთაშორისო სიმპოზიუმი ტარდებოდა. იყო ასეთი ორგანიზაცია GTG (Georgian Textile Art Group), რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ მრავალი ქვეყნიდან ქსოვილის ძალიან ცნობილი მხატვრები ჩამოჰყავდა, ვინც გო-

ბელენზე, ბატიკაზე, თექაზე მუშაობდნენ და სრულიად უსასყიდლოდ თავიანთ გამოცდილებას, ცოდნას გვიზიარებდნენ. ამ ორგანიზაციას არაჩვეულებრივი ქალი ნინო ყიფშიძე ხელმძღვანელობდა. რამოდენიმე მათგანი ჩვენს სახელოსნოშიც ცხოვრობდა. მახსოვს ერთი უნგრელი ცოლ-ქმარი, ძალიან ცნობილი თექის ხელოსნები, ჩვენთვის ცოტა გაუგებარი, უჩვეულო ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. მხოლოდ ნატურალური, დაუმუშავებელი მასალის სამოსს ხმარობდნენ, ნატურპროდუქტით იკვებებოდნენ და არანაირ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტს არ ცნობდნენ. აეროპორტში რომ ვაცილებდით ჩემოდნებიც კი არ ჰქონდათ, თავიანთი ნივთები ტომრებში ელაგათ.

მეორე წელს ამერიკელი ჯოან მორისი ჩამოვიდა, ბროდვეის სპექტაკლების კოსტიუმების ცნობილი მხატვარი. გვექონდა უამრავი გასვლითი ტურები, ექსკურსიები, დავდიოდით თუშეთში, ალვანში, აზერბაიჯანის სოფლებში და უძველესი ქსოვილის დამზადების, ქსოვილზე მუშაობის ტექნიკას ვსწავლობდით. ერთმა ამერიკელმა ქალმა ქვილთის სრულიად განსხვავებული ტექნიკა გვასწავლა. ქვილთისაგან არა მარტო საბანს და გადასაფარებელს, არამედ დეკორატიულ ნივთებსაც ამზადებდა. დღეს ქეთი და ნინო (ყვავილაშვილი) ამ ტექნიკას იყენებენ და თავადაც ულამაზეს ნამუშევრებს ქმნიან.

ჯერ-ჯერობით დამოუკიდებლად ამდენი მოგზაურობის და მხატვართა სიმპოზიუმებსა თუ შეხვედრებზე დასწრების საშუალება არა გვაქვს. ეს მართლა ძალიან გვაკლია. თუმცა, რა გითხრათ, რახან აქამდე ვარსებობთ ე. ი. რალაცის კეთება მაინც შეგძლებია. პოდა, რა იცი, მერე რა იქნება?







**ქეთი ქავთარაძე:**

1984-1989 სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ქსოვილუბის ფაკულტეტი,  
 2005 ვეფხისტყაოსნის მინიატურები, გალერეა შარდენი, თბილისი  
 2000 ქართულ-აზერული კულტურის დღეები ისრაელში  
 2000 ტექსტილის მხატვრების კერძონალური გამოფანა, გალერეა  
 „შარდენი“, თბილისი  
 1999 მინიატურული ტექსტილის გამოფანა, ლატვია  
 1996 ქართული ბოზალენი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი,  
 თბილისი  
 1994 მათე საერთაშორისო ბინალა, მინიატურული ტექსტილის  
 გამოფანა, უზბეკეთი  
 1997 წლიდან ასწავლის აკოლონ ქუთათელაქის სახელოვის სახელმწიფო  
 სამხატვრო აკადემიაში, ქსოვილუბის ფაკულტეტზე



2005 წლის ოქტომბერში ბრიტანულმა ჟურნალმა NEW STATESMAN-მა ბარაკ ობამა იმ საუკეთესო ადამიანთა ათეულში დაასახელა, რომელთაც სამყაროს შეცვლა შეუძლიათ. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ილინოისის სენატორი ბარაკ ობამა დღეს უკვე დემოკრატების პრეზიდენტობის კანდიდატია და, წინასწარ გამოკითხვებზე დაყრდნობით, საკმაოდ სერიოზული შანსები აქვს. ობამას უამრავ მხარდამჭერთა შორის არადემოკრატების არიან. რომორც ამბობენ, მხოლოდ დემოკრატების კი არა, ყველას კანდიდატია. მის საარჩევნო პროგრამაში ორი საკითხი ღმინიერებს: ერაყის ომის დასრულება და ჯანდაცვის უნივერსალური სისტემის შექმნა. აკირებს თუ არა ობამა სამყაროს შეცვლას? – ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხს „ნუ იოკებო“ გამოქვეყნებული სტატია გაგხდამთ.

# შემრიგებელი საიღან მოდის ბარაკ ობამა?

ავტორი: ლარისა მაკფარკუჰარი  
თარგმნა: თამარ სუსიშვილია  
© Larissa MacFarquhar  
Originally published in *The New Yorker*









REUTERS

ფერმერთა სოფელი. გასული წლის ზაფხული. ერთი ჩვეულებრივი დღე. კარმი, ილინოისი — ქალაქი პატარა მდინარე ვაბაშზე, ქვემოთ, შტატის სამხრეთ ბოლოში, კენტუკიდან 25 მილის მოშორებით. 12 ფერმერი ერთად შეყრილა, ჯანმრთელი აღნაგობის თეთრკანიანები არიან, ძალიან მოკლედ შეჭრილი თმით — სხედან ერთმანეთზე შეტყუებული მაგიდების გარშემო რაღაც გაურკვეველ ოთახში. სენატორ ბარაკ ობამას ესაუბრებიან. ეს დიდი ხნის წინ იყო, მანამ, ვიდრე ობამა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გადანწყვტდა. ის ერთ-ერთი მაგიდის კიდეში იჯდა, სკამის ზურგზე გადანოლილიყო, მუხლი მაგიდის კიდეზე მიეზვინა, ჰალსტუხი კი ეკეთა, მაგრამ პიჯაკი არ ეცვა და პერანგის სახელოები აკაპინებული ჰქონდა. ერთი ახალგაზრდა ფერმერი ჯონსის აქტის გამო გამოთქვამდა უკმაყოფილებას. მეორეს ეთანოლის საკითხი აწუხებდა.

„პირველი შეკითხვა მაშინ გამიჩნდა, ჯორჯ ბუშმა რომ თქვა: მე მთლიანად ბიოსანგავის მომხრე ვარ. თუ ასეა, რატომღა ექცევა ამდენი ყურადღება ცელულოზის ეთანოლს?“

„მეცნიერი არა ვარ,“ - განაცხადა ობამამ, - ამიტომ, როცა ამ საკითხს ვეხები, ფრთხილად უნდა ვიყო, ძალიან ღრმად რომ არ შევტოპო და მერე ნაპირზე ველარ გამოვიდე. დღესდღეობით ცელულოზის ეთანოლი პოტენციურად რვაჯერ უფრო ენერგოეფექტურია, ვიდრე მარცვლეულისა. ასე მესმის. ვიცი, რომ მარცვლეულზე ხარ მიჯაჭვული. მაგრამ, თუ ვინმე უფრო სარფიან გარიგებას შემოგთავაზებს?“

„არა მგონია, - პასუხობს ფერმერი, - ამასწინათ ერთი ბიჭი მოვიდა ჩემთან და შემომთავაზა, სანამ ხორბლის მოსავალს მოიწევ, არ გინდა, შენი თივა გაყიდო და უარით გავისტუმრე: დროს ტყუილად ნუ კარგავ, თივას არ მოგყიდი-მეთქი.“





„აი, ეს საინტერესოა, - გააგრძელა ობამამ, - რატომ არ გინდოდა, თივა მიგეყიდა? თუ ამას შენთვის ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, თუ ეს კარგი საქმიანი გარიგება იქნება, მაშინ დაინტერესდები?“

„თუ კარგად გადამიხდით..“ - აღიარა ფერმერმა.

„თუ კარგად გადაგიხდიან. აი, თქვენ ეკონომიკა ჩემზე უკეთ გცოდნიათ. მოკლედ, უნდა დავსხდეთ იმ ფერმერებთან ერთად, რომელთაც მარცვლეული მოჰყავთ და ავწონ-დავწონოთ, რა იქნება უფრო სარგებლიანი. მე ფერმერი არ ვარ, მაგრამ თქვენი საუბრის მერე, მინდა, ჩემი თივა მქონდეს, რადგან ეს მნიშვნელოვანია...“

„მეგონა, ერთადერთი კაცი ვიყავი, ვისაც ეს იდეა ჰქონდა,“ - ჩაერია ფერმერი.

„ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ. უნდა შევქმნათ ეფექტური ეთანოლი, რაც ბაზარზე შესამჩნევ ზრდას გამოიწვევს. საქმე ისაა, რომ ბრაზილიური ეთანოლი ამერიკულზე საგრძნობლად იაფია. ჯორჯ ბუშს მისი შემოტანა უნდოდა, მაგრამ მე და რიჩარდ დურბინმა, ილინოისის სენატორმა, უარი ვთქვით და მხარი დავუჭირეთ ეთანოლის არსებულ ტარიფს. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, გვქონდეს განვითარებული შინაარმოებული ეთანოლის ბაზარი. მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი, რაც კი გაკეთდება, გაამყარებს იმ შეხედულებას, რომ ჩვენ მთელი დედამიწის ზურგზე უმდიდრესი მიწა გვაქვს და საუკეთესო ფერმერები გვყავს. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: თავად ფერმერები უნდა იყვნენ დაინტერესებული ამ საქმით. ხელი არ უნდა აიქნიონ და არ უნდა თქვან: ეს არ მაინტერესებს, რადგან მე მხოლოდ ხორბალი და პარკოსნები მომყავს.“

არსებობს სამი ხერხი, რომელსაც დემოკრატი კანდიდატები ამომრჩეველთან საუბრის დროს მიმართავენ და სულ რამდენიმე წუთში შთამბეჭდავად წარმოაჩენენ ხოლმე ამომრჩეველის პრობლემას, ძირითადად, ფინანსურს. მერე საზოგადოებაში პროტესტის გრძნობას აღვივებენ იმ გავლენიანი დაჯგუფებების მიმართ, უბრალოდ

ხალხის ხარჯზე რომ მდიდრდებიან. მხოლოდ ამის შემდეგ წარმოადგენენ ამ პრობლემის გადაჭრის კარგად ჩამოყალიბებულ გეგმას და იმ გავლენიანებსაც თავის ადგილს მიუჩენენ. ობამა ამ ხერხებს თითქმის არ იყენებს. მოქმედების დროს ნაკლებად ინფორმირებული ჩანს, იშვიათად სდებს ვინმეს ბრალს. პრობლემებზე საუბარს პასიური კონსტრუქციებით ამჯობინებს: აქ საქმე მთლად კარგად ვერ კეთდება, ისე, თავისთავად, და არა იმიტომ, რომ ეს ვილაცის ბრალია. მის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებები ჩვეულებრივ უფრო შეუმჩნეველი და ლოკალური მნიშვნელობისა ჩანს, ვიდრე სისტემური და ფართო მასშტაბებზე გათვლილი. გავიხსენოთ თუნდაც ლას ვეგასში ამასწინათ გამართული ფორუმი, რომელიც ჯანდაცვის საკითხებს მიმოიხილავდა. ამ ფორუმზე ჰილარი კლინტონი და ობამა ერთსა და იმავე საკითხზე — პრევენციულ მკურნალობაზე საუბრობდნენ.

**უნივერსიტეტის მებობარი  
ქასანდრა ბატსი ბარაკის საყვარელ  
გამოთქმას იხსენებს სამოქალაქო  
უფლებებისათვის მოძრაობასთან  
დაკავშირებით: „თუ ჯვარს ვერ  
ზიდავთ, მაშინ გვირგვინის  
ტარებასაც ვერ შეძლებთ.“**



REUTERS

## ისტორია

„ჩვენ უნდა შევცვალოთ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების მექანიზმი. ეს კი ნიშნავს, რომ დაფინანსების წყარო შევუწყვიტოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ წუთას ძალიან კარგად უძღვებიან თავის საქმეს. ასე რომ, ეს დიდი პოლიტიკური ბრძოლა იქნება,“ - განაცხადა ჰილარი კლინტონმა. სადაზღვევო კომპანიები ფულს აკეთებენ იმით, რომ უამრავ ხალხს ქირაობენ სამუშაოზე, პაციენტების დაზღვევით კი ნაკლებად იწუხებენ თავს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უკვე დაზღვეული ხართ, ცდილობენ თავი აარიდონ იმ თანხის გადახდას, რაც თქვენი მკურნალობისთვის დაიხარჯა.“ ჰილარი წინ იდგა სცენაზე. მან მოდერატორის გვერდით დაჯდომაზე უარი თქვა. ლაპარაკობდა ენერგიულად, აშკარად ეტყობოდა, რომ საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ ღონისძიებისთვის და ეს გამოსვლა მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. „სადაზღვევო კომპანიების დიდი ნაწილი არ ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი, რომელსაც დიაბეტის დიაგნოზი დაუსვეს (ან წინადაბეტური მდგომარეობა აქვს), დიეტოლოგთან მიდის სწორი კვების დანიშნულების მისაღებად, ან პოდიატრისტის კონსულტა-

ცია სჭირდება. სადაზღვევო კომპანიები გიპასუხებენ, რომ მათ არ სურთ ასეთი პრევენციული ღონისძიებების დაფინანსება, რადგანაც ეს დაკარგული ფულია...“

ეს კი უკვე ობამაა: „პრევენციულ ღონისძიებებში უფრო მეტი ფული უნდა ჩაიდოს. უაზრობაა, როცა განკურნებადი ავადმყოფობით, მაგალითად ასთმით, დაავადებული ბავშვები გადაუღებელი დახმარების განყოფილებაში მიჰყავთ. ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების 20%-ზე გადასახადების 80% მოდის. ასე რომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების ჩადებას დიაბეტის მსგავსი ქრონიკული დაავადებების მენეჯმენტის საქმეში. თუ დავიქირავებთ სამედიცინო მენეჯერს, რომელიც ამ პაციენტებზე იზრუნებს და მათთვის სწორი მკურნალობის შერჩევას უზრუნველყოფს, მაშინ პოტენციურად აღარ დაიხარჯება ფეხის ამპუტაციისათვის საჭირო 30.000 დოლარი.“ როდესაც ახალგაზრდა მსმენელმა უმცირესობების ჯანდაცვის პრობლემის შესახებ დასვა შეკითხვა, ობამამ უპასუხა: ჭარბი წონისა და დიაბეტის პრობლემა უმცირესობებში უფრო მწვავედ დგას, ვფიქრობ, საჭიროა მიზნობრივი პროგრამები,

## „სახიფათო მიაჩნოვს იყო იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ ისა შეგვხვდებოდნენ, როგორც განათავისუფლებლებს, ან კიდევ უღატაკი ჯეფერსონის დემოკრატია აყვავდებოდა“



განსაკუთრებით, უმცირესობათა ბავშვებისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ ბავშვებს აქვთ ჯეროვანი კვება, ხელი მიუწვდებათ ხილსა და ბოსტნეულზე, აქვთ საკმარისი სათამაშო სივრცე და არ არიან მთელი დღის განმავლობაში ერთ კუნჭულში ტელევიზორთან გამოკეტილები...“

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ობამა ჯანდაცვის ფორუმებს მასპინძლობდა ნიუ ჰემფშირში, აიოვაში. ამ ფორუმებზე ის მშვიდი და განონასწორებული ჩანდა, ნელი ნაბიჯებით მიმოდიოდა, ჩაფიქრებოდა, დროდადრო თავს გადააქნევდა ხოლმე. ნეიტრალურ, მიუკერძოებელ კომენტარებს აკეთებდა. მისი გამოსვლები არ იყო განმსჭვალული ავადმყოფთა მიმართ სიბრალულის გრძნობით, არც ბიუროკრატის, კანონდარღვევებისა და უსამართლობისადმი ზიზღით, ის ამბობდა, რომ სისტემა მორყეულია და მას შეკეთება სჭირდება, თუმცა, ყველაფერი ელვის სისწრაფით ვერ მოხდება.

მისეულ მეთოდს ხშირად „პროფესორულს“ უწოდებენ, თავად ობამასაც ეს ფორუმები კონსტიტუციური სამართლის ლექციებს აგონებს, მაგრამ „პროფესორული“ მაინც იმას ნიშნავს, რომ ის გონით უნდა განსჯიდეს ან დიდაქტიკოსი იყოს, მაგრამ ასე არ არის. ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ თავიდან ბოლომდე შთაგონებულია და გამოკვეთილი პოლიტიკური კურსი არა აქვს. მაგრამ ობამა კვლავ ინსტინქტის ერთგული რჩება. მისი მიდგომა არ არის უბრალო სტრატეგია, თავად ობამა გახლავთ ასეთი. როგორც მისი მეგობრები ამბობენ, მას არც ის სჭირდება, გვერდით ვილაც საპყარი ედგას, რომლის ფონზეც უფრო ძლიერი გამოჩნდება.

არა, ასეთ შეხვედრებზე ობამას აუღელვებლობა, მისი სიმშვიდე სწავლული პროფესორის კი არა, უფრო მკურნალი ექიმის მიდგომას ჰგავს, ექიმისა, რომელიც ყოველგვარი ზედმეტი ემოციების გარეშე





უსმენს პაციენტს და ამშვიდებს, რომ ეს მისთვის ნაცნობი სიმპტომებია. ასეთივეა მისი დამოკიდებულება პოლიტიკის, როგორც ერთი მთლიანობის მიმართ. თუ პრობლემის წარმოჩენის დროს მავანთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე და ყველაფერ იმაზე აკეთებთ აქცენტს, რაც ჩვენ გადავიტანეთ, მაშინ მრისხანების ნიღბის მორგებაც ბუნებრივია. მაგრამ თუ ერთიანობის საკითხს ისევე სერიოზულად განიხილავთ, როგორც ამას ობამა აკეთებს, მაშინ მრისხანებას აზრი ეკარგება. დაახლოებით ისე გამოდის, ექიმი რომ გაბრაზდეს პაციენტზე, რომელსაც თირკმელი ანუხებს. რალა თქმა უნდა, აქ გარკვეულ როლს რასობრივი განსხვავებაც ასრულებს: „როცა შავკანიანი ხარ, ადამიანებზე აგრესიით არ უნდა მოახდინო შთაბეჭდილება, - ამბობს პეიფუდი, - იყო დრო, როცა შავკანიანმა პოლიტიკოსები გახდნენ წარმატებულები. ბევრმა ეს ისე გაიგო, თითქოს საზოგადოების მენინავე ძალა რომ გამხდარიყავი, ჭაღარა თმა უნდა გქონოდა. ამის მაგალითი იყო დაგ უაილდერი. დევიდ დინკინსიცი, აგრეთვე, ლოს-ანჯელესის მერი ბრედლი. მათ მიაჩნდათ, რომ თუ თეთრკანიანთა ელექტორატის ფართო მასებში პოპულარობის მოპოვება გსურს, უმჯობესია წინდახედული იყო, ვიდრე მრისხანე. არა მგონია, რომ ბარაკმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ეს გზა აირჩია, მაგრამ ეს ილბლიანი შემთხვევაა. ვილაც მისი გამოსვლებით შეიძლება, იმედაცრუებულიც კი დარჩეს, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ჯერ არ არის მზად ცეცხლის მფრქვეველი შავკანიანის აღიარებისათვის“ (როგორც ჩანს, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ობამამ ამ მაგალითებიდან ბევრი რამ ისწავლა და იცის, რომ პრეზიდენტ ობამას არჩევას რასობრივი რეველუცია არ მოჰყვება, ისევე, როგორც ქალი პრემიერ-მინისტრების არჩევა სამხრეთ აზიის ქვეყნებში არ ყოფილა ფემინიზმის აყვავების ნიშანი).

ობამას სიმშვიდე ტემპერამენტის საკითხია. პირველი, რასაც აღნიშნავს ნებისმიერი ადამიანი, ვინც კი ობამას იცნობს, ისაა, რომ თავს უაღრესად კომფორტულად გრძნობს.

„ის უჩვეულოდ თავშეკავებული და განონასწორებული იყო, - იგონებს ქრისტოფერ ედლი, ობამას პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტში, ამჟამად ბერკლის უნივერსიტეტის დეკანი - არის რალაც უჩვეულო თუ ახირებული ობამას თავდაჭერილობაში. და ეს ძალიან თვალშისაცემია, ისევე იქცევეს ყურადღებას, როგორც



## ისტორია

არაბუნებრივი მდუმარება იმ ადამიანისა, რომელსაც ძალუძს სისხლის წნევა საკუთარ ნებას დაუმორჩილოს. აუღელვებელია, არ არის გულგახსნილი, უფრო თავაზიანია, ვიდრე ფამილარული. გარეგნულადაც მშვიდია, მოძრაობები – მსუბუქი და თავისუფალი აქვს, ხმა კი ისეთი თანმიმდევრული და ზუსტი ჟღერადობისა, რომ შეიძლება მსახიობიც კი გეგონოთ, რომელიც პოლიტიკოსის როლს ასრულებს, თანაც იმდენად თავისუფლად, რომ ამის დაჯერებაც კი გიჭირთ.

პერანგი საყვლოსთან მოღვლილი აქვს. ჰალსტუხებს ისევე ექცევა, როგორც კენედი - ქუდებს, მაგრამ დაუდევრად ან არასერიოზულად არასოდეს გამოიყურება. „გორსა და ბუშს დაუდევრობა ახასიათებს. მაგრამ ობამასთვის ასეთი რამ არ შემინიშნავს,“ - აღნიშნავს რობერტ პუტნამი, ჰარვარდის პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტი, რომელსაც სამივე პოლიტიკოსთან მოუწია მუშაობა, - ეს არა იმიტომ, რომ ის დინჯი და დარბაისელი კაცია, უბრალოდ იმიტომ, რომ ბუშს შეუძლია შერეკილად მოაჩვენოს ხალხს თავი, გორსაც შეუძლია. ობამა შერეკილი არ არის.“

უცნაურობა ისაა, რომ ისეთი უშფოთველი ადამიანი, როგორადაც მას მეგობრები ახასიათებენ, რადიკალურად განსხვავდება იმ კაცისგან, რომელსაც ობამა თავის მემუარულ თხზულებაში აღწერს. ამ წიგნში, რომელსაც „მამაჩემის ოცნებები“ ჰქვია, ახალგაზრდა ობამა შემცბარი და გაღიზიანებულია, ძიების პროცესშია, უფროსის თეორეტიკანთანაა ქედმაღლობას და შევკანიანთა რისხვას, არ სჯერა საკუთარი ძალების და ყველაფერზე ეჭვიანობს. ეჭვენება, რომ მისი რწმენა მხოლოდ შენიღბული ეგოიზმია, მისი გრძნობები კი - მარტოოდენ განსაკუთრებული რასობრივი ხვედრის სიმპტომები.

**„ხალხი შეკითხვობდა  
- კარგი კასი ჩანსარ,  
გაქვს არაჩვეულებრივი  
იურიდიული ხარისხი,  
გვარიანი შემოსავალი,  
ლაგაზი, ეკლესიური ოჯახი,  
რატომ მიღისარ ბინძურ და  
საზიზღარ პოლიტიკაში?“**

წიგნი საკუთარ თავში, საკუთარ აზრებში გარკვევის შესახებ გვიამბობს. ეს არის ტრადიციული ამბავი საკუთარი თავის ძიებისა, რომელიც ტრადიციულადვე ქორწინებით მთავრდება, და დაბნეულობაც იფანტება. თუმცა, ასეთი დიდი კონტრასტი წიგნის გმირ ობამასა და იმ ობამას შორის, რომელსაც მსოფლიო იცნობს, ნამდვილად განსაცვიფრებელია.

„ძალიან მყარად იდგა მიწაზე, საკუთარ ნაჭუჭში მოხერხებულად გრძნობდა თავს, იცოდა, ვინ იყო, საიდან მოვიდა, რატომ სწამდა, - იხსენებს კენეტ მაკი, ობამას მეგობარი ჰარვარდიდან, ახლა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, - მისი წიგნი რომ წავიკითხე, გავოცდი

— ასეთი დაბნეულობა და რისხვა, რაც ამ წიგნში იყო აღწერილი, იქნებ სადღაც სიღრმეში არსებობდა კიდევ, მაგრამ ამას არ იმჩნევდა.“

„იცით, რა მიკვირს ყველაზე მეტად? — განმარტავს ობამა, - რატომ არის ეს ხალხი ასე გაოცებული. გმირის რისხვა 15 წლის ასაკში იწყება და სადღაც 21 წლის ასაკამდე გრძელდება. მე ასე ავხსნიდი, მოზარდი ვიყავი - მოჭარბებული ჰორმონებით და მძიმე ბავშვობა გამოვიარე... ეს არ ყოფილა ჩემი ბუნებრივი ტემპერამენტი. მაგრამ ეს წიგნი ხომ მთელ ჩემს ცხოვრებას არ აღწერს. სრულიად განსხვავებული წიგნის დაწერაც შემეძლო, კალათბურთის თამაშით გამოწვეულ სიხარულზე და იმაზე, თუ როგორი გრძნობაა, როცა ტალღაზე მისრიალებ და მზე ჩადის ქვიშიან სანაპიროზე.“

რატომ არ დაწერა წიგნი კალათბურთის თამაშით გამოწვეულ სიხარულზე? რატომ აკეთებს აქცენტს თავისი ცხოვრების იმ ეპიზოდებზე, რაც სულაც არ უნდა იყოს პოლიტიკურად მომგებიანი? სანამ „ოცნებებს“ დაწერდა, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას, ჩიკაგოს მერობა სურდა. ხალხი კი არა მარტო შემწყნარებლურად ეკიდება, არამედ მოსწონს კიდევ ექსცენტრული და წინააღმდეგობრივი ადამიანები ამ თანამდებობაზე (სხვა თანამდებობებისაგან განსხვავებით). შესაძლოა, სწორედ ასეთი გათვლა გააკეთა ობამამაც.

ალბათ, გაანალიზა კიდევ, რომ წარსულის ამგვარი გამომზეულება მომავალში დაჩრდილავდა მის გამოსვლებს. ობამა თხრობის ხელოვანია, თანაც იცის, რომ ჩვეულებრივი ამბავი პოლიტიკური კანდიდატის შესახებ, რომელიც კარგად სწავლობდა სკოლაში, მერე წარმატებული პროფესიონალი იყო და კარგი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაინცდამაინც არც არავის მოხვდება გულზე და ვერც შთაგონების წყაროდ იქცევა.

როცა ჩიკაგოში საზოგადოებრივ ორგანიზატორად მუშაობდა, ობამა რამდენიმე შავკანიან მინისტრს შეხვდა, ცდილობდა, ისინი თავისი ორგანიზაციის მეკავშირეობაზე დაეთანხმებინა. საუბრის დროს აღმოაჩინა, რომ ამ ადამიანთა დიდ ნაწილს რაღაც აერთიანებდათ. „ერთი მინისტრი იხსენებდა, რომ ადრე აზარტული თამაშებით იყო გატაცებული; მეორემ მითხრა, რომ წარმატებული კარიერის დროს ჩუმ-ჩუმად სვამდა. იყო დრო, როცა ყველას ღრღინდა რელიგიური ეჭვები. იყო შემადრწუნებელი დაცემა, სიამაყის დაკარგვა, საკუთარი თავის პოვნა და და შემდეგ დამკვიდრება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი დაცემა და მერე, მონანიება მათი რწმენის საფუძველი გახდა. სწორედ ამის გამო მოიპოვეს ავტორიტეტი,“ - წერს ობამა.

უნივერსიტეტის მეგობარი კასანდრა ბატსი ბარაკის საყვარელ გამოთქმას იხსენებს სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობასთან დაკავშირებით: „თუ ჯვარს ვერ ზიდავთ, მაშინ გვირგვინის ტარებასაც ვერ შეძლებთ.“

ობამამ 2004 წელს დემოკრატთა შეკრების დროს გაითქვა სახელი, როდესაც თავისი ცხოვრება აღწერა როგორც ამერიკული ოცნების გამარჯვება: „შავკანიანი ბავშვი სასაცილო სახელით“ - აფრიკელი მა-





REUTERS

## ისტორია

მაკაცისა და კანზასელი გოგონას წარმოუდგენლად იდეალისტური კავშირის წაყოფი. გარემო, რომელშიც ის გაიზარდა, არ ყოფილა სიბნელით მოცული, ჩააბარა ჰარვარდში, იურიდიულ ფაკულტეტზე, და მაშინვე ნათელი გახდა, რომ კარიერას გააგრძელებდა და რეკონსტრუქციის შემდგომი პერიოდის შეერთებული შტატების რიგით მესამე შავკანიანი სენატორი გახდებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, მისი ცხოვრება ამერიკული ოცნების საპირისპიროდ მიედინებოდა, ის უარყოფდა თავისი მშობლებისა და კიდევ იმათი მშობლების ამერიკულ ოცნებას, და რაღაც ძველისკენ ესწრაფებოდა. ობამას პაპა დედის მხრიდან სტენლი დანემი კანზასიდან იყო. სულაც არ იცოდა, რის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ამ შტატიდან გაღწევა სურდა — უნდოდა შორს წასულიყო მშობლების სახლიდან, გასცლოდა მიდევსტის პატარა ქალაქის უჰაერო პროვინციალიზმს, სადაც, მისი შვილიშვილის აღწერილობით, „შიში და წარმოსახვის უქონლობა ისე ახრჩობს შენს ოცნებებს, რომ უკვე დაბადების დღესვე იცი, როდის მოკვდები და ვინ დაგმარხავს.“ რამდენიმე წარუმატებლობისა და საყვარელ გოგონასთან ერთად გაქცევის შემდეგ ის ისევ მოიქცა, როგორც ჩვეულებრივ ასეთი ტიპის მამაკაცები იქცევიან ხოლმე: ის დასავლეთისაკენ წავიდა. გადავიდა კალიფორნიაში, მერე - სიეტლში, და ბოლოს უკიდურეს საზღვარზე, შორეულ დასავლეთში, ჰავაიზე, ამის იქით ვეღარ წავიდოდა, თორემ ისევ აღმოსავლეთში ამოყოფდა თავს.

ამ დროს ობამას მეორე პაპა ჰუსეინ ონიანგო 8 000 მილის აღმოსავლეთით კენიაში, იმავე გზით და იმავე მიმართულებით მიიწევდა წინ. უკმაყოფილო და ამბიციებით შეპყრობილმა მამის სოფელი მიატოვა, აინტერესებდა, რას აკეთებდნენ ახალი თეთრკანიანები ახლომახლო ქალაქში. მან ევროპული ტანსაცმლის ტარება დაიწყო და ევროპელთა მითითებებს იცავდა ჰიგიენისა და საკუთრების საკითხებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში იმოგზაურა როგორც ბრიტანეთის არმიის მზარეულმა.

ამ ორი კაცის შვილები - ობამას მშობლები ერთი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. მათ მიატოვეს თავიანთი სამშობლო, ისინი მამებზე უფრო თავისუფლები იყვნენ. ობამას დედა, ენი, პირველად კენიელს გაჰყვა, მერე, როცა იმან მიატოვა - ინდონეზიელს და როცა მეორე ქორწინებაც უიღბლო გამოდგა, შინ, ჰავაიზე დაბრუნდა ანთროპოლოგიაში მაგისტრის ხარისხის დასაცავად.

>>> გაბარქილება გვ. 148





ნიუს კორპის მმართველი,  
რუბერტ მერლოკი  
პრესკონფერენციაზე



“უოლ სტრიტ ჯორნალის” შესახებ ლელვამ ამაოდ ჩაიარა. 118 წლის წინ დაარსებული გაზეთი ჟურნალისტიკის დამლუპველ ძალად შერაცხული რუპერტ მერდოკის მფლობელობაში გადავიდა. ამ ფაქტმა საზოგადოებასა და მედიაში მწვავე ვნებათაღელვა და პესიმისტური პროგნოზები გამოიწვია. გაზეთებს ობიექტურობის შენარჩუნება გაუჭირდათ. სტატიებში მიმომხილველების პირადი მოსაზრებები გაჩნდა. ჟურნალ Vanity Fair-ის ავტორი მაიკლ ვოლფი კი პრესაში აშკარად გამოკვეთილი მემარჯვენე-მემარცხენე პოზიციებისგან განზე გადაა და მერდოკის ექსპანსია გარეშე თვალთ შეაფასა.

ამ წერილის სრულ ვერსიას ქვემოთ გაცნობით. ნახავთ, თუ როგორ იმართება ძველი და ძლევამოსილი ოჯახების მიერ ამერიკული მედია, როგორ გავლენას ახდენს მასზე ბიზნეს ინტერესები და რა ხდება მაშინ, როცა ბიზნეს-თემებზე ორიენტირებულ ჟურნალს ბიზნესი თვითონ უვარდება. ეს სწორედ “უოლ სტრიტ ჯორნალის” შემთხვევაა. მერდოკის მიერ მისი დაპატრონება კი ნიშნავს იმას, თუ რა გზით განვითარდება მომავალში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, ძველი და საერთო ტონის მიმცემი ამერიკული მედია. ეს რომ გავიგოთ, რუპერტ მერდოკის მიზნებსა და სურვილებს უნდა ჩავწვდეთ. მაიკლ ვოლფი თავის წერილში სწორედ ამას შეეცადა.

# მერდოკის პირადი თამაში

ავტორი: მაიკლ ვოლფი  
ნებლისპრიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ  
© VANITY FAIR

საყოველთაო აღფრთობის მიღმა, რომელის რუპერტ მერდოკის კრატანსიამ გააოიწვია – შეაქინა „უოლ სტრიტ ჯორნალი“, ორი ტიპის შიში იმაღაოდა: პირველი – მერდოკი ბოროტი ძალაა. მეორე – მერდოკს ვერაწინ შეაჩერებს.

მიუხედავად ამისა, კასი, რომელის ჟურნალისტობის მთელ თაობას ატაროდა, შესაძლებელია, ამავე დროს უკანასკნელი მოქმედი აბნატი იყო, რომელსაც ბაჟდური მელია გულწრფელად უყვარს.

არსებობს ადამიანი, მისი ოჯახის (საერთო ოჯახური თვისების – მიმწლოობის გამო მერდოკები ცოტა ნაიკენედებენ) და მის სახელფასო კონტრაქტებზე დამოკიდებული ადამიანების გარდა (ასეთები კი, დღეს უკვე მედია-სამყაროს სოლიდურ პროცენტს შეადგენენ, თვით ჩემი ქალიშვილის ჩათვლით, რომელიც “ნიუ იორკ პოსტში” რეპორტიორია), რომელიც რუპერტ მერდოკს ბიზნესში გულშემატკივრობდეს, ან უფრო მარტივად – რომელსაც მისი კარგად ყოფნა სურდეს. მიუხედავად ამისა, მერდოკი ჯექ-პოტს მაინც ხსნის: მისი პრიზი დღეს “უოლ სტრიტ ჯორნალია”. ჯიბეცარიელი კაცი კი ნაგვიანევად იკითხავს: როგორ ახერხებს მერდოკი ყოველთვის მიიღოს ის, რაც უნდა მაშინ, როცა ყველა მისი წინააღმდეგია?

სწორედ ეს კითხვა მიტრიალებდა თავში, როცა მედიის საყოველთაო ყურადღების შტორმში მოქცეული მერდოკი დოუ ჯონსსა და “უოლ სტრიტ ჯორნალს” გადამწყვეტ დარტყმას აყენებდა, ასევე კამერებისა და მიკროფონების ქარიშხალში მდგარი სტივ ჯობსი i-phone-ს უშვებდა; პარალელურად კი, ცხადია ისევ ათას კამერაზე აღბეჭდილი პერის ჰილტონი ციხიდან გამოდიოდა.

და მე ზუსტად მაშინ – ამ რკინის ნებისყოფისა და ვირტუოზული შოუმენობის ერთდროულ რეჟიმში ცქერისას, გავიზრე, რომ: სანახაობის მომწყობი გენიოსები სხვანაირები არიან – მე და თქვენ

ნამდვილად არ გვგვანან. ისინი სწორედ ასეთი შოუმენობის არიან დაბადებულნი და საჭირო გამბედაობაც არ აკლიათ.

ეს ადამიანები შეუვალეები და ეგომანიით შეპყრობილებიც არიან, ეს თვისებები კი საშუალებას აძლევთ და რაღაც გაგებით, აიძულე-ბთ კიდევ მათ, მედიას ბოლომდე დაეუფლონ (მერდოკი კი მედიას ეუფლება ორივე გაგებით – როგორც რეალური მფლობელი და როგორც პერსონაჟი); ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ისინი ეუფლებიან მთელ ჩვენს რეალობასაც; რომ ეს მათი სამყაროა, ჩვენ კი... ჩვენ... თქვენც კარგად იცით, რაც...

წარსული რეალობის მოკლე ექსკურსი: 29 მარტს მერდოკი “დოუ ჯონსის” გენერალურ დირექტორს უცხადებს, რომ მზადაა კომპანიის თითო აქციაში 60 დოლარი გადაიხადოს. უდავოდ მომხიბლავი წინადადებაა: რეალურ ფასზე თითქმის 60 პროცენტით მეტი. სუნთქვის შემკვრელი მოგება. ეს თანხა ერთი წლის წინ დანიშნულ გენერალურ დირექტორს, რიჩარდ ზანინოს მდიდარ კაცად აქცევს (უფრო ზუსტად, როგორც ამბობენ, ზანინოს 20 მილიონით მეტი შეხვდება). მაგრამ აქვე არიან ბენკროფტებიც – შემოდგომის აზნაურების ოჯახი – წარსული წლებიდან შემორჩენილი ფულით – რომლებიც დოუ ჯონსის საკონტროლო პაკეტს ფლობენ და კვლავაც მედიდურად აცხადებენ: კომპანია არ იყიდება. და მორჩა.

## ისტორია

მართლაც, ბენკროფტებმა მანამდე ყველა მყიდველის შეთავაზება უარყვეს, უარით გაისტუმრეს “ნიუ იორკ ტაიმსიც”. მათი ყიდვა-გაყიდვის კოდი ასეთია: ყოყმანი ნიშნავს თამაშში ჩართვას, ზურგის შექცევა კი ერთმნიშვნელოვან უარს. ზანიროც რომ ასე მოქცეულიყო და მაშინვე ცივი უარით გაესტუმრებინა მერდოკი, ალბათ, “უოლ სტრიტ ჯორნალის” გაყიდვაზე საზოგადოება ველარაფერს გაიგებდა (აუღებელი კომპანიების ყიდვის შესახებ განცხადებას საზოგადოდ ხომ არავინ აკეთებს). მაგრამ ნაცვლად ამისა, ზანირომ ნეიტრალური პოზიცია არჩია. ხოლო რადგანაც ბენკროფტების მრავალრიცხოვან ოჯახში ყველა ცოტათი ენაბლუა, არავინ არ აიღო თავის თავზე ინიციატივა, მერდოკის წინადადება ოფიციალურად უკუეგდო. შესაბამისად, დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბენკროფტები ყოყმანობდნენ. მერე კი მერდოკის წინადადების შესახებ ხმამ გარეთაც გამოჟონა (ვისი დამსახურებით, არ ვიცით იმიტომ, რომ მერდოკის ხალხი უარზეა). “დოუ ჯონსის” დუმილმა და მერდოკის 60-დოლარიანმა შეთავაზებამ კი კომპანიის აქციებზე ფასი 36-დან 56 დოლარამდე გაზარდა, შესაბამისად, ყველასთვის მოულოდნელად არაფრისმაქნის ოფციებს ოქროს ფასი დაედო. ამ ფონზე მერდოკის უარით გასტუმრება ხალხისთვის ფულის წარმთევის ტოლფასი იქნებოდა – სცადეთ, აბა, ეს, როგორი საცდელია?

მედიას ისეთი რეაქცია დასტყუოს, რომ ამ უკანასკნელმა მერდოკი უზნეო, მაგრამ მაინც შეუჩერებელ ძალად წარმოაჩინოს (ერთ-ერთმა მედია-კრიტიკოსმა მერდოკს “ბებერი, დამპალი ნაბიჭვარი” უწოდა).

შემთხვევითი ფაქტი სულაც არ არის ის, რომ მერდოკს თანამედროვე მედია უფრო მეტ ყურადღებას უთმობს – გაუთავებელი დებატების გმირი ის ყველაზე ხშირად ხდება ხოლმე – ვიდრე ნებისმიერ სხვა თანამედროვე მმართველს.

შენზე სხვებს ასე რომ აალაპარაკებ, შენს სახელს საზოგადოებაში გავრცელებული ჭორ-მართალის მუდმივ ნაწილად რომ გახდი, ჩათვალე, რომ აუტსაიდერიდან ინსაიდერად იქეცი, მარგინალური ფიგურიდან ყურადღების ცენტრში მოექეცი, ნაგავმეისტერიდან გავლენიან ფიგურად ჩამოყალიბდი.

**და**, ეს უკვე მოხდა. რეალობა თავდაყირა დადგა. მისიაც შესტატურად გადაუჯოკრა, რომ თვითონვე გახდა ისტებლიშმენტი. ის 70-მილიარდიან კომპანიას უძღვება. ის ნებისმიერ სხვა თანამედროვე მოღვაწესთან შედარებით, ყველაზე დიდ ძალაუფლებას ფლობს, თანაც ყველაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, “დოუ ჯონსისათვის” გაკეთებული შეთავაზება რეალობის კიდევ ერთხელ გადაფასებას მოითხოვს: რო-



მოკლედ, მერდოკმა კომპანია კუთხეში მიიმწყვიდა. მაგრამ ამას კუთხეში მიმწყვედულთა – ანუ მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ჟურნალისტთა (ან თვითონ რომ ჰგონიათ ასე) პანიკური აღშფოთება მოჰყვა. აღშფოთება გამოიხატებოდა შავ პიარში, ცინიზმში, შეურაცხყოფასა და ჟურნალისტურ გამოძიებებში; იმის მტკიცებაში, რომ მომთხოვნი მენილეების გუნდით ზურგგამაგრებული მომთხოვნი სხვა ნებისმიერი გენდირექტორი – მერდოკის მოგერიებას უფრო მძლავრად შეეცდებოდა, ვიდრე – თვით სიკვდილისას.

ამ ფონზე, აშკარად ჩანს – მერდოკი ერთადერთია, ვინც მიიჩნევს, რომ დაჭრილი დათვი მაინცდამაინც საშიში არაა. არც დაჭრილი მედიის საშიში. მეტიც, მერდოკს პავლოვისებური ოსტატობით შეუძლია,

გორ შეიძლება აღარ იმოქმედო როგორც უმსხვილესი სააქციონერო კომპანიის მმართველმა, მთელი თავისი ბრენდირებით, რეგულაციებით და ამის ნაცვლად, ერთ მშვენიერ დღესაც ადგე და ბანკროტად გაიღვიძო? და მერე რისთვის? გაზეთისთვის?

“ნიუს კორპში” არავინ, აბსოლუტურად არავინ, არ ეწინააღმდეგება რუპერტს. როგორც გენერალური დირექტორი, მერდოკი თითქმის უნიკალური ფიგურაა – ის არც მხოლოდ უცვლელი მენეჯერია და არც ლეგენდარული მმართველი, მერდოკს “ნიუს კორპში” ამაზე უფრო დიდი წონა აქვს – მას სიცოცხლის საწყისი ჰქვია. კომპანიის მთელი ისტორიის მანძილზე, მერდოკი თავად წარმოადგენდა



ერთადერთ ძალაუფლებას – კომპანია მხოლოდ მისი ინსტრუმენტი იყო. მაგრამ დროს მანაც თავისი მიაქვს – მერდოკს წლები მოემატა, კომპანიას – ბრენდები და ის ერთ ჩვეულებრივ კორპორატიულ საწარმოდ ჩამოყალიბდა. და სწორედ ამ საწარმოს შიგნით უცებ შესაძლებელი გახდა, დაკვირვებულ თვალს თუ პროტესტი არა, ეჭვი მანაც დაენახა რუპერტის გადაწყვეტილებების შესახებ – მანაც რა ჯანდაბას მიედ-მოედება მერდოკი? რა დანიშნულება აქვს პრესის გამონევისა, გამუდმებულ თავდასხმებს და თავის შერცხვენას? რა საჭიროა გარისკვა? რისი გულისთვის? ჩავარდნის პირას მყოფი ბიზნესისთვის? და ამ ბიზნესში უნდა გადაიხადო საბაზრო ფასზე ორჯერ მეტი? ნუთუ ესაა “ნიუს კორპის” დროისა და კაპიტალის საუკეთესოდ დაბანდების ასპარეზი?

პიტერ ჩერნინი – კომპანიის პრეზიდენტი და ოპერაციების მთავარი დირექტორი, სულ უფრო მზარდი გავლენითა და რეპუტაციით კომპანიაში (და როგორც “ნიუს კორპის” ერთმა ინკოგნიტო რესპონდენტმა ამიხსნა, არც მთლად რუპერტის გადაწყვეტილებების ბრმად მონამე) – დოუ ჯონსის საქმისგან შორს დადგა, ის ამ დროს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოლაპარაკებით იყო დაკავებული – იგულისხმება yahoo-სთან მოლაპარაკებები My Space-ის შესახებ, რომლის მფლობელიც “ნიუს კორპი” 10 მილიარდ დოლარად გახდა.

კომპანიაში მუშაობას თავი ორივემ დაანება, რითაც ცხადია მშობელს იმედი გაუცრუეს).

მოკლედ, “უოლ სტრიტ ჯორნალი” – ეს პირადად რუპერტის გარეგნად იყო. საქმეს ნიუ იორკში მხოლოდ ხელქვეითთა მცირე ჯგუფთან ერთად უძღვებოდა. მალე ის 90 წელს მიუკაცუნებს და ამ ასაკშიც კი გამოუსწორებელ “გაზეტჩიკად” რჩება. მედიის ტენდენციების სანინა-ალმდეგოდ, რუპერტს ახალი გაზეთი სურდა – მანამდე უკვე შესყიდულ გაზეთებს შორის ყველაზე ცნობილი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ყველა ბრძოლა მოგებული ჰქონდა, მერდოკი კვლავაც საბრძოლველად იწვევდა და იწვევდა მტრების იმ უკანასკნელი ბანაკისკენ, რომელსაც გულწრფელად, დაუფარავად, სიკვდილივით სძულდათ ის. მათ მერდოკის სიძულვილი აცოცხლებდათ.

**ამ** გაჯიქებული მტრების გუნდში პირველ რიგში ბენკროფტების ოჯახი შედიოდა, რომელთა გაიგივება ისტორიისა და რეალურად არსებული ახლო კავშირების გამო პირდაპირ “უოლ სტრიტ ჯორნალთან” შეიძლება.

ამ ჯგუფში შედიოდნენ ზალცბერგერებიც – ოჯახი, რომელიც “ნიუ იორკ ტაიმსს” აკონტროლებს და რომელმაც მერდოკის სვლა “დოუ ჯონსის” წინააღმდეგ აღიქვა, როგორც პირდაპირ მათ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი.



© Mike Segar / REUTERS

2007 წლის 1 აგვისტოს Wall Street Journal-ის პირველი გვერდი იუნყება, რომ რუპერტ მერდოკის „ნიუს კორპი“ „დოუ ჯონს და კომპანიას“ 5 მილიარდ დოლარად შეიყიდის.

საქმეში არც როჯერ აილსი ჩაერთო – ასევე გავლენიანი აღმასრულებელი მმართველი, რომელიც “ფოქს ნიუსს” უძღვება და რომელიც მალე ბიზნესის განხრით ახალ საკაბელო არხს ჩაუდგება სათავეში, რისთვისაც სავარაუდოდ მერდოკმა “უოლ სტრიტ ჯორნალი” იყიდა.

ოპოზიციურად განწყობილი პრესის თავდასხმების გამო გაღიზიანებული ჩანდა რუპერტის 34 წლის ვაჟი ჯეიმს მერდოკიც, რომელიც დიდ ბრიტანეთში SkyTV-ის მმართველია (საერთოდ, დინასტიით გამყარებულ მერდოკების ოჯახში ჯეიმსის ძმა, 36 წლის ლეჩლენი და მისი და, 39 წლის ელიზაბეტი, მართალია, ოჯახურ ბიზნესში კვლავაც ღრმად არიან ჩაფლულები, მაგრამ ოფიციალურად მამის

- ამერიკელ ჟურნალისტებს მყარი პოზიცია აქვთ.
- მათი პოზიცია მორალური პოზიციია:
- მერდოკი ქაჯია – ყველაფრის თქმა შეუძლია, ოღონდ კი სურვილი აიხდინოს.
- მათი პოზიცია კლასობრივი პოზიციია:
- მერდოკმა ფული დაბალი ფენის მაყურებლით იშოვა – ეს მისი ბიზნეს-მოდელია;
- მათი პოზიცია მაღალი გამოვნების პოზიციია:
- მერდოკი ხეკრია – მისი ალქმისა და აზროვნების სტილი მდაბიურია.

დაბოლოს, ამ ბანაკის შუაგულში იდგნენ ერთი კონკრეტული ტიპის ჟურნალისტები, რომლებიც მერდოკს კვლავაც მედიის ყველაზე ხარბ მტაცებელ ცხოველად მიიჩნევდნენ, მის მიერ “უოლ სტრიტ ჯორნალის” დაპატრონებას კი – ლეგიტიმურობისა და ავტორიტეტულობის ნორმებზე ღია თავდასხმად.

რომც მოინდომო ამაზე მეტად ველარ გააზვიადებ მერდოკის წინააღმდეგ ჟურნალისტური სამყაროს შიგნით გამეფებულ ანტიპათიას. ამერიკელი ჟურნალისტების ამ გუნდს თავისი მყარი პოზიცია აქვს.

მათი პოზიცია მორალური პოზიციაა (მერდოკი ქაჯია – ყველაფრის თქმა შეუძლია, ოღონდ კი სურვილი აიხდინოს).

მათი პოზიცია კლასობრივი პოზიციაა (მერდოკმა ფული დაბალი ფენის მაყურებლით იშოვა – ეს მისი ბიზნეს-მოდელია);

მათი პოზიცია მაღალი გამოვნების პოზიციაა (მერდოკი ხეკრია – მისი ალქმისა და აზროვნების სტილი მდაბიურია);

დაბოლოს, ეს ჟურნალისტების ტიპური პოზიციაა – იმდენად რიგითი პოზიცია, რამდენად რიგითებიც არიან: “უოლ სტრიტ ჯორნალის”, “თაიმსის”, “ნიუ იორკერის”, “სლეითის”, “ქოლამბია ჯორნალიზმ რივიუს” ჟურნალისტები, ჟურნალისტების ფაკულტეტებზე თბილად მოკლავთეული პრაქტიკოსები და რამდენადაც რიგითია თუნდაც ბიოგრაფი თინა ბრაუნი – ქალბატონი, რომელიც ჟურნალ-

## ისტორია

ლისტური ეთიკის ეტალონდაც გამოდგება (სწორედ ეს თინა ბრაუნი იყო, რომ გამოხტა და თქვა, მერდოკმა “ჯორნალი” რომ იყიდოს, ნამდვილი “ჰორორ შოუ” დატრიალდება).

მერდოკის სიძულვილი ყველას აერთიანებს. მათთვის, მერდოკი ადამიანებით, ბაზრებითა და მთავრობებით მანიპულირებს.

მერდოკი ბუნებრივი კანონზომიერების სანინალმდეგოდ მოქმედებს. ჟურნალისტებს, რომელთაც მერდოკის მიერ “უოლ სტრიტ ჯორნალის” ხელში ჩაგდება ადარდებთ, რეალურად, პირად საკითხებზე წუხან – სამსახურის შენარჩუნების გარანტიას მათ არავინ აძლევთ (“უოლ სტრიტ ჯორნალიდან” ბოლო დროს ბევრი დაითხოვეს), გავლენა იკლებს, ხელფასი იკლებს, სამუშაო იმატებს და ისინიც თავს უბედურად გრძობენ. იმიტომ, რომ ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ მერდოკი მათი ახალი მფლობელი გახდება.

ის ხალხი კი, რომელიც მერდოკთან მუშაობს, უმეტესწილად, ბედნიერია, შეიძლება მედია ბიზნესში ყველაზე ბედნიერიც: “ნიუს კორპიდან” თითქმის არავის აგდებენ. თუ “ნიუს კორპში” ახალი ამბების რედაქციაში მუშაობ, შენი გავლენა კი არ კლებულობს, პირიქით, იმატებს (ორივენი – “ფოქს ნიუსიც” და “ნიუს იორკ პოსტიც” მანიაკურად ტკბებიან თავიანთი გავლენით). რუპერტი კი, ყველა იმ დირექტორისგან განსხვავებით, რომელთაც საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინიათ, გასაოცრად ერთგული კაცია. გინდა, არაკორექტულად ელაპარაკებოდე რესპონდენტს, როგორც ბილ ო’რილი მოიქცა, გინდა ქრთამი და ფული აიღე შენი საინფორმაციო წყაროსგან, როგორც “ნიუს იორკ პოსტელმა” რიჩარდ ჯონსონმა გააკეთა, მერდოკი და “ნიუს კორპი”

მანაც შენს გვერდით დადგება. აქ, ამ კომპანიაში, ორმაგი კორპორაციული მორალი ვერაფერს დაგაკლებს იმიტომ, რომ აქ მსგავსი რამ არ არსებობს. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – “ნიუს კორპში” ერთი დიდი ფსიქოლოგიური კომპლექსიც მოგეხსნება – არ დაგჭირდება ნამდაუნუმ თამაში, თითქოს, ანგელოზი იყო.

აშკარაა, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკამ საკუთარ თავზე ახალი, რელიგიური მონოდება აიღო. ამ ახალმა ტენდენციამ კი მთლიანად შეცვალა ჟურნალისტიკის, როგორც თავისუფალი ნების მქონე, ფალსტაფიური, ირონიით სავსე, არა რელიგიური და მუშათა კლასის პროფესიის გაგება. ეს იმიჯი კი რა დოზითაც ის დღემდე შემორჩა, შემორჩა მხოლოდ მერდოკის გამოცემებს. და სწორედ ამ იმიჯის და მერდოკის 30-წლიანი მარშირების საპასუხოდ გაჩნდა ჟურნალისტიკაში ახალი და ალტერნატიული – რელიგიური მონოდება.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ერთ საღამოს, “ნიუს იორკ ტაიმის” აღმასრულებელი რედაქტორი ბილ კელერი და მისი ბოსი, გაზეთის გამომცემელი არტურ ზელცბერგერ უმცროსი წვეულებაზე კოქტეილების ჭიქებით ხელში იდგნენ და განიშმატებულები ახასიათებდნენ მერდოკს, როგორც სამყაროს დასასრულს. ასეთივე გაგულისებით დაუპირისპირდა კელერი მერდოკის მთავარ “ლეიტენანტს” გერი გინსბერგსაც: “როგორ შეგიძლია ამ ანტიქრისტიკულ იმუშაო?”

შედეგად, ყველა სერიოზულმა, ანდა თუ გნებავთ, ნონიანმა გამოცემამ – “კომენტატორებმა”, “ნიუს კორპის” აღმასრულებელთა განმარტებით – გამოკვეთილი ანტი-მერდოკული პოზიცია აირჩია და მის მიმართ საშინელი ბრაზი გადმონათხია.



© Rick Wilking / REUTERS

რუპერტ მერდოკი თავის მეუღლე, ვენდი დენგთან ერთად 2007 წლის ივლისი

**შესაძლებელია ისიც, რომ „ნიუს კორპისა“ და მერდოკის ბზაზი გასაყოფად ემზადებოდეს – ერთი თავისი რასიონალური კორპორატიული სტილით გააბრძოლებს სვლას, მერდოკი კი – მართალია მთლად კენსიაზე არ ბავა, ფლორდაში არ დასახლდება და ბოლფის თამაშით არ მოქლავს დროს, მაგრამ – ტემპს მაინც შეაწელებს; კვლავ წინ ივლის, მაგრამ ბზადაბზა ყვავილებსაც დაყმოსავს და შუადღეს ბაზათის დასჭირდება საკითხავად.**

**ოდნავ** რომ ჩავუღრმავდეთ საკითხს, მივხვდებით, რომ “დოუ ჯონსის” დაპატრონებისას მერდოკმა ის ძველი სტრატეგია აღარ გამოიყენა, რითაც ბიზნეს-თამაშებში წინათ ხელმძღვანელობდა. წინათ კი, ასე ხდებოდა: ცნობილი მედია-ბრენდის შექმნით, მერდოკი საკუთარ ტანზე ირგებდა მათ რეპუტაციასა და წონას. “ნიუს იორკ პოსტი”, “ნიუს იორკ მეგეზინი”, “ვილიჯ ვოისი”, ლონდონური “თაიმსი”, “ჰარპერი და როუ”, “ტივი გაიდი”, 20<sup>th</sup> Century Fox-ი: აი, იმ ბრენდების მცირედი ჩამონათვალი, რომელთაც მერდოკის სახელი მედია-რუკაზე მონიშნეს. თუმცა, ეს დიდი ხნის წინ მოხდა. ახლა მერდოკი გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთად აღებული ყველა ეს ბრენდი. და რასაკვირველია, კიდევ უფრო დიდია, ვიდრე “დოუ ჯონსი” და “უოლ სტრიტ ჯორნალი”.



*FM 104.3*



**SYNDICATE**  
*JAZZ*

WWW.RADIOSYNDICATE.GE

# ვფიქრობ, თეატრი ვუღბარულა

ინტერვიუ რიჩარდ ფორმანთან  
(ინტერვიუ-მცოდნეობური თეატრი, ნიუ-იორკი)





© Photo by Paula Court

რიჩარდ ფორმანი თანამედროვე ავანგარდული თეატრის გამოჩენილი რეჟისორია. მან მოღვაწეობა 60-იან წლებში ნიუ-იორკში, სოპროში დაიწყო, სადაც ერთ-ერთ ლოფტში საკუთარი სტუდია გახსნა. 1968 წლიდან კი მისი “ონტოლოგიურ-ისტერიული თეატრი” მუდმივ ბინას ისტ ვილიჯში, სენტ მარკსის ეკლესიაში, ამავე სახელწოდების ცნობილ ქუჩასთან ახლოს პოულობს, (ამ ქუჩას ხუმრობით წმინდა მარკსის ქუჩასაც უწოდებენ ხოლმე, ამ სახელს ფირნიშებზეც კი შეხვდებით, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ აქ თავს იყრიდა ახალგაზრდული, რევოლუციური და ავანგარდული საზოგადოება ჯონ ლენონიდან ნიუ-იორკელ პანკებამდე). ეს თეატრი დღემდე მოქმედა და, როგორც წესი, სხვა გვერდითი პროექტების პარალელურად, წელიწადში ერთ სპექტაკლს დგამს. ამავე ეკლესიაში, სადაც კვირაობით ჯვრისწერას ან მოსახსენიებელს შეიძლება დაესწროთ, პირველ სართულზე ქორეოგრაფიული ორგანიზაცია “დანსპეის პროჯექტია” განთავსებული. იგი თანამედროვე მსოფლიოში პოსტმოდერნული ცეკვის ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობად ითვლება. ეს დარბაზი უახლესი ამერიკული ავანგარდის ისტორიული ფიგურებსაც უკავშირდება, ისეთებს, როგორც ამერიკელი კომპოზიტორი ჯონ კეიჯი და პოეტი ალენ გინზბერგი არიან.

რიჩარდ ფორმანი, XX საუკუნის თეატრში, თავისი თაობის რამდენიმე რეჟისორთან ერთად ახალ კონტექსტს აყალიბებს. სახელები, რომლებიც მასთან ასოცირდება, კარგად არის ცნობილი თანამედროვე თეატრის მოყვარულთათვის — ელიზაბეტ ლეკომპტი “ვუსტერ გრუპიდან”, თეატრიდან, რომელიც უკვე სამ ათეულ წელიწადზე მეტია, არსებობს, რობერტ ვილსონი და ენი ბოგარტი. ის, რაც 70-იანი წლების ნიუ-იორკში ხდებოდა, გარკვეულწილად 60-იანი წლების ფრანგულ ტრადიციას, კერძოდ კი, არიანა მნუშკინას პარიზულ თეატრს უკავშირდებოდა. აქვე უნდა ვახსენოთ ეუი გროტოვსკის, სამუელ ბეკეტის, ეჟენ იონესკოს, ანტონინ არტოს, ბერტოლდ ბრეხტის და ვსევოლოდ მეიერხოლდის სახელებიც, იმ ადამიანებისა, რომლებმაც მთავარი აქცენტები დასვეს მეოცე საუკუნის თეატრში მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე.



რიჩარდ ფორმანი  
2005 წელი

**რიჩარდ ფორმანი თავის რეჟისორად სწორად ბრახტს მიიჩნევს. და თვლის, რომ თეატრი, რას არ უნდა წმინდა, ავანგარდულ ფორმაზე იყო მოსაფული, გაიხს ყოველთვის სოსიალური ქრიტიკაა.**

ამავე პერიოდის სხვა გამოჩენილი რეჟისორებისგან განსხვავებით, ეს არტისტები იმით არიან ცნობილი, რომ ისინი, არა მხოლოდ სპექტაკლებს ქმნიან, არამედ – თეატრს. ეს ყველაზე მკვეთრად ანტონინ არტოსთან არის გამოხატული, მან, მართალია, ვერ მოახერხა საკუთარი თეორიული ძიებების და მიგნებების თეატრალურ ბაზისში განხორციელება, მაგრამ მისმა ნაწარმოებმა ძირითადი როლი შეასრულა და დღესაც ასრულებს, როგორც პოსტმოდერნულ თეატრში, ასევე ჰეპენინგის და პერფორმანსის ხელოვნებაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიჩარდ ფორმანი, რობერტ ვილსონი და ელიზაბეტ ლეკომპტი იმ თანამედროვე თეატრალურ ტრადიციას ამკვიდრებენ, რაც ე.წ. თეატრის არტს გულისხმობს, ანუ თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებასთან ინტეგრირებულ თეატრს. აქ თეატრი უკვე თვითონ არის პროდუქცია და არა შემქმნელი ამ პროდუქციისა – სპექტაკლისა. ამიტომაც, ფორმანის და ვილსონის სახელები უფრო მეტად ენდი უერჰოლს, ჯონ კეიჯს, ანტონინ არტოს და სალვადორ დალის უკავშირდება, ვიდრე, ვთქვათ, ტრადიციული თეატრის სხვა არანაკლებად ცნობილი რეჟისორების სახელებს.

რიჩარდ ფორმანის თეატრი თეატრის არტია, ადრე მას, თუნდაც ჯოზეფ ჩაიკინის, არიანა მნუშკინას და ჯუდიტ მალინას პერიოდში, ანტი-თეატრს უწოდებდნენ, რაც, უმთავრესად არა დესტრუქციულად, არამედ ჩარჩოების გაფართოებაზე მიანიშნებდა.

რიჩარდ ფორმანის რეპეტიციები პირველივე დღიდან სრული სასცენო ტექნიკური აღჭურვილობით იწყება. ესაა დეკორაციები, ხმის და ვიდეო პულტები, კოსტუმები და სხვა. შემდეგ ხდება მათი ტრანსფორმირება სხვა კომპონენტებთან ერთად, იქმნება ტექსტიცა და მიზანსცენაც. დასაწყისში, აქ პიესა არ არსებობს, ისიც გენერირდება რეპეტიციების პირველივე დღიდან თითქმის უკა-

ნასკნელ წუთამდე. თავიდან ტექსტი მხოლოდ ფორმანის პირად დღიურებს ეყრდნობა, რეჟისორი წერს დიალოგებს, ოღონდ პერსონაჟების აღნიშვნის გარეშე – უბრალოდ, როგორც ფრაზებს. ეს ტექსტები პიესებად მხოლოდ რეპეტიციების შემდეგ ყალიბდება. დღეისათვის რეჟისორის 7 კრებულია გამოცემული ნიუ-იორკში, ბერლინსა და ტოკიოში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში რიჩარდ ფორმანმა საკუთარ სპექტაკლებში ვიდეოს გამოყენება დაიწყო. პირველად ეს 2006 წლის სპექტაკლში, “ზომბოიდი” სცადა, რაც 2007 წელს იმავე სტილიში შესრულებულ სასცენო ნამუშევარშიც გაგრძელდა – “გალივიდე, მისტერ მძინარა! შენი არაცნობიერი მკვდარია!”

როგორც ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, რიჩარდ ფორმანი ფილოსოფიური რეჟისორია. 2006 წელს მასთან სტაჟიორად მომიხდა მუშაობა. სანამ ქვემოთ წარმოდგენილ ინტერვიუს ჩავწერდი, ერთხელ რეპეტიციების შემდეგ ტრადიციულ შეკრებაზე წავედით ბარში. ასეთი შეკრებები წელიწადში ერთხელ ეწყობა არაფორმალური გაცნობის და დაახლოების მიზნით. იქ ფორმანს ერთი შეკითხვა დავუსვი. რატომღაც მიმაჩნდა, რომ მასთან ყველაზე ახლოს, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჩანდეს, ბრეხტი უნდა ყოფილიყო. მან მიპასუხა, რომ ერთადერთი რეჟისორი, რომელსაც თავის რეჟისორად მიიჩნევს, სწორედ ბრეხტია და რომ თეატრი, რაც არ უნდა წმინდა, ავანგარდულ ფორმებში იყოს მოცემული, მაინც ყოველთვის სოციალური კრიტიკაა. დიას, არა მხოლოდ ფორმანი, არამედ მთელი თანამედროვე ამერიკული ხელოვნების ტრადიცია სწორედ პოლიტიკური და კულტურული ჩარჩოების სოციალური კრიტიკაა. კეიტ მანჰაიმის, ლეგენდარული “ონტოლოგიურ-ისტერიული თეატრის” სულიწამდმელი არტისტის და წლების მანძილზე მისი განუყოფელი მონაწილის შესახებ კი თვითონ რეჟისორი გვიპასუხებს ინტერვიუში.


\*\*\*

**დავით ჩიხლაძე:** თქვენს სასცენო პროდუქციებში მაყურებელი ნათლად შეიგრძნობს ძველი თეატრის არსებობას — განათებისა და მიზანსცენების გადაბმები, მსახიობთა ნაბიჯების ხმა თუ რეკვიზიტი, მუსიკა, რომელიც ხაზს უსვამს ან აძლიერებს ემოციას და თვით თხრობა, რაც, მთავარია თეატრომანის მყუდროების შესაქმნელად. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ავანგარდული თეატრი, უბრალოდ, ბოლომდე ვერ გამოცალკევდება სტანისლავსკისა თუ ბრეხტისგან, თუ ეს მხოლოდ თქვენი პირადი იარაღია აკადემიური კონტრასტის შესატანად თქვენს უკიდურესად თანამედროვე ბუნების მქონე თეატრში — და ამ გზით განაპირობებთ მის სიცოცხლისუნარიანობას და გამორჩეულობას დანარჩენი, მხოლოდღა, ე.წ. თანამედროვეებისგან? თუ ეს რომელიღაც თქვენი შორეული წარსული გამოცდილების სენტიმენტია და ფარული განზომილება შემოაქვს ამ აბსტრაქტულ და კონცეპტუალურ ესთეტიკაში — ერთგვარი ლირიკულობის განზომილება?

**რიჩარდ ფორმანი:** ეს ძალზე არსებითი შეკითხვაა, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება წარმოადგენდა ბრძოლას ინტელექტუალურ გრავიტაციასთან ყველაზე მონინავე, 20-ე საუკუნის წმინდა ხელოვნებისკენ. თუმცა, ვიცოდი, რომ სადღაც ღრმად, ჩემში რომანტიკოსი ცოცხლობდა, ის, ვისთვისაც რთული გამოეყოს მაღალ მოდერნისტულ ტრადიციას და თვით რომანტიკულ ტრადიციასაც კი. 60-იან წლებში, როდესაც მინიმალისტური ხელოვნება მოვიდა ამერიკაში, მქონდა ასეთი გრძნობა – “ოჰ, როგორც იქნა - ეს უკვე მესმის. ბოლოს და ბოლოს ვიპოვე ხალხი, ვისთანაც ახლოს ვგრძნობ თავს”. საკუთარი თავი მინიმალისტად მიმაჩნდა და დიდი დრო არ დამჭირდა, გამეცნობიერებინა, რომ სინამდვილეში სულაც არ ვიყავი მინიმალისტი.

**დ.ჩ.: როგორ გამოიხატებოდა ეს თეატრის სამყაროში?**  
**რ.ფ.:** ეს არ ყოფილა გამოხატული. ვფიქრობდი, რომ მე უნდა გა-





მომეხატა. მართლაც, ჩემი ადრეული წარმოდგენები გაცილებით მინიმალისტური იყო. ვმუშაობდი არაპროფესიონალ მსახიობებთან და არ ვიყენებდი დიდ თეატრალურ ეფექტებს. დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს ხალხი, ვისაც მიაჩნია, რომ ის პერიოდი ჩემი შემოქმედების საუკეთესო ნაწილი იყო. სასაცილოა, ყოველ წელს ვფიქრობ, რომ ისევ იმ პერიოდს დავუბრუნდებ, მაგრამ ცოტა ხნის მერე მბეზრდება და ისევ ძველებური ყაიდის თეატრი მჭირდება. მაგრამ, ჩემი თეატრიც მალე მბეზრდება ხოლმე. მხოლოდ მოპარული ციტატები ინვესტს ჩემს გამოცოცხლებას. მიმაჩნია, რომ სწორედ ამისგან ვაშენებ ჩემს ხელოვნებას – ეს მხოლოდ ციტატებია, ყველანაირი სახის, მათი საწყისი თხრობითი სტრუქტურები კი, საიდანაც ისინი მომდინარეობენ, ჩემთვის უკვე გამოუსადეგარი მასალაა. ეს ციტატები, მართლაც, ძალზე დაფლეთილია. მიმდინარე სეზონის წარმოდგენა, როდესაც რეპეტიციები დავინწყეთ, შედარებით მშვიდი იყო, ნაკლები ეფექტები ჰქონდა და ვფიქრობდი, რომ ისევ ადრინდელ თეატრს ვუბრუნდებოდი. რამდენიმე კვირის რეპეტიციების შემდეგ კი, ჩემი თავი დავიჭიროე იმაზე, რომ ნამდვილად მჭირდებოდა მეტი და მეტი ფუფუნების საგნები, რომელთა მიმართაც ასეთი ამბივალენტური ვარ. ორი დღის წინ კი უკვე ვეუბნებოდი შანონ სინდელარს (თეატრის დირექტორს): “ოჰ, ღმერთო, იცი, დავნებდი. ვფიქრობ, რომ თეატრი ვულგარულია”. ვიცი, რომ ვილაც, ვთქვათ, ბეკეტი, ძალზე წმინდა თეატრს ქმნის, მაგრამ მე არ მხიბლავს იდეა, დავჯდე და ბეკეტს ვუყურო. მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკურად და ინტელექტუალურად ვეთანხმები მას და მიმაჩნია, რომ ეს არის სწორედ ის, რაც უნდა გაკეთდეს.

**დ.ჩ.: მე ერთხელ ვცადე ეს და 60 წუთი გრძელდებოდა...**

**რ.ფ.:** დიას. ეს ჩემი მუდმივი ფიქრია. მუდმივად გაორებული ვარ, მივისწრაფი თეატრის საცირკო ასპექტისაკენ და ამავე დროს - გაცილებით მკაცრი მინიმალისტური ხელოვნებისკენ. იგივე სიტუაციაა ფილმთან დაკავშირებითაც, მაგრამ, ცოტა ხანში ესეც მბეზრდება ხოლმე. ვფიქრობ, რომ სინამდვილეში ჩემი ხელოვნების ბირთვს, სწორედ ეს ძალისხმევა ორი მიმართულებით, ეს ბრძოლა წარმოადგენს.

**დ.ჩ.: გამოდის, რომ სპექტაკლს ყოველთვის სჭირდება თხრობა, რაღაც დოზით...**

**რ.ფ.:** ეს არ არის თხრობა, საითაც მე მივემართები. ეს, უბრალოდ, ცირკია. ეს უბრალოდ, მუსიკით, ბგერით, განათებით მანიპულაციაა.

**დ.ჩ.: სხვა შეკითხვაზე გადავინაცვლებ... რაც უფრო ახლოვდება სპექტაკლის პრემიერა, უცნაური მოლოდინი მიჩნდება, რომ თქვენ განათავისუფლებთ მსახიობებს პირსახვევებისგან, რითაც ისინი, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, დაახლოებით ერთი თვის წინ შემოსეთ. რად გინდათ მათი სახეების დამალვა - ლაპარაკით რომ არ შეგაწუხონ სამუშაო პროცესის დროს?**

**რ.ფ.:** ხშირად იმით ვამთავრებ, რომ მსახიობებს, მათი შენიღბვის მიზნით, ათავსავარი საგნებით დავტვირთავ ხოლმე. თავიდანვე ხალხი მადანაშაულებდა, რომ მქონდა სურვილი, ჩემი მსახიობები უბერ-მარიონეტებად მექცია. ამას აბსოლუტურად უარვყოფდი, რადგანაც







ამ ადამიანების იდიოსინკრატიული ბუნება მაინტერესებდა. მაგრამ, რაც დრო გადის, ვფიქრობ ხოლმე, იქნებ მართლაც ასეა-მეთქი. განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ვიყენებ ფილმს, მინდა, ფილმზე ხდებოდეს ფოკუსირება. ნამდვილი ხალხი, გარკვეული თვალსაზრისით, ფილმშია და მსახიობი, რაღაც ასპექტით, მანუხებს კიდეც სცენაზე, თუმცა, ზუსტად არ ვიცი, რა ასპექტით. ნაწილობრივ ეს იმით არის განპირობებული, რომ ამ თეატრში მაყურებელი ძალზე ახლოსაა მსახიობთან. ამიტომაც, აქ ყოველთვის იყო ზონრები და პლასტიკური კედლები მსახიობებსა და აუდიტორიას შორის. ეს ესთეტიკური დისტანციის საკითხია; და რამდენადაც ხელოვნების ყველა დარგში, ესთეტიკური დისტანციის შესაქმნელად სხვადასხვა საშუალებები არსებობს, მეც მსურს ესთეტიკური დისტანცია შევქმნა აუდიტორიასა და მსახიობს შორის, რომელთანაც მათ თანაგანცდა გააჩნიათ. მინდა, მათ შორის აღმოვჩნდე.

**დ.რ.:** არაცნობიერი, თქვენი სათეზისო სიტყვა ამ წარმოდგენისთვის - "გაიღვიძე, მისტერ მძინარა! შენი არაცნობიერი მკვდარია!" - თითქოს უნდა გულისხმობდეს ემოციას - ცნობიერების რაციონალურობის წინააღმდეგ. მაგრამ წარმოდგენის იარაღები ინტელექტუალური და ძალზე კონცეპტუალური ენის მქონეა. ხომ არ არის ეს პრობლემატიკის ჩაკეტილი, თვით-რეფლექსური განლაგება, სადაც თქვენ პასუხებს ეძებთ; ანდა შეიძლება, უბრალოდ, აქედან მოდის თქვენი არტისტული მოტივაცია?

**რ.ფ.:** კარგით, მე ვცდილობ დავაღაგო ის ბიძგები, რომლებიც, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი მენტალური ნაპერწკლებია და რომელთა მეშვეობითაც არაცნობიერი მოქმედებს. არ მიმაჩნია, რომ არაცნობიერი ემოციურ რეალობას მიეკუთვნება. არაცნობიერს ფროიდის ან ლაკანის მნიშვნელობით განვიხილავ, როგორც კონკრეტულ მეთოდს, რომლითაც გონება ოპერირებს ჩვენს უკან და სულაც არ არის აუცილებელი, რომ ემოციური იყოს. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ის უკვე მოქმედებს, თქვენ გაქვთ ემოციური რეაქციები გარკვეულ კონფიგურაციებზე, რაც იქ წარმოიქმნება. მაგრამ ფაქტობრივ პროდუქტია იმ მასალისა, რასაც არაცნობიერი გადაამუშავებს, სტრუქტურის საკითხია, როგორც მე ამას ვხედავ...

**დ.რ.:** როგორც გარკვეულ სიმბოლოებს...

**რ.კ.:** სიმბოლოები ნაკლებად, ეს მასალის სტრუქტურალური გადაამუშავებაა. ასე რომ, ეს უფრო მენტალური აქტიურობაა.

**დ.რ.:** ასე რომ, თქვენ ამბობთ, რომ ეს გამორიცხავს ემოციურ მხარეს?

**რ.ფ.:** დიახ. დიახ. ვფიქრობ, რომ უამრავი ემოციაა ჩემს თეატრში, მაგრამ, ალბათ, უფრო ის საგნებია მნიშვნელოვანი, რომლებიც გონების მშრალი ცერებრალური აქტიურობიდან წარმოიქმნება - როგორც ცნობიერად, ასევე არაცნობიერად.

**დ.რ.:** და არის აქ ადგილი იუმორისთვის ან სექსუალობისთვის?

**რ.ფ.:** ოჰ, თანაც, ეს ყოველთვის თავისთავად ამოდის ზედაპირზე. ვფიქრობ, როგორც წესი, ასეთია ჩემი სპექტაკლები — შეიძლება, ჩემი ეს სპექტაკლი ნაკლებ მხიარული იყოს, ვიდრე სხვები, — მაგრამ, ჩემს თავს უფრო ახლოს მოლიერთან ვხედავ, ვიდრე შექსპირთან; და ვფიქრობ, იუმორი და სექსუალობა თეატრის მთავარი პლატფორმაა. იუმორი ჩემთვის ნიშნავს იმას, რომ იცინოდე იმაზე, რამდენად სულელურია ყველაფერი. მე სულელი ვარ, ყველა, ვისაც ვხედავ სულელია; (იცინის) ეს სასაცილოა.

**დ.რ.:** ყოველ თქვენს სპექტაკლს კეიტ მანჰაიმს უძღვნი, როგორც ონტოლოგიურ-ისტერიული თეატრის მფარველ სულს?

**რ.ფ.:** დიახ, მივუძღვენი რამდენიმე წარმოდგენა კეიტს, ახლა,

როდესაც ვინცაბდი და ვაკეთებდი ძალზე მინიმალისტურ წარმოდგენებს, საკმაოდ მოსაწყენი გამომდიოდა. კეიტი შემოვიდა წარმოდგენებში, როგორც მსახიობი და ყოველივე ამას დაუპირისპირდა. მაიძულებდა გამეკეთებინა უფრო მეტად სექსუალური, მხიარული, ცოცხალი რაღაცეები. ამან შეცვალა ჩემი ცხოვრება, მეც უფრო მეტად ყურადღებიანი გახდი და ეს გამართლებულად მიმაჩნია. ყოველ წელს, როდესაც ვინცებ ახალ პიესას, წარსულში ვიხედები და ვფიქრობ, რომ უკან მივდივარ. მაგრამ, არ ძალმიძს უკან წასვლა. ასე რომ, ეს წარმოდგენები ნამდვილად ჩემი ცნობიერების არენაზეა შექმნილი, რომელიც კეიტის რეალობასთან არის ახლო კავშირში.

უბრალოდ... აღარ ვაკეთებ ამას. არადა, ვფიქრობ, რომ უნდა ვაკეთო. სწორედ კეიტმა შექმნა ჩემი თეატრი ისეთი, როგორცაა დღეს. როდესაც ვინცებდი და ვაკეთებდი ძალზე მინიმალისტურ წარმოდგენებს, საკმაოდ მოსაწყენი გამომდიოდა. კეიტი შემოვიდა წარმოდგენებში, როგორც მსახიობი და ყოველივე ამას დაუპირისპირდა. მაიძულებდა გამეკეთებინა უფრო მეტად სექსუალური, მხიარული, ცოცხალი რაღაცეები. ამან შეცვალა ჩემი ცხოვრება, მეც უფრო მეტად ყურადღებიანი გახდი და ეს გამართლებულად მიმაჩნია. ყოველ წელს, როდესაც ვინცებ ახალ პიესას, წარსულში ვიხედები და ვფიქრობ, რომ უკან მივდივარ. მაგრამ, არ ძალმიძს უკან წასვლა. ასე რომ, ეს წარმოდგენები ნამდვილად ჩემი ცნობიერების არენაზეა შექმნილი, რომელიც კეიტის რეალობასთან არის ახლო კავშირში.

**დ.რ.:** ეს წარმოდგენა, ვიდრე ეკრანების და შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება შესაბამისობაში მივიჩნიოთ წინა წარმოდგენასთან, "ზომბოიდთან" (თუნდაც მხოლოდ მათი სახელწოდებებიდან გამომდინარე). თქვენ განიხილავთ მათ, როგორც ციკლს? ეს ახალი პროდუქტია ხომ არ არის ციკლის დასრულება? რა იქნება თქვენი შემდეგი ნამუშევარი?

**რ.ფ.:** არ ვიცი. ვცდილობ გადავწყვიტო. მართლა ვცდილობ, გადავწყვიტო. რადგან, გონების სიღრმეში, ვფიქრობ, ნუთუ არ მინდა გამოვიყენო ეს ფირი, რომელიც მაქვს, ეს მასალა, რომელსაც ვიღებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც მხოლოდ ფილმი? ხომ არ ვატყუებ საკუთარ თავს, როცა ფილმს წარმოდგენის ჩარჩოში ვათავსებ? ეს ამ მინიმალისტური ხასიათის ფილმს თეატრის ზედაპირზე ნამონევს. ასე რომ, ჯერ ვერ გადამიწყვეტია, მომავალ წელს გამოვიყენებ თუ არა გერმანიაში გადაღებულ მასალას, რომელზეც სურვილი მაქვს, ვიმუშავო იმ წარმოდგენაში, რაც ამ სერიის მესამე ნაწილი გახდებოდა. მაქვს კიდეც სპეციფიკური იდეები, თუ როგორ გავაკეთო ეს. იქნებ, სჯობს ვუთხრა საკუთარ თავს: "იცი რა, რიჩარდ, გაბედული იყავი. თუ მართლა გინდა გააკეთო ფილმი, გააკეთე ის, როგორც ფილმი. შენს თეატრში კი, დადგი რამე ისეთი წარმოდგენა, სადაც ფილმს არ გამოიყენებ!" ასე რომ, ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ, მე ნამდვილად ვებრძვი ამ პრობლემას.

P.S საუბრის ბოლოს, რიჩარდ ფორმანმა, ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს თანამედროვე თეატრის სცენაზე ნიუ-იორკში, მიპასუხა, რომ მას უკვე დიდი ხანია აღარ აინტერესებს თეატრი. საერთოდ არ დადის სპექტაკლების სანახავად. თეატრის დირექტორმა, შანონ სინდელარმა, მაშინ მთხოვა ეს არ გამეხმაურებინა, რადგან მსახიობებზე და აუდიტორიაზე არ ემოქმედა. საქართველოში პუბლიკაცია მათ, ცხადია, აღარ შეეხებათ, მითუმეტეს, რომ ეს ამბავი არცთუ ისე უცნობი უნდა იყოს ნიუ-იორკის არტისტული წრეებისთვის.

17 დეკემბერი, 2006 ნიუ-იორკი





# ჩემი ძალღი

ავტორი: მაია ხაჩაძე  
ფოტო: დავით მესხი









## გაია ლომინიკო

6 კატა და 1 ძაღლი. გაია ლომინიკოს საცხოვრებელი ადგილის სივრცე უფრო მეტ ცხოველს რომ იტევდეს, რამდენიმეს კიდევ სიამოვნებით იყოლიებდა. „დიდ ოჯახს“ მერფი უძღვება. პოლარული მგლის შთამომავალს მემკვიდრეობით ველური ბუნება და ჯიუტი ხასიათი ერგო.

– „მერფი საფრანგეთის ცხოველთა თავშესაფრიდან წამოვიყვანე, ამიტომ ფრანგულად ვესაუბრები. თავიდან წამდვილი მგელი იყო, მაგრამ იმდენი ვეფერე, რომ ახლა მგონი თეთრ კურდღელს უფრო დაემსგავსა, ოღონდ, მაინც ველურია. ეს არის ძაღლი, რომელიც არაფერს არ გიჯერებს. მასთან არც დასჯის მეთოდი ჭრის, მოფერებით უფრო მეტს შეაგნებინებ. მისი შიშით სახლში კატებს ვერ ვაჩერებდი. ერთხელაც სპარსული კატა მაჩუქეს. მივიღოდა კართან და ყეფას იწყებდა. კარს რომ ვუღებდი, არ გადიოდა, ვერ ვიგებდი რას ითხოვდა... ბოლოს მიირბინა კატასთან და ყეფა დაუწყო. კიდევ როგორღა მიეხვედრებინა? თურმე მის გაშვებას მთხოვდა. მერე, ეტყობა, ხელი ჩაიქნია და გაარკვია მათთან ურთიერთობა. ეზოდან რომ ამოდის, სათითაოდ ყველას მონინახულებს და ამოწმებს, ადგილზე არიან თუ არა. უკვე შეიგნო, რომ ესენი თავისები არიან. დიდი დრო მიაქვს მათ მოვლას და ყველა მეკითხება, როგორ ასწრებო, მაგრამ, როცა ვხედავ როგორ ექცევა ხალხი ცხოველებს, ყველასთვის ვერ ვიმეტებ გასაჩუქებლად. ადრე ოჯახში თევზები, მტრედები, ციყვი და ზღვის გოჭებიც გვყავდა. იმდენად მიყვარს ცხოველები, რომ პირველი სიტყვა რაც მითქვამს იყო „თევზი“ და არა „დედა“.





## ნიკუზა შენგელია

– „მოდი სკუბი, შენ თვითონ უთხარი როგორი ხარ!... მგონი, ერთადერთი, რაც არ შეუძლია, ლაპარაკია, თორემ ისე ყველაფერი ესმის. უჭკვიანესი ძაღლია. ხანდახან, მგონია, სახლში რომ შემოვალ გადაშლილი გაზეითი, კითხვის პროცესში დამხვდება. ამ ჯიშს – ლაბრადორს, ინტელექტუალურ ძაღლებს უწოდებენ: ბრძები დაყავთ, პოლიციას ძებნაში ესმარებიან... სკუბი ჩემს შვილს გიოს მოვუყვანე, გიუდებოდა ძაღლებზე. ფაქტიურად მისი ძმა გამოდის, თითქმის ერთად გაიზარდნენ. სახელი, საყვარელი მულტფილმის პერსონაჟის „სკუბი დუ“-ს საპატივსაცემოდ დაარქვა. ერთხელ მოგვპარეს კიდევ და საბედნიეროდ, დავიბრუნეთ. საოცრად მგრძნობიარეა, ადამიანებთან ურთიერთობა უყვარს და აბსოლუტურად არაკონფლიქტურია. სხვა ძაღლები მის მიმართ აგრესიას რომ გამოხატავენ, ძალიან უკვირს ხოლმე... ჰო, გირჩებთ თამაშზე გიუდება კიდევ.“



## დავით თევზაძე

მათი დილა 5 საათზე იწყება და სახლთან ახლოს მდებარე აღმართებს მოუყვებიან. „მარშალს“ დაგროვილი ენერჯის დასახარჯად დღეში 10-15 კილომეტრის გარბენა მაინც უწევს. მკაცრი მზერით და შეუპოვარი ხასიათით მარშალობასაც იფერებს.

– „მარშალი უფროსია, მე გენერალი ვარ! ეს კანეკორსოს ჯიშია და თბილისში მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ჰყავს. ამ ჯიშის ძაღლის მეშვეობით რომაელები კავალერიას ამაგრებდნენ. უკვე შუასაუკუნეებში ციხე-დარბაზებში გადაინაცვლა მცველად. მერე ნელ-ნელა გაქრა და 40-იანი წლებიდან იტალიაში ისევ დაიწყეს მისი აღდგენა. იტალიელია და ალბათ, ამიტომ გიჟდება ყველიან მაკარონზე... ეტყობა, მოენონეთ, თორემ ასეთი მშვიდი არ არის. განსაკუთრებით გაზის დანახარჯების აღსარიცხად მოსულ ინკასატორს მტრობს. ძაღლებთან კონფლიქტურია. თან ყველა და გამოწვევა კი არ უყვარს, პირდაპირ „საქმეზე“ გადადის. მაგრამ ბავშვები უყვარს... არ ვეფერები საერთოდ, უნდა იცოდეს, რომ მარშალია!“





## იური მერიტოვი

– „ასეთ ძაღლებს ცირკში ამუშავებენ, იმიტომ, რომ ჭკვიანები არიან. საერთოდ უერთგულესი ცხოველია. ადამიანები არიან გაბოროტებული, თორემ ცხოველთა სამყაროში ხომ ბოროტება არ არსებობს. ერთადერთი ცუდი ჩვევა აქვს – გვიან ღამე საშინელ ყმულის ინწყებს და გარეთ გაშვებას გვთხოვს. მერე უკან რომ მობრუნდება კარი ისევ ხომ უნდა გაუღო? ჰოდა, ამის გამო ძილი მიტყდება ხოლმე. ამ ბოლო დროს კი ცოტა გამოსწორდა... ზოოპარკში სპეციალური სალონი და მოსაწესრიგებლად იქ დამყავს. ბევრი თმა როცა აქვს კარგად კი გამოიყურება, მაგრამ ზაფხულში გვეცოდება და ვკრეჭთ. დიდად არ უყვარს ეს პროცესი, მაგრამ მერე კი უხარია.“

თუკი სანაცვლოდ ტკბილედ შესთავაზებენ, ჯოკო ნებისმიერი ათვისებული ილეთის წარმოსაჩენად მზადაა. ხოლო თუ შემთხვევით მისთვის ყველაზე სასურველ „დელიკატესს“, ძვალს მოკრა თვალი, ორ ფეხზე შემდგარი გიცეკვებთ და თქვენ წარმოიდგინეთ, გიმღერებთ კიდევ.





### ბიძინა ბარათაშვილი

ტოტო ფოტოს გადასაღებად საგანგებოდ მოემზადა. საზაფხულო ვარცხნილობით დეკორატიული ძაღლის იმიჯი შეიფერა და მრავალფეროვანი გარდერობითაც მოიწონა თავი.

– „რაც არ უნდა ცუდად უღერდეს, ძაღლს შეიძლება, ბევრ ადამიანზე მეტადაც კი აფასებდე, ოჯახის წევრი ხდება უკვე. ტოტომდე ძაღლი რომ მოგვიკვდა, მას მერე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი ჩვენს ოჯახში კიდევ რაიმე ცხოველი გაჩენილიყო, მაგრამ შემთხვევით სურათი ვნახე იორკშირის ტერიერის, მომეწონა და ერთ ჩემს მოსკოველ მეგობარს ვუთხარი. მან კი, მოსკოვში ჩასვლისას სიურპრიზი დამახვედრა... თავიდან ტოტო დავინუნე, უფრო პატარა მინდოდა, მაგრამ უკან რომ ჩასვეს გალიაში, საშინლად მოიწყინა და დასატოვებლად ვერ გავიმეტე. მერე თვითმფრინავეის სალონში არ შემაყვანიანეს და მომთხოვეს ბარგში ჩამეზარებინა. მეშინოდა მისი მართო დატოვება და ავტებე ერთი წივილი-კვივილი. მაინც მართო დარჩა და ვაჟკაცურად გაუძლო.“

მგონი ოფიციალური შიზოფრენია დამემართა ამ ძაღლის ნიადაგზე. უცხოეთიდან ყველაზე მეტი საჩუქარი ტოტოსთვის ჩამომამქვს. ნიუ-იორკში მეუღლემ გადამათქმევინა, თორემ სმოკინგსაც კი ვყიდულობდი მისთვის.“



## ლეილა მესხი

ზუზუ 1 კგ.-ს და 200 გრამს იწონის, თუმცა უკვე 4 წლის არის და დიდი გოგოა. როცა ხელში აპყავთ, ყველაზე დაცულად თავს მაშინ გრძნობს. უცხო ადამიანების დანახვისას კი კანკალს იწყებს და ნერვიულობს. რა ქნას, პატარას გულიც პატარა აქვს.

„დიდი ძალი სახლში მოსავლელად რთულია, ამიტომ ვეძებდი პატარას. ზუზუ მოსკოვში დიდი ხნის ძიების შემდეგ აღმოვაჩინე. გრძელი, სწორი ფეხებით, დაცქეტილი ყურებით და სახის მოყვანილობით შველს წაგავს. სადაც არ უნდა წავიდე თან დამსდევს, სულ კალთაში მიზის. მთელი დღე რომ იწვე მოცუცქედება და გაუნძრევლად იწვება ისე, რომ არც შიმშილი შეანუხებს. გამოზომილი ულუფა აქვს და არ არსებობს იმაზე მეტი შეჭამოს. რესტორანში საქმელი რომ დაგვრჩება, ორ ნაჭერ ყველს ან ხორცს შევახვევინებთ ხოლმე და მისთვის მოგვაქვს. გაცივებულ პერსონალს კი ჩემი ქმარი პასუხობს – პატარა ძალისთვის გვინდაო. ძალიან უსუსურია. ერთხელ ჩემს შვილს ხელიდან გაუვარდა, ფეხი მოიტეხა და სერიოზული ოპერაციაც კი დაჭირდა. ამ ძალის გაყვანა ქუჩაში სახიფათოა. ისეთი ზომისაა, რომ შეიძლება ვირთხა ეგონოთ, ან მანქანებმა ვერ შენიშონ... ადვილი მოსავლელია, მაგრამ ცოტა დატოვება პრობლემა და ჩემი და მიწყობს ხელს. უცხოეთში ვერ მიმყავს ხოლმე, რადგან საბუთები სჭირდება და მომზადებას ვერ ვასწრებ. ისე კი, ხშირად დამყავს სტუმრად, სამსახურში... სითბო სჭირდება ძალიან და ზამთრის ღამაზი ჩასაცმელებიც აქვს.“







## ლევან ბუთხუზი

– „გამუშევებ ოთახიდან და არ შეგეშინდეთ! ცოტას ნაიღრენს, შეგისწავლით და არავითარი პრობლემა არ იქნება. სადაც მე ვარ, იქ აგრესიული არ არის ხოლმე. როტვეილებს ახასიათებთ ის, რომ ერთი პატრონის შეყვარება იციან ძალიან, ოჯახის დანარჩენ წევრებს კი იტანენ. აი, მაგალითად, დედაჩემს იტანს. თუ ვთქვით დიდი ხანი არ უნახავს, სახლში რომ ბრუნდება, ოდნავ კუდს გაუქიცინებს და მორჩა. მაგრამ მე როცა სამსახურიდან ვბრუნდები, ისე მხედება, თითქოს რამდენიმე წელია არ ვუნახივარ. უცხოებთან მიინცდამაინც კარგი ურთიერთობა არ აქვს. დედაჩემთან როცა ვტოვებ და სტუმრები მოდიან, ოთახში კეტავს და მაშინ ათავისუფლებს, როცა სტუმრები წავლენ... ზოღიაქოთი ვერძია და მართლა ვერძივით ჯიუტია. დედალ ძაღლებს დასანახავად ვერ იტანს, სამაგიეროდ „კაცები“ უყვარს... ხან ბელონას ვეძახით (რომაულ მითოლოგიაში მარსის და, ომის ქალღმერთი იყო), ხან კი ბელუჩის, მონიკა ბელუჩის საპატივსაცემოდ.“





## ბობა ხაინდრაჰვა

ბუჩო, დინჯი დ განონასნორებული მეცხვარეა. ბაფი, მოუსვენარი ავჩარკა. თუმცა სხვადასხვა წარმომავლობის მიუხედავად ერთმანეთშიც მეგობრობენ და ადამიანებთანაც. სტუმრებთან ორივე ლმობიერია. თუკი ვინმე ბუჩოს გამორჩეულად ესიმპათიურა, მისალმების ნიშნად თათსაც კი გამოუწოდებს.

– „ესენი რომ არ მყოლოდა ძალიან მოვიწყენდი ამ ქვეყანაში. პატარა ავარჯიშებს ხოლმე დიდს. დილას-საღამოს მეზობლის ნაკვეთში გადამყავს სავარჯიშოდ და უნდა ნახოთ, როგორ არბენინებს. ბუჩოსნაირი ძალი არ მინახავს, ძალიან კეთილშობილი „კაცია“. ადამიანებს არ ერჩის, ოღონდ არაფრის გატანა არ უნდა მოინდომონ სახლიდან. მაგრამ აი, ძაღლების სერიოზული მტერია. გარეთ უამრავი უპატრონო ძაღლია და თუ რომელიმე ჩვენს ეზოსთან ახლოს ჩაივლის, მაშინ დაუნდობელია.

ბაფი ჭკუისკოლოფია და იმისთვის არის დაბადებული, რომ რაიმე დაავალონ. ამათ არც დროებითი უკან დახევა იციან და არც ტაქტიკური წიაღსვლები, მათ იციან მხოლოდ ერთგულება, ხშირად ადამიანებზე მეტადაც კი. შვილიშვილის სიცოცხლეს ვანდობ, მართლა!“





# რეჟიმრვისტის დღიურები

ავტორი: ზაზა ბიბილაშვილი  
ფოტო: დავით მუსხი

## 19 აპრილი, კვირა

დღით 3 საათზე ვდგებით და ვემზადებით 40 კილომეტრიანი მარშ-ნახტომისთვის. 45 წუთში ყველა მზადაა, იარაღითა და სრული სამხედრო ეკიპირებით. გავდივართ. ქრონიკული უძილობისგან გული მჭვალავს. ავტომატი და ზურგანთა მხრებზე ფართედ გადავიკიდე, რომ მკერდზე არ დამანვეს. ჯერ უკუნი ღამეა. ორი საათი ღამით უნდა ვიაროთ. ღამე სხვანაირია. გონება არასოდეს არ არის ბოლომდე „აქეთ“. გაუხედნავი აზრები მეპარებიან. მასხენდება ჩემი მასწავლებლები – მიხო გოგუაძე და გივი სიდამონიძე. ორი უანგარო ინტელექტუალი. ნეტავ სად არიან? ან ეხლა რა შუაში იყვნენ? უეცარი მადლიერება იგრძნო გულმა. მადლიერება, რომელსაც დღის რუტინაში ვერასოდეს ვაღივებ. ჯარს მივყვები თითქმის ავტომატურად. მარტო არა ვარ – სხვებიც მთვარეულივით მოალაჯებენ. პირველმა კურიოზმა არ დაახანა: ბატალიონის ძირითადი ნაწილი კოფორშივე დაიკარგა. მენინავე ასეულს მოვწყდით და ორ კილომეტრზე მეტი საპირისპირო მიმართულებით ვიარეთ. როდესაც ჩვენს წინ მიმავალი ნაწილები 180 გრადუსით შემოტრიალდნენ და უკან გამოუყვნენ გზას, ბოლომდე გვჯეროდა, რომ ეს ჩვენ არ შეგვეხებოდა. ასეთ დროს უფრო მტკივნეულია ფუჭი ნაბიჯებით სიარული. ცხადია, მეთაურები სტუდენტ რეზერვისტებს აბრალებენ ამ იაღლიშს. უკ-

ნიდან ირონიული და ნაწამები ჩალაპარაკება – „ესენი აფხაზეთში გაიკვლევენ გზას?“ რეაგირების თავი არავის აქვს. მივდივართ მთა-მთა, ტყე-ტყე, აღმართ-დაღმართ. თანდათან თენდება. მიკვირს – ბევრი წუნუნებს, მაგრამ თითქმის არავინ ჩამორჩენილა. მაინც რა არის თავმოყვარე ქართველის ბუნება: პირველი დაცემა არცერთს არ უნდა – ყველაზე ზარმაცსაც კი. ამ ყველაფრის შემხედვარეს, ერთი კითხვა არ მეშვება: რატომ, თორე კი?!?

იალლუჯას პოლიგონს 10 საათზე მიავალწევთ. დაცემულები მატულობს, მაგრამ ბატალიონის ძირითადმა მასამ საოცრად კარგ დროში მიაღწია დანიშნულების ადგილს. სარდალი, რომელიც მთელი გზა ჩვენთან იყო, მგზნებარე სიტყვით მოგემართავს. ბევრი ფეხზე ვეღარ დგას. ორ სტუდენტს გულიც კი წაუვიდა და მოასულიერეს. უფროსები გაცილებით შემართებით ვართ.

და აი, ბოლო გამოცდაც – ჯარისკაცები წყება-წყება სანგარში ჩაყავთ და თავზე ტყვიამფრქვევს უშენენ. ეს ისე, ომს რომ მივეჩვიოთ. მეტი რაღა უნდა იყოს? გათანგულ თვალეში ერთი იმედი ლულულულებს: ხვალ... სახლი... მაგრამ თურმე ნახევარი სიამოვნება წინ ყოფილა. ვილაცამ ვერ გათვალა რამდენი კრაზი და კამაზი დაჭირდებოდა ბატალიონის უკან წაყვანას. ორი ასეული ვრჩებით პოლიგონზე, სადაც





შემდგომი 8 საათის განმავლობაში კომპანიონობას გვინევენ თავარა მზე – რომელსაც ვერ ვემალეებით ჩრდილის არარსებობის გამო, გამხმარი ფუნები – რომელთა შორის უდრტვინველად ვყრივართ სომალის ბავშვებივით, გადაღლილობა და შიმშილი. რატომღაც, დილის 3 საათზე ამდგართ და 40 კილომეტრ ნასიარულვით, საჭმლის რაციონებიც კი არ დაგვირიგეს. ჯერ პაიოკები რაა, და ესენიც რო არაა, ხო საერთოდ! ეგებ ესეც გამძლეობის ტესტია? ვინ იცის. ჩვენი ოფიცრობა ჩვენთანაა და ამით იცილებს პროტესტს. ჩემი კითხვა უკვე ფართოდ გაისმის: „რატომ, თორე კი?!“

ჰორიზონტზე კამაზების გამოჩენა ისე გავიხარდა, როგორც რობინზონ კრუზოს – გემის დანახვა. უკვე 6 საათი ხდება. სახეები აღარ შეგვრჩა. რის ვაივავლახით ავხობდებით მანქანებზე და მივდივართ უკან კოჯორში. ჩუბჩიკა არ ეპუება – ბოლო დღეს სამაგალითოდ შეგვისრულესო, ილიმის მწარედ... ნაწილში რვის ნახევარზე დავბრუნდით. იარაღი სასადილოსთანვე დავალაგეთ და მივანყდით საჭმელს. ოფიცრების თანალმობა და სიბრალული მაინც იგრძნობა – ყველაფერი დღეს ჩავაბარეთ, რომ ხვალ ადრინადა დავიშალოთ. აქაც კურიოზები და არაორგანიზებულიობა, მაგრამ ამას აღარავინ აქცევს ყურადღებას: ხვალ ხომ ცხოვრებას ვუბრუნდებით!

## 20 აპრილი, ორშაბათი

ჩვენს მიერ დაწესებული რეზერვისტთა გათავისუფლებისა და თბილისს გარდამოსვლის დღე, ანუ ბოლო დღე ჩვენს 18 დღიან თავგადასავალში. ეს დღე უბრალოდ – თავისით – არ მოსულა. ეს დღე ჩვენ დავიმსახურეთ. შიმშილა, ბოდო და ჩეგე საუზმეზე ჩადიან. დანარჩენები – თავისუფლად ველით თავისუფლებას. მობრუნებული ჩეგე ალექოს სასადილოს გოგოს გულდათუთქულ დანაბარებს გადასცემს – რატომ არ ჩამოდის დასამშვიდობებლად, ნუთუ ეს მხოლოდ საზაფხულო ფლირტი იყო?!? სიცილი უკვე ლაღია. დილის მონყობა ძველ შტაბთან. გვილოცავს ვაშლირეკია. ვიღებთ სერტიფიკატებს, აიდი კარტებს (ანუ, როგორც ჩვენი სერჟანტი ნუფნუფა იტყოდა, „ჰაიდი“ კარტებს), კიდევ ერთხელ ვდებთ ფიცს და ვიშლებით. გასასვლელთან სალომე მელიძეობა. ვვადები მანქანაში და სანამ რამეს მეტყვის, ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ. თავისუფლებას სულ სხვა ეშხი აქვს. მოვდივართ. იქვე, ნავკისში ვრჩები. სალომე თბილისში ჩადის, მე კი ვნები და ვთლემ. გონება შორს ვერ მიდის – მახსენდება პირველი დღე ჯარში: ლაშასთან გავლა, შეკრება ლოკომოტივზე ცხრის ნახევარზე, გზა ავტობუსებით. კოჯორში ასულვებს, ტყეში გვყრიან და პირველ გამოცდას გვინცობენ: დროის უაზრო ფლანგვის მიმართ მოთმი-

ნებასა და შემწყნარებლობაში. შორს, მზეზე ლივლივებს ქოროლის, იგივე აზეულას ციხე. რობაქიძე იტყოდა: თავად სახელშია მისტიკაო. მაჟრიალებს. ვსხედვართ (თუ ამას ჯდომა ქვია) და ველით. რას ველით? ორი საათის თავზე ვილაცამ გაარკვია: ექიმებს ველით. ამასობაში ექიმები მოდიან და ინყება ხალხის შემონმება. პირველი ასეული ძალიან ნელა მიდის, მაგრამ თანდათან ტემპი მატულობს. ექიმები აშკარად დაიღალნენ. ეგებ, მოშივდათ კიდევ? მე ხუთისკენ შევდივარ. ნაშლილი და უინტერესო სახით მეკითხებიან: „განუხებს რამე?“ „არა!“ „ა, იქ მიდი მაშინ... შემდეგი!“ ...დღეიდან თვის რიცხვებს ყველა ივინყებს და დღეებს ახალი ნუმერაცია ეძლევა. დღეს პირველი დღეა. ჩავირიცხე 105-ე ბატალიონის მეოთხე ასეულის პირველ (შემდგომში „ლეგენდარულად“ სახელდებულ) ოცეულში. ჩვენს ოცეულში 35 კაცია. ასეულში – 3 ოცეული. ჯარის მათემატიკაა. პირველი შეკრება იქვე გვაქვს, ძველი შტაბის გვერდზე, მემორიალთან (უფრო სწორედ, როგორც ჩვენს მიერ ლიხვის მურნად ნოდებულის სერჟანტი ეძახის, „მემორიალ“), სადაც საქართველოს დაფლეთილი დროშის ნაგლეჯები ფრიალებს. აშკარაა – ორგანიზება ვერ დაიკვიხნის. ვერც ინფრასტრუქტურა ჩანს დიდი ბედენა.

ეს ჩვენი მურნა დიდი უწყალო ვინმე ჩანს თავიდან. ამ გათანგულ ხალხს პირველივე საღამოს „გვამავავებს“ წინ და უკან, თანაც ნატოს სტანდარტებით შეძახილებს გვასწავლის. სიტყვა „ბრძანება“ ეტყობა ძალიან საბჭოური. ახლა ყველაფერი „კომანდით“ კეთდება. ჩემპიონი მაინც ეს შეძახილია: „განწყობა – უააა!“ „უა“ რაღა ჯანდაბაა? ხსნის, მაგრამ, ისე, რომ აშკარად თითონაც არაა დარწმუნებული. ერთი შინაურული ვერსიით, „უა“ ამერიკული „WOW-ა, ანუ ვაკურად „ვაუ“-ა. ზოგი ესხა ხვდება, რა დღეში ვართ. ჩვენ კი არა, რეზერვისტები, არამედ – მთელი ქვეყანა. ამაზე იტყვიან, ვაის გავეყარე და ვაუს შევეყარეო.

როგორც იქნა, ყაზარმისკენ, ანუ ჩვენი ახალი საერთო სახლისკენ მიყავართ. ტერიტორია ჩაბნელებულია და შუალამისას მობილური ტელეფონების შუქზე გადავადგილდებით. პირველი დღე მაინც მძიმეა: ათას კაცში, არათუ მეგობარი – არც ერთი ნაცნობი სახე არაა. ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ სახეზე სხვებსაც ანალოგიური გაოგნება ანერიათ. ერთ ბედს ქვეშა ვართ ლაბავ, მე და შენ. ყაზარმასთან მხოლოდ ნატოს

ლურჯი დროშა კიდია. აი ყაზარმა კი ნამდვილად ნატოს უბოლოვესი სტანდარტებით იქნება აღჭურვილი. ჯერ ირონია არაა. ჯერ მხოლოდ ინტერესია და ენთუზიაზმი. პირველი ეჭვი მაშინ ჩნდება, როდესაც წყლის ონკანებმა საბრალოდ შემოგვხავლეს და გაიტრუნენ. მერე მაშინ, როდესაც მთელი დღის სიცარიელისგან მორალურად დაღლილებს ღამის 12 საათზე სანოლებიდან გვეყრიან და გვანწყობენ – „შეიძლება“ დღეს ბათინკები დავარიგოთო. ჭავჭავნიძის კითხვაზე, ბატონო ლეიტენანტო, ეგებ ეგ „შეიძლება“ ოდნავ უფრო დაგვიკონკრეტოთ, თორემ ხვალ დილით 6 საათზე ვართ ასადგომებიო, ლეიტენანტი ოტელიო გამხუაშვილი პასუხობს – გეყო, თუ ძმა ხარ, პროვოკაციული შეკითხვებით. უკნიდან ვილაცა პირველ პესიმისტურ ნოტას გააჟღერებს: „ბიჭებო, მგონი გვატყუებენ.“ ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება. პირველ საათზე ჩვენც ვიძინებთ.

## 21 აპრილი, სამშაბათი

დილით 7 საათზე ვიღვიძებ და ვცდილობ დავბრუნდე ძველ კალაპოტში. მთელი დღე ბავშვებთან ვარ. საღამოს – ყავახანა „რასტა“-ში, ძველ და ახალ მეგობრებთან ერთად. თბილისში თვალს ხვდება გამალებული მშენებლობა. მართლაც საოცარი პროგრესია, მიუხედავად ყველა ნაკლისა. ქალაქი ცარიელია: აგვისტოს ბოლოა. არაფერი ხდება. ცხელა და აუზზე მივდივართ. ბავშვები ჭყუმპალაობენ. მე კი ისევ მოგონებებში ვიძირები: დღე მეორე: ხალხმა ექვსის ნახევარზე დაიწყო აშლა, პადიომამდე ნახევარი საათით ადრე. რა ეჩქარებათ? ან სად? წყალი ისევ არ მოდის. ტუალეტები და მთლიანად ყაზარმა ახალგაერემონტებულია, მაგრამ ვაი ამ რემონტს. აბაზანაში 20 პირსაბანია. აქედან დაახლოებით 10 – პრინციპულად არ მუშაობს. პისუარების ადგილი და გაყვანილობა არის, ოღონდ თავად პისუარები არა. ტუალეტების ადგილი ამოჭედლია. ჩემმა ათია, 220 კაცზე (სწორედ ამდენი ადამიანია სართულზე). ისეთი სივინროვეა, სანოლებზე თითო კაცი ძლივს ეტევა, ისიც გვერდულად. მეორე სართულიდან პირველზე წყალი და ფეკალი წვიმს. წუნუნებენ და მლაგებლები. იგერიებენ სერჟანტები. მართლაც, ამათი რა ბრალია? ამბობენ, დღეს მინისტრი მოვა და ყველაფერი კარგად იქნებაო... არადა, არც საპონია, არც წყალი, არც – პირსახოცი. სარკე – მხოლოდ ორი, ისიც პატარა. დიახ, 220 კაცზე. არადა, გაუ-

პარსაობა დიდი ცოდვაა. პირველ დღეს კი გაგვიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა 6 რიგად გაპარსვის მეთოდი დავამულამეთ. პირველ სამ რიგში დაბალი, საშუალო და მაღალი ტანის რეზერვისტები იპარსავენ. ისე, რომ თითომ საკუთარი სახის ნაწილი მაინც დაღანდოს სარკეში ერთდროულ ჩახედვაზე. ესენი რომ დაიხრებიან საპარსის გადასავლებად, უკან ანალოგიური სიმაღლის ბიჭების სამი რიგი იწყებს ფაციფუცს და ასე, რიგრიგობით. ზოგიც დამახსოვრებით იპარსავს. ჩაიხედავს სარკეში, დაიმახსოვრებს საკუთარ სიფათს და წავიდაა... ყოფითი პრობლემები ნელ-ნელა გვაახლოვებს.

რის ვაივალახით მოვწესრიგდით და სავარჯიშოდ ეზოში ჩავდივართ. სარბენად ტრასაზე უნდა გავიდეთ, მაგრამ ჭიშკარი ჩაკეტილია და გარეთ ვერ გავდივართ. ვგდავართ და ველით. ამაზე უკვე აღარავინ ღიზიანდება. ჭიშკარი მაინც არ იღება: გასაღები არაა. ხელძღვანელობის ადგილზე თათბირით გადაწყდა, რომ ბატალიონი გაყვანილ იქნას ჭიშკრის გვერდზე არსებული ღრიჭოდან. ბრძანება სრულდება. ნაწილის ლობეზე გარედან რამოდენიმე ადგილას აწერია - „ზდექ!“ („ზ“-თი). შუადღეს ბათინკებს გვირიგებენ. კაი თურქული ხარისხისაა. თასმები ხელებს ისე გვიშავებს, 2-2 დღე ვერ ვიცვლივთ ჭუჭყს. ქამრები ისევ არ მოუციათ. ჯერ ჩანჩურებივით დავდივართ.

## 22 აპრილი, ოთხშაბათი

მესამე დღე თავისუფლებაზე და პირველი დღე სამსახურში. მიმიეა. კალამს და კომპიუტერის კლავიატურას ნორმალურად ჯერ ისევ ვერ ვხმარობ. ხელები გამიუხეშდა. ის-ისაა უკმაყოფილო აზრმა გამივლო, რომ უმაღლესი მასხენდება. ასეთი ქრისტიანი არასოდეს ვყოფილვარ. ყველაფრით კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. საკუთარ თავზე ვგრძნობ: ყველაფერი ფარდობითია. აწი რალამ უნდა გამანაწყენოს გრაჟდანკაზე? მესამე დღე ჯარში. დილით იარაღს არიგებენ. შემხვდა ნომერი 7. ჭამის დროს იალარს დისლოკაციის ადგილას ვტოვებთ, პირამიდებად. იალარის სადარაჯოდ ჩეგე და შიმშილა რჩებიან. ანდრო (ზოგის ალერსიანი ვერსიით, პარკეტის სვანი) ანგლობს – ალტრუისტი და პოზუისტი დაძმობილდენო. ნაშუადღევს სარდალი გვეწვევა და ცეცხლოვანი სიტყვით გამოდის. ისეთი უყოყმანოა მისი შემართება საქართველოსთვის, იმდენად მართალი – მისი მილიტარიზმი, იმგვარი შემძრავი – მისი პროვოცირება ჩვენი ისტორიული მეხსიერების, რომ ბევრს – მათ შორის მეც – ბოლმის და ჟინისგან ყელში ბურთი გვეჩხირება და თვალეზე ცრემლი გვადგება. სარდალი მიდის. მოედანზე სიჩუმე რჩება. ბევრი არასდროს ჩაფიქრებულა იმ თემებზე, სარდალმა რომ მოგვაცარა გამომწვევად. მოედანზე ფიქრია





და სიჩუმე. რეალობაში მოულოდნელი ფაქტი გვაბრუნებს: ჩვენი მთლად უფროსი, ლიპიანი ყურმა, ვაშლის ხეს მიუტრიალდა და ამ გულაჩუყებული ბატალიონის წინ ხის რხევას მოყვა. თან შიგადაშიგ ხტება, რომ ტოტებს კარგად მისწვდეს. დრუპის რომ გავს, მისი აყლაყუდა მოადგილე, ის ეხმარება. იმდენად სასაცილო სცენაა, ერთი-ორმა ის ბურთი ყელში ველარ გაიჩერა და ტირილი წასკდა. ეს ვაშლარეკიები! ყანწის პატრიოტები...

### 23 აბვისტო, ხუთშაბათი

რუსთაველზე, საცა ჩვენი ოფისია განლაგებული, გაგანია მუშაობაა. მიმდინარეობს ტროტუარებისა და გაზონების რეკონსტრუქცია. თითქმის საუკუნოვან ქადრებს ძირში ჭრიან ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე. ვატყობ, მათმა გადაბეღვა-დამახინჯებამ ორი წლის წინ უფრო ადვილად გადამატანინა მათი მოშორება. რევოლუციური მმართველობისთვის ეჭვი არ არსებობს. ყველაფერი ისედაც დღესავითაა ნათელი. ყველაფერი ცალსახა... შუადღეს საჭმელად გამოვედით. ქვედა ლალიძეზე წარწერაა – „ლალიძე მაინც მუშაობს!“ შევდივართ ზედა ლალიძეში, რომელიც ახლა უკვე მხოლოდ კუთხის ნაწილში შეყუჟულა (სადაც ადრე მხოლოდ წყლები იყო). უნებლიე აზრი: ალბათ, ამათაც მალე სადმე გლდანში შესთავაზებენ ალტერნატიულ ფართს. განა, რა უნდა რუსთაველზე ლალიძეს!? კონსერვატორიის მხრიდან ჩამოსული ქალი კუთხეში დგას და გაოგნებით უყურებს ვეება ორმოს, ელიავადან მოყვანილ მუშებს რომ გაუთხრიათ, სადაც სულ რამოდენიმე დღის წინ ვეებერთელა ჭადარი იდგა. ალბათ არც ერთ მათგანს ლალიძის ხაჭაპური გასინჯული არ ექნება. ეს ქალი თავს ვერ იკავებს და ცრემლი წასკდება. ჩუმად ინმინდავს. ასეთია მიაშიტი ინტელიგენტის აპოლიტიკური სენტიმენტი. მეც ჩამითრია. რამდენი რამ ახსოვთ ამ ჭადრებს? ყველაფერი იცვლება თვალსა და ხელს შუა. საქართველო მოუხედავად ეშვება გლობალიზაციის აყვავებულ ჭაობში. ნოსტალგია გვიპყრობს ერთგვარი. არ მიკვირს: ეტყობა ამ მიჯნაზე მეტისმეტად მკვეთრია თაობათა შორის წყვეტა... ტფილისი აივსო უცხოელებით. ძირითადად, მომთაბარე ბიზნესმენები ჭარბობენ, თუმცა უკვე ტურისტებიც კი გამოერია. მახსენდება მეხუთე დღე ჯარში. ჩემი ელენეს დაბადების დღეა. როგორც იქნა, ქამრებიც

დაგვირიგეს და ხუთი დღის თავზე სრულად ეკიპირებულები ვართ.

ჩემს გვერდით მწყობრში რობერტა დგას, მოვსესიანი. კაი, თბილისელი ბიჭი. ქართული იცის, მაგრამ ცოტას ლაპარაკობს. მისი სამყარო მისი მობილური ტელეფონი და გაუთავებელი მესიჯებია. კოსტალა ეხუმრება, რა იყო, მტერს ჩვენს კოორდინატებს გადასცემო? რობერტას ცალყბად ეცინება. ცოტა იქით – ტიგრანა დგას, მნაცაკანოვი. ბოხი ხმა აქვს და არქექტიპული გარეგნობა. როცა ვინმე შეიგინება ობიექტურ პრობლემაზე, ესეც შანსს არ მანავს და ორ იმდენს იგინება. ფროიდული სიამოვნება გამოსჭვივის მის ყოველ გინებაში – იგი ხომ ჩვენ ყველას გვაგინებს და საოცარ სიამოვნებას განიცდის იმით, რომ ვერავინ ეპასუხება ობიექტური საფუძვლის ვერქონის გამო. ჩუმად, მაგრამ საყოველთაოდ, ერთი კითხვა მუსირებს – როცა ტიგრანას აფხაზეთში თავისი ბიძამვილი დახვდება წინა ხაზზე ბაგრამიანის ბატალიონიდან, რომელი მათგანი დაიცავს საქართველოს? აქ რამდენიმე 1918 წლის დეკემბრის ომიც გაიხსენა.

საჭმელში რაღაც დამანყნარებელს გვიყრიან. მეექვსე დღეა მთელი ბატალიონი სრულიად უწყინარია. სასადილოს ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი ცირა უკვე ყველას ანჯელინა ჯოლის გვიჩვენია. ესეც ყველას დარცხვენით უღიმის. ალბათ, გულში ამბობს – ვაი თქვენს პატრონსო და ნოდარ დუმბაძის ნუნუ ექთანის ახსენდება. ან ეგებ იმიტომ იციანის, რომ თავად ეს გვიყრის რომელიღაც კერძში დამანყნარებელს? ცირაზე რომ მიდის საუბარი, უცებ რობერტა ფეხს გამოყოფს – მე გავიგებო მის ტელეფონს. აკა ეხუმრება – მიდი, მიდი, შენ ანი ორმაგ დოზას ჩაგიყრისო...

### 24 აბვისტო, პარასკევი

თბილისში ისევ სიცარიელეა. ჯარის მეთოთხმეტე დღე მახსენდება. ნუ, დილით წყალი ისევ არაა. თუმცა, აღშფოთება უკვე მოგუდულია. იმედები და ამბიციები ჩაკედა. აკი, მაფრთხილებდნენ ჯარგამოვლილი მეგობრები – ჯარში პირველი კვირა ყველა ილუზიისა და მოლოდინის მსხვერვააო. პირველი კვირა ყველას ასწორებს, გავიწყებს, თუ ვინ ან რა იყავი მანამდე. იცმევ ფორმას და შესვლამდე დაუტევებ ყველა იმედს და განსხვავებას. ყველას მხოლოდ ისღა ამოძრავებს, როგორმე ეს 18 დღე გალიოს. არის ერთი ფაქტორი, რასაც „ესენი“ წინ ვერ აღუდგებიან. ეს

დროის მდინარეაა. თუმცა, მეორე ვერსიით, 20 აგვისტოს დამსახურება უნდა, თავისით არ მოვა. უკვე ძალიან დაღლილი ვარ. მომბეზრდა. უცბად ვიგრძენი, რომ ყველა და ყველაფერი საშინლად მეუცხოვა: გარემო, ბიჭები, სიტუაცია. გაქანებული დეპრესიაა. რაში გადის ცხოვრება? კაცს 40 წელი გიცხოვრია, გზაზე გივლია, აგური აგურზე დაგიდია და უცბად 20 წლის სერჟანტების კაპრიზებზე უნდა იშაგავო. რითი განსხვავდება ჯარი და ქორწილი? ქორწილში მხოლოდ პატარძალი ისჯება. ეს დღეს ნასწავლი სიბრძნეა. ასეთები ბევრია ჯარში. ანდრო მატყობს უხასიათობას და გასული ორი კვირის ჰაილაითებით ცდილობს გამახალისოს.

**დღე 6:** დილით ყველა გამოტყდა, რომ ამდენი დღეა კუჭში ვერ გასულა და ბუბივით დადიან. მარტო არ ვყოფილვარ. ესეც შეებაა ერთგვარი. გული მიგრძნობს – როდესაც ყველა ერთდროულად გადალახავს ამ რუბიკონს, წყალი არ იქნება. ასეც ყველაფერი ამსრულებოდეს.

**დღე 7:** მოკლული მტრის ჩხრეკას ვსწავლობთ. საცდელი კურდღელი ისევ ასეულის კოლორიტი ჩეგეა, იგივე ჩე გევარა. მულაძე გვანახებს ასე უნდა დაიწყოთო და ფეხებში დარტყმის იმიტაციას აკეთებს. ჩეგე იკუნტება – კარგით რა, ბატონო ლეიტენანტო, დამანყნარებლიანი ჩაი არ მეყოფა სასადილოში? ეს ის ჩეგეა კინალამ რომ დაიწუნეს პირველ დღეს ექიმებმა. ახლა ყველა აღიარებს, რომ უამისოდ ფერმკრთალი იქნებოდა ჩვენი რეზერვისტობა. ყველას მეტსახელი ამან მოიგონა: შრეკი. ზორო. ხრუშა, იგივე ნუფნუფა. მურწა. ცხენთევა. გველკუა. ერთხელ ჩე უსამართლოდ გამოაცალკევა სერჟანტმა და შეუძახა – ჩეგე, გამოდი მწყობრიდანო. ამან არ დაახანა – უკაცრავად, ბატონო ლეიტენანტო, მწყობრიდან თუ წყობიდანო!? მანამდე კიდევ ერთი იყო. მულაძე უსაფრთხოებისა და ზოგადი ქვევის წესებს გვაცნობდა. მაგალითად – აკრძალულია იარაღის მოხსნა დაცვიდან კომანდის გარეშე, აკრძალულია იარაღის უმეთვალყუროდ დატოვება, აკრძალულია სექსუალური საქციელი, აკრძალულია ესა და ესა კომანდის გარეშე, აკრძალულია მამათმავლობა... ამ დროს ჩეგე კითხულობს ენის ბორძიკით – „უკკაცრავად, კო-კომანდის გარეშე?“ ხარხარი დიდხანს არ ჩერდება.






# ჩემი რეზერვი

ავტორი: ღაბით მესხი











































# წიგნიდან იყო და არა იყო რა

ავტორი: ღათო ტუკაშვილი  
ფოტო: იური მერიტოვი

(ბაზრძელება)

შამპანურის სმა მაშინდელ თბილისსა და სრულიად საქართველოში, გარდა იმისა, რომ ერთგვარი მოდა გახლდათ, ლოგიკურიც იყო, რადგან სამოცდაათიან წლებში, საბჭოური სოცმეფიზმების გამო (გარდამავალი დროშების მოლოდინში მოსკოვიდან), ქართული ღვინო უბრალოდ წაახდინეს. ღვინის სამშობლო საქართველოში, სადაც შვიდი ათასი წლის მანძილზე, ყოველთვის არსებობდა კარგი ღვინო, XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში, კარგი ღვინო უბრალოდ, გაქრა. ქართველ მეღვინეებს პირდაპირ ავალებდა საქართველოს საბჭოთა მთავრობა, გაეზარდა ღვინოს რაოდენობა ხარისხის ხარჯზე და საქართველოში გაჩნდა ღვინო, რომელსაც დაუჯერებელი, ენიტალუნწერილი სუნი და გემო ჰქონდა.

ჩვენი ქვეყნის ძველ დამპყრობლებს შორის ასურიელები, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი და მომთხოვნები იყვნენ და მოხარკე ქვეყნებს მხოლოდ ოქროთი ახდევინებდნენ ყოველწლიურ ბეგარას, მაგრამ ქართველებისაგან (გამონაკლისის სახით), ოქროს ნაცვლად ღვინოს ითხოვდნენ და ეს ოქრო-ღვინო, ქართველმა კომუნისტებმა (გარდამავალ დროშებს დახარბებულებმა), გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ისე წაახდინეს, რომ ღვინის ხარისხი საქართველოში, დღემდე ვერ აღუდგენიათ. (სხვათა შორის, ცნობილი ანეგდოტი გარეჯთან დაკავშირებით, როცა ჩვენ უნივერსიტეტის წინ პირველი მიტინგები მოვანწყვეთ, ნამდვილი ამბავია და ზუსტად ასახავს შევარდნაძის ეპოქის ცვლილებებს საქართველოში. სწორედ ერთ-ერთი პირველი მიტინგის დროს უნივერსიტეტთან გამოვლილმა ტაქსის მძღოლმა რომ იკითხა, რამ გაამწარა ეს სტუდენტებიო და როცა უთხრეს გარეჯის ამბავს აპროტესტებენო, გულწრფელად

პატრიოტები ამაყობდნენ იმით, რომ ქართველები სწავლა-ბანათლებას ტულატავშიც კი ენაფაზობდნენ. თუმცა, დრო რომ გავიდა, საქართველო ისევ დამოუკიდებელი რომ გახდა და საკუთარი ჭკუა-ბონების ამარა ღვინო, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ტულატავში მიღებული ბანათლება, კარგი სახელმწიფოს შესაქმნელად, საქმარისი მართლაც არ არის...

დაგვლოცა და გულწრფელადვე თქვა ის ლეგენდარული ფრაზა – თქვენ გენაცვალეთ ჯიგარში, თორე გარეჯი ისე წაახდინეს, აღარც დაიღვავაო. მაშინ ერთ-ერთ სამარკო ღვინოს “გარეჯი” ერქვა და ზოგჯერ მართლა საშინელება იყო ხოლმე, თუმცა ჩვენ, სტუდენტები, მაინც ვსვამდით უფროსებისაგან განსხვავებით). საუკეთესო ღვინოებსმიჩვეულმა ქართველებმა კი კატეგორიული უარი თქვეს წახდენილი ღვინოს მირთმევაზე და შამპანურებს მიეძალნენ. შამპანური კი, მოგეხსენებათ, სწორედ ის გაზიანი სითხეა, რომელიც უნდა წრუპო და ქართველებს კი სასმელის წრუპვა რომ შეეძლოთ, აქამდე ევროკავშირშიც მიგვიღებდნენ. მაშინ (მით უმეტეს) არსად ეჩქარებოდათ ქართველებს და შამპანურს მიირთმევდნენ განსხვავებულებით, ყანწებითაც კი და ადვილი წარმოსადგენია, როგორი განვალბული იქნებოდა ნაბახუსევზე ქართველი კაცი, რომელსაც წინა საღამოს გაზი ახრჩობდა, დილით კი პახმელია ტანჯავდა. კუჭისა და სწორნაწლავის მასიური პრობლემებიც საქართველოში



სწორედ მაშინ გაჩნდა პირველად და ახლა ქართველი მამაკაცების უმრავლესობას ცისტიტი და პროსტატიტიც აწვავს. მართალია, ამ უკანასკნელი დარდების გამომწვევი მიზეზები უფრო გვიანდელია (მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებისა), მაგრამ ნებისმიერი დაავადება (ყველაზე ადვილად) იმ სხეულში იკიდებს ფეხს, სადაც სხვა მეზობელი ორგანოს დაავადება უკვე არსებობს.

არსებობდა თბილისის ცირკის ალტერნატივა, სადაც ასევე შეიძლებოდა თითქმის შიშველი ქალების ნახვაც და ეს იყო ქალაქ თელავის სასტუმრო “ინტურისტის” რესტორანი. არავინ იცის, რატომ (ალბათ, კერძო კახური ინიციატივის გამო), მაგრამ თელავის “ინტურისტში” რიგის ვარიეტეს ქალები ცეკვავდნენ და იმ ქალების სანახავად (და არა მხოლოდ სანახავად), კაცები თბილისიდან (და არა მხოლოდ თბილისიდან), სიამოვნებით ჩადიოდნენ. ვარიეტე რიგიდან

საბჭოთა მოსახლეობისთვისაც კი, ძალიან ძნელი იყო. ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა მაინც ახერხებდა ტუალეტის ქალაქის მოპოვებას მხოლოდ მათთვის ცნობილი გზებითა და ხერხებით. საბჭოთა კავშირში საერთოდ არ არსებობდა სადაზღვევო სისტემა, მაგრამ ქართველები (სპეციალურად ასეთი შემთხვევებისთვის), თვითონვე ზრუნავდნენ დაზღვევაზე და ამიტომაც საბჭოთა საქართველოში თითქმის არ იყო საოჯახო ტუალეტი, სადაც ვერ აღმოაჩენდით წიგნებს, ჟურნალებს და გაზეთებს. სადაზღვევო დანიშნულება ძირითადად გაზეთებს ჰქონდათ (საბჭოთა ტყუილებს სინამდვილეში) და წიგნებსა და ჟურნალებს კი ქართველი ხალხი (იმ პროცესის პარალელურად) გატაცებით კითხულობდა. ქართველი პატრიოტების საკმაო ნაწილს, მაშინვე ახარებდა ლიტერატურის აღმოჩენა ქართულ ტუალეტებში და პატრიოტები



კი იყო, მაგრამ ის ქალები, რასაკვირველია, რუსები იყვნენ და არა ლატვიელები და უკანაც აღარ დაბრუნებულან. რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის სად იცხოვრებდნენ, რიგაში თუ კახეთში და ზოგი მათგანი კურდღელაურში დასახლდა (მოგვიანებით) და ზოგიც თელავში გათხოვდა, ხაშლამის გაკეთებაც ისწავლა და ზედ მარილის მოყრაც.

მარილი კი (მგონი) ერთადერთი გამოგონება იყო საბჭოთა კავშირში, რისი დეფიციტიც არ არსებობდა (ალზევანს გასვლა ნამდვილად არ ჭირდებოდა), თუმცა, სხვა ნებისმიერი პროდუქტი პრობლემა იყო და ბოლოს, (სწორედ სამოცდაათიანი წლებში) ტალღონებიც კი შემოიღეს კარაქზე, შაქარზე თუ ბრინჯზე. თუმცა ყველაზე სევდიანი მაინც ტუალეტის ქალაქის დეფიციტი იყო და საბჭოთა ადამიანები თვითონაც ხუმრობდნენ ხოლმე ამ თემაზე, მაგრამ როცა ტუალეტში (საკუთარ თავთან მაინც) მარტო რჩებოდნენ, აღარ ელიმებოდათ, რადგან ტუალეტის ქალაქის გარეშე ცხოვრება, ყოვლისგამძლე

ამაყობდნენ იმით, რომ ქართველები სწავლა-განათლებას ტუალეტებშიც კი ეწეოდნენ, დრო რომ არ დაეკარგათ. თუმცა, დრო რომ გავიდა, საქართველო ისევ დამოუკიდებელი რომ გახდა (დეკლარების დონეზე მაინც) და საკუთარი ჭკუა-გონების ამარა დავრჩით, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ტუალეტში მიღებული განათლება, კარგი სახელმწიფოს შესაქმნელად, საკმარისი მართლაც არ არის...

ცნობილი ამბავია, მაგრამ მაინც: გურიიდან თბილისში ყაბალახით ჩამოსულმა დიმიტრი ვანიძემ რუსთაველზე (მაშინდელი გოლოვინსკის პროსპექტზე) გასეირნება გადაწყვიტა. ასე, თავზე ყაბალახნაკრულმა გაიარა-გამოიარა და მიტროფანე ლალიძის წყლის, მირთმევა რომ გადაწყვიტა, ვიღაც თბილისელმა კინტომ ღიმილით ჰკითხა — ძიაჯან, თავი ხომ არა გტკივაო. დიმიტრი ვანიძემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და იმ გაღიმებულ კინტოს ისეთი მუშტი უთავაზა, რომ კინტო გოლოვინსკზე გაიშხლართა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და დიმიტრი ვანიძეს ხულიგნობისთვის უჩივლა. ბატონი დიმიტრი და-

## უახლესი ისტორია

პატიმრეს და ჰაუბტგავახტაზე მიაბრძანეს (სადაც ახლა კინო რუსთა-ველია, იქ იდგა მაშინ ჰაუბტგავახტი), მაგრამ მალევე გაუშვეს, რადგან ქართველებმა თავდების გამოსასყიდი გადაიხადეს. მალევე შედგა სასამართლოც, სადაც გაკვირვებული კინტო მოსამართლეს მონდომებით უხსნიდა: ერთიც ვნახოთ მოვდივარ გოლოვინსკზედ და რასა ვხედავ — კაცს თავი აქვს ქალივით წაკრული და ოხრამს, რა უნდა მეფიქრნა, ზნაჩიტ თავი სტკივა, ეგრე არ არის?

ზაფხული იყო და ივლისის ბოლოს კი თბილისში, ზოგჯერ, კამიუს სიცხეც კი დგება ხოლმე და იქნებ დიმიტრი ვანიძეც ამ სიცხის გამო ოხრავდა, თუმცა მოსამართლე იმ თბილისელ კინტოზე ნაკლებად გაკვირვებული როდი იყო — თუ ბრალდებულს მართლა სიცხე აწუხებდა (ანუ ცხელოდა), მაშ თავწაკრული რატომ დაუყვებოდა ისედაც დახუთულ გოლოვინსკს?

სამყაროს ცენტრი, როგორც ახლა ბარსელონელისთვის ბარსელონა, მილანელისთვის მილანი და მანჩესტერელისთვის — მანჩესტერია. ხონელისთვის თუ ბათუმელისთვის, ქუთაისელისთვის თუ ოზურგეთელისთვის, თბილისი მხოლოდ ადმინისტრაციული დედაქალაქი იყო და არა ყველა ქართველის საერთო საცხოვრებელი ოცნება. ამიტომაც, ქართული კულტურა იქმნებოდა საქართველოს ნებისმიერ სოფელსა და ქალაქში და არა მხოლოდ და მხოლოდ (და მაინცდამაინც) თბილისში. საბჭოთა პერიოდში კი ეს ბალანსი და ჰარმონია უხეშად დაარღვიეს ქართველმა კომუნისტებმა, რომლებმაც მინებჩამორთმეული ადამიანები მასიურად ჩამოასახლეს თბილისში მშობლიური სოფლებიდან, რასაც თბილისის მოსახლეობის ისეთი ზრდა მოჰყვა რომ კომუნისტები იძულებულები გახდნენ, კორპუსების მასივები აეშენებინათ მათთვის



თავის მხრივ გაკვირვებული იყო დიმიტრი ვანიძეც, რადგან გურიასა და აჭარაში (ან სხვაგან, დასავლეთ საქართველოში) ყაბალანთავეკრული კაცის ნახვა, განა რა გასაკვირი იყო, თუნდაც, ზაფხულში, ივლისის ბოლოს?

ამიტომაც მოსამართლე ცოტა დაბნეული ჩანდა, რადგან იურიდიული განათლება ლაიპციგის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული და არც გურიაში, არც აჭარაში (და საერთოდ დასავლეთ საქართველოში) ნამყოფიც არ იყო. სამაგიეროდ, ქართველი სტუდენტები გურიიდან, აჭარიდან თუ იმერეთიდან (საერთოდ დასავლეთ საქართველოდან), ისე ხვდებოდნენ ევროპის უნივერსიტეტებში რომ თბილისში ნამყოფები არ იყვნენ და უცნაური ამაში, არაფერი იყო მაშინ, რადგან თბილისის გამო, საქართველომ თავკომბალას ფორმა (და შინაარსი) მხოლოდ საბჭოთა პერიოდში მიიღო. საბჭოთა ხელისუფლებამდე, ქართველები ისე ცხოვრობდნენ, როგორც ახლანდელი ევროპელები და ხონელისთვის (მაშინ) ხონი ისევე იყო

და იქ დაესახლებინათ ყოფილი გლეხები. საბჭოთა ხელისუფლება აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა ნებისმიერი ბოროტგანმზრახველი დამპყრობელი, ვინც ხვდებოდა რომ საუკუნეების მანძილზე ამ ქვეყნის მთავარი ღერძი სწორედ გლეხი იყო და მის გადარჩენის მთავარი საიდუმლო კი — მიწა. სწორედ მიწას მოწყვეტილი ქართველი ხდებოდა საბჭოთა ადამიანი, რისი მიღწევაც კომუნისტებმა მას შემდეგ ძალიან ადვილად შეძლეს, რაც საუკეთესო ქართველები დახვრიტეს ან ბანაკებში გადაასახლეს. ამიტომაც გაუკვირდა თბილისელ კინტოს (ერთი საუკუნით ადრე) არათბილისელის დანახვა გოლოვინსკზე ივლისის სიცხეში, მაგრამ მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, უკვე პირიქით იყო — რუსთაველზე თბილისელის დანახვა ხდებოდა იშვიათი და ქართველები ტუალეტის ქაღალდის მოპოვებას, მაინც (თითქმის) ყოველთვის ახერხებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ პრობლემის მოგვარების ნაწილი იყო, რადგან ტუალეტის შემდეგ ხელები ხომ უნდა დაგებანა



(აუცილებლად) და ხელების დაბანას კი მოგეხსენებათ, საპონი სჭირდებოდა. როცა საბჭოთა მალაზიების დახლებიდან საპნები ქრებოდა (დეფიციტის ამბავში), ქართველი დედები და ბებიები (სადღაც გადამალულ), თითქმის კახური აგურის ზომის სარეცხის საპნებს ამოაძრობდნენ ხოლმე. ზოგიერთ ოჯახში შამპუნებიც ჰქონდათ, მაგრამ ყველაზე ხშირი, მაინც საპნების შეგროვება იყო და ამ საქმიანობით (ძირითადად) გოგოები იყვნენ დაკავებული, რომლებიც უცხოურ, არომატულ საპნებს აგროვებდნენ. ბიჭები კი (ძირითადად) აგროვებდნენ მარკებსა და მანქანების მოდელებსა და პატარა მოდელების გამოშვება (სამოცდაათიან წლებში) თბილისის სათამაშოების ქარხანაშიც დაიწყეს. ქარხანა ერქვა თუ ფაბრიკა, ახლა რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძალიან ცუდი ნამდვილად არ იყო და მეტიც — ზოგიერთი მოდელი მართლა მონდომებით გაკეთებულს ჰგავდა, რასაც ბავშვებიც გრძობდნენ, ხედავდნენ და უხაროდან. “სიხარული” ერქვა კიდევ იმ მანქანებს და რომ ამოატრიალებდი, ქართულადაც ეწერა სახელი, მაგრამ უცხოურ, (გაცილებით დახვეწილ მოდელებს), რასაკვირველია, გაცილებით მეტი სიხარული მოჰქონდა ქართველი (და არა მარტო ქართველი) პატარებისთვის. პატარებზე იყო კიდევ გათვლილი ნებისმიერი საბჭოთა პროპაგანდა, რომელიც უფროსებს ჩააგონებდა, რომ ეს საბჭოური, უღრუბლო ცა, მათი შვილების ბედნიერებისთვის, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნებისმიერი ეკონომიკა, ადამიანის უფლებები და სიტყვის თავისუფლება. ქართველ მშობლებსაც სიამოვნებით სჯეროდათ, რომ მათი შვილების უღრუბლო და მშვიდობიანი ცა მთავარი უპირატესობა იყო, რასაც საბჭოთა ხელისუფლება მოსახლეობას სთავაზობდა

ეს ვერაგული ხრიკი (დაპყრობილების კულტურული მიშვებისა), რუსების მოგონილი არ იყო და თითქმის ყველა იმპერიის თვისება იყო სწორედ იმპერიის შენარჩუნების მიზნით. ინგლისელები (მაგალითად) ოსკარ უაილდის დადგმას ლონდონში კრძალავდნენ, მაგრამ არა დუბლინში, რომ ირლანდიელებს ცოტა გული მოეფხანათ და მთავარზე არ ეფიქრათ — ირლანდია დაპყრობილი იყო ინგლისელების მიერ და საქართველო კი მხოლოდ ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიისა. ეს შედარებითი, პროვინციული ლიბერალიზმი, კრემლიდან შეგნებულად ნებადართული მურაბა იყო, რომელიც წარმატებით ატკობდა ქართული ხასიათის ამბიციურ და ამპარტავნულ ბუნებას, თორემ, ვინც საქართველოს თავისუფლებაზე ხმამალა ოცნებობდა, ოცნების სასჯელს ციმბირში იხდიდა (ან უფრო შორსაც) და საქართველოს ბუნებაც ისევე ენატრებოდა, როგორც მურაბა და კომპოტი.

სხვათა შორის, გასული საუკუნის გასრულებასთან ერთად, საბჭოთა რუსეთთან (ოფიციალურად) გამომშვიდობების შემდეგ, თბილისელები ნელ-ნელა კომპოტსა და მურაბასაც გამოემშვიდობნენ და უფრო სწორად კი, დაემშვიდობნენ ტრადიციას, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა საქართველოში და აგერ სულ ახლახანს, ჩვენს თვალწინ გაქრა. არადა ზაფხულობით მთელს თბილისში ძალიან არომატული სუნი ტრიალებდა ხოლმე, რადგან დედები და ბებიები ზამთრისთვის ემზადებოდნენ და მურაბებს ხარშავდნენ და კომპოტებს ათუხთუხებდნენ, მერე ქილებში ხუფავდნენ და ზამთარი მათ, ველარც ამინებდა. იქ სადაც იყო ჩაი და მურაბა, იყო თბილი ზამთარიც და თბილისის ფანჯრებს ჭირხლი ედებოდა ხოლმე, (რაც შეიძლება, ცენტრალური გათბობის ბრალი იყო) და ის ჭირხლიც, ბოლოს მურაბასავით გაქრა. გაქრნენ თოლიებიც, მტკვარს რომ ამოუყვებოდნენ ხოლმე ალბათ, კასპიის ზღვიდან და გაქრა ახლადაყვავებული ნუშისა და ატმის სუნიც თბილისის ქუჩებში, როცა გაზაფხული ტროტუარებზე კვირტებს დახეთქავდა ხოლმე და ეს მძაფრი სუნი მთელს ქალაქს აბრუებდა. გვიან გაზაფხულზე კი, როცა მაისის უუფუნა წვეთებს ხანმოკლე, მაგრამ გემრიელი წვიმა შეცვლიდა, ისეთი სუნი ავარდებოდა თბილისის ქუჩებიდან, რომ მერე ასვალტებსაც კი რჩებოდა ხოლმე, ერთი დღით მაინც რაღაც ძალიან სასიამოვნო, რაღაც ზეიმის მსგავსი.

თუმცა სხვა ზეიმებიც იყო — ბოლშევიკური დღესასწაულები, რომელთაც მთელს საბჭოთა კავშირში დიდი მონდომებით აღნიშნავდნენ ხოლმე და განსაკუთრებით ემზადებოდნენ შვიდი ნოემბრისა და პირველი მაისისათვის. 7 ნოემბერს აღნიშნავდნენ ოქტომბრის რევოლუციის იუბილევებს, რადგან კალენდარი იმთავითვე შეცვალეს და ოქტომბრის რევოლუციას ნოემბერში ზეიმობდნენ. უფრო ღიმილისმომგვრელი კი ის იყო, რომ სინამდვილეში რევოლუცია თებერვალში, რამდენიმე თვით ადრე მოხდა (პეტერბურგში) და რაც ოქტომბერში იკადრეს ბოლშევიკებმა, (სახელმწიფო გადატრიალების გზით) ხელისუფლების ძალის გამოყენებით უზურპაცია იყო და სხვა არაფერი. თუმცა, კომუნისტებს სულაც არ აწუხებდათ სიმართლე და ოქტომბრის დიდ ტყუილსაც ისეთი დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ, რომ ისტორიის არმცოდნე ადამიანს მართლა ეგონებოდა, რომ 1917 წლის 7 ნოემბერს პეტროგრადში რევოლუცია მოხდა. თბილისში კი 7 ნოემბერს ყოველთვის ციოდა ხოლმე და რეპეტიციებზე გამოყვანილი თეთრპერანგის სკოლის მოწაფეებიც სიცივისაგან კანკალებდნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილები იყვნენ რადგან გაკვეთილებს აცდენდნენ, ხოლო სკოლის მოწაფისათვის, გაცდენილ გაკვეთილზე კარგი გაკვეთილი, არც მაშინ არსებობდა.

**საბჭოთა ხელისუფლება აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა ნახისმიერი ბოროტბანაზარაზვილი დამკრპობალი, ვინც ხვდავოდა რომ საუკუნეების მანძილზე ამ ქვეყნის მთავარი ღირსი სწორად გლახი იყო და მის გადარჩენის მთავარი საიდუმლო კი - მინა. სწორად ამ მინას მოწყვტილი ქართული ხვდავოდა საბჭოთა ადამიანი,**

კაპიტალისტური დასავლეთისაგან განსხვავებით და მშობლებიც იძულებული იყვნენ ლექსები ეწერათ. ქართველებს სამშობლოზე ლექსების წერა ყოველთვის უყვარდათ (არასოდეს ეზარებოდათ) და პატრიოტიზმის გამოვლენადაც კი მიიჩნევდნენ. ამიტომაც არ არის გასაკვირი რომ სწორედ მაშინ, სამოცდაათიან წლებში, საქართველოს უკიდევანო სიყვარულზე, ყველაზე მეტი ლექსი დაიწერა და ნამახალისებელი ფაქტორი კი იყო დისიდენტური ელფერი, რომელიც მაშინდელ პოეზიას დაჰკრავდა. ქართველებს ეჩვენებოდათ, რომ ქართული პოეზია საქართველოს გადასარჩენად იბრძოდა კრემლის ნებართვის გარეშე და განსხვავებულ ფილმებსა და სპექტაკლებს, მათ ავტორებს, გმირობად უთვლიდნენ. სინამდვილეში ეს ქართული ნიჭის გამორჩეული წარმატებები იყო საბჭოურ სივრცეში და არა გმირობა, რადგან მოსკოვის ნებართვის გარეშე (სინამდვილეში) რიგითი დისერტაციასაც კი ვერ დაიცავდა რიგითი ქართველი მეცნიერი და ასპირანტი. თუმცა

ბიორები გვასხარია  
ნაწილი ოსტაქსაჲ

1995

„სოსიალიზმი + ელექტროფიკაცია“

უნდა გავაფრთხილო ყველა, ვისაც ვუყვარვარ, ნუ  
ინამებს ამ სიყალბეს, ნუ მინამებს, ნუ შემეყვარებს”

ბლუზ პასკალი

ჩვეულებრივი დღეები, ეტყობა, მართლაც არაა საკმარისი იმისთვის, რომ განვიღო ცხოვრებას გადახედო და ცოტა ხნით მაინც ილივილო წარსულში. ჩვეულებრივ დღეებთან ერთად ნორმალურმა (და არანორმალურმა) ადამიანმა უნდა წეროს ინტიმური დღიურებიც, რომელშიც მკაფიოდ და, რაც მთავარია გულწრფელად იქნება ასახული ყველა სულიერი და უსულო არსებისგან მიღებული სიამოვნება და ტკივილი; როცა სხვასთან შეხება იმდენად მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს, რომ სხეული კარგავს საკუთარ ტერიტორიას და სხვისი ნაწილი ხდება, როცა „დეტერიტორიზაცია“, თუ „დეპერსონალიზაცია“ უპასუხისმგებლობის ვნებას აღვიძებს ადამიანში, იმდენად ძლიერს, რომ ყველაფერს ავიწყებს - სოციალურ სტატუსს, საზოგადოებრივ აზრს, ოჯახს, რელიგიას - ყველაფერს, რასაც კარგი ფილოსოფოსი „ძალაუფლების მექანიზმს“ უწოდებს. კარგი ფილოსოფოსი დარწმუნებულია, რომ სწორედ ფილოსოფიაა ამ მექანიზმებისგან თავისუფალი ადამიანის მოღვაწეობის ერთადერთი დარგი. კარგი მწერლისგან განსხვავებით, კარგი ფილოსოფოსი არ ფიქრობს და არ წერს მამის (თუ დედის) გავლენით, არ წერს „მამისთვის“ (და „დედისთვის“), არ წერს მოუწოდებელი ოიდიპოს კომპლექსის ზემოქმედებით. კარგი ფილოსოფოსი ნეტარებს დეპერსონიზირებულ სივრცეში. მან იცის, რომ საკუთარ თავთან ბრძოლის, სიყვარულისა და სურვილის უნარის გამომუშავების გარეშე ვერსადროს მოიპოვებს თავისუფლებას... არადა, ჟღერს დღეების თქმისა არ იყოს, ადამიანთა უმრავლესობას სრულიად სანაწილად გრძნობა აცხოვრებს - ყველას უნდა, რომ სხვას უყვარდეს! უნდა, ძალიან ხშირად ვერ ახერხებს და საშველად მოძღვართან ან ფსიქოანალიტიკოსთან მიდის - მიდის კითხვით, რატომ არ ვუყვარვარ? რატომ ვარ მარტო?

შეიძლება სწორედ დღეები იყო საბაბი ინტიმური დღიურის წარმოების ვნებისა, რომელიც ზაურის გაცნობის შემდეგ გამოჩნდა.

ქუთაისიდან სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა. ვაზისუბანში, თავის გაუთხოვარ დას ჩაუსახლდა და 1993 წლიდან დღემდე

ბაზრობაზე, ნიგნებით ვაჭრობა დაიწყო. ადგილი იაფად იშოვა. ბიძამისი, გულრიფშელი დევენილი, მოსკოვში ცხოვრობდა და იქიდან უგზავნიდა ნიგნებს. ყიდა ყველაფერს - იმხანად პოპულარულ რუსულ „ბოეიკებს“, სანტა-ბარბარას სერიალის ლიტერატურულ ვერსიას, ათას სისულელეს თემაზე „როგორ მოვიხსნათ ჯადო“, ანდა, „როგორ გავხდეთ მილიონერი“, კროსვორდების, ასტროლოგიური პროგნოზების, ალტერნატიული მედიცინის რეცეპტთა კრებულებს. ყიდა ფილოსოფიურ ლიტერატურასაც, რომელზეც, ზაურის მტკიცებით, თბილისში დიდი მოთხოვნილება იყო. ზაურს არ სჯეროდა, რომ ფუკოს, ლაკანის, დერიდას, თუ დელეზის ნიგნებს მას სწობები უკვეთავდნენ. იგი დარწმუნებული იყო, რომ მონყენილობა, უიმედობა და სოციალური სიდუხჭირე მაღლია იმისთვის, ვისაც „ფილოსოფოსობა“ უყვარს.

იმ წვეულებაზე, სადაც ერთმანეთი გავიცანი, უფრო „როგორ მოვიხსნათ ჯადო“ აინტერესებდათ, ვიდრე თუნდაც დელეზისა და გვატარის „ანტიოიდიპოსი“. თუმცა სახლის პატრონმა, რომელმაც 95 წლის „ძველი ახალი წლის“ შესახვედრად მიგვიპატიჟა, წინასწარ გამაფრთხილა, ერთი ბიჭი დაეპატიჟე, შენი „სარკმლის“ ყველაზე ერთგული მაცურებელია და ყველა შენი სტატია შენახული აქვსო.

ასეთ თავყვანისმცემლებს, მგონი, ყოველთვის გაუზრბოდი. არასდროს მესმოდა, როგორ შეიძლება იმის ფანი გახდე, ვისაც საერთოდ არ იცნობ. და საერთოდ, რატომ უნდა გახდე ფანი? ბაზუაჩემმა მითხრა ერთხელ, თუკი იგრძნობ, რომ მეტისმეტად გაგიტაცა ვინმემ, ეგრევე წარმოიდგინე როგორ ზის ფეხსალაგში (ჰო, ასე ამბობდა - „ფეხსალაგი“) და თუკი ამის შემდეგ ისეთივე გატაცებით გეყვარება, მაშინ უკვე შეიძლება „დიდ სიყვარულზე“ ფიქრიო. ესთეტი-ბაბუას ეს რჩევა ძალიან დამეხმარა - დღესაც მარტო მძინავს!

მაგრამ წვეულებაზე მაინც წავედი. ბოლოს და ბოლოს ავლაბარს, სადაც ძველ ახალ წელს უნდა შეეხვედროდით, სინათლის გრაფიკი არ ეხებოდა. მე კი უკვე ძალიან მომბეზრდა სიბნელეში ჯდომა. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე თურქმენეთმა გაზის







## სრამლიანი სათვალე

მონოდება შეგვიწყვიტა. სინათლე თბილისში მხოლოდ 1 იანვარს იყო. ამის შემდეგ დაწესდა 6 საათიანი გრაფიკი (3 საათი დილით და 3 - საღამოს), რომელსაც არავინ იცავდა. შეშასა და ნავთზე გრძელი რიგები დადგა. უშუქობის გამო, მოსახლეობის უმრავლესობამ დაგვიანებით შეიტყო, რომ 13 იანვარს საქართველოში კინალამ ომი დაიწყო.

დილით თენგიზ კიტოვანის ეგრეთ წოდებული „ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ფრონტის“ ბიჭებმა იარაღი აისხეს და დასავლეთ საქართველოსკენ დაიძრნენ. რამდენიმე საათში კიტოვანმა ქართველი და უცხოელი ყურნალისტებისთვის პრესკონფერენცია მოიწვია. ისევ დაიწყო „ომით დაკარგულის, ომით დაბრუნებაზე“ საუბარი. შუადღეზე თბილისში ხმა გავრცელდა, კიტოვანი აფხაზეთს იბრუნებო. თუმცა „ეროვნულ-განმანათავისუფლებელ ფრონტს“ მოხალისეები არ შეუერთდნენ - იმ დღეს ხალხი უფრო მოახლოებულ „ძველ ახალ წელზე“, ნავთსა და შეშაზე ფიქრობდა.

არ არის გამორიცხული, რომ შევარდნაძე დღის ბოლომდე სწორედ ამიტომ არ აკეთებდა კომენტარს - მთავრობას მოსახლეობის რეაქცია აინტერესებდა. საღამოს, დაახლოებით ხუთ საათზე, უშიშროების შეფმა, იგორ გიორგაძემ სენაკი-ზუგდიდის ტრასა გადაკეტა და თენგიზ კიტოვანი დააპატიმრა.

თბილისში სინათლე დროზე ადრე მოვიდა. ჩაირთო ტელევიზო-

**„ბაბუაჩივამ მითხრა ერთხელ, თუკი იბრძობ, რომ მატისმეტად ბაბიტაცა ვინმემ, ებრძვი ნარმოილბინე როგორ ზის ფხსალაბში (ჰო, ასე აბოზდა - „ფხსალაბი“) და თუკი ამის შემდეგ ისეთივე ბატახებით გეყვარება, მაშინ უკვე შეიძლება „დიდ სიყვარულზე“ ფიქრიო. ესთეტი-ბაბუას ეს რჩევა ძალიან დამეხმარა - დღესას მართო მძინავს!“**

რები. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ქვეყანა მორიგ პროვოკაციას და სისხლისღვრას გადაურჩა. ტელევიზიამ საახალწლო კონცერტების გამეორება დაიწყო.

თუმცა ავლაბრის იმ ბინაში, სადაც ძველ ახალ წელს უნდა შეეხვედროდით, მაინცდამაინც არც კიტოვანი აღელვებდათ, არც შევარდნაძე-გიორგაძე და არც ქართული ესტრადის ვარსკვლავები, რომლებმაც, ტრადიციულად, დაიპყრეს „სადღესასწაულო ეთერი“. ძველი ახალი წლის დადგომამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი. მაგრამ სტუმრები იაფფასიანი რუსული არყისგან ისე გამოთვრნენ, რომ „სირტაკის“ ცეკვა დაახლოებით ათ საათზე დაიწყეს. არადა მასპინძელი, ჩემი სომეხი მეგობარი, მთელი საღამო ამტკიცებდა, ტამარა გლობას მოვუსმინე წუხელ, ძველი ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე „სირტაკს“ უნდა შეუდგე - მეგობრებმა ერთმანეთს ხელი უნდა გადახვიონ და მაგიდის გარშემო ცეკვა დაიწყონ, თან სულ „შაბაშ“, „შაბაშ“ იძახონ... ღორის წელს ბარაქა მოაქვსო!

სირტაკის ცეკვის დროს ისე დასცხათ, რომ ელექტროლუმელი გამორთეს. თუმცა არყისგან გავარვარებულ სხეულებს არც ამან უშველა. ძველი ახალი წლის დადგომას კიდევ ერთი საათი აკლდა, როცა სტუმრებმა გაიძრეს ნარინჯისფერ-წითელი სამოსი („ღორის

წელს“ უყვარს თურმე) და წყვილ-წყვილად, სამ-სამად, ოთხ-ოთხად ოთახებში დაიშალნენ.

ესეც თქვენი კომუნისტური სამოთხე! ბევრი სინათლე (იმდენად ბევრი, რომ შუქმა ძალიან შეაწუხა მასპინძელი და ოთახებში საგანგებოდ მომზადებული წითელი სანთლები დაანთო)... და სოციალიზმი - ერთმანეთში აღრეული ქართული, სომხური, რუსული, აზერბაიჯანული. უნგრულიც კი (ახალი წლის დღეებში თბილისს ჩვენი უნგრელი მეგობრები ეწვივნენ). ესეც თქვენი „დეტერიტორიზაცია“, მთელი თავისი ფუკო-დელეზით... მოხრილი, დაკლაკნილი, გადაზნექილი, დაყირავებული სხეულები და ვნებისგან გაბრწყინებულ თვალები - ის, რაც ეიზენშტეინმა დაინახა ელ გრეკოს სურათებში. „ესაა ექსტაზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სამყარო მხოლოდ და მხოლოდ გრძობებით აღვიქვათ“ - ნერდა სიცოცხლის ბოლომდე „პაი-მალჩიკი“, სიცოცხლის ბოლომდე „ხუთოსანი“ ეიზენშტეინი, რომელმაც „გრძობებით“ ვერ აღიქვა სამყარო - ამისათვის მეტისმეტად ფრთხილი იყო და მამა-სტალინის ისე ეშინოდა, როგორც, მაგალითად, მე უპატრონო ძაღლებისა. მაგრამ ამ შიშმა მაინც ვერ ჩაკლა მასში „კომუნისტური ორგის“ მოთხოვნილება - ხატავდა ეროტიკულ სცენებს, გადაზნექილ-გადმოზნექილ, წრეში მოლოვილივე შიშველ ფიგურებს და დაჟინებით იკვლევდა იმას, რასაც ადამიანებმა „გრძობა“, თუ „ვნება“ შეარქვეს. ეიზენშტეინი დარწმუნებული იყო, რომ წრის გახსნა (ე.ი. „დეტერიტორიზაცია“) აუცილებლად დასრულდება „ex-stasis - ით... ეს პროცესი შეიძლება გამოიხატოს უბრალოდ, ქამრის შეხსნაში („ტანსაცმლის გაძრობა“), ანდა, თუნდაც, ცეკვაში... დაახლოებით ისე, როგორც ნიკოლოზ შენგელიას „ელისოში“, სადაც მოკლული ჩეჩენის დატირება ნელ-ნელა რიტუალური ცეკვით იცვლება - კოლექტიური გლოვა - კოლექტიურ დოლორში გადაიზრდება, კოლექტიურ დოლორს კი ელისოსა და ვაჟიას ვნებიანი მზერა შეცვლის.

ზაურს და მე სირტაკი არ გვიცეკვია. მხოლოდ ვუყურებდით. უფრო სწორად, ზაური თვალს არ აცილებდა ხმაჩანეულ ტელევიზორს, რომლის ეკრანზე საახალწლო შოუ „მაცნესა“ და „ვესტნიკის“ სპეციალური გამოშვებებით წყდებოდა ხოლმე. ძალიან სასაცილო იყო შევარდნაძის, გიორგაძის, კიტოვანის, „მაცნე-ვესტნიკის“ წამყვანების ხილვა სირტაკის მუსიკისა და „შაბაშ, შაბაშის“ ვნებიანი ოხვრის ფონზე... თუმცა, ზაურისგან განსხვავებით, მე უფრო ცეკვით ვტკბებოდი. იმ საღამოს კიდევ ერთხელ გავიაზრე, რატომ ავირჩიე პროფესიად კინოხელოვნება, კიდევ ერთხელ გამოვუტყევი ჩემს თავს, რომ კლასიკური ვუიარისტი ვარ - შემძლია საათობით ვიჯდე, არ ვიმოქმედო, მხოლოდ და მხოლოდ ვუყურო და ჩემს სხეულში ყურებით „გავხსნა წრე“. ხოლო, როცა ყურების ამ პროცესში სხვადასხვა ჩართული, როცა მეძლევა ძალა ვმართო სხვისი „მზერები“, ეს სიამოვნება შეიძლება გაასამაგდეს კიდევ.

სირტაკი ჯერ დასრულებული არ ჰქონდათ, როცა ტელევიზორს ზურგი შეაქცია, ჩემსკენ მობრუნდა, არაყი დამისხა, ჭიქა მომიჭახუნა და მითხრა: „შენს „სარკმელს“ გაუმარჯოს. ძალიან მომწონს გადაცემის სათაური!“

სხვას რომ ეთქვა ასეთი სადღეგრძელო, თავს ვერ შევიკავებდი და ჩემებურად „ვუკბენდი“. მაგრამ როცა გარშემო ნარინჯისფერ-წითელი ლანდები დაგტრიალებენ, იზნიქებიან და იკლაკნებიან, როცა ბლომად გაქვს დალეული იაფფასიანი არაყი, როცა დაღლილი და გამოფიტული ხარ მოსალოდნელი ომის შიშით, ყალბ სიტყვებს და ამ სიტყვების წარმოთქმის პროვინციულ მანერას ყურადღებას აღარ





## სკამლიანი სათვალე

აქცევ. პირიქით, სიყალბემ შეიძლება სიამოვნებაც კი მოგანიჭოს. მით უმეტეს, თუ ვუიარისტი ხარ, თუკი მოსმენილს მნიშვნელობა არა აქვს. თუკი მთავარი - დანახულია.

აი, რატომაა აუცილებელი ინტიმური დღიურების წარმოება! იმავე ღამეს რომ ამელო რვეული და მისი პლასტიკა ამეწერა, მისი ხელების მოძრაობა და ფეხების ერთმანეთზე „მიტყუების“ უცნაური ჩვევა, მისი სწორი და პირდაპირი მზერა, რომელიც იმ ღამეს ბევრად უფრო ჭკვიანი მომეჩვენა, ვიდრე მისი ლაპარაკის მანერა - ეს კლასიკური ქუთაისური „არტისტიზმი“, სიტყვეების წარმოთქმის უშანგიჩხეიძისეული სტილით... დანახული რომ ამეწერა, ჩემს გრძობებსაც ხომ გავაანალიზებდი? ამ შემთხვევაში ხომ ნამდვილად აღარ გამიჩნდებოდა ფსიქოანალიტიკოსთან ვიზიტის სურვილი კითხვით „მითხარი, ყველაფრისმცოდნე ფსიქოანალიტიკოსო, რატომ მომანიჭა სიამოვნება ყალბი კომპლიმენტების მოსმენამ, რატომ მოხდა, რომ „ბაზრობის ბიჭის“ პათეთიკურ-შეთითხნილი რიტორიკა უფრო ძვირფასი იყო ჩემთვის, ვიდრე თბილისელი სნობების კომპლიმენტები?“

თვითონაც სნობი იყო, რა თქმა უნდა. სნობის გარდა ვინ მოინდომებდა, აბა, გაქანებული „სირტაკის“ ფონზე სატელევიზიო გადაცემის სადღეგრძელოს წარმოთქმას? მაგრამ იმ ღამეს დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო სულ სხვა ჯგუშის სნობიზმი - განვითარების სურვილი, ცნობისმოყვარეობის და ახლის შეცნობის განცდა. დღეები გა-

**ნეტავი საიდან ბაჩნდა ამ უმნიშვნელო ქართულ  
ენაში სიტყვა „გათავება“? ნუთუ ამ სიტყვის  
ავტორმა მართლა იბრძნო, რომ ექსტაზით  
ბამონჯეული ორბაზიმით სხეული კი ისლება  
და იფიტება, მაგრამ ტვინი კარგად იწყებს  
მუშაობას. იმდენად კარგად, რომ ზოგჯერ სულ  
ალარაა საჭირო მიჰყვებოდა ესთეტი ბაბუს რჩევას და  
წარმოიღობო „ფახსალაბი“...**

დიოდა, მაგრამ ვერც „ფახსალაგის წარმოდგენამ“ მიშველა და ვერც სიტყვების წარმოთქმის უშანგიჩხეიძისეული სტილის გახსენებამ.

მეორე დღიდან ზაური ჩემი ბიბლიოთეკის „შემავსებელი“ გახდა. სტუმრად თუ მოვიდოდა, ვარიანტი არ იყო, კარგი წიგნი რომ არ ეჩუქებინა. მეტროს დაკეტვამდე იჯდა და კონიაკს წრუპავდა. კინოზე და ფილოსოფიაზე ლაპარაკის დროს ფეხებს ისევ ძლიერად „ატყაპუნებდა“, რალაცნაირი დაძაბული იყო, თითქოს ეშინოდა სისულელე არ წამოცდებოდა. დრო გადიოდა და სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ რალაც ფრაზები დაზეპირებული ჰქონდა. დასაწყისში ეს არ მალიზიანებდა. პირიქით, სულ მაინტერესებდა, რატომ შეიძლებოდა ამ „ბაზრობის ბიჭს“ მაინც და მაინც ეს ფრაზა „ამოელო“ ბარტის, ლაკანის, თუ ფუკოს რუსულად ახლადნათარგმნი წიგნებიდან. პოლიტიკაზე მსჯელობისას ბევრად უფრო თავისუფალი იყო. შემოდგომაზე, როცა საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია დაიწყო, გაკვირვებას ვერ მალავდა ერთ-ერთი კანდიდატის, აკაკი ბაქრაძის დაბალი რეიტინგის გამო. ამბობდა, რომ ქართველები არასდროს აირჩევენ ვაცლავ ჰაველის მსგავს პრეზიდენტს, რადგან ამ ქვეყანაში, ტრადიციულად, ეშინათ ინტელექტუალების, თითქოს გულით გრძობენ, რომ ჭკვიანი კაცი არასდროს დათან-

ხმდება მესიის როლზე, არასდროს მოირგებს ერის წინამძღოლის ნიღაბს. პირიქით, ჭკვიანი კაცი ყოველი მოქალაქისგან მოითხოვს, თავად გახდეს საკუთარი ცხოვრების შემქმნელი და თავად აგოს პასუხი საკუთარ ქმედებაზე, თავად შეიყვაროს და არ იწუნუნოს იმაზე, რომ არავის უყვარს, ობოლია და არა ჰყავს „პატრონი“.

29 აგვისტოს, როცა შევარდნაძეზე ტერაქტი განხორციელდა, სწორედ იმ საღამოს, როცა ტელევიზია „მაიკიანი“ შევარდნაძის სიტყვას ატრიალებდა ეთერში, ზაური გოდარისადმი მიძღვნილი „Киноведческие записки“-ით გამოემცხადა. მაგრამ ამჯერად არა გოდარის ციტატებით, არამედ „ბაზრობის ხალხით“ დაიწყო. გაკვირვებას ვერ მალავდა, ის ქალები, ჩემს გვერდზე მილიონ კუპონად რომ ყიდიან წიგნებს, დილიდან საღამომდე შევარდნაძეს წყველიდნენ, მაგრამ ტერაქტის ამბავი როცა გაიგეს კვილ-წივილი მორთეს, სულ „რა გვეშველება, რა გვეშველება“ იძახდნენო. ამ დროს ძალიან, ძალიან ნაღდი და გულწრფელი იყო. შემოდგომაზე, როცა შევარდნაძემ 73 პროცენტით მოიგო არჩევნები, მისი კონკურენტი, ჯუმბერ პატიაშვილი კი მეორე ადგილზე გავიდა, მაინტერესებდა, როგორ შეაფასებდა ამ ციფრებს ზაური. მაგრამ იმხანად ჩვენ ერთმანეთს უკვე აღარ ვხვდებოდით.

ბაზრობაზე, „მეზობელი ქალები“, არაფერს უშავებდნენ, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ შერევილად აღიქვამდნენ. იმ დღეს, როცა აღმოდგარის „მალალი ქუსლების“ გამო „სარკმელს“ პრობლემები

შექმნა, როცა რამდენიმე სტუდენტმა გადაცემის აღდგენის მოთხოვნით ტელევიზიასთან მიტინგი გამართა, ზაურს, თურმე, ძალით მოჰყავდა ეს ქალები აქციაზე. ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაზე კინოებს როცა აჩვენებს, მაშინ მივალთო, უთქვამს ზაურის დახლთან მდგარ ცხირნაოპერაციებ ლელას. ეს ქალი, ზაურის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი „გულის მესაიდუმლე“ იყო. ყავას ერთად ვსვამთ, ყველაფერს ვუყვები და ეგრე კარგად არავინ მიგებსო.

ლელა, სხვა ქალებისგან განსხვავებით, მეც თბილად მხვდებოდა. ერთხელ მითხრა, შენს გარდა წიგნებს აქ არავინ ყიდულობს, ურჩიე ამ ბიჭს რამე, იქნებ სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელიო. კვირაში ერთხელ, ბაზრობაზე როცა მივდიოდი, ზაური ყველას გასაგონად მელაპარაკებოდა „სარკმელში“ გაშვებულ ფილ-

მზე. ინტერნეტი მაშინ არ იყო, ამიტომ დღესაც მიკვირს, საიდან აგროვებდა ამდენ ინფორმაციას. ისიც მიკვირს, რომ ვერ ხვდებოდა, როგორ დასცინოდნენ „მეზობელი ქალები“. ერთხელ უთხრა კიდევ იმ ლელამ, ბიჭო, რა კინო აგიტყდა, ვერ ხვდები, რომ შიზოფრენიკს გეძახიანო? და იცით რა უპასუხა? „ასეთები ვართ ხელოვანი ხალხი, ცივილიზაციის კლინიციკლები!“... ეს ფრაზა დღეებთან ამოიკითხა. ამაყობდა, რომ წიგნების კითხვამ „მოსწრებელი“ სიტყვა-პასუხი ასწავლა.

მერე სექტემბერი დადგა. უნივერსიტეტში სწავლა დაიწყო და აღარც ბაზრობისთვის მეცალა და აღარც მოსკოვში გამოცემული ფილოსოფიური ლიტერატურისთვის. რაც მთავარია, ვგრძნობდი, რომ წონაში მომატებული და ღიპდადებული ზაურიც მალიზიანებდა. ხომ იცით, როგორ ხდება ამ დროს? თითქოს საბაბს ეძებ იმისთვის, რომ შენი ეს „მოზერება“ გაამართლო და ის, რაც ადამიანის გაცნობის დროს უმნიშვნელოდ გეჩვენება, ახლა „ძალიან ახლო ხედით“ შეიძლება მოგველინოს. პირველი ასეთი „ახლო ხედი“ ოქტომბრის დასაწყისში ვიხილე, როცა ერთ-ერთი ვიზიტის დროს გამომიცხადა, რა კარგია რომ „თბილისობა“ აღადგინეს, ყოველთვის მიყვარდა ეს დღე და მაგრად ვხალისობდიო. თუმცა ჩვენი დაცილების მიზეზი,





## სრამლიანი სათვალე

ცხადია, შევარდნაძის მიერ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ აღდგენილი „თბილისობა“ არ იყო.

ზაურის საყვარელ „თბილისობამდე“ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როცა ეიზენშტეინის ნახატების ახალი ალბომი მოვინდომე. ძველი გამოცემა მქონდა და მიუხედავად ზაურის შეთავაზებისა, ალბომის ყიდვას არ ვაპირებდი. მაგრამ სტუდენტებმა მითხრეს, ნიგნში ეიზენის სხვა, ეროტიკული ნახატებიც არის ჩართული. ამიტომაც, კვირა დღეს ბაზრობას მივაშურე.

ზაური არ დამხვდა. ნიგნების დახლი ალაგებული იყო. ლელა იდგა მხოლოდ და ხოფიდან ჩამოტანილ „ნასკებს“ ყიდდა. მასთან ლაპარაკი მეზარებოდა. დათესვას ვაპირებდი. მაგრამ დამინახა და ჩემსკენ გამოქანდა.

– აქ აღარ იმუშავებს. ბიძამისი მოსკოვში დაუჭერიათ. ნიგნებს ველარ გამოუგზავნის. თანაც ამ ბიზნესმა არ გაამართლა.

უცნაურია, მაშინ გავიზარე, რომ არასდროს მქონია ზაურის ტელეფონი. თვითონ რეკავდა ხოლმე. ნომერი ვთხოვე.

– ნომერი არ ვიცი. ამ დღეებში გამოვივლი. ნიგნები ჯერ არ წაუღია. ვატყობდი, რომ რალაცის თქმა უნდოდა და ყოყმანობდა.

– რას აპირებს, ხომ არ იცი? – ვკითხე ისე, ზრდილობის გულისთვის. „მისმინე... ამას წინათ ბევრი ვილაპარაკეთ. მითხრა, გოგის ვერ

## ჩემთვის მიკითხავს – იქნებ უპატრონო, ობოლი ძაღლები, მთელი ცხოვრება რომ მეშინოდა მათი, სწორედ იმიტომ არიან გაავეზულნი, რომ მარტო ძინავთ? იქნებ სხვისი ყურების ვნება, ეს პერვერსიული ვუიარიზმი, გამართლებული „კინემატოგრაფის სიყვარულით“, არის კიდევ უპასუხისმგებლობა და საკუთარი ცხოვრებით არსებობის უუნარობა?

ვეტყვი, მერიდებო. მაშინ მე გეტყვი. უნდა, რომ ტელევიზიაში მოაწყოს სადმე. მაგაზე განათლებულ ბიჭს ეხლა ვერ იპოვი. თანაც, ხომ იცი, შენ გაღმერთებს!“

ვნახოთ, ვნახოთ-მეთქი, ვუთხარი და სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას. იმდენად გავლიზიანდი, რომ ველარ გავიხსენე, სად დავყავნე მანქანა - ერთი საათი ვეძებდი. თან წარმოვიდგინე, რა მაგარი იქნება, ტელევიზიაში რომ მივიყვან და „სივს“ რომ შეავსებს: „ვმუშაობდი ბაზრობაზე“, ანდა, ტელევიზიის ხალხს რომ გაეპრანჭება და უშანგი ჩხეიძისეული ინტონაციით რომ გამოაცხადებს „ასეთები ვართ ხელოვანი ხალხი, ცივილიზაციის კლინიცისტები!“... აი, ამის მერე კი „სარკმელს“ ვერც რამდენიმე სტუდენტის აქცია და ვერც აჩიკო გოგელიას ადვოკატობა უშველიდა.

ამასობაში „თბილისობამაც“ ჩაირა და საპრეზიდენტო არჩევნებშიც მოეწყო. ნომბრის დასაწყისში დარეკა. მოსვლა უნდოდა, მაგრამ მე ჩემი საყვარელი ფრაზით მოვიშორე: „დაკავებული ვარ!“

– გაიგებდი, ალბათ. დელეზმა თავი მოიკლა. საკუთარი სახლის ფანჯრიდან გადმოვარდა.

დელეზის სიკვდილის ამბავი საიდან შეიტყო ნეტა? ინტერნეტი ხომ მაშინ არ არსებობდა?

„ჰოო?“ – გავიკვირე. ერთი კი ვიფიქრე, ასე იცის, პლატონისა და ჰეგელზე ქილიკმა, ასე იცის ფსიქოანალიტიკოსებისა და მოძღ-

ვრების შიშმა მეთქი, მაგრამ ჩემი ეს ფიქრები მისთვის არ გამიზიარებია. მითუმეტეს, რომ ყოველთვის მახსოვს - გალიზიანებულ (და უძინარ!) მდგომარეობაში შობილ ფიქრებს ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს.

გალიზიანებულ მდგომარეობაში მყოფი სხეულიც მაგარი მატყუარაა. სრული იდიოტი, შეიძლება, იდუმალებით მოცულ ქმნილებად მიიჩნიო და თუნდაც გრძელი ხელების ქნევა და ფეხების ერთმანეთზე ტყაპუნი „სხვანაირის“, „განსაკუთრებულის“ გამოვლენად აღიქვას. ასეთ, გალიზიანებულ მდგომარეობაში ადამიანებს არაერთი სისულელე ჩაუდენიათ. მაგალითად, არჩევნებზე მისულან და იმისთვის მიუციათ ხმა, ვისაც სულ რამდენიმე თვეში წყევლა-კრულვას არ დააკლებენ.

ნეტავ, საიდან გაჩნდა ამ უმნიკვლო ქართულ ენაში სიტყვა „გათავება“? ნუთუ ამ სიტყვის ავტორმა მართლა იგრძნო, რომ ექსტაზით გამოწვეული ორგაზმით სხეული კი იცლება და იფიტება, მაგრამ ტვინი კარგად იწყებს მუშაობას. იმდენად კარგად, რომ ზოგჯერ სულ აღარაა საჭირო მიჰყვე ესთეტი ბაბუს რჩევას და წარმოიდგინო „ფეხსალაგი“... ტვინი ლაპარაკს გიწყებს და დაგცინის. „აკი გეუბნებოდი, ნურასდროს შეგეშინდება მარტოობის, შენ კი არ დამიჯერე და სასაცილო გახდი. უყურე ეხლა შენს მონაპოვარს და დატკბი!“

ამის მერე კიდევ დარეკა რამდენჯერმე. მაგრამ მე ისევ „დაკავებული“ მოვიმიზეზე. ისიც კი არ მიკითხავს, მუშაობა თუ დაინყო. ბოლოს ყველაფერს მიხვდა და დაიკარგა. წლის ბოლოს, როცა თბილისი ისევ ჩაბნეულა, „თელასის“ მიერ დაწესებული გრაფიკი კი 4 საათამდე შემცირდა, იმ მეგობრისგან, ავლაბარში რომ ცხოვრობდა, გავიგე, ზაურს გენერატორების ყიდვა დაუწყია. თან დაამატა, მშვენივრად ააწყო ბიზნესი. სულ იმეორებს, რამდენი დრო დავკარგე ნიგნებით ვაჭრობაში.

– მე არ მკითხულობს ხოლმე? – ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

არაო. ერთხელ „სარკმელზე“ ჩამოვუგდე სიტყვა, მაგრამ მითხრა, რომ ტელევიზორი გავგიფუჭდაო.

გენერატორი! დღეს ეს უკვე ეგზოტიკური ნივთია. დღეს ეგ ბიზნესი არ გაამართლებს. ჰოდა, ნეტა რას აკეთებს ეხლა?

არა. არ იფიქროთ, რომ ზაური მხოლოდ მას შემდეგ გამახსენდა, რაც საქართველოში სიტყვა „გრაფიკმა“ აქტუალურობა დაკარგა. ზაური მახსენდებოდა მაშინ, როცა მოსკოვიდან ახლადგამოცემული კარგი ნიგნის შესახებ ვიკებდი (ინტერნეტი!), ზაური მახსენდებოდა ერთი წლის შემდეგ, როცა „სარკმელი“ დაიხურა და ძალიან დამჭირდა ხალხის მხარში ამოდგომა.

ძილის წინაც ბევრჯერ გამხსენებია. ჩემთვის მიკითხავს - იქნებ უპატრონო, ობოლი ძაღლები, მთელი ცხოვრება რომ მეშინოდა მათი, სწორედ იმიტომ არიან გაავეზულნი, რომ მარტო ძინავთ? იქნებ სხვისი ყურების ვნება, ეს პერვერსიული ვუიარიზმი, გამართლებული „კინემატოგრაფის სიყვარულით“, არის კიდევ უპასუხისმგებლობა და საკუთარი ცხოვრებით არსებობის უუნარობა? იქნებ არ უნდა დაეუფეროთ მამა-პაპათა რჩევებს, ესთეტი ბაბუებს, რომლებიც სიფრთხილისკენ და „ფეხსალაგების ხილვისკენ“ მოგვინოდებენ?

ამიტომ ხომ არ გადმოვარდა ფანჯრიდან დელეზი? „ფილოსოფოსა“, „გათავა“ და ისკუპა.







# კუნძული და სხვა

ავტორი: აკა მოჩილაძე

მართლის თქმა სჯობს, მეძინა: ასე ეუბნებოდა ქოსიკო ბაყბაყ დევს სპექტაკლში ჭინჭრაქა.

ჰოდა, მართლის თქმა სჯობს – ყველაზე მეტად რობერტ ლუის სტივენსონის “განძის კუნძულის” პირველი ოთხი თავის კითხვა მიყვარს. შემდეგ ოთხსაც სიამოვნებით წავიკითხავ, მაგრამ პირველი ოთხის მიყვარს და სიამოვნება და სიყვარული ხომ სხვადასხვა რამ არის?

სამწუხაროდ, მე არცერთი ლექსი არ ვიცი ზეპირად, ვიცი სტრიქონები, რაღაც ნაგლეჯები და სრულიად უსირცხვილოდ, ლექსების თხრობას ვიწყებ ხოლმე, რაც იმის ბრალია, რომ ზეპირობა არასდროს შემეძლო და პატარაობისას მტანჯავდა ხოლმე, მერე კი, მგონი, ამ ყაიდის მეხსიერება საერთოდ დამიჩლუნგდა.

დიდი უცნაურობის წყალობით, ზეპირად ვიცი განძის კუნძულის დასწყისი. ალბათ იმიტომ, რომ ხშირად ვკითხულობდი და ძალაუნებურად დამამახსოვრდა. ახლაც შემეძლია დავიწყო, გინდა ქართულად და გინდა იმ ორ ენაზე, რომელიც ასე თუ ისე მესმის.

სკვარიმა ტრელონიმ, დოქტორმა ლივსიმ და სხვა ჯენტლმენებმა მთხოვეს მემამბნა ყველაფერი. ინგლისურად ძალიან მომწონდა ეს. სხვა ჯენტლმენებმა: აზა რესთ ოფ ჯენტლმენ....

“განძის კუნძული” პირველი ინგლისური გამოცემა, ჩვეულებრივი, პინგვინის კლასიკისა, თბილისშივე ვიყიდე, ალბათ, ოთხმოციან წლებში. საუნივერსიტეტო შემოქმედებით ხოლმე პინგვინის წიგნები და კიდევ სხვა გამოცემლობებისა. მოსკოვში და ლენინგრადში, ცხადია ეყარა, ჩვენთან კი, ალბათ, მოინგლისურებეს ჰქონდათ ასეთი წიგნები. ეს წიგნი აქამდე შემომრჩა.

ცოტა რომ ამ ჩვენს ქალაქს გავცდი, ისე გამოვიდა, რომ სადაც გადავანყებოდი, ყველგან ვყიდულობდი “განძის კუნძულს.” ერთი ტურიკამაც კი ჩამომიტანა ამერიკიდან. ყველაზე მოულოდნელს, რა თქმა უნდა, ლონდონში გადავანყებდი: ერთი ისეთიც მაჩუქეს, მონაფისთვის რომ მიუციათ ჯილდოდ ოციან წლებში.

საერთოდ, ლექსების არ იყოს, ყოველგვარ კოლექციაში უსუსტესი ვარ. ეს კი, როგორღაც გამომდის, ალბათ, იოლია და იმიტომ.

მოდერნისტებს არ უყვარდათ სტივენსონი, არანაირად. მის წიგნებს დასცინოდნენ და წაკითხვის ღირსადაც არ თვლიდნენ. ის უფრო სხვანაირ ვინმეებს მოსწონდათ, ოლონდაც, ამის გარჩევა და გამოკვლევა ახლა სრულიად არ არის საჭირო.

ეს იყო ძალიან სხვანაირი კაცი, სრულიად სხვანაირი, არაადამიანური ენერჯისა და თავგადასავლების და სიცოცხლის წყურვილისა, იმავდროულად კი, დაუნდობლად სუსტი ჯანმრთელობისა. ბავშვობიდანვე სუსტი ფილტვები ჰქონდა, იმ დროის სიკვდილის მომასწავებელი ავადმყოფობაც – ქლექი სჭირდა. ორმოცდაოთხი წლისა გარდაიცვალა. ამ მცირე დროში მარტო წერა კი არა, იმდენი ცურვა და მოგზაურობა მოასწრო, რომ სხვას, ჯანმრთელს და ჯანიანს შეშურდებოდა.

მისი მოგზაურობები, ინტერესისთვისაც იყო და სიცოცხლისთვისაც. სტივენსონი მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძებდა ადგილს, სადაც ჰავა სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდა. მოდგმით, მამისა და დედის მხრიდან ცნობილ შოტლანდიურ ოჯახებს ეკუთვნოდა: ედინბურგელი სტივენსონი იყო, შუქურათა ამშენებელი სახელგავარდნილი გვარიდან. დედის მხრიდან ბარონეტები, პოლიტიკოსები ჰყავდა. მისი ბაბუისა



და მამის ნაშენები შუქურები დღესაც იქ დგას, შოტლანდიის წყლების კიდეებზე. შუქურათა აგების ოსტატობას ბავშვობიდანვე იცნობდა, ოღონდ, სრულიად არ მიუდიოდა გული. ამას სუსტ ჯანმრთელობას მიაწერდნენ, მამა წუხდა კიდეც ამის გამო. მამა იყო მკაცრი, ითხოვდა მროჩილებას და ლელავდა მისი ჯანმრთელობის გამო. მის გარდაცვალებამდე სიტვენსონს ერთხელაც არ გაუშლია ფრთა გემრიელად, თუმცა, თავგადასავლები მანამდეც ჰქონდა. ცალ ხელს გაჭირვებით ხმარობდა, მაგრამ სალი ხელიდან ყველაფერი გამოუდიოდა, ხეზე ხელოსნობაც კი შეეძლო. მისი ამბები გასაოცრად აქვს ჩამოთვლილი ჩესტერტონს პატარა ესეში “განძის კუნძულის” შესახებ. ედინბურგის უნივერსიტეტში სამართალს სწავლობდა, მაგრამ, ერთი დღეც არ უმუშავეია ან ვეჭილად, ანდა რაიმე იურიდიულ საქმეზე. ახალგაზრდობიდანვე უყვარდა საფრანგეთში ყოფნა, იქაური რბილი მზე. ბიჭობიდანვე კითხულობდა ბევრს, როგორც ავადმყოფი ბავშვების წესია: ნამინისტრალმა ბაბუამ ბიბლიით დააწყებინა, მერე კი შექსპირის და “ათას ერთი ღამის” ფანი შეიქნა, თვალი მიუბრუნდა ვალტერ სკოტისკენაც და საერთოდ, ეტყობოდა, რომ უნდა ეწერა და ეწერა.

სამგზავრო ჩანაწერები და ასეთი რამეები უთვალავი ჰქონდა, ავადმყოფობდა, ფიქრობდა და “განძის კუნძულიც” აქედან გამოდნა.

წიგნს თავიდან სი-ქუქი, ანუ ხომალდის მზარეული ერქვა და ავტორის მითითების გარეშე დაიბეჭდა რალაც ჟურნალში, რითაც სახელი და დიდება ვერ მოიპოვა. როგორც მახსოვს, ორი წლის შემდეგ გამოვიდა “განძის კუნძულის” სათაურით და ავტორიც მითითებული იყო. გამოვიდა და გამოვიდა, იმის შემდეგ აღარც დამთავრებულა.

ადრე დიდად ვერა ვხვდებოდი, მაგრამ ახლა რომ მკითხვით, ამ წიგნის გარეშე ბიჭობა წარმოუდგენელია. განსაკუთრებით, პირველი თავების გარეშე.

ამ პირველ თავებს იმიტომ ვაწვები, რომ შემჩნეული მაქვს, სტივენსონს, თავის რომანებში დასაწყისები აქვს ძალიან მაგარი. სწორედ დასაწყისები, მერე თითქოს ტემპიც ვარდება და ფერებსაც ერევი. დასაწყისები კი ისეთი აქვს (მოდი ფეხბურთს მოვიხმობ), შაბათ შუადღეს ენფილდზე რომ თამაში იწყება და მინდორზე რომ ლივერპული გამოდის კოპის ტერასების გუგუნში.

ღიას, დასაწყისები, სრულიად მოურიდებლად და ტკბილად შემტევი. ეს ალბათ, მხოლოდ “მემამულე ბლანტრეს” არ ეხება – იქ ყველაფერი ძალიან მაგარია.


მაგრამ, აბა, ნახე, რა უნდა დაგემართოს, როცა ჯერ კიდევ ბიჭი ხარ, დიდად ვერ მიმხვდარხარ, მაგრამ გრძნობ, რომ არსებობს რალაც სხვა სამყარო, ვიდრე შენი სკოლისა და გარემოსი, რომლებიც, დიდად არც მოგწონს, არც გიზიდავს და არც გიყვარს. რა დაგემართება, როცა, რალაცას გრძნობ, ის კი პირველივე გვერდზე წერს: იმ დროს ვუბრუნდები, როცა მამაჩემს ტრაქტირი ადმირალი ბენბოუ ჰქონდა და იქ კი ძველი, მზით დამწვარი მეზღვაური დასახლდა, რომელსაც ლოყაზე ნახმლევი აჩნდა.

რა მეზღვაური, რის ნახმლევი, სად ცხვორობ, როგორ მიდი-მოდი-ხარ ქუჩაში... თან საღამოა, სკოლაში უნდა ნახვიდე.

გაკვეთილებზე ორი წიგნი მაქვს ნაკითხული, უფრო ადრე “უთავო მხედარი” და მერე კი – “განძის კუნძული”.

ის ლურჯყდიანი “განძის კუნძული” აღარ მაქვს და ვერც ვერსად ვიშოვე. საუცხოო გამოცემა იყო, ძველებური ილუსტრაციებით, ქართული სათავგადასავლო ბიბლიოთეკის სერიისა, შავ ისართან ერთად. ის შავი ისარიც მაგარი იყო, რიჩარდ მესამეს რომ გადაეყრება დიკ შელტონი. მაგრამ განძის კუნძული, სრულიად სხვა ამბავია. მგონი, იმიტომ, რომ ეს იყო პირველი წიგნი, სადაც მოქმედი ადამიანები დავინახე.

დაინახავდი, აბა, რა, თვითონ წერს, დაინახავო. ჯიმ ჰოკინსი, შენი ტოლი ბიჭი წევს და იმ ცალფეხა მეზღვაურს წარმოიდგენს, რომლის შესახებაც თავისი მდგმური უამბობს. ხან ასეთს წარმოიდგენს, ხან



რა უნდა დაგემართოს, როცა ჯერ კიდევ ბიჭი ხარ, დიდად ვერ მიმხვდარხარ, მაგრამ გრძნობ, რომ არსებობს რალაც სხვა სამყარო, ვიდრე შენი სკოლისა და გარემოსი, რომლებიც, დიდად არც მოგწონს. რა დაგემართება, როცა, რალაცას გრძნობ, ის კი პირველივე გვერდზე წერს: იმ დროს ვუბრუნდები, როცა მამაჩემს ტრაქტირი ადმირალი ბენბოუ ჰქონდა და იქ კი ძველი, მზით დამწვარი მეზღვაური დასახლდა, რომელსაც ლოყაზე ნახმლევი აჩნდა.

ისეთს, ყველანაირად საშინელს. საოცრებაც ეს არის, რომ ამ წარმოდგენების შემდეგ, თვითონ შეხვედება და დაუმეგობრდება ამ ცალფეხა კაცს, ლონგ ჯონ სილვერს, რომლის პროტოტიპიც, ერთგვარად მაინც სტივენსონის ცალფეხა ძმაკაცი ყოფილა. მაგრამ ჯიმი ისე მოეწონება სილვერი, რომ ვერც კი აკავშირებს პირმაგი მდგმურის მიერ აღწერილ სახიფათო და სისხლისმსმელ კაცთან.

ამიტომ, რა გასაკვირია, რომ შენც წარმოიდგინო.

ჯიმის გარდა, ყველას ვხვდავდი. ალბათ, იმიტომ, რომ უმეტესად ჯიმი ყვებოდა ამ ამბავს და თან, ჯიმი უფრო შენი თავი გგონია. შენი თავისა კი, ისედაც იცი.

სხვას კი, ეგრევე ყველას ხედავ და ყველაფერს. ბრმა პიუს, რომელიც საშინლად გაჰკვივის სიკვდილის წინ. იმის კვილი ახლაც ყურში მაქვს, თუმცა, ეს ის კვილი არ არის, “განძის კუნძულის” მიხედვით გადაღებულ ფილმებში რომ მოისმის პიუს როლის შემსრულებელთა ბაგებიდან. ის პირველი კვილია, კითხვისას რომ ჩამესმა. არ მახსოვს სად, გაკვეთილზე თუ სახლში, მაგრამ კი ჩამესმა და... ღიას, ასეა, აბა, როგორ დაგაგინყვება ის ამბავი, ბილი ბონსის მოქმედი ხმალი რომ შავ ძალს ვერ მისწვდა და კვალი დატოვა ადმირალ ბენბოუს კარის ჩარჩოზე. ვერ ხედავ იმ ნახმლევს? რა თქმა უნდა, ხედავ.

ანდა, როგორ ზის ლონგ ჯონ სილვერის დუქანს ჭოგრიტი ბებერი მეზღვაური მორგანი და როგორ ჰყვება გემზე დასჯის ხერხების შესახებ. ანდა ის, როგორ ამოხია ყმანვილმა დიკმა ფურცელი ბიბლიიდან, რათა ზედ შავი ნიშნის ამბები დაეწერათ მეკობრეებს. ანდა, როგორ დასძახის კუნძულის მტებიდან ბენ განი შემინებულ მეკობრეებს კაპიტან ფლინტის სიკვდილისწინა სიტყვებს:

ის მოფიქრალი კაცი იყო და ადამიანების ხასიათებისა ბევრი გაეგებოდა. ავადმყოფობათა შორის წერდა თავის წიგნებს და განუწყვეტლივ მოძრაობდა. თავისი სოლი, ფანი საფრანგეთში გაიყვანა და ებრაევი შეუყვარდა. ფანი გათხოვილი იყო, ამერიკაში ცხოვრობდა, სან-ფრანცისკოში. როცა განშორების ფაჩვი დადგა და ფანი წავიდა, სტივენსონმა ვერ გაუძლო და გაეკიდა. მამამისი ძალიან ბრაზობდა, უფრთხილდებოდა მის სუსტ ჯანს, მაგრამ, ეს მაინც გაეკიდა, არც კი უთხრა თავისანებს, რომ მიემგზავრებოდა. ნიუ-იორკამდე გემით მიცურა, იქედან მატარებლით გადასერა მთელი ამერიკა და სან-ფრანცისკოში ჩასული, უსახსროდ დარჩენილი, ლოგინად ჩავარდა. იქ კვდებოდა და ფანიმ მოუარა.

– დარბი მაკგროუ, რომი,...რომი ჩამომისხი!...  
ოჰ, ამ წიგნის მოყოლას ხომ არ დავინწყებ?  
დავინწყე და ეგ არი.  
– ფეხი იმ საქმეში დავკარგე, რომელშიაც პიუმ თვალები, – სიღვე-  
რი რომ უყვება ღამით, ვაშლის კასრს მიყვდობილი...  
ანდა, ფლინტი ექვს კაცთან ერთად რომ გადავა კუნძულზე განძის  
დასაფლავად და მარტო რომ ბრუნდება, ცისფერი თავსაფრით თავ-  
ვწაკრული, ის ექვსი რომ მარტოს გაუსაღებია. და თუთიყუში ფლინ-  
ტი, სიღვერის მხარზე?  
სრულაიდ უყვდავი სურათი.  
წიგნის ბოლო სიტყვები:  
და ყოველთვის წამოვხტები ხოლმე, როცა ძილში ჩამესმის კაპიტან  
ფლინტის მჭახე ხმა:  
– პიასტრები, პიასტრები პიასტრები!...  
ქართულ თარგმანში რვიანები წერია. იმიტომ, რომ ინგლისურად  
ფლინტი ჭყვივის: ფსიზო ოფ ეით. რვიანის ნაკუნებიო.  
პიასტრს, ესპანურ ვერცხლის მონეტას სწორედ რვად ჭრიდნენ  
ხოლმე. ინგლისელები ამიტომაც ეძახდნენ რვიანს.  
სიამაყით უნდა განვაცხადო, რომ ეს რვად დაჭრილი პიასტრიც მა-  
ქვს. მოდელი, რა თქმა უნდა. ამერიკაში ვიყიდე, ერთ პატარა მალა-  
ზიაში, სადაც ჩემნაირი მანიაკებისთვის ასეთი მანიაკობებია გათვა-  
ლისწინებული. კოლოფს ეწერა, სწორედ ის ფულია, განძის კუნძულის  
მკითხველებს რომ უყვართო.  
არის რალაც ბუტაფორიული ამ ამბავში, მაგრამ ბიჭობის დაბრუ-  
ნებაც არის. იმ ბიჭობის, გარემოს რომ გაურბოდა და ვილაცხვებთან,  
არარსებულ ჯეილებთან რომ ცხოვრობდა.  
დიახ, ასე ამბობენ საბავშვო მწერალიაო, საბიჭოო. აბა, იმ კაცს  
რა ეშველება, თუ რალაც არ დაურჩა იმ დროიდან. ისე, რა უნდა  
აკეთოს, სამსახურში იაროს, მოვიდეს, დაიძინოს, ანდა ტელევიზორს  
უყუროს და ხანდახან დათვრეს ხოლმე? იქედან თუ არ დაგრჩა, რის  
მაქნისი ხარ?  
მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან მართლა ასე იყო: სტივენ-  
სონი, რომელიც სიცოცხლეში უპოპულარულესი ვინმე გახლდათ,  
თანდათან გაუჩინარდა, მეორეხარისხოვან ავტორად იქცა და ასეც  
ეძახდნენ სათავგადასავლო და საშინელებათა ჟანრის ავტორიო. ის  
ინგლისში სკოლებიდანაც გაქრა, ქრესტომატიებიდანაც და ათასი სხვა  
ადგილიდანაც. სამაგიეროდ, ის დიდ მწერლებს უყვარდათ, ისეთებს,  
რომლებიც ერთმანეთის ნაწერებს ვერ იტანდნენ: ვთქვათ, ნაბოკო-  
ვს და ჰემინგუეის, ანდა ბორხესს. ბევრგან შეხვედებით მის ხსენებას  
ამათ ნაწერებში.  
ის მარადკითხვადია, თუმცა, მოგეხსენებათ, ასეთ კრიტიკიუმებს  
ძნელად ცნობენ ხოლმე ნადვილი ლიტერატურის მიმდევრები. ეს,  
აბა, რა ჩემი სალაპარაკოა, მაგრამ, ისე, გამხსენდა.

საშინელებათა ჟანრს იმიტომ ახსენებენ ხოლმე, რომ მან დაწერა  
“მარკვიმი”, “ოლალა” და კიდევ სხვა მოთხრობები, ასევე, განთქმუ-  
ლი დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის ისტორია. მშრალად, ავად,  
საშინლად დაწერილი ამბავი კაცის გაორების შესახებ.  
მერე, მშინავმა ჯეკმა რომ ამბები დაატრიალა აღმოსავლეთ ლონ-  
დონში, მგონი გამოძიების ვერსიები და საერთოდ, დღემდე პოპულა-  
რული ვერსიები ამ ჯერაც უპოვნელი მანიაკი მკვლელის თაობაზე,  
სწორედ დოქტორ ჯეკილის ამბავს ჩაება. ბოლო კინოვერსიაც კი,  
ძალიან ჰგავს ჯეკილის ამბავს. ამ საქმეში საინტერესო ისიც არის,  
რომ სტივენსონმა თავისი მოთხრობით ბარე ხუთ-ექვსი წლით და-  
ასწრო მანიაკის საშინელ ისტორიას.  
ის მოფიქრალი კაცი იყო და ადამიანების ხასიათებისა ბევრი გაე-  
გებოდა. ავადმყოფობათა შორის წერდა თავის წიგნებს და განუწყვე-  
ტლივ მოძრაობდა. თავისი ცოლი, ფანი საფრანგეთში გაიყვანა და  
ეგრევე შეუყვარდა. ფანი გათხოვილი იყო, ამერიკაში ცხოვრობდა,  
იქით კიდევ, სან-ფრანცისკოში. როცა განშორების ფაჩვი დადგა  
და ფანი წავიდა, სტივენსონმა ვერ გაუძლო და გაეკიდა. მამამისი  
ძალიან ბრაზობდა, უფრთხილდებოდა მის სუსტ ჯანს, მაგრამ, ეს  
მაინც გაეკიდა, არც კი უთხრა თავისანებს, რომ მიემგზავრებოდა.  
ნიუ-იორკამდე გემით მიცურა, იქედან მატარებლით გადასერა მთე-  
ლი ამერიკა და სან-ფრანცისკოში ჩასული, უსახსროდ დარჩენილი,  
ლოგინად ჩავარდა. იქ კვდებოდა და ფანიმ მოუარა.  
მერე ისინი დაქორწინდნენ. ნაწერებით სტივენსონი იმდენ ფულს კი  
შოულობდა, რომ თავისთვის სასურველი ადგილი ეძებნა. მამა რომ  
გარდაიცვალა, უფრო თამამად იწყო ზღვათა სერვა და ერთხანს ამე-  
რიკაში დაიდო ბინა, მერე კი წყნარ ოკეანეს შეუტია: ჰავაის მეფეს  
დაუმეგობრდა, იქაც იცხოვრა, კუნძული არ დატოვა, არ მისულიყო  
და იქაური ჰაერი არ ესუნთქა. ნაქირაგები იახტა ჰყავდა და ეძებდა  
ადგილს, სადაც არ მოკვდებოდა, ასე გაჩერდა სამოაზე, სადაც მიწა  
იყიდა და დასახლდა კიდევ. იქავე მოკვდა, თურმე ღვინის ბოთლს  
ხსნიდა და უცებ წაიქცა: რა მომივდაო, იძახდა, რატომ წავიქეციო.  
ფოტოებზე ძალიან ავადმყოფური იერი აქვს. იმ სამოურ ფოტოე-  
ბზე არის დაღლილი, გაღუული და ამონეული ყვრიმალეებით. დღევან-  
დელი საზომით, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა.  
დიდი არაფერი პოეტი იყო, სიმართლე რომ ითქვას, მაგრა ჯიგრული  
ბალადები კი გამოუდიოდა. მე ერთადერთი მახსოვს, “მანანის ლუდი”.  
აჰა, მივადექი ისევ ლექსების შინაარსების მოყოლას. პირდაპირ გასკ-  
დები სიცილით. მოტლანდიელებმა რომ პიკეტი გაულოცეს, ორი პიკტი  
გადარჩა, მამა და შვილი და მეფემ მათ უბრძანა მანანის ლუდის საი-  
დულოს გათქმა: მამამ თქვა, შვილის მემინია და მოკალითო და როცა  
მოკლეს, მეფეს შესცინა, ახლა აღარ მემინია, რომ ყმანვილი გატყდე-  
ბა და სიდუმლოს გათქვამსო და კლდიდან გადაეშვა. რატო ვყვები და  
სტივენსონმა იცოდა ასეთი რამეების გემო და რახან იცოდა, სწორა-  
დაც ყვებოდა. ერთ-ერთი სწორად მოთხრობელი კაცია, მე თუ მკითხავთ.  
უბრალოდ, კარგად კი არ ყვებოდა, არამედ სწორად. არა ისე, რომ დი-  
დოსტატურად და გენიალურად, არამედ, სწორად. მგონი, მე თვითონაც  
სწორად ვერ ვთქვი, რას ვგულისხმობ ამ სწორად მოყოლაში.  
აი, მოთხრობა აქვს “სახლი დიუნებზე”. ისეთი სიჩუმე, იქ რომ არის,  
საერთოდ არ ვიცი. ბნელი ამბავია, იტალიელი კარბონარიები და  
მთელი უბედურება. სიჩუმე კი განუმეორებლად ავისმომასწავებელი.  
ყოველი ხმა რალაცას ნიშნავს.  
ჯონ სილვერს მივუბრუნდეთ, იმიტომ, რომ სტივენსონს კარგად  
გამოსდიოდა ასეთი უარყოფითი მომხიბლველობის გმირები. უფროსი  
ბალანტრეც ასეთი არ არის? კიდევ სხვანაც.  
ეს ხალხი არასდროს დაგავინწყდება. არის ხოლმე ასე, ბევრი მწე-  
რალია, რომ რალაც გამოუდის საუკეთესოდ, რალაც ერთი, რასაც  
აღბათ, თვალდახუჭული აკეთებს. მაგალითად, დიკენსის პატარა  
პერსონაჟები, ანდა, ოქვენის ნალველი. ისინი თვალდახუჭულები



აკეთებენ ამას, სრულიად ინსტიტუტურად. მგონი, სტივენსონის მთავარი და საუკეთესოც ეს უარყოფითი მომხიბლველობა იყო.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთნაირად არ გამოუდიოდა. ზოგჯერ ხედავ, როგორ ინტელბა ამბავი, როგორ ვერ ტრიალდება რალაც, მაგრამ მას პატარა მხსნელები ჰყავს, რომლებიც უცებ გადაარჩენენ ხოლმე ისტორიას. “განძის კუნძული” ასეთი მხსნელი, ბენ განია. აბა, რა იქნება იმ კუნძულზე ყოფნა ბენ განის გარეშე?

ასევეა “შავ ისარშიც”, სადაც არლბასტიერი გამოჩნდება. ასევეა ბევრგან. “დევიდ ბელფურშიც”. ოლონდ, სტივენსონის საუკეთესო ნიგნი მანც “ბალანტრეა”. “განძის კუნძული” განუშეორებელი რამ არის, იმას ნამდვილად ვერ დავთმობ, მაგრამ “ბალანტრე” ნამდვილი ოსტატობაა. რალაცნაირად, თითქოს ცოტა სიტყვებია იმისიქე ნიგნიში.

დერისდირელი ორი დიური ერთად ცხოვრობდა კოშკში, ერთი დაურჩა მამულს პატრონად, ერთიც ნავიდა ომში.. ასეთია სტივენსონის მოგონილი ხალხური ლექსი ორი ერთმანეთის მოძულე ძმის თავგადასავალს რომ იწყებს. ერთი სწორედ ის უარყოფითი მომხიბლველობაა, მეორე წესიერება, პატიოსნება, მაგრამ რალაცნაირი უფერულობა და სიპატარავე. ჰოდა, გადასწვდება მთელს მათ სიცოცხელს ურთიერთქიში და ბრძოლა. რალაცით შექსპირს ჰგავს, რალაცით მათიანეს, რალაცით მკაცრია. ფერები, რომლებიც ამ ნიგნიდან გამოგყვება, მხოლოდ რუხია და შავი. აჰ, თოვლი დადგმული ფარნის შუქზე რომ ებრძვიან ერთმანეთს ხმლებით. თითქოს ყოველთვის ერთი იმარჯვებს, თითქოს ყველაფერი უნდა დაწყნარდეს. რა დაწყნარებს? კაცი მკვდარია და ცოცხლდება. კიდევ მკვდარია და კიდევ ცოცხლდება. კიდევ მკვდარია და კიდევ ცოცხლდება.

თითქმის ისევე, როგორც თვითონ სტივენსონი. სამწუხაროდ, არ ვიცი, არის თუ არა “ბალანტრე” ქართულად. მე არ შემხვედრია. არის “განძის კუნძული” და “შავი ისარი”, რომელიც დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ გამოიცემა ნაირგვარი ხარისხის ყდებით. თარგმანი, რა თქმა უნდა, ძველია და ტკბილი, როგორც სხვა ძველი თარგმანები. თუმცა, როგორც მახსოვს, ამ ნიგნებში ჩართული ლექსები ცოტა მოუხერხებლადაა თარგმნილი.

ახლა რომ გადაიკითხავ, რალაცნაირი ხიბლი მანც აქვს. ჯონი ყველას-მოსარჩლეს ლექსი მგონი ასეა: “მე მქონდა ოთხი შავი ისარი და ოთხი დარდით ვიყავ მოსილი, ერთი ვისროლე გავხარჯე კარგად, ბებერ ეპლიარდს მოვარტი მაგრად.”

მეტს მე ვერ ვიმახსოვრებ და...ბალანტრე რუსულადაა. საერთოდ, რუსულად სტივენსონი ბევრნაირი არსებობს.

ყველაზე კარგი და ტევადი, ხუთტომეულია, რომლისაც, თუ არ ვც-

დები, ორი გამოცემა არსებობს: ყავისფერი და ლურჯი. მშვენიერი გამოცემებია, განთქმული ბროდსკის ილუსტრაციებით, მაგარი კომენტარებით, როგორც რუსებმა იცოდნენ ხოლმე კომუნისტების დროს. ყავისფერი, უფრო გვიანდელია, მე კი ლურჯი მაქვს. სულ დაფანტულია, თაროში არ დევს, ხან სად ვიპოვი, ხან სად. რატომაა ასე, არ ვიცი, მაგრამ ასე კია და, გაუგე. ნიგნების გადაადგილება, ხომ გვარიანად უცნაური ამბავია.

ერთი ჩინური ნიგნი მაქვს ნაკითხული, მგონი მესამე საუკუნისა, იქ მთების გადაადგილებაა აღწერილი. ისე კოხტად და ისეთი საბუთების მოხმობით, ეს მთა დაიდრად და იქ მივიდა და დადგაო, რომ რა გასაკვირია, თუ ნიგნები გადაადგილდნენ? მით უმეტეს, ისეთი კაცის ნიგნები, რომელიც სულ გადაადგილდებოდა და როგორც ისპანიოლას ეკიპაჟი მიცურდა ჩონჩხის კუნძულთან, საბოლოოდ, ეს ტანჯული კაციც ისე მიცურდა ერთი კუნძულიდან მეორესთან.

იცით რა არი?

იმდენი კი ვიცი, რომ ლიტერატურაში მას რევოლუცია არ მოუხდენია...მოკლედ, სხვა რამეს ვამბობ. სტივენსონი რას აკეთებს, როცა ბიჭი ხარ? მას მადლობა იმისთვის ეკუთვნის, რომ ფერები მოგცა. გამოაღვიძა თავგადასავლების წყურვილი, რომელიც ისედაც აქვს თვით ყველაზე მოდუნებულ ბიჭს. რალაცნაირი, სასიამოვნო შიში დათესა და შენი ქალაქის ნაცრისფერი და უნდო ქუჩები გააქრო. გააქრო ოდესღაც, მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო და ისე გააქრო, რომ ის ქუჩები დღემდე აღარ დაგინახავს.

საინტერესო კი ის იქნებოდა, ორმოცი წლისას რომ პირველად მეპოვნა “განძის კუნძული” და წამეკითხა. ნეტავ რა იქნებოდა? მგონი სადღაც, უკან დაებრუნდებოდი. სხვისი არ ვიცი და მე კი. ის უკან, ურიგო სულაც არ იქნებოდა.

სტივენსონი ჯადოსნური სულაც არ არის, რომ ეს დაბრუნება ჯადოსნური და ფერადოვანი ყოფილიყო, მაგრამ რალაც სინანულს კი გააჩენდა. მგონი, იმის სინანულს, რომ აგე, ამ ხნისა მოვყრილვარ და სხვანაირად ფიქრი კი ვერ ვისწავლეო.

მე კიდევ, ისე დამამხსოვრდა ის “განძის კუნძული”, რომ სადაც არ მივადგები რაიმეს წერას, აუცილებლად შემახსენებს ხოლმე თავს და ვიწყებ მისი ამბების ჩანერას საკუთარ ნიგნებში. ხან ისე, ხან ასე: გადაკეთებულად, გადმოკეთებულად, სახელების გამოცვლით, შეძახილების გამოცვლით, მაგრამ ეს ამბები შემომეპარებიან ხოლმე. შეიძლება ეს სისულელეა, მაგრამ მე რატომღაც მომწონს. უკვდავი ამბებია და თავს ეგრე იოლად ვერ ვანებებ.

ახლა რომ ცამეტი წლის ვიყო, გამიხარდებოდა.





# პოეტი

ავტორი: აკა მოჩილაძე  
ილუსტრაცია: ბიორბი მარი

ერთხელ აგარაკზე ვიყავი. ვერანდაზე ვიჯექი, როგორც წესია: ძილ-ღვიძილში. ფეხები მოაჯირზე შემომენყო და გავცქეროდი მდინარის გაღმა მთებს. დიდს კი არაფერს ვფიქრობდი, რაიმე განუმეორებელს, უბრალოდ, აგარაკის ამბავია, წიგნს რომ კითხულობ და რო გეძინება, წიგნი რო გამოგიცურდება ხელიდან.

უეცრად, ვერანდაზე ამოვარდა მთლად გაოფლილი ყმანვილი კაცი, რომელიც ოცდაერთი წლისა აღმოჩნდა. მან ადგილობრივი აქცენტით მითხრა, რომ ადამიანები სიყვარულსთვის არიან გაჩენილნი და რომ, მას ეჯავრება ჩხუბი, უნდობლობა და ყველანაირი ასეთი ამბები. ძალიან ლელავდა. აღმოჩნდა, რომ გაღმა ცხოვრობს, ათიოდ დღის წინ კი, სიზმარში ეშმაკს სძლია. ყოველგვარი ხუმრობის, ანდა ირონიის გარეშე მოგახსენებთ ამ ამბავს, ვინაიდან ძილ-ღვიძილში ვიყავი და აბა, ასეთი შემოტევა როგორ უნდა დამეფასებინა. თანაც, სრულიად დაუსაბუთებლად მეფისტოლა კაცი მიწოდა და ამის შემდეგ მისი ლაპარაკი კარგახანს აღარ მესმოდა. ყმანვილ კაცს გიზო ერქვა და იშვიათად მიანხავს ასეთი კეთილი ადამიანი. საერთოდ, ამ ხნის ყმანვილკაცის პირიდან ასეთი სიტყვები არ გამიგონია. სულ რაღაც ამპარტავნების და ბრაზის სიტყვები აქვთ ხოლმე.

მოსარიდებელი მხოლოდ ის იყო, რომ ის დაუყოვნებლივ აპირებდა ხალხში გასვლას და ამ კაცთმოყვარული ამბის გავრცელებას. ძალიან კეთილი იყო, წარმოუდგენლად. ოღონდ, დიდხანს აღარ გაჩერდა, ლექსი წაიკითხა, რომელიც მე, დაბნეულობისგან ვერ გავიგონე და ვერც დავიმახსოვრე და ისევე მოულოდნელად გაიქცა, როგორც ამოვარდა ვერანდაზე.

ის ორი საათის შემდეგ დაბრუნდა, ასევე მოულოდნელად. ისევ ვერანდაზე ამოვარდა და თქვა, რომ არავისთვის გულის ტკენას არ

აპირებს და კიდევ სურს ერთი ლექსის თქმა. ლექსი შეყვარებულის შესახებ იყო და ისეთი გულით წარმოსთქვა, რომ სიტყვებს საერთოდ არ ჰქონდა მნიშვნელობა. მოკლე ლექსი იყო, სწორედ ისეთი, როგორიც მისი მოსვლები და წასვლები. კვლავაც რომ წავიდა სწრაფად, სწორედ მაშინ ვიფიქრე, მგონი სიტყვებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი.

სალამოსპირზე ის ისევ დაბრუნდა, ვერანდაზე ამჯერად ქალაქიდან მოსული მეგობრებიც ისხდნენ. ისევ აქ მირჩვენია ყოფნაო, თქვა, მაგრამ დიდხანს დამჯდომი ნამდვილად არ იყო. ეს დავატყვე და ქვემოთ ჩავიხმე, იქ ვილაპარაკოთ-მეთქი. ხოო, იმიტომ მოვედიო, რომ ეხლა შინ გადავედი და ლექსი დავწერეო, ოღონდ, ფურცელი არ მქონდაო და ვეფხისტყაოსნიდან ამოვხიე და იმაზე დავწერეო. ამიერიდან, ვეფხისტყაოსნიდან ფურცელს აღარ ამოვხეო. კარგი-მეთქი, მოგცემ ფურცლებს, ეგრე ყველა წიგნს დახე-მეთქი. არაო, წიგნები კი არა მაქვს ბევრიო. იმის თქმა მინდაო, რომ მართლაცაა, ნაადრვია ცოტა ხალხში გასვლა, ჯერ ჩემს გარშემო უნდა ვთესო სიკეთეო და წამოხტა, გასაქცევად გაემზადა. ჭიშკრამდე მივყევი, იქით განთება არ არის და სანამ გზაზე გახვალ, ეგებ ფეხიც მოიტეხო იმ ოღრო-ჩოღროებში-მეთქი. არაო, ვიცი აქაურობაო, ამის მეტი რა ვიციო და ვაიმეო, ლექსი კი დამრჩა ვეფხისტყაოსნის ფურცელზე დაწერილიო. კარგი-მეთქი, ამ ღამეში ნულარ იბოდიანებ, ხვალ მოიტანე-მეთქი. თუმცა, რომელი იმის შემფასებელი და წინ წამწევი მე ვიყავი. საერთოდ, პოეზიაში ძნელად კი ვხვდები, მაგრამ...ეხლა იმის ლექსები რაღა ვიცოდი, უბრალოდ, სამოყვარულოს გავარჩევ პროფესიულისგან.



წავიდა და წავიდა, მეო, ყველგან სიმართლე უნდა ვილაპარაკო. ეგ არ ქნა-მეთქი, კი ვუთხარი, ცოტ-ცოტა ილაპარაკე, დანარჩენი სიმართლეები სულ შენთვის გამოგადგება-მეთქი და დამეთანხმა, მართალიაო. იმისი არ იყოს, რო მივრბოდი ხალხში სიკეთის სათესად, ჯერ ადრეა, ბიჭი ვარ, ვინ დამიჯერებსო.

წავიდა და წავიდა.

არც მეორე დღეს მოსულა და იმის მერე კიდევ, აბა, რამდენი ხანი გავიდა.

კი მოვიკითხე, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი დავადგინე.



**მეორე კოეტი** – მისი ნახვა უფრო გულსაკლავი იყო ჩემთვის. კიდევ უფრო გულსაკლავი. თანაც, ის არასდროს მინახავს. ჩემმა ცოლმა რვეული მოიტანა.

თოთხმეტი წლის უსინათლო ბიჭის ლექსები. მაშინ კიდევ ერთხელ ვიფიქრე, რომ სიტყვებს ასევე არა აქვს მნიშვნელობა. უბრალო, უეშამკო, სადა სიმღერებია, რალაც ხმები, რომელთაც არასდროს დაბეჭდავენ რომელიმე ჟურნალში, რადგან ჟურნალებში ხმებს არ ბეჭდავენ. პოეზიისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ამ ხმებმა, სრულიად ჩვეულებრივმა ხმებმა, რალაცით დამინტერესა. ალბათ, იმიტომ, ვიფიქრე, ყველა ხმას აქვს არსებობის უფლება-მეთქი.

**მასამი კოეტი** – ადრე დილა იყო და საელჩოში მივდიოდი საბუთების ჩასაბრებლად. იქ, მოგეხსენებათ, სისხამზე უყვართ საქმეების კეთება. გამოვედი და ბაღთან გაჩერებულ წითელ ტაქსიში ჩავჯექი. მივდიოდი მშვიდად, საელჩო პირდაპირ ქორთიარდ მარიოტის შენობაშია. რო გავედით რუსთავლეზე და ჩვენო, ხო სკოლელები ვართო, მძლოლი მეუბნება. ადრევე ვიცანი, ჩემზე ერთი ოთხი კლასით წინ იყო. კი-მეთქი. ორ წინადადებაში, ძალიან იოლად აღწერა თავისი სულიერი მდგომარეობა და ბოლოს მითხრა, ლექსებს ვწერო, ძალიან მეწერიანებო. მაგას რა სჯობს, წერის საქმე ზუსტად ეგრეა, უნდა გეწერიანებოდეს, აბა ძალით, რა გასართობი ეგ არის-მეთქი. ისეთი გულით ამბობდა, რომ ხმაც შეეცვალა. ამასობაში კიდევ მივედი და მითხრა, აქა მაქვს ლექსებიო, მანქანაშიც ვწერ ხოლმეო და წაიკითხე, რო გადავწყვიტო, გამოვაქვეყნო, თუ არაო.

ღმერთო, მე როგორ უნდა გადავწყვიტო-მეთქი, ვიფიქრე. დღეს ხო როგორც გინდა, ისეა, სულ ცოტა ფულს თუ მოუყრი თავს, წიგნ-

საც გამოსცემ. მოიტა-მეთქი, მოედანზე კი, აბა, სად გააჩერებ? ავუხვიეთ კიროვის ქუჩაზე, შევყენეთ კუთხეში და ღია მწვანე ფერის რვეულიც ამოიღო საბარგულიდან. ვკითხულობდი, ის კი იჯდა და ეწეოდა.

ბოლოს ვუთხარი, ჯიგრული ლექსებია-მეთქი. მართლა ძან პატიოსანი კაცის ლექსები იყო და წიგნის გამოცემის ამბავიც ვუთხარი, ასე ხდება, ოლონდ, ლექსები ისედაც ცოტა იყიდება მთელს მსოფლიოში-მეთქი. გაყიდვა არ მაინტერესებსო, რო გადაშლიან, იტყვიან, იცის ლექსების წერა, თუ არა, ამის გაგება მინდაო.

არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იცოდა თუ არა ლექსების წერა. რალაც წავიბურტყუნე ტექნიკაზე და უფრო თამამად ვუთხარი, მთავარია, რომ რაც აქ წერია, კარგი და ადამიანურია, იმას იქით კი სხვა რამეა-მეთქი. კარგიო, გავიგეო.

ასე დავშორდით.

იცო რა არის? ლექსებს ისედაც ვერ ვიმახსოვრებ, მაგრამ არც მაგას ექნებოდა მნიშვნელობა, მთავარია, რომ ადამიანები დამამახსოვრდა.

კარგი იცით რა იყო?

ჩვეულებრივ, ჩვენწარი ადამიანებს რომ ყოყმანის უნარი აქვთ და ფიქრობენ, ეგებ სულაც არ ვარ მართალი, მოდი სხვასაც ვკითხავ, რა არის და როგორო. მთავარში მართლები არიან, მაგრამ მთავარს იმდენი წვრილი ძაფი მოჰყვება ხოლმე, რომ, მერე შეიძლება, კარგი არაფერი დარჩეს ამ წრფელი ამბებიდან. ბევრი არაჩვეულებრივი ადამიანი კი სრულიად თამამად წაიკითხავს ხოლმე თავის ლექსს ტელევიზორში, ან სადმე. ისეთ ლექსს, როგორებიც იმ ტაქსიში წავიკითხე, ანდა ვერანდაზე ვისმინე. პოეტებზე კი არ ვამბობ, ჩვეულებრივ არაჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებსაც რალაც მომენტში ის ემართებათ, რაც აგერ, აქ დავწერე: წერის სურვილი უწინდებათ. ეს სრულიად გადასარევი რამაა, მაგრამ არა არაჩვეულებრივი. ეგრე, ბაბუაჩემის მამაც წერდა ლექსებს და სახლშიც მაქვს უშველებელი რვეული, იმის ხმამალა კითხვას ხომ არ დავინწყებ, თვითონაც არასდროს წაუკითხავს ხმამალა, როგორც ბაბუაჩემი ამბობდა. ხმა ისედაც მესმის. მთავარი ხომ ამ შემთხვევაში. სიტყვები და პოეზია არაა, არამედ ხმა.



# შემრიბებელი საიდან მოდის ბარაკ ობამა?



## <<< ლასაწყისი გვ. 84

მერე ისევ ინდონეზიაში წავიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში საველე სამუშაოებზე მუშაობდა. თავის ვაჟს, რომელიც მაშინ 13 წლის იყო, არჩევანის საშუალება მისცა — შეეძლო დედასთან ერთად ინდონეზიაში წასულიყო, თუ არ უნდოდა, ჰავაიზე დარჩებოდა, თავის სკოლაში. მან დარჩენა გადაწყვიტა.

ობამას მამა სკოლიდან გამოავდეს, მაგრამ მოახერხა სტიპენდიის მოპოვება და ამერიკაში კოლეჯში დაიწყო სწავლა. მან ჰავაის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების გულისთვის ფეხმძიმე ცოლი და ვაჟი მიატოვა. სწორედ იქ შეხვდა ენ დანემს, დაქორწინდნენ და ბარაკი ეყოლათ. მერე ეს მეორე ოჯახიც მიატოვა, რომ კენიაში დაბრუნებულიყო და მთავრობისთვის ემუშავა, სადაც სხვა ამერიკელი ქალი შეირთო და ორი შვილი შეეძინა. რამდენიმე წლის მერე მესამე ოჯახიც დაეწერა და კენიის უსამართლო ტრიბალიზმს რომ ვერ შეეგუა, მისი სახელმწიფო კარიერაც დაიმსხვრა. გაღიზიანებულმა და უკაპიოდ დარჩენილმა სმა დაიწყო.

„საკუთარ ოჯახზე რომ ვინც ფიქრს, ყველაზე მეტად ის მიამიტობა მანუხებს, ბავშვისთვისაც კი ესოდენ დაუფერებელი რომ ჩანს.“ მიამიტობას ის დადებით თვისებად არ მიიჩნევს, შეუძლებელია, ამას გამართლება მოეძებნოს. ეს არაა თვითგვემის საპირისპირო, ეს სობრძნის საპირისპირო ცნებაა. ობამასეულ პაპის აღწერილობაში სიყვარულიც იგრძნობა და ზიზღიც. „ტიპიური ამერიკელი იყო, ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენელი თავისი თაობისა, ადამიანი, რომელმაც ისე აირჩია თავისუფლების, ინდივიდუალიზმისა და ღია დერეფნის ცნებები, რომ ყოველთვის არც კი იცოდა მათი ფასი. ცხოვრება ასეთი ადამიანებისა, რომლებიც

თავიანთი მიამიტობის წყალობით საშინლიც იყვნენ და ძალიან პერსპექტიულებიც, საბოლოოდ სასონარკვეთით სრულდებოდა,“ - წერს ობამა. სტენლი დანემი თავისმა დაუცხრომელმა ხასიათმა მხოლოდ შორეთში წაიყვანა, მეტს ვერაფერს მიაღწია. ერთი არაკომპეტენტური, საბრალო სადაზღვევო მოვაჭრე იყო, მისი ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა იმ ცხოვრებისგან, რომელიც მას კანზასში დარჩენის შემთხვევაში ექნებოდა. უფრო უარესი: ამდენი მოგზაურობის მერე ცხოვრებით კიდევ უფრო უკმაყოფილო იყო. საკუთარი ქალიშვილი მის უკმაყოფილებას ხედავდა, მაგრამ არასწორი გაკვეთილი მიიღო. მისთვის პრობლემა ის კი არ იყო, რომ მამამისი უშინაარსოდ, მხოლოდ ხეტიალისთვის დახეტიალობდა და ფიქრობდა, რომ ახალი ადგილი ახალი ცხოვრების დაწყებას ნიშნავდა. პრობლემა ის იყო, რომ ის შორს არ წასულა. ჰოდა, ქალიშვილი უფრო შორს წავიდა. „მამამის წარსულის განადგურება უნდოდა, სურვილი ჰქონდა უკუეგდო წარსული, რწმენა იმისა, რომ ხელუხლებელი ტილოსგან შეექმნა სამყარო. ეს იყო ის მემკვიდრეობა, რომელიც ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.“

ობამას დედა, შვილის აღწერილობით ჰენრი ჯეიმისიესული ამერიკელი უცოდველი არსებაა, გოგონა, რომელიც დახეტიალობს მსოფლიოში და სჯერა, რომ ყველაფერი ისეა, როგორც ეს გარედან ჩანს, რომ პიროვნების ისტორიის ათელის წერტილი მისი დაბადების დღეა და რომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობებიც სწორედ იმ დროიდან დაიწყო, როცა გოგონა მათ შეხვდა. გოგონას სჯეროდა, რომ მშობლიური სახლის მიტოვება შიშისა და ზიანის გარეშეც შეიძლება, რადგან ადამიანები მეტ-ნაკლებად ყველგან ერთნაირი არიან. ჰავაი-

დან რომ წამოვიდა, არც კი იცოდა, სად მიდიოდა, რომ მის ჩასვლამდე რამდენიმე თვით ადრე ინდონეზიაში დიდი გადატრიალება მოხდა, რამაც ასეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. საბედნიეროდ, ვილაცამ უამბო მომხდარის შესახებ, მაგრამ ამან არაფერი შეცვალა. ქვეყანაში, სადაც გაჭირვების გადალახვის აუცილებელი იარაღი ფატალიზმი იყო, ის საუკუნის ჰუმანიზმის ერთადერთი მოწმე გახდა, ახალი გარიგების, სამშვიდობო კორპუსის, ქალაქზე დაწერილი ლიბერალიზმის ჯარისკაცი. მას მამისგან მემკვიდრეობით მიღებული და გამოცდილებაგამოვლილი რწმენა ჰქონდა, რომ „გონიერ და რაციონალურ ადამიანს შესწევს საკუთარი ბედისწერის გამოჭედვის ძალა.“ ილბლიანად უნდა ჩათვალოს თავი, რადგან მისი გამოცდილება მხოლოდ ორ განქორწინებასა და ორ თავგზაბანულ შვილს ითვლიდა. „უფრო უარესადაც შეიძლებოდა წასულიყო საქმე, - განსჯის მისი ვაჟი, - ბევრად უფრო უარესადაც.“

მიამიტობა, თავისუფლება, ინდივიდუალიზმი, მობილურობა — რწმენა, რომ შეგიძლია უკან ჩამოიშოვო ისტორია და ხელახლა შექმნა საკუთარი თავი შენს მიერ არჩეული ფორმით — ეს ყველაფერი დასავლეთისკენ მიმსწრაფი ამერიკული ოცნების ნაწილია, ჯერ ძველი ქვეყნიდან ამერიკისაკენ, მერე გადატვირთული ქალაქებიდან აღმოსავლეთ სანაპიროსკენ და წყნარი ოკეანისაკენ. მაგრამ ობამასთვის ეს ფუჭი ოცნებაა.

როცა ახალგაზრდა ობამა პირველად ჩავიდა კენიაში, გაიგო, როგორ შეტრიალდა მამამისის ცხოვრება, როგორ დაანგრია მან თავისი კარიერა, რადგან დაიჯერა, რომ ძველი ტომობრივი ცხოვრება მხოლოდ არარაობა იყო. მამა უტოპიუ-



რი იდევით იყო შეპყრობილი – წარსულიდან უნდა ამოსულიყო, ამალღებულყო და საზოგადოება უნდა შეეცვალა. დეიდამ უთხრა ობამას, მამაშენმა ვერაფრით გაიგო, რომ „თუ ყველა ერთი ოჯახია, მაშინ ოჯახი არ არსებულა.“ ეს ფრაზა ობამას ისე მოეწონა, რომ მერე ხშირად იმეორებდა და გამოცალკევებული ასოებით წერდა ხოლმე - „თუ ყველა ერთი ოჯახია, მაშინ ოჯახი არ არსებულა.“

უნივერსალიზმი ილუზიაა. თავისუფლება სინამდვილეში მხოლოდ რალაცის მიტოვება და უკუგდებაა. დასაწყისში, ალბათ, რელიგიას შეაქცევთ ზურგს, მერე თქვენს მშობლებს, თქვენს ქალაქს, თქვენს ხალხსა და თქვენი ცხოვრების წესს. მოგვიანებით კი მიატოვებთ თქვენს ქმარს თუ ცოლს და შვილს. ეს უკვე ბუნებრივი პროგრესია გამოდის.

ჰოდა, როცა დადგა დრო, რომ ობამას სახლი უნდა მიეტოვებინა, მან არ მოინდომა ისე მოქცეულიყო, როგორც მისი დედა-მამა და იმათი მშობლები მოიქცნენ: ის მოტრიალდა და აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი. ორი წელი კალიფორნიის კოლეჯში გაატარა. მერე კიდევ უფრო იქით, ნიუ-იორკში წავიდა. ბოლოს ჩიკაგოში გაჩერდა, მერე მიდვესტში, იქ, საიდანაც მისი დედის მშობლები გამოიქცნენ — ტრადიციის აღკვეთა, ისტორიის წონა, თემის პროვინციული სიმჭიდროვე, მან აირჩია თვით ის ჭეჭყი და ძალადობაც კი, რაც თან სდევდა ამ ადგილს, რადგან ეს მისი მასსოვრობის ნაწილი იყო. ის ბევრს ფიქრობდა თითქმის ერთი საუკუნის წინ ჩიკაგოში სამხრეთიდან წამოსულ შავკანიანთა დიდ მიგრაციაზე, მათ მიერ შექმნილ ტრადიციებზე. „მე ჯაჭვი გავაბი ჩემს ცხოვრებასა და ჩემს თვალწინ არსებულ სახეებს შორის, სხვების მესხიერებასაც დავესესხე.“ - წერდა ობამა, ძალიან უნდოდა, რომ რალაცასთან დაკავშირებული ყოფილიყო.

გარკვეულწილად, როცა საკუთარი ოჯახის მიტოვება და იმ ადგილას წასვლა განიზრახა, რომელთანაც არაფერი აკავშირებდა, ის ისევე მოიქცა, როგორც მისი მშობლები. მაგრამ მშობლებისგან განსხვავებით, მან გადაწყვიტა ერწმუნა, რომ მის მიერ არჩეული გზა ბედისწერითა და ოჯახით იყო დაწერილი. ამაში იყო რალაც ორგანული, რალაც ისეთი, რალაც ვერ გაექცეოდი. „მე ვხედავ, რომ ჩემი არჩევანი არასოდეს ყოფილა მარტოოდენ ჩემი, - წერდა ობამა, - და ასეც უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად გამოდის, რომ რალაც უბადრუკ თავისუფლებისმაგვარს დასდევ.“ ეს არჩევანი საუკეთესო იყო, რაც კი შეეძლო გაეკეთებინა, დროთა განმავლობაში ფესვებიც გაიზრდებოდა. მან მიშელ რობინსონზე იქორწინა, ქალზე, რომელსაც უკვე ჰქონდა მასსოვრობა და ფესვები, რომელიც დაბადებით იყო ისეთი ადამიანი, როგორ ადამიანად გახდომასაც ოცნებობდა ობამა. დაშლილი სამხრეთის თემის ორგანიზება ითავა, იმედოვნებდა, რომ შრომითა და შთაგონე-

ბით საზოგადოებას გააერთიანებდა. მოგვიანებით უარყო მშობლების აგნოსტიციზმი და საკუთარი სექსტიკური ინსტინქტები, ქრისტიანი გახდა და ეკლესიაში სიარული დაიწყო. „მივხვდი, - წერდა თავის მეორე წიგნში - „იმედის გამბედაობა“, - რომ რომელიმე ხალხის სარწმუნოების რწმენის გარეშე ყოველთვის გარკვეულწილად გვერდზე დავრჩებოდი, ვიქნებოდი თავისუფალი იმ თვალსაზრისით, როგორც დედაჩემი იყო თავისუფალი, მაგრამ, ამავდროულად, საბოლოოდ დედაჩემით მარტოსულიც დავრჩებოდი.“

27 წლის იყო, როცა იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა, ამ დროისთვის მან უკვე მოახერხა, რომ საკუთარი წარმოსახვის ადამიანი გამხდარიყო. მთელი ცხოვრების მანძილზე მას შავკანიანად აღიქვამდნენ, რაგინდ შემაშფოთებელი ყოფილიყო ეს მისთვის, იმიტომ რომ შავი იყო. ახლა ეს აღარ ანუხებდა. გარდაქმნა დასრულდა. „ვერაფრით მიხვდებოდით, რომ ორი რასის ნარევი იყო, - ამბობს კენეტ მაკი, - ვერასოდეს მიხვდებოდით იმასაც, რომ ჰავაიზე გაიზარდა. როცა შევხვდი, ერთი ჩიკაგოელი შავკანიანი ბიჭი მეგონა.“

თავისუფლების გამარჯვება ისტორიაზე, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ამერიკული ამბავი პიროვნებებზე, ეს არის ამბავი, რომელსაც ამერიკა საკუთარ თავზე გვიყვება. ობამა ამ ამბავს არ იზიარებს, თვით მის ყველაზე დამაჯერებელ სიმბოლოს - სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობასაც კი საეჭვოდ მიიჩნევს. „სული, რომელმაც შეიპყრო ერი კენედის არჩევანს საარჩევნო უფლებების აქტის მიღებამდე. უნივერსალიზმის თვალსაზრისით ტრიუმფი ლოკალურ შეზღუდულობასა და გონების სივინროვეზე“ - ეს ობამასთვის სასარგებლო გამოგონებაა: „რომელიც მე მუდმივად მიკარგავს მოსვენებას და ისეთ გრძობას აღძრავს, რალაც დაკარგული სამოთხე.“ როდესაც გვეჩვენება, რომ ისტორია დამარცხდა, ეს ერთადერთი ილუზიაა, რომელიც ქარიშხლითა და რიტორიკით იქმნება.

ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ როდესაც ამერიკა ერაყის დაპყრობას აპირებდა ქვეყანაში დემოკრატიის დამყარების მიზნით, ობამამ თავიდანვე იცოდა, რომ ეს საშინელი შეცდომა იქნებოდა. ეს იყო ამერიკული მიამიტობა მისი ყველაზე დამანგრეველი ფორმით, თავისუფლება – ყველაზე მატყუარა და უნივერსალურობა – ყველაზე გულუბრყვილო გამოვლინებით. „სახიფათო მიამიტობა იყო იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ ისე შეგვხვდებოდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს, ან კიდევ მცირედი ეკონომიკური დახმარებისა და დემოკრატიული წვრთნებით უდაბნოში ჯვფერსონის დემოკრატია აყვავდებოდა,“ - ამბობს ობამა. ასე იქსოვება ამერიკული იდეალიზმის ისტორია, რომელსაც შეუძლია მძლავრად და სათანადოდ გამოხატოს საკუთარი თავი. როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროსა და მარშალის გეგმის შექმნის დროს. ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენი უსაფრთხოება და კეთილდღეობა დამოკი-

დებულია სხვების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. მაგრამ იგივე იდეალიზმი შესაძლოა ასეთნაირადაც მოგვევლინოს: ჩვენ ჩვენი სურვილისამებრ შეგვიძლია შევცვალოთ სამყარო, სულ რალაც ერთი ბერკეტის ჩამონევიტ, რადგან ჩვენ ტექნოლოგიურად აღმატებული, ან უფრო მდიდრები ვართ, ანდა სულაც მორალური უპირატესობა გვაქვს. და როდესაც ჩვენი იდეალიზმი ასეთ გულუბრყვილო ფორმას მიიღებს, როდესაც არ გვექნება სურვილი, რომ ვცნოთ ისტორია და სხვა კულტურების ღირებულება, მაშინ ჩვენ ისეთსავე ჩიხში აღმოვჩნდებით, როგორც ეს ვიეტნამში დაგვემართა.“

ისტორიაზე საკუთარი შეხედულებებით, ტრადიციების პატივისცემით, მისი სექსტიციზმით იმასთან დაკავშირებით, რომ სამყარო შეიძლება სწრაფად და ნებისმიერი სახით შეიცვალოს, ობამა ძალიან კონსერვატორულია. მას არ სჯერა აბსტრაქციების, განზოგადებების, ექსტრაპოლაციების, პროექციების, მარტო იმიტომ არა, რომ რეოლუციები უპერსპექტივოდ ესახება: ის აფასებს განგრძობითობას და სტაბილურობას, ზოგჯერ უფრო მეტადაც კი, ვიდრე სასიკეთო ცვლილებებს.

ობამას სარჩევნო ანგარიში ყველაზე ლიბერალურია სენატში, მაგრამ ის ყოველთვის სარგებლობდა რესპუბლიკელების სიმპათიით, ალბათ იმიტომ, რომ კონსერვატორთა მიზნებზე ლიბერალურ ენაზე საუბრობს. სიღარიბეზე საუბრისას, ცდილობს, არ ილაპარაკოს ხარბ პლუტოკრატებსა და უსამართლო საგადასახადო დარღვევებზე. ის ამბობს, რომ ჩვენ გვერდში ვუდგავართ ჩვენს ძმას, რომ უპოვართა დახმარება ტრადიციით მოგვდამს. კითხვაზე, თუ რის შესახებ შეიცვალა მისი შეხედულება ბოლო 20 წელიწადში, პასუხობს: „ალბათ, ახლა უფრო თავმეკავებული ვარ იმ ტემპის მიმართ, რითაც სამთავრობო პროგრამები ცდილობს ყველა პრობლემის გადაჭრას. მაგალითად, ვფიქრობ, მშობლებისა და საზოგადოების გავლენა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის ფული, რაც განათლებაში იდება.“

ობამა მონიშნავს პარტიების მონოდებებსაც მიესალმება. მაინცდამაინც ხშირად არც ბუმის ადმინისტრაციას აკრიტიკებს. ამასწინათ ნიუ ჰემფშირში აუდიტორიას განუცხადა: „მე დემოკრატი ვარ, პროგრესული დემოკრატი. მაგრამ თუ რესპუბლიკელს, კონსერვატორს ან კიდევ სხვას უკეთესი იდეა აქვს, დიდი სიხარულით მოვიპარავ ამ იდეას. ამ თვალსაზრისით მე აგნოსტიკოსი ვარ.“ „ჩემი ნაცნობი კონსერვატორები და რესპუბლიკელები ამბობენ, რომ ობამა ის ერთადერთი დემოკრატია, რომელსაც ისინი მხარს დაუჭერდნენ, არა იმიტომ, რომ ის მათ ეთანხმება, უბრალოდ იმიტომ, რომ ის მათ აზრს ყოველთვის გაითვალისწინებს,“ - აცხადებს ობამას უნივერსიტეტელი მეგობარი მაიკლ ფრომენი, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციაში მუშაობდა, ახლა კი მის საარჩევნო კამპანიაში არის ჩაბმული.

შეკრებაზე გამოსვლის შემდეგ ობამას „დემოკრატიის სხეულში გამოსხვებული რესპუბლიკური სულიც“ უწოდეს. შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვა ობამასთვის ცოტა უჩვეულო იყო, უფრო რეიგანისეული – ამერიკის მომავლისადმი მზიანი ოპტიმიზმით გამსჭვალული, ამერიკას ამ სიტყვაში „ჯადოსნურ ადგილს“ უწოდებდა. გასაკვირი არაა, რომ რესპუბლიკელებისთვის ის ძალიან ახლობელია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც იმავე მიზეზით ომის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ობამას კამპანიაში ბუშის რამდენიმე წამყვან ფანდრაიზერსაც შეაქვს თავისი წვლილი. აშშ სენატის არჩევნებში ობამამ რესპუბლიკელთა ხმების 40% მოიპოვა. ასეთი ჯგუფიც კი შეიქმნა — რესპუბლიკელები ობამასთვის. რა თქმა უნდა, ყველა რესპუბლიკელს არ ესაბება გულზე. ჯგუფის დამაარსებელს — ჯონ მარტინს უამრავი უკმეხი წერილიც მისდის.

შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვის იმ ნაწილში, რომლის ციტირებასაც ყველაზე ხშირად ახდენენ, ობამა წერს: „ვითომდა განსწავლულთ სურთ, დააქუცმაცონ ჩვენი ქვეყანა ნითელ და ლურჯ შტატებად. ნითელი შტატები - რესპუბლიკელებისთვის, ლურჯი — დემოკრატიებისთვის. მაგრამ მეც მაქვს მათთვის ახალი ამბავი. ლურჯ შტატებში ჩვენ ვადიდებთ ღმერთს, რომელიც თავზარს გვცემს; და არ გვიყვარს ფედერალური აგენტები, რომლებიც აქეთ-იქით დაძრწიან ნითელ შტატებში ჩვენს ბიბლიოთეკებში.“ ვაშინგტონის დამკვირვებლებმა ეროვნულ მთლიანობაზე ასეთი საუბარი უშინაარსო პოლიტიკურ სტერეოტიპად მიიჩნიეს. თვით ობამას მოკავშირეებაც ლელავდნენ იმის გამო, რომ ეს გამოსვლა ცოტა არ იყოს სუსტი გამოვიდა.

„როდესაც ამბობს, ამდენ რამეს გავაკეთებ, როცა პრეზიდენტი გავხდებიო, ეს ნიშნავს, რომ შემრიგებლური და ორპარტიული იქნება და ნამდვილად მოვისმენს, - განმარტავს მეგობარი, - ეს ყველაფერი პროცესზეა ორიენტირებული. ეს ჩერჩილის რიტორიკა არ გახლავს.“

ობამასთვის ერთობის სტერეოტიპი არ არსებობს. მართლაც ამას გულისხმობს და ეს მისთვის არსებითია. თუმცა ყველაფერ ამას ზოგჯერ გალიზიანებაც მოჰყვება ხოლმე.

ელექტორატის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ობამა ზედმეტი პატივისცემითაა გამსჭვალული მონინაალმდეგის მიმართ, დათმობაზე მიდის და აგრესიული მეთოდებით არ იბრძვის საკუთარი პრინციპების დასაცავად. ისინი ერთგვარად იმედგაცრუებულნი არიან ამით. როგორც მისი მეგობრები იხსენებენ, უნივერსიტეტში დისკუსიების დროსაც ასეთი ყოფილა.

ამასწინათ ობამამ ასეთი განცხადება გააკეთა: თუ ბუში გადამწყვეტს, ვეტო დაადოს სამხედრო დაფინანსების კანონპროექტს, რომელიც ერაყიდან ჯარების გაყვანასაც ითვალისწინებს, ის, ობამა, დღის წესრიგის გაუქმებას და კანონპროექტის მიღებას მოითხოვს. ლიბერალები ამ დათმობამ განარისხნა, მაგრამ მწერალი სამანტა პაუერი,

რომელიც ობამასთვის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მუშაობდა, წერს, რომ „მას ოთახის ერთ კუნჭულში დგომა არ ახასიათებს.“

ესეც ნაწილობრივ ტემპერამენტის საკითხია. „ბუნებით ფეთქებადი არ ვარ,“ - წერს თავის მეორე წიგნში. მონინაალმდეგენი მისთვის დემონები არ არიან. „შეთქმულების თეორეტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ. არასოდეს მჯეროდა, რომ არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ყველა ძაფს ქაჩავს და ყველა ღილაკს აჭერს თითს. მიზეზი კი ისაა, რომ რაც უფრო მემატება ასაკი, რაც უფრო მეტ დროს ვუთმობ მთავრობის წევრებთან შეხვედრებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენას, მით უფრო ადამიანური მეჩვენება ყველა. მჯერა, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ფული, გავლენა, რომელთა ხელშიცაა საზოგადოებრივი რესურსების კონტროლი, ძალიან მტკიცედ იცავენ საკუთარ ინტერესებს და უკიდურესად რაციონალურად განმარტავენ, თუ რატომ უნდა ჰქონდეთ სხვებზე უფრო მეტი ფული და ძალაუფლება, და რატომ არის ეს მთლიანობაში საზოგადოებისთვის კარგი.“

კომპრომისისკენ ობამას სწრაფვა პოლიტიკურად დაშვებული სპეკულაციის ფარგლებს სცილდება - ეს ინსტინქტურია, რაღაც ტიკივითაა. „ბარაკს აქვს დაუჯერებელი უნარი სრულიად საპირისპირო რეალობები ერთმანეთს სინთეზურად შეუხამოს. ეს მისი გამოცდილებიდან მოდის: თეთრკანიანთა გარემოცვაში გაიზარდა. ნავიდა საყვარელი, სადაც შავკანიანად მოიაზრებდნენ. მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა: შეგუებოდა ამ წინააღმდეგობრიობას, თუ ეპოვა გზა და გაეთავისებინა, რომ ეს ნაწილები ერთ მთლიანობას ქმნის,“ - განმარტავს კასანდრა ბატისი.

სენატში ყოფნისას ეს უნარი კარგად ეხმარებოდა — ოპონენტებთან ურთიერთობაში საოცრად დახელოვნებული იყო, რაც ხელს უწყობდა ისეთი კანონების მიღებას, რომლებსაც თავდაპირველად უკიდურესად ლიბერალურად და უშინსოდ განიხილავდნენ.

„იმას არ ვამტკიცებ, რომ ყველა კონფლიქტის მოგვარება შეუძლია. ეს სიგიჟე იქნებოდა. მაგრამ მისი ბუნებრივი ინსტინქტი არ არის ბავშვის შუაზე გაჭრა. ეს არის შეერთების წერტილის ძიება. არაჩვეულებრივი უნარია. თუმცა ყოველთვის სწორი არ არის, რადგან სიმართლე ყოველთვის სადღაც შუაში არ იმალება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ მომენტისათვის ამერიკა ისეთ სიტუაციაში იმყოფება, როდესაც ჩვენ უფრო ბევრ რამეში ვეთანხმებით ერთმანეთს, ვიდრე გვგონია. ეს გამოკითხვების შედეგებიდან ვიცი. ჩვენ გვგონია, რომ დაყოფილი ვართ რასობრივად, რელიგიურად, კლასობრივად, კიდევ სხვაგვარად, მაგრამ როდესაც ვაცხადებთ, რომ ერთმანეთს არ ვეთანხმებით, პრინციპში ვაზვიადებთ. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ დროისათვის ის მართალია,“ - წერს რობერტ პუტნამი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ობამა ძალიან ახალგაზრდა იყო, ის დამცინავად

ეკიდებოდა იმ ადამიანებს, რომელთაც რეალობას ოცნება ერჩივნათ.

ზოგჯერ, რა თქმა უნდა, არ არის შეერთების წერტილის პოვნის შესაძლებლობა. კითხვაზე ან ჰო უნდა უპასუხო, ან - არა. ასეთ შემთხვევაში ობამამ შეიძლება, საკუთარი პოზიცია დაიცვას, ან არც დაიცვას. ის იშვიათად მიდის საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური თუ რელიგიური მრწამსის წინააღმდეგ. ეს მხოლოდ ობამას პრაგმატიზმს არ უნდა დავაბრალოთ. ეს იმ შეხედულების ნაყოფია, რომ ძლიერი და გავრცელებული მორალური მრწამსის მიღმა (თუნდა ის მცდარიც იყოს) რაღაც ძალიან ღირებული იმალება. „თავისუფლების სული ის სულია, რომელიც მთლად დარწმუნებული არ არის საკუთარ სიმართლეში,“ - თქვა ერთხელ ობამამ და ამას ნამდვილად სერიოზულად ფიქრობს. მისი კოლეგა კეს სანშტაინი ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან იმ ორ მიზეზს ასახელებს, რის გამოც მას კონსერვატორები კარგად ეწყობიან: გარკვეულ საკითხებში ობამა შესაძლოა მათ დაეთანხმოს კიდევ, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მან ისიც იცის, რომ შესაძლოა, მცდარ პოზიციაზე იდგეს.

სხვების მოსაზრებებსა და კულტურას ობამა დიდ პატივს სცემს. მაშინაც კი, როდესაც საქმე რელიგიურ რწმენას არ ეხება. „არის უნივერსალური ღირებულებები, რისთვისაც ვიბრძობ. შესაძლოა, არსებობდა დრო და ადგილი, სადაც, მაგალითად, შეიძლება, გენეტიკის დასახიზრება ტრადიციულად ხდებოდა, მაგრამ ის დრო დასრულდა. მე ის კაცი არ ვარ, ვისაც სჯერა, რომ ჩვენს საგარეო პოლიტიკას მორალური რელატივიზმი უნდა მართავდეს. მჯერა, რომ უნდა მოვუხმოთ კეთილგონიერებასა და თანასწორობის გრძნობას და ასე შევავასოთ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები, და კრძალვით შევიხანოთ ჩვენი იდეალები და ღირებულებები.“

სანშტაინი ამბობს: „მისი გმირი ლინკოლნია. როგორც სამართლებრივ კულტურაშია ცნობილი, ლინკოლნს სჯეროდა, რომ გარკვეულ პრინციპებთან დაკავშირებით საუბრისას კომპრომისზე ნასვლა არ შეიძლება, მაგრამ მოქმედების დროს დათმობა შესაძლებელია. ზოგჯერ მიზეზი პრაგმატულია, ზოგჯერ კი პრინციპის საკითხია, რომ ზემოქმედება არ მოახდინო.“ ლინკოლნის ეს თვისება ობამასაც შეამჩნიეს.

ობამას კანდიდატურას ორი კოზირი აქვს: მიზანი - ამერიკის ორი ნაწილის გაერთიანება და ლინკოლნთან მსგავსება. თვითონაც კარგად იცის, ეს რასაც ნიშნავს. ამერიკის დაარსებას ის „დიდ კომპრომისს“ უწოდებს: მისი გაგებით, კომპრომისი არ არის პრინციპის რღვევა რაღაცის მისაღწევად, კომპრომისი პრინციპის რღვევაა თავად პრინციპის სასიკეთოდ — კავშირის საძირკველისთვის. „მე გადავარჩინე კავშირს. თუ შევძლებ კავშირის გადარჩენას მონების გათავისუფლების გარეშე, მე ამას გავაკეთებ, თუ შევძლებ კავშირის გადარჩენას ყველა მონის გათავისუფლებით, ამა-



საც გააკეთებ; და თუ შესაძლებელია კავშირის გადარჩენა იმით, რომ ზოგი მონა გავათავისუფლო და ზოგი - არა, მაშინაც ასე მოვიქცევი,“ - წერდა ლინკოლნი „ნიუ იორკ ტრიბუნის“ რედაქტორისადმი - ჰორეის გრილისადმი მიწერილ წერილში.

ობამა წერს: „მჯერა, რომ ლინკოლნი შეთანხმებაზე უარს თქმით არანაირი სარგებელი არ ჰქონია. პირიქით, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ და საერთო ენა გამოვხაზოთ, რადგან არავინაა ჩვენს შორის სრულყოფილი და არავის შეუძლია იმოქმედოს იმ რწმენით, თითქოსდა ღმერთი მის მხარეზეა.“

ობამა ვაშინგტონში თავის ოფისში იჯდა, სკამზე გადნოლილი. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მთელი დღის განმავლობაში ამ სკამზე გაუძნდრებლად რომ მჯდარიყო, მაინც შესანიშნავად იგრძნობდა თავს. ლაპარაკის დროს ხელს დაბნეულად აიქნევდა ხოლმე, თითქოს ბუზს აუქმიაო. ის ლაპარაკობდა ერაციის ომის შედეგებზე და იმაზე, თუ როდენ მნიშვნელოვანია ვიეტნამის სინდრომის მსგავსი გარიყულობის შემოტევა აიცილო თავიდან.

„დღეს უკვე აღარ არსებობს ქვეყანა, რომელსაც უსაფრთხოების თვალსაზრისით უმნიშვნელოა. თუ თქვენ გაქვთ უმართავი სივრცე, ის ტერორისტებისთვის სამოთხედ იქცევა, პანდემიას და ლტოლვილთა მომრავლებას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, იმ რეგიონების დესტაბილიზაციას იწვევს, რომლებიც ჩვენი ინტერესის სფეროში შემოდის. უსაფრთხოება და ჰუმანიტარული დახმარებები ერთი პროექტის ნაწილია, რომლის მიზანია, შექმნას ისეთი სამყარო, რომ ადამიანებმა ბოლოს და ბოლოს გაიზიარონ ჩვენი სურვილი წესრიგის დამყარებისა... რამდენიმე საჯარისო ფორმირებას გამოვიყვანდი ერაციდან და გამოვიყენებდი ნატოს ჯარების გასამაგრებლად ავღანეთში. ვფიქრობ, კიდევ გვაქვს შესაძლებლობა იქ წარმატების მოსაპოვებლად.“

ობამას სკეპტიციზმი ერაციის ომთან დაკავშირებით საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ის არც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მომხრე პოლიტიკოსია, არც საერთაშორისო ენაზე პრობლემის გაანალიზების წინააღმდეგია. ორი საკითხი, რომლებსაც სენატში მოსვლისთანავე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, ფრინველის გრიპი და ბირთვული იარაღის შემცირებაა. ორივე საკითხთან დაკავშირებით შეთანხმების ხელმოწერა ძალიან სარისკოა, რადგან წარმატება უჩინარია, კრახი კი კატასტროფას ნიშნავს, რასაც მთელი მსოფლიოს ცვლილება მოჰყვება. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი გლობალური აზროვნების სტილი მისთვის შედარებით ახალია. როდესაც ბუში ერაციში შეიჭრა, ობამა ოციოდე წლის იყო და სერიოზულად ფიქრობდა პოლიტიკურ კარიერაზე, მაგრამ მისი იმდროინდელი მეგობრები არ იხსენებენ მის შეხედულებებს ომის საკითხზე: „არ დავინწყებ იმის მტკიცებას, რომ მაშინ ამ საკითხზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია მქონდა.“

დაძაბული და გადატვირთული გრაფიკი აქვს. სენატის საქმეებს რომ ამთავრებს, კვირის ბოლოს საარჩევნო კამპანიისთვის სადმე გადაფრინდება.

„მე ბარაკ ობამა ვარ და პრეზიდენტობაზე ვიყრი კენჭს. როდესაც სენატრობაზე კენჭისყრა შემომთავაზეს, მე ისე მოვიქეცი, როგორც ნებისმიერი შავკანიანი მოიქცეოდა, როცა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დადგებოდა. ვილოცე და ცოლს ვკითხე რჩევა (სიცილი). და ამ ორ უზენაეს ძალასთან თათბირის შემდეგ გავაკეთე ის, რასაც ყველა პირველად დასახელებული კანდიდატი აკეთებს, დაველაპარაკე ყველას, ვინცა კი შეეძლო მოსმენა. დავდიოდი შეხვედრებზე, საპარაკმახეროში, ფეხბურთის მატჩებზე და ყველგან, სადაც კი მივიდოდი, ორ კითხვას მისვამდნენ: პირველი: სად იშოვეთ ასეთი სასაცილო სახელი ბარაკ ობამა? ხშირად სახელის გამოთქმაც ეშლებოდათ. ზოგი ალაბამას მეძახდა, ზოგი — იო მამას (სიცილი). მეორე კითხვა იყო: რამ მიბიძგა, რომ პრეზიდენტობის არჩევნებში მიმელო მონაწილეობა? ხალხი მეკითხებოდა — კარგი კაცი ჩანხარ, გაქვს არაჩვეულებრივი იურიდიული ხარისხი, გვარიანი შემოსავალი, ლამაზი, ეკლესიური ოჯახი, რატომ მიდიხარ ბინძურ და საზიზღარ პოლიტიკაში?“ (ალგონა, აიოვა, აპრილის დასაწყისი).

„მას ყოველთვის სურდა პრეზიდენტობა, - ამბობს ვალერი ჯარეტი, წლების განმავლობაში ოჯახის მეგობარი, რომელთანაც მუშაობდა მიშელ ობამა (მიშელ ობამა ახლა ჩიკაგო ჰოსპიტალის უნივერსიტეტის აღმასრულებელია). ამას ყოველთვის არ აღიარებდა, მაგრამ ნამდვილად ასეა. პირველად ეს რომ გამიმხილა, თქვა: „ვფიქრობ, რომ რალაც განსაკუთრებული თვისებები მაქვს


და დასანაწია მათი ასე განიავება.“ ეს იყო მისი სენატორული კამპანიის დროს. მერე დააყოლა: „იცი რა, მგონია, რომ რალაც არის ჩემში“.

„მათ, ვინც კარგად იცოდნენ ჩემი საზოგადოებრივი აქტივობის შესახებ, მოხოვეს, ოფისისთვის მეხელმძღვანელა. ჰოდა, მეც ის გააკეთე, რასაც ნებისმიერი გონიერი კაცი აკეთებს ხოლმე, როდესაც ასეთი გადაწყვეტილების წინაშე დგას; ვილოცე და ჩემს ცოლს დავეკითხე (სიცილი). ეს ამესში ნათქვამი სიტყვებია. ჩანს, რომ ობამა ოსტატურად ატარებს კამპანიებს. თუმცა, ეს მისთვის მთლად ბუნებრივი არ არის. გასული წლის მიწურულს, როცა ჯერ კიდევ ფიქრობდა, კენჭი ეყარა თუ არა, მეგობრებმა ჰკითხეს, მზად იყო თუ არა ბრძოლისათვის, მისი ფიქრები ადრენალინის გამოყოფას თუ იწვევდა, და მან უპასუხა — დიას, მაგრამ არ ვიცი, მინდა თუ არა კამათი.

ხომ წარმოუდგენელია ადამიანი, რომელიც პრეზიდენტობის კამპანიას იწყებს და კამათი არ უნდა. მაგრამ სწორედ იმიტომაც მოსწონთ ის ასე. ხალხი მასში ამ თვისებას აფასებს, - ამბობს ერთი მეგობარი.

დევიდ აქსელროდი, ობამას კამპანიის მთავარი მრჩეველი ამბობს: ბილ კლინტონის ტაქტიკა ბევრად უფრო პოლიტიკური იყო. ის არჩევნების ხარბი მომხმარებელი იყო, ძალიან დაუღალავი, ყველაფერს ასწრებდა, შეეძლო კვირაში ოთხი წიგნიც წაეკითხა და აშშ პრეზიდენტიც ყოფილიყო. ბარაკს კამპანიის ხელმძღვანელობისათვის არ დაიქირავებდით, აი, ბილ კლინტონს კი - ნამდვილად.“

მარტო ეს განსხვავება არაა ობამასა და კლინტონს შორის, ამ ორი ადამიანის ერთმანეთთან შედარება დავგანახებს, რომ „პოლიტიკისთვის და-



ბადებულო“, როგორც ორივე მათგანს უწოდებენ, სულ სხვადასხვა რამეს შეიძლება ნიშნავდეს.

„ბილ კლინტონის მოსმენის ზებუნებრივი უნარი აქვს. მისთან საუბრისას ყველას ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს ცხოვრებაში პირველად ვიღაცამ ნამდვილად მოუსმინა — ეს კაცი, ბილ კლინტონი, პირველი ადამიანია მსოფლიოში, რომელსაც ჩემი ესმის. ჯადოსნური ამბავივითაა. ბარაკი ასეთი ვერ არის,“ - ამბობს პუტინი. პუტინამის რეაქცია ჩვეულებრივია. როგორც ჩანს, ეს არის პასუხი კლინტონის ფინიან პოლიტიკურ კამპანიაზე, მის წყურვილზე, საყოველთაო სიყვარულის მოთხოვნილებაზე. ნაწილობრივ ეს თვისება, უფრო ზომიერი, სუბლიმირებული ფორმით პილარი კლინტონშიც გამოიხატვის — მისი დაუსრულებელი სწრაფვა ადამიანების დამარცხებისაკენ, მისი დაულაღავი საარჩევნო მზადებები, მისი სურვილი, რომ რაც კი შეუძლია, ყველაფერი გაილოს ერთი ამომრჩევლის ხმისთვის.

ეს საერთოდ არ ჰგავს ობამას სტილს. ობამა დამშეული არ ჩანს. მას უყვარს ადამიანები, მაგრამ არ სჭირდება ისინი. არადა, პოლიტიკოსთა უმრავლესობა თავის გამოსვლებში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მხოლოდ ამომრჩევლისთვის არსებობს. შეხვედრებზე ობამა ინტერესს კი ამჟღავნებს, მაგრამ არც ისე მგზნებარედ, ისე ჩანს, თითქოს ამის ნაცვლად ერთ-ორ სხვა საქმესაც სიამოვნებით გააკეთებდა. მას აქვს ორატორის ძალა, რისი დემონსტრირებაც 2004 წლის შეკრებაზე მოახდინა, მაგრამ ამ უპირატესობას ძირითადად რეზერვში ინახავს. ის კი არადა, დიდ პაექრობებშიც კი არ ცდილობს ყველას დაპყრობას — არც თვალეები უბრწყინავს, მოულოდნელი გარდასახვის ეფექტსაც არ იყენებს. (ზოგჯერ მასთან ერთად სცენაზე მისი ცოლი მიშელი გამოდის და ეს აზავებს მის ევანგელისტურ ტონს. ობამას თქმით, მიშელი ღელავს მისი ექსცესების დროს, ოსტატურად შეუძლია მოთოკოს მისი პომპეზურობა, შეხუმრებით უსაყვედურებს, როცა წინდები ჩაჩაჩული აქვს...)

რა თქმა უნდა, ობამა პრეზიდენტობისათვის იბრძვის. მას, ბუნებრივია უნდა ხალხის გადმოხირობა, მაგრამ უპირატესობის მოპოვების მისეული მცდელობები დახვეწილია. როცა მისი რეფერენტი ჯონ ფავრი, რომელიც 2004 წელს ჯონ კერისთვის წერდა სიტყვებს, სამუშაოს მისაღებად ობამამ ინტერვიუზე დაიბარა და ჰკითხა, თუ რა თეორიით ხელმძღვანელობდა სიტყვის წერის დროს. ფავრიმ უპასუხა: მზა თეორიის სახელმძღვანელო ჯიბეში არ მიდევს, მაგრამ როდესაც დაგინახეთ შეკრებაზე, ნამდვილად შემძრა თქვენმა გამოსვლამ, თქვენ ჰყვებოდით ამბავს თავიდან ბოლომდე, — ამბავს თქვენი ცხოვრების შესახებ, იმაზე თუ როგორ ჩაინერა თქვენი ცხოვრების ისტორია დიდ ამერიკულ ისტორიაში. ამას მოჰყვა ის, რომ მსმენელი სიხარულით გიკრავდათ ტაშს და იძულებითი აპლოდისმენტების გამოყენების საჭიროება არ დამდგარა. დემოკრატებმა ეს ვერ მოახერხეს. და

ბარაკმა თქვა — ზუსტად ამის გაკეთებას ვცდილობ!

ესაა ობამას ორატორობის თეორია და, როგორც ჩანს, მისი კამპანიის თეორია: ნუ ცდილობ, ყოველ წუთას მაღალი ქულები დააგროვო, ნუ მოკლავ თავს ყოველი ხმისთვის — კამპანია გრძელი, განელილი საქმეა, არც აუდიტორია უნდა გათანგო და არც შენი თავი.

სპორტული ტერმინებით პრეზიდენტობის კანდიდატი ამას ასე განმარტავს: ეს კალათბურთის თამაშს ჰგავს. მე ბურთი ხელიდან მივარდება, ბურთს ვიღაც სხვა დაეპატრონება, მე ვეღარ ჩავანოვებ, მაგრამ ჩვენი გუნდი თამაშს მაინც მოიგებს. შეუძლებელია, ყველა პატარა წვრილმანზე, რასაც შენზე იტყვიან, შეუტყო, ასე შეიძლება გაგიფდე.“

როდესაც ქრისტოფერ ედლი ობამას პირველად შეხვდა უნივერსიტეტში, გაიფიქრა, რომ თავისი განონასწორებულობის ნყალობით ის შორს წავივლიდა. მაგრამ შემდეგ, როცა ობამას პირველი წიგნი წაიკითხა და დაინახა, თუ როგორი ეჭვის თვალთ ჩხრეკდა და ლამის ვივისეციას უტარებდა ობამა საკუთარ თავს ამდენი წლის განმავლობაში, მან დაასკვნა, რომ ის წარმატებას სწორედ ამის მეოხებით მიაღწევდა.

„ფიქრობ, საკუთარი თავის შეცნობის უნარი ფასდაუდებელია კანდიდატისა თუ პრეზიდენტისათვის, - აცხადებს ედლი (ის მუშაობდა კარტერისა და კლინტონის ადმინისტრაციებში და დუკაისის კამპანიისათვის). ძალიან ძნელია აუხსნა იმას, ვინც არ ყოფილა ჩაბმული ასეთ საქმეში, თუ რა მძიმეა საპრეზიდენტო კამპანია. როცა დაუსრულებლად დაფრინავ და უამრავ ამომრჩევლს ხვდები, ძალიან ადვილია, თავი დაკარგო. როდესაც ყოველი მცდარი ნაბიჯი 36-საათიანი მედია კატასტროფა ხდება, ყველა მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ინსტინქტები აკონტროლო. ასე რომ, თუკი შენი ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვის უნარი შეგნებს და მათი დაბალანსების ძალა გაქვს, ეს კრიზისულ სიტუაციებში ძალიან დაგეხმარება. მინახავს კანდიდატები, რომლებიც მონიშნალებდნენ პირისპირ დგომისას ჯორჯით გაჯიუტებთან ხოლმე და არც სხვისი შეხედულების გაზიარება შეუძლიათ. კანდიდატების დიდი ნაწილი ყველას გაუთავებლად ერთსა და იმავეს ეკითხება: აბა როგორ ვიქცევი? როგორ ვიქცევი? მათ არა აქვთ უნარი, რომ საკუთარ თავს სარკეში შეხედონ. ასე რომ, ის უნარი, რასაც ბარაკი თავის წიგნში ამჟღავნებს, როდესაც ამბობს, რომ საკუთარ თავს სარკეში ვერ ვხედავ და თანაც ამ დროს ძალიან მკაცრია, უაღრესად მნიშვნელოვანი რამაა.“

„მგონია, ზოგჯერ იმასაც ხვდება, რომ საკუთარ თავს ატყუებს, - ამბობს მეგობარი, - ის შეეჭიდა პრეზიდენტობის კანდიდატობას როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც პერსონა გახდა, სახელად ბარაკ ობამა. ეს პერსონა დიდი და დიდი გახდება და უფრო და უფრო დაშორდება მას და ცხოვრების მისეულ გზას. ჩვენ გვყავს ნამდვილი,

ცოცხალი ადამიანი, რომელიც პრეზიდენტობისათვის იბრძვის. მას არა აქვს ამ ტიპის კამპანიის წარმართვის დიდი გამოცდილება. ეს არის მისი სიძლიერეც და სისუსტეც.

ზოგი ადამიანი პოლიტიკაში იდევით მიდის. ობამა პოლიტიკაში მაგალითით შედის. თავის წიგნში ის ერთადერთ პოლიტიკოსს განიხილავს, ჰაროლდ ვაშინგტონს, ჩიკაგოს შავკანიან მერს. ობამა არაფერს ამბობს მის პოლიტიკურ მიღწევებზე, ის საუბრობს იმ შედეგზე, რაც გამოიწვია მისმა არჩევამ შავკანიანთა საზოგადოებაში. იმ ღამეს, როცა ჰაროლდმა გაიმარჯვა, ხალხი ქუჩებში გამოიბოდა. ისეთი გრძნობა იყო, თითქოს ჯო ლუისმა შმელინგი დასცაო. ხალხი მხოლოდ ჰაროლდით კი არ ამყობდა, თავიანთი თავითაც ამყობდნენ. ობამამ დაინახა, რომ ვაშინგტონის გამარჯვებამ თითქმის რელიგიური ხსნის ტოლფასი გრძნობა გამოიწვია. „ორგანიზების ჩემი იდეის მსგავსად, - დაასკვნა მან, - ვაშინგტონმა შემოგვთავაზა კოლექტიური მონანიების იდეა.“ ობამა საკუთარ კანდიდატურაზე ასეთნაირად ვერ იმსჯელებს, ეს უხერხული იქნება. მაგრამ მისი საუბარი ერთიანობაზე, სხვისი ბრალდების აცილების მცდელობა და ომის დასრულების მისეული დაპირება სწორედ მონანიების ასეთ ყესტს უნდა გულისხმობდეს: ეს იქნება მონანიების ყესტი არა მხოლოდ შავკანიანებისათვის, არამედ თეთრკანიანებისთვის (რომლებიც ხმას მისცემენ შავკანიანებს), რესპუბლიკელებისთვის (რომლებიც აირჩევენ დემოკრატებთან ურთიერთობას) და საერთოდ ამერიკელებისთვის (რომლებიც ეტყვიან მსოფლიოს, რომ ომი შეცდომა იყო).

მაგრამ მონანიება მსხვერველადია. როდესაც მეორე არჩევის ვადაში ჰაროლდ ვაშინგტონი უეცრად გარდაიცვალა, მისი წარმატება თითქმის მაშინვე ნამსხვერველად იქცა. „არ არსებობდა ადგილზე პოლიტიკური ორგანიზების სისტემა, არც ის პრინციპები იყო მკვეთრად გამოკვეთილი, რომელსაც უნდა გაჰყლოდნენ, - წერს ობამა, - შავკანიანების მთელი პოლიტიკა ერთადერთი რამის გარშემო იყო გაერთიანებული, ერთი კაცის გარშემო, რომელიც მზესავით ანათებდა.“ ნაკლებად კონსერვატორი ადამიანისთვის ეს მარცხი, ალბათ, გამანადგურებელი იქნებოდა — დემონსტრირება იმისა, რომ ცვლილება შეუძლებელია — მაგრამ ობამასთვის ეს მხოლოდ იმის დამატებითი მტკიცებულება იყო, რომ ქარიზმამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რომ რევოლუციები ილუზორულია და რომ ჭეშმარიტ ცვლილებას დრო სჭირდება. ახლა, როცა ის უკვე თავად იბრძვის პრეზიდენტობისათვის, როგორც ჩანს, იცის, რომ ზეციურმა იმედებმა დიდი ზიანიც შეიძლება მოუტანოს და განდიდებაც. ამიტომ ცდილობს, ამ იმედებს ძალიან არ აჰყვებს. ობამა მინახე დგას. რომ ფიქრობდეს, რომ მისი გამარჯვება რევოლუციას მოიტანს, არჩევნებში მონანილობას არ მიიღებდა.



+995 32) 224061  
buffet@internet.ge

# BUFFET

რესტორანი სანჯიახვში

ამაყლი ანაშენის 31

+995 32) 220963  
bellejour@internet.ge

# BELLE DE JOUR

ამაყლი ანაშენის 29

+995 32) 283108  
sakura@internet.ge

# SAKURA 桜

ამაყლი ანაშენის 29

+995 32) 430348  
lexpress@internet.ge

# BRASSERIE L'EXPRESS

შარდენის 14

+995 32) 439549  
zen@internet.ge

# ZEN

რკინის რივი 9

L'EXPRESS  
BUFFET  
SAKURA 桜  
BELLE DE JOUR

ZEN

ProGress GROUP

აუზონი პროგრესივული

# დეგაპრინტი

# DEGAPRINT

**სივრული ოფსეტური ბეჭდვა**  
 ტელ.: +995 32 995007 / 998843  
 ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



# მერდოკის პირადი თამაში

დოკი კიდევ უფრო გააძლიერა. ეს სიძლიერე მერდოკის “ცუდი-ბიჭობის” და უტიფრობის დამსახურებაა. ამ ძალას მერდოკი იმისთვის იყენებს, რომ ხალხს მისი ეშინოდეს. მერდოკის განცხადებაც ეს არის: მოვდივარ, მიფრთხილდი. “მინიშნება მუქარაზე, – ამბობს მერდოკის ინკოგნიტო დამცველი – “სულაც არ არის ცუდი”.

**ნება** მომეცით, ჰიპოთეზა შემოგთავაზოთ: მერდოკის ბოროტი, უღირსი, საშიში იმიჯი მაინც ხელოვნურადაა გაბერილი.

თავისუფლად შეგიძლიათ იკამათოთ და ამტკიცოთ, რომ მერდოკს ისევე უნდა აფასებდნენ, როგორც ნებისმიერ სხვა მედია-კონგლომერატის მფლობელს, თუ კიდევ მათზე უკეთ არა. ახალი ამბების ქსელი მერდოკთან გაცილებით უკეთაა დაფინანსებული, თვითონ ახალი ამბებიც უფრო დინამიკური და უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე სხვა მედია-გაერთიანებების გადაცემებში. მერდოკი არც დამტკბულია და ხანდახან არც იმდენად ერთპიროვნული.

“ნიუ იორკ პოსტში” მილიონობით (ასობით მილიონი) დოლარის ჩადებით, მან მთლიანად გარდაქმნა გაზეთი – ეს მოსაწყენი, მოლიბერალო ტაბლოიდი ცოცხალ, მწვავე და მეტ-ნაკლებად მემარჯვენე ორგანოდ აქცია. გაზეთი მერდოკის პოლიტიკურ შეხედულებებს ატარებს, მაგრამ რაც გინდათ, თქვით – ის აუცილებელი და სახალისო საკითხავია ყველა იმ ჟურნალისტისთვის, რომელიც დღეს მერდოკს აქტიურ ოპოზიციაში უდგას.

მერდოკმა უხეშად გამოგლიჯა ხელიდან “ნიუ იორკ მეგზინი” თავის დამფუძნებელს კლეი ფელკერს, მაგრამ ახალი რედაქტორის დაქირავების გარდა (თანამშრომლებმა ერთხმად და წარმატებულად გამოხატეს პროტესტი და პოსტები დატოვეს, მაგრამ საბოლოო ჯამში საკმაოდ წარუმატებელი გადაწყვეტილება გამოუვიდათ – რუპერტმა ახალი სარედაქციო ჯგუფი აიყვანა), ჟურნალში ბევრი არაფერი შეუცვლია.

მერდოკმა ბევრი მოუთმინა და ხელი არ ახლო “ვილიჯ ვოისს” – გაზეთს, რომლის მფლობელიც ის მთელი ათი წლის განმავლობაში იყო და მთელი ამ ხნის განმავლობაში ეზიზღებოდა ის. სამაგიეროდ, მერდოკმა შეცვალა ლონდონური “თაიმსი” – ის ნაკლებ კლუბური, ნაკლებ

ელიტური და მეტად ფუნქციონალური გახდა, თან ამასობაში ტირაჟიც გაიზარდა – 100 ათასიდან 800 ათასს მიაღწია (“თაიმსი” მოგებაზე მაინც არ მუშაობს, მერდოკი კი კვლავაც ჯიუტად დებს მასში ფულს).

რაც შეეხება “ჰარპერ ქოლინზს” ძირითადად ის წიგნის დანარჩენი გამოცემლობებისგან არაფრით განსხვავდება; იგივე შეიძლება ითქვას “ფოქსის” კინოსტუდიაზეც – რამე განსაკუთრებული არც იქ შეუქმნიათ. თუმცა, მერდოკმა “ფოქსში” შექმნა დაბალი ფენის მაყურებელზე გათვლილი მეოთხე ქსელი, რომელმაც თავისი ინტელექტუალურ მაყურებელზე გათვლილი თუ პოპულარული პროდუქციით საერთო ტელეპროდუქციაში გამორჩეული წვლილი შეიტანა – პირველ რიგში, კი ამ წვლილიდან “სიმპსონები” უნდა გამოვყოთ. ამიტომ ელიტარული გემოვნების მქონე საზოგადოებას მერდოკის პროდუქციის გასაკრიტიკებლად მხოლოდ “ფოქს ნიუსი” რჩება.

მაშინ რატომაა ატეხილი ეს გაუთავებელი ვაი-ვიში იმის გამო, რომ მერდოკის გაძლიერება ქვეყნის დასასრულს ნიშნავს? საერთო აზრი, როგორც “ნიუ იორკ თაიმსის” მედია კომენტატორმა დევიდ კერმა ჩამოაყალიბა, გახლავთ ასეთი: მერდოკი “საკუთარ მედია საკუთრებებს თავისი ორგანიზაციის ბიზნეს ინტერესების დასაცავად იყენებს და ასე იქცევა უკვე წლების განმავლობაში”. (მაგრამ რადგანაც მერდოკის ბიზნეს ინტერესი რეალურად მედიაა და არა, ვთქვათ, იარაღი ან სუპერმარკეტების ქსელი, მაშინ გაუგებარია, რატომ არის ეს ცუდი). არც ახალი ამბების რედაქციაზე მერდოკის კონტროლი უნდა ინვევედეს გაღიზიანებას. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას გააკონტროლებს: მერდოკი “უოლ სტრიტ ჯორნალს” თუ G.E. NBC-ის, დისნეი – ABC-ის, ანდა არტურ ზალცბერგერი – “ნიუ იორკ ტაიმსს”.

არა, საქმე სხვა რამეში უნდა იყოს. და, ალბათ, ეს სხვა რამე შიშია – შიში, რომელსაც ინვევს ერთი კაცი და არა კრებითი ტიპის ბიუროკრატია, როგორიც G.E.-ია ანდა “თაიმ უორნერი”. მერდოკი მათგან განსხვავებული საფრთხობელაა, ის არ ჰგავს, უსახო, კორპორატიულ საფრთხობელებს, იმიტომ, რომ მას კარგად ვიცნობთ. იმიტომ, რომ ის ამაყობს იმით, რომ საფრთხობელაა. და იმიტომაც, რომ ინდუსტრიაში, სადაც არ არსებობს წარმატების

## <<< დასაწყისი გვ. 92

მერდოკის თავდასხმა “დოუ ჯონსზე” მის 10 წლის წინანდელ შეტევასაც გვახსენებს ინგლისის ისტორიულ საფეხბურთო გუნდ “მანჩესტერ იუნაიტედზე”. ამაზე უფრო დიდ წითელ დროშას ბრიტანელებს ვერავინ აუფრიალებდა – გამოჩნდა ვიღაც უცხო, რომელიც მათი – ამ წმინდა ბრიტანული ინსტიტუტის მითვისებას ცდილობდა. ეს მცდელობა ხმამაღალ განაცხადს ჰგავდა: შემხედეთ, აი, ასეთი დიდი ვარ. ეს მცდელობა გამოწვევაც იყო: აბა, სცადე და შემაჩერე (ბოლოს, საქმეში მონოპოლიისა და გაერთიანებების კომისია ჩაერია და “მანჩესტერ იუნაიტედის” გაყიდვა დაბლოკა).

მერდოკის სიძე, მეთიუ ფროიდი (ის ბაბუა ზიგმუნდზე უფრო თავისი სიმამრი მერდოკის წყალობითაა პოპულარული), რომელსაც ბრიტანეთში საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში მაღალი თანამდებობა უჭირავს (მედია მერდოკების ოჯახური ენაა), “დოუ ჯონსის” საქმის შესახებ ცოტაოდენ სკეპტიციზმს გამოხატავს. ის აღნიშნავს, რომ ამერიკაში მერდოკი ასე თუ ისე დაცული იყო ავი სარკაზმის მორევისგან, რაც მის თავს ჯერ ბრიტანეთში ტრიალებდა, მანამდე კი – მშობლიურ ავსტრალიაში. ახლა კი, “დოუ ჯონსის” საქმის შემდეგ, შესაძლოა, სარკაზმის ეს “ვირუსი” ამერიკაშიც გავრცელდეს.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ ვირუსმა მერ-



მიღწევის რეცეპტი, მერდოკი ყველა სხვა საფრთხობელასთან შედარებით ყველაზე მეტად წარმატებული ჩანს. წარმატების გარანტი მერდოკის დაულაღვი მანერვირების უნარი, უბერებლობა, და “სცადე ყველაფერი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც” სტრატეგიაა. ამიტომ გგონია, რომ ის ერთადერთია, რომელსაც ყველაფერი ესმის; რომ მერდოკი შამანია.

მან საკუთარი თავისგან შექმნა დაუცველი ადამიანების ტერორისტის ხატი და ცოტა ვინმე თუ ისე დაუცველი, როგორც მედიაში მომუშავენი არიან. თუ შენს თავში ეჭვი ისედაც გეპარება, ეჭვი კიდევ უფრო გიძლიერდება, თუ რუპერტს ხედავ. ის შიშის ზარს დედიკოს ბიჭებს სცემს. ათწლეული ათწლეულს მისდევს და მას კი ძალა მაინც არ ელევა. ამიტომაც არის, რომ თუ რუპერტს შენი კომპანიის დაპატრონება უნდა, შენ მას საკუთრებას აუცილებლად უთმობ. ის არა მხოლოდ ჟურნალისტებს აგდებას პანიკურ შიშში; ის აფრთხობს საკუთარ აქციონერებსაც და აქციონერებიც “აძლევენ მას უფლებას”, გადაიხადოს “ჯორნალში” რეალურ ფასზე ორჯერ მეტი, ოღონდ კი, ბოლოს და ბოლოს, სურვილი დაიკმაყოფილოს. შეიძლება არ მოგვწონდეს, მაგრამ გვჯერა, რომ მერდოკი დაუმარცხებელი ძალაა. ეს კი უკვე ძალიან წარმატებული პირადი-ბრენდირებაა.

**და** ახლა კი “დოუ ჯონსი”. არავინაა უფრო დაუცველი და უფრო დედიკოს ბიჭი, ვიდრე ამ კომპანიის ბიჭები.

“დოუ ჯონსმა” ვერც სწრაფად მზარდ ბიზნეს-საინფორმაციო ბაზარზე გაიმყარა ადგილი და “უოლ სტრიტ ჯორნალიც” ამ ბაზრის მიღმა დატოვა. გაზეთის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ “ჯორნალი” ინტერნეტ-მომხმარებლისთვისაც მიუწვდომელი დარჩა – როცა თქვენ google-ში რამე თემაზე სტატიას ეძებთ, “ჯორნალის” სტატია მოძიებულ მასალათა ჩამონათვალში არასდროს შეგხვდებათ იმიტომ, რომ “ჯორნალის” ყველა სტატიის წაკითხვა მხოლოდ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგაა შესაძლებელი. ანუ, გამოდის, რომ გაზეთი ინტერნეტის მთავარი საინფორმაციო ციკლის მიღმა დარჩენილი.

შეიძლება ჩამორჩენის მიზეზი ისიც იყოს, რომ გაზეთს თვითონ არ ესმის, თუ რა არის მისი თემა. როცა ბიზნეს ავტორიტეტს და ამ შემთხვევაში “უოლ სტრიტ ჯორნალს”, ბიზნესში თავად მისდის საქმე ცუდად – ესეც რთული პოზიციაა. შედეგად, “ჯორნალმა” დაკარგა თავისი ცენტრალური ადგილი ბიზნეს-სამყაროში, და დაკარგა ავტორიტეტიც რეკლამის შემკვეთების თვალში, რის გამოც მათ რეკლამირების უფრო იაფი და ეფექტური საშუალებების ძებნა დაიწყეს.

ჟურნალისტთა წრეში გავრცელებული აზრი ასეთი გახლავთ: “უოლ სტრიტ ჯორნალს” უნდა დაუტოვონ უფლება, შეინარჩუნოს ბიზ-

ნესის შესახებ საკუთარი კარგად ჩამოყალიბებული და კრიტიკული შეხედულება. რომ მას უნდა დაუტოვონ ჟურნალისტური გამოძიების ჩატარების უფლება. რეპორტაჟის უფლება. მისმა ჟურნალისტებმა ის უნდა აკეთონ, რასაც ყველა ჟურნალისტი აკეთებს. თუმცა, ეს მხოლოდ ნაწილია იმ მიზეზებისა, რის გამოც “ჯორნალს” პუბლიკა კითხულობს, მეტიც, ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. “ჯორნალის” მკითხველს უფრო მეტად ბიზნეს-სამყაროს შიდა პოზიციებიდან დანახვა სჭირდება და არა მასზე გარედან გაკეთებული დასკვნების კითხვა. “ჯორნალის” მკითხველს სურს, მოისმინოს ექსპერტის დონეზე ჩამოყალიბებული მიმოხილვა ბიზნესში გაბატონებული ტენდენციების შესახებ; სურს საკითხის ღრმად მცოდნე პირისგან გაიგოს, საით უბერავს “ბიზნესის ქარი” (“ქოლამბია ჯორნალიზმ რივიუში” გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ “უოლ სტრიტ ჯორნალი” ბაზრის ხელკეპითი კი არ უნდა გახდეს, მისი მისია და ისტორიული როლია, აკონტროლოს და ამონოს ბაზარი). და თუ “უოლ სტრიტ ჯორნალს” ევალევა ბიზნეს ისტებლიშმენტის ასახვა, მისთვის მერდოკზე უკეთესი მფლობელი წარმოუდგენელია.

აი, სწორედ ამ დონეზე მოხდება მერდოკის გრანდიოზული გარდაქმნები. ის გაზეთს შეცვლის იმ მიმართულებით, რომ მკითხველს მიანოდოს ის, რაც მათ უნდათ.

როცა “ნიუს კორპში” სურთ, გამოხატონ, რომ რალაც მოსაზრებას სასტიკად ეწინააღმდეგებიან, აუცილებლად სიტყვა “სენტიმენტალურს” ხმარობენ, იგივე კონტექსტში, “ნიუს კორპის” მიმართ ანტაგონისტურად განწყობილები მერდოკის ხალხს ასე ახასიათებენ: “საშუალო დონის”, “ნიჭით რომ არ ბრწყინავენ, ისეთი ჟურნალისტები”. გამოდის, რომ მერდოკის ახალ გარიგებაშიც მონაწილეობას ეს “საშუალო დონის” და “არაფრით გამორჩეული” ადამიანები მიიღებენ.

ესეც პრობლემის ნაწილია: “უოლ სტრიტ ჯორნალის” ჟურნალისტის ხარისხი უძველესი ამერიკული სკოლის ხარისხს უდრის, აქ წამყვან უნივერსიტეტებში შეძენილი ჰონორი აქვთ. ამ ხარისხის ჟურნალისტებს თავიანთი მყარი შეხედულებები აქვთ მოვლენათა განვითარების, ლეგიტიმურობის და რესპექტაბელურობის შესახებ; მერდოკის მხარესა და დონეზე კი ჟურნალისტიკა უფრო უხემ ვაჭრობას ჰგავს, უფრო სწრაფი, პირდაპირი და ნაკლებად “სენტიმენტალურია” (არც გაურკვეველი რეპუტაციის მქონე კოლეჯის დიპლომია მერდოკთან პრობლემა).

გამოდის, “უოლ სტრიტ ჯორნალი” “მერდოკ ჯორნალი” გახდება, დონე შეეცვლება, გონებრივი განვითარების მაჩვენებელი რამდენიმე ქულით დაეცემა, უფრო აჩქარებული ტემპი და დრამატიზმის უფრო მეტად გამახვილე-

ბული შეგრძნება მიეცემა. ალბათ, ნაკლებად აკურატულ ინფორმაციას მოგვანოდებს, მაგრამ სამაგიეროდ ძველებურად მოსაწყენი და მონოტონური აღარ იქნება. ისიც სავარაუდოა, რომ გაზეთი ყნოსვასაც გაიმძაფრებს და ფულსაც მეტად გამოედევნება.

**გამოდის** უფრო იოლია, მიხედვით, როგორ მოვიდა მერდოკი აქამდე; როგორ შეძლო, თავისი ტაბლოიდური ტალანტის წყალობით, მთელ მედიას და მედია-სამყაროს დაპატრონებოდა; შეექმნა მსხვერპლთშენიერისთვის გამოგონებული უზარმაზარი მანქანა, რომელსაც მერდოკის ბრმად მონამენი ისევე უვარდებიან ბორბლებში, როგორც კრიშნას ტახტრევანს - მისი მიმდევრები. ამ ფონზე კი გაცილებით უფრო რთულია, გაიგოს, რატომ მოისურვა მერდოკმა აქ – მაინცდამაინც “უოლ სტრიტ ჯორნალზე” შეჩერება. ერთი რამ არის საყურადღებო: მერდოკი მართლაც ერთადერთი “გაზეტრიკია” ყველა დანარჩენს შორის, რომელმაც გაიაზრა – საკუთარი თავის გადასარჩენად აუცილებელია, გაზეთებს გასცდე, თან ძალიან გასცდე.

მაგრამ ესეც, ანუ “ჯორნალის” ყიდვა – მერდოკის ისტორიის ნაწილია. არ არის გამორიცხვული, მერდოკის ლეგენდარული მანქანა დანიშნულების საბოლოო პუნქტს უახლოვებოდეს, ან თვითონ მერდოკი ჩამოდიოდეს საკუთარი ტახტრევანიდან.

შესაძლებელია ისიც, რომ “ნიუს კორპისა” და მერდოკის გზები გასაყოფად ეშვადება – ერთი თავისი ლოგიკურად განვითარებადი, რაციონალურ-კორპორატიული სტილით გააგრძელებს სვლას, მერდოკი კი – მართალია მთლად პენსიაზე არ გავა, ფლორდაში არ დასახლდება და გოლფის თამაშით არ მოკლავს დროს, მაგრამ – ტემპს მაინც შეანელებს; კვლავ წინ ივლის, მაგრამ გზადაგზა ყვავილებსაც დაყნოსავს და შუადღის გაზეთიც დაჭირდება საკითხავად.

მოკლედ, ბოლოს და ბოლოს, მერდოკს შეუძლია თავისი ძველისძველი გატაცებით ბოლომდე დატკეპს. ბოლომდე მიეცეს ვნებას, რომელსაც გაზეთი ჰქვია. თვალის ადევნოს და ხშირ-ხშირად ამონოს, თუ ვინ იგებს, ვინ აგებს, ვინ ვის და როგორ კლავს ბიზნესში (დესერტად კი შეეძლება “ნიუ იორკ ტაიმსსაც” ისე მოსცხოს, როგორც მოუნდება).

ჩემი აზრით, “უოლ სტრიტ ჯორნალი” მერდოკისთვის სასიამოვნო, სენტიმენტალური და რალაც გაგებით, დამსახურებული საჩუქარია. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მერდოკი მალე არ მოინწყენს და რამე ახალს არ წამოიწყებს.

# რეზერვისტის დღიურები

<<< დასაწყისი გვ. 114

**დღე 8:** წყალი ისევ არ არის. ჩვენი ოცმეთაური, ორმეტრიანი ურბნისელი ანზორა (იგივე „ანძა“) ბუინობს, რა ვენათ, პირი როგორ დავიბანოთ – ერთმანეთი დავტლიკოთ? ჩე კვერს უკრავს – ვინმეს გული რო წაუვიდეს ან ფურთხით უნდა მოასულიერო, ან ნელზე უნდა მოაშარდო მიჯრითო. დილიდან წვიმს და ნელ-ნელა უმატებს. იარაღის აღებისას უკვე მაგრად დასცხო. პონჩოები გავშალეთ დიდის ამბით, მაგრამ, მარლასავით გასდის წყალი – გინდ გქონია, გინდ – არა. უეჭველია: ამათ შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირის საქმეს უკვე იძიებენ. ერთიანად ვილუმპებით და რომ არა ოფიცრების ნებართვა – ადით, გამშრალდით და გამოიცვალეთ – მთელი ასეული ფილტვების ანთებას ვერ გადაურჩებოდა. შუადღეს ჩასაფრება და ომობანა ვითამაშეთ. ფუჭი ტყვიები არ გვაქ, ასე რომ „ბახ, ბახ“-ით ვითამაშობთ. ბიჭები ერთმანეთს აფიცებენ, ჩემს შვილთან არ გამყიდო ამ დღეში რომ მნახეო. ანძა არ ისვენებს – ნეტავ, მჭიდში რამდენი ბახბახი ეტევაო? ჩასაფრების იმიტაცია მაინც სახალისოა. ჩეგე აქაც ყველაზე საზრიანია და ამ თამაშ-თამაშში თავისზე პატარა და შავი მელქოიანი ტყვედ აყავს. მოკლედ, გავიმარჯვეთ. ალექოს ბავშვივით უხარია.

ჭამის შემდეგ ჩვენი „დისლოკაციის“ ადგილას ვბრუნდებით დაბურულ და ბინძურ ტყეში და ორი საათი ვყრივართ. პონჩოები გავშალეთ და ჩავლაგდით, თითქო სოჭის პლაჟიო. მე, ალექო, კოსტა და ანდრო. მერე ვასოც გვემატება და დანარჩენებს იგერიებს – გაინი, მზეს ნუ მიფრავო. ჩვენი ოცეული უკვე დამკვიდრდა, როგორც „ლეგენდარული“. სხვებიც უკვე ნანობენ და კითხვაზე, რომელი ოცეულიდან ხარო, ასე პასუხობენ – სამწუხაროდ, მეორედანო. მეორე ოცეულს – „ჯიგრებით დაკომპლექტებული, მაგრამ მაინც 'მეორე' ოცეული“ შევარქვით. მესამე ოცეული, რომელსაც ყოვლად ოდიოზური ლეიტენანტი ოტელო გამხუაშვილი უდგას სათავეში მყარად მოხსენიება, როგორც „ოტელო გამხუაშვილის სახელობის არაფრით გამორჩეული ოცეული“, მეორე ვერსიით, ბაგრამიანის ოცეული (თავიდან პირიმზიდან ნამოყვანილი სასტავი გვეგონა – ნახევარი ნოკიას ოსტატები, მესაათები, მენალეები და ელექტრიკები არიან).

**დღე 11:** დილა ისევ ლანძღვა-გინებით იწყება. ზოგი ადრე ადგომას აგინებს, ზოგი – გაჭედული ტუალეტების სიბინძურეს, ზოგი – ჩვენი ყოფის ირონიას, ზოგიც კი – ჩვენს ამ დღეში ჩამყრელს იხსენიებს. რეფრენად კითხვა – „აუ, კიდევ რამდენი დღე დავგრჩა?“ დილის 6 საათია, მაგრამ დღევანდელს და ბოლო დღეს არავინ თვლის. ასეთია ადამიანის გული, რამის მომლოდინე – საკუთარი

თავის მომტყუებელი. დღეს იალღუჯას პოლიგონზე ვიყავით კრწანისში. გზაში დიდი ხალისი და სიმღერებია სამ ხმაში. პირველად ვისვრი ავტომატს. პირველი 80 ტყვიიდან 38 მოვარტყი. არაა ცუდი. უკანა გზაზე აღარაფრის თავი არ გვაქ – გათანგულები ვართ მზისგან. ცხხედვართ კრაზებში თავისუფლებაზე ზღუდულები და გამვლელელები ხელს გვიქნევენ, თითქო ბაში-აჩუკები ვიყოთ. ყველამ დავაფიქსირეთ – ქართველ ქალებს ძალიან მოსწონთ რეზერვისტობის იდეა. ტელეფონზე ნებისმიერ დაწვრილებას მეუღლის ან შეყვარებულის ულმობელი გაკიცხვა მოსდევს. ფროიდულად სიამოვნებთ ჩვენი ამ დღეში ყოფნა.

**დღე 12:** რა ვისწავლეთ ჯარში? მოთმინება, საათობით ტაქტიკური ჯდომა, ახალ ადგილზე მწყობრად გადასვლა და კვლავ ჯდომა, დროის გაყვანა, შენობის აღება, იარაღის დაშლა-ანყობა და სროლა, ცივ, მონანკარე წყალში ჩაკუზული ბანაობა (წნევა არ ყოფნის), უწყლობაში დილის პროცედურების ჩატარება, ჩასაფრება, ბახ-ბახებით ომობანას თამაში, დაჭრილი მტრის გაჩხრეკა და მრავალი სხვა. ბევრიც ღირსეული ადამიანი გავიცანით. ჩვენს ბიჭებზე რომ არაფერი ვთქვა, ოფიცრების უმეტესობა, მართლაც, საამაყო ჯარისკაცები არიან. გამოვარჩევი ლეიტენანტ გიორგი მულაძეს. ამ პატარა ბიჭს მისი სიდინჯე, დისციპლინა და ურთიერთობის სიბრძნე შორს წაიყვანს. მახსენდება ერთი ეპიზოდი: ველისკენ მივდივართ მწყობრად. ამ დროს ზარების ხმა გაისმება ეკლესიიდან. მულაძე გვაჩერებს, გვატრიალებს და გვახდევინებს ქუდებს. სამარისებული სიჩუმე ისადგურებს. ყველა თავისთვის ფიქრობს. არადა რამდენს არ „უფიქრია“ არასოდეს? ისმის მხოლოდ: ხეთა შრიალი და ზარების ხმა შორიდან. ყელში ბურთი მანვება. გვლოცავს – ღმერთი იყოსო თქვენი მფარველი, ბიჭებო – და გზას ვაგრძელებთ. არადა სულ 22 წლისაა. გული სიამაყით მეგვება. ლაზარეთთან ისევ აფრისტი და ზარმაცი ძველი ბიჭების რიგი დგას. რაღაცეები არასოდეს იცვლება. თუმცა მეორე მხრივ დიდი პროგრესია. მაგალითად, ნიგნის კითხვა უკვე კარგ ტონად ითვლება. ოცეულში (ანუ 35 კაცში) 4-5 აქტიური მკითხველია. ზოგიერთი ისეთი მივა ხოლმე მათთან და დაეკითხება რას კითხულობო, გაგიკვირდება კაცს. ...სალამოს ყველას საჭმელად მიგვერეკებოდა. უმეტესობას არ უნდა, მაგრამ ისე დაჟინებით მივყავართ, რომ როგორც აღმოჩნდა გვდომებია. კვება აშკარად კარგია, ვერაფერს იტყვის კაცი. სარდალი მოდის და ჩვენთან ერთად ვახშობს. მას დილიდან ელიან. ტუალეტები და ყაზარმა საგანგებოდ დაალაგეს და დაკეტეს.

**დღე 16:** სალამოს სასწაული ხდება და ცხელი

წყალი მოდის დიდი ჭავლით. პირველად და უკანასკნელად ვიბანთ ამაყად ნელში გამართულნი. ყოფითი პრობლემები გადავავიწყეთ და აბანოში ინტელექტუალური საუბრების დრო დგება. ლოსი და ბურდულა ჯერ ადგილობრივი პოლიტიკის ნიუანსებს განიხილავენ, მერე ამერიკასაც გადასწავნიან და იხსენებენ კლინტონისა და ლეინსკის საუბრებს ოვალურ ოფისში. უცნობი ბიჭები მესამე ასეულიდან უკვდავ ქართულ თემებზე საუბრობენ: „ბოიშვილი ვიყო, ამათმა ვერ გაიგეს, რომ სადაც არაა მოპარვის პონტი, იქ არ უნდა მოიპარო, სადაც არის – იქ მოიპარე, ტო!..“ ანუ ჯარში შენ ძმას არ უნდა მოპარო. ალბათ ასევე „კაცურად“ ფიქრობდა ის 1500-1500 ქართველი, ახლა ავსტრიისა და საბრძნეთის ციხეებში რო ლპება. კითხვა – „რატომ, თორე კი?!“ – უკვე დაინერგა და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყველას თავისი პასუხი აქვს. ზოგს – გლობალური, ზოგს – ლოკალური, ზოგსაც – რიტორიკული. ზოგი მხოლოდ კითხვითაც კმაყოფილია და პასუხს არ ეძებს. მთავარია: ყველა რაღაცას ჩაუფიქრდა. ახალი თემა.

## 28 აზვისტო, სამშაბათი. მარიამობა

გუდამაყარში უნდა ავიდე, ხატში. მომნატრებია იქაურობა. ბავშვები ჩავსხი მანქანაში და გავემურეთ. ანანური სავესტა ხალხით. 33 გრადუსია და მწველი მზე. შორით შავი ღრუბლები ჩანს და ბავშვებს ვანახებ – ალბათ, იქ თქეში წვიმაა თქო. მართლაც, მანქანით ხუთი კილომეტრის გავლა ვერ მოვასწარით, რომ ტემპერატურა მკვერთად ეცემა. ხანდომი უკვე 16 გრადუსია. ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება. სრული მისტიკაა. გარშემო ულამაზესი მთებია. მთებში სული იგრძნობა. სული, რომელიც თავისუფლებას შობს და რომელიც თავადაა თავისუფლება. ნისლები ისე ასდის მთიულეთ-გუდამაყარის მთებს, გოგლას ლექსი მახსენდება – „როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები.“ ვბრუნდებით უკან. ბუნება სულ გადარიდა. ბავშვები კრიალებენ – ყოველ ხეობაში ახალი ცისარტყელაა. უკვე ხუთი დათვალეს. ჟინვალთან ისევ 28 გრადუსია. გამოვიბარეთ. ია ტელეფონს ეთამაშება და „ბინდისფერია სოფელი“-ს უსმენს. ბავშვმაც იგრძნო რაღაც „სხვა“. ამ ხალხურ სიტყვებში იმხელა სიბრძნეა, ვერც ერთი მოაზროვნის ტომეულები ვერ გადანონის. ამ სიტყვებში მარადიული ქართული გენი ზეიმობს. გენი, რომელიც ქართველებს ყოველგანმყოფთან აერთებს და რომელიც სხვა, მინიერ და აფრისტულ კულტურებზე მაღლა აყენებს ჩვენს ერს. მახსენდება ჯარში ნაკითხული კნუტ ჰამსუნის კავკასიაში 1898 წლის მოგზაურობის ამსახველი ზედაპირული და ნარცისისტული დღიურები. თუმცა, ერთი არ შეშლია ჰამსუნს – ეს მართლაც ზღაპრული ქვეყანაა. სადაც აქ არის უფლის სავანე დედამიწაზე. მიუხედავად ყველაფრის, ვგრძნობ: ჩვენი მხოლოდ ერთი გზა გვაქვს. და მას გამარჯვება ქვია.



ანუკა მურვანიძის



# Professional Make-up studio



## გთავაზობთ

- მაკიაჟს
- ვარცხნილობას
- სპეც-პროექტებს
- სეზონურ პროექტებს

### Face & Body Art

სტუდიაში შეგიძლიათ დაეუფლოთ  
ვიზაჟისტის ხელობას 3 თვეში  
პედაგოგი: ანუკა მურვანიძე

ვიზაჟისტი ადგილზე გამოძახებით

ვიზაჟისტთა ჯგუფი დაგეხმარებათ თქვენი ინდივიდუალური სტილისა და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევაში



41 E. Tatishvili (Kazbegi) str.  
Studio: (+995 32) 23 20 91  
Mob.: (+995 77) 46 59 68  
(+995 99) 24 29 00  
(+995 77) 20 82 11  
E-mail: grim\_mask@yahoo.com  
www.make-up.ge



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



# ამართლებს ეკოლოდინს



ლესია უკრაინკას 3, თბილისი 0108, საქართველო

ტელ. +995 (32) 922536, 922562, 922563

ფაქსი +995 (32) 922537

[info@investbank.ge](mailto:info@investbank.ge) • [www.investbank.ge](http://www.investbank.ge)



[www.geocell.ge](http://www.geocell.ge)